

გეორგიკა

I

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

Комиссия по публикации иностранных источников о Грузии	Институт Истории им. И. Джавахишвили
---	---

FONTES PEREGRINI AD GEORGIAM PERTINENTES

СВЕДЕНИЯ

ВИЗАНТИЙСКИХ ПИСАТЕЛЕЙ О ГРУЗИИ

ТОМ I

Тексты с грузинским переводом издали и примечаниями снабжили
А. Г. Гамкрелидзе и С. Г. Каухчишвили

GEORGICA

SCRIPTORUM BYZANTINORUM EXCERTA
AD GEORGIAM PERTINENTIA
TOMUS I.

Ediderunt Al. Gamcrelidze et S. Kauchtsxhischwili

Издательство Академии Наук Грузинской ССР

Тбилиси 1961

საქართველოს შესახებ არსებული
უცხოური წყაროების კომისია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიის ინსტიტუტი

გეორგიკა

ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ

ტომი პირველი

ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს
ალ. გამყრელიძემ და სიმონ ყაუხჩიშვილმა

მთავარი რედაქცია: ი. აბულაძე, ვლ. ფუთურიძე, ს. ყაუხჩიშვილი,
გ. წერეთელი (მთ. რედაქტორი), ს. ჯიქია

ბერძნულ-რომაული წყაროების
სერიის რედაქტორი

ს ი მ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი

შინაარსი

წინასიტყვაობა	V
ნიკეის პირველი მსოფლიო კრება	1
Liber generations. Chronicon a. 334	11
იპოლიტე რომაელი	19
ვესუვი კესარიელი	21
მედეა 24. – ტიბარენეპი 25. – იასონი და არგონავტები 27 – ამადონები 28, – ალანეთი და ალბანეთი 29. – ანდრიას ქადაგება სკვითიაში 29. – იბერები და იბერია 30. – არგონავტები, ფაზისი, მედეა 31. – იბერები, სანიგეპი, ტრაპეზუნტი 31.	
ვესტათი ანტიოქელი	33
ქართველი ტომები: თეობელეები. მესხები 34.	
კესარიოს ნაზიანზელი	36
ამადონები 36. – პონტოს ქვეყნები 37.	
ეპიფანე კვიპრელი	38
ქართველი ტომები 39. – ლაზები, იბერები, ჯიქები 32. – თვალი იასპისი იბერთა ქვეყანაში 42.	
თემისტოისი	45
იბერები ბიზანტიის ჯარში 48. – იბერთა და ალბანთა საზღვრები 48. – არმენიელთა და იბერიელთა რაზმები 49, – გრძნეული მედეა 50, – კოლხეთის რიტორიკული სკოლა 50.	
ლიბანიოსი	59
წერილები ბაკურის შესახებ და ბაკურთან 62. – ბაკურის 63. – არისტენეტეს 64. – ლეონტის 66. – აეტი სკვითთა მეფე 67.	
ავათანგელოსი.....	69
ამიანე მარცელინე	75
ამიანე მარცელინე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ 75. – არგონავტთა თანამოლაშქრე მობსოსი 98. – მითრიდატეს გაქცევა კოლხეთში 99. – ალბანთა მეფე სპარსეთის ლაშქარში 100. – იბერიის მეფე მერიბანი და არმენიის მეფე არშაკი 101. – ფაზისის მიდამოების მცხოვრებნი 102. – შავი ზღვის სანაპიროების აღწერა 103. – პომპეუსის ლაშქრობა კასპიის ზღვამდე 120. – სკვითთა	

დედოფალი ტომირისი 121. – კასპიის კარი. ალბანები 121, – მდინარეები კამბისესი და კიროსი 121. – მითრიდატეს მიერ აქლემების წამოყვანა 122. – სხვადასხვა სკვითები 123. -- ჭანების ლეგიონი 123. – რომაელებისა და სპარსელების ბრძოლა სომხეთისა და იბერიისათვის 124. – სომხეთის მეფე პაპა 131. – იბერიის მეფე სავრომაკი და სპარსეთის მეფე შაბური 139, – ბარზიმერესის ბრძოლა გუთებთან 143. – ბაკური იბერიელი 144. – შენიშვნები 144.

უენაპი სარდელი	166
კოლხი სუბარმახიოსი 166. – კოლხიდის მითები 167.	
Notitia dignitatum	168
აბაზგები და ჭანები ბიზანტიის ჯარში 170. – ჭანები ბიზანტიის ჯარში 173. – ბიზანტიის ჯარი დასავლეთ საქართველოს ციხე-ქალაქებში 173.	
გელასი კესარიელი	179
რუფინუსი	200
თეოდორიკე კვირელი	208
იბერთა მოქცევა 209. – უწყება მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა 214. – მოსოხი, თობელი 22). – იოანე ოქროპირის გადასახლება ბიჭვინთაში 224. – სვიმონ მესვეტე და იბერები 225. – იაზონი და მისი შვილი ეენეოსი 226. – ლაზები, სანნები,, აბაზგები 226. – ტიბარენები 227.	
სოკრატე სქოლასტიკოსი	229
ერმია სოზომენე	235
იბერთა მოქცევა 235. – არგონავტები 241. – იოანე ოქროპირის გადასახლება ბიჭვინთაში 242.	
პრისკე პანიონელი	249
ლაზთა მეფე გობაზი 254, – მეფე გობაზი და მისი შვილი 254, – იუროიპაახის ციხე-სიმაგრე 256. – გობაზის ჩასვლა კონსტანტინეპოლში 259. – იუროიპაახის ციხე-სიმაგრე 259, – უთანხმოება სვანთა ტომთან 261. – ბაქოს ნავთი 262.	
ზოსიმე	264
სარდალი სუქცესიანუსი და ბიჭვინთა 266. – ციხე-სიმაგრეები ფაზისზე 269. – ბაკური 269. – ბაკურის დახასიათება 270.	
დამატება I: იოსებ ფლავიოსი	271
თობელები, მესხები 271.	
დამატება II: ჰიდატიუსი	

წინასიტყვაობა

წინამდებარე სერიის („ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“) ოთხი წიგნი უკვე დაიბეჭდა: II ტომი – 1934 წელს, III – 1936 წელს, IV ტომის პირველი ნაკვეთი – 1941 წელს, ხოლო მეორე ნაკვეთი – 1952 წელს.

ამ სერიის ტომთა გამოქვეყნება მე დავიწყე მეორე ტომით, რომელშიც შევიდა VI საუკუნის ბიზანტიელ მწერალთა ცნობები. თუ რატომ დავიწყე მეორე ტომით, ამის შესახებ ვწერდი ამ ტომის წინასიტყვაობაში: „ვინაიდან IV – V საუკუნეთა მწერლები ნაწილობრივ უკვე შევიდნენ ვ. ლატიშევის გამოცემაში [Scythica et Caucasia] და, მაშასადამე, მკვლევართათვის უკვე ხელმისაწვდომნი არიან-თუმცა არასრულად, ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ პირველ რიგში გამოგვექვეყნებინა VI საუკუნის მწერალთა ცნობები“.

ამჟამად, როდესაც უკვე ოთხ წიგნად არის გამოქვეყნებული VI-X საუკუნეთა ბიზანტიელი მწერლების ცნობები, ჩვენ ვავსებთ ხარვეზს და ვაქვეყნებთ პირველი ტომის მასალას, IV – V საუკუნეთა ბიზანტიელი მწერლების ცნობებს საქართველოს შესახებ.

ამ ტომში შესული მასალის კარგა მოზრდილი ნაწილი (გვ. გვ. 75 – 165) უჭირავს IV საუკუნის მწერალს ამიანე მარცელინეს, რომლის ცნობები საქართველოს შესახებ ამოკრიფა, თარგმნა და გამოიკვლია ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა დოცენტმა ალ. გამყრელიძემ.

თბილისი
1961 წელს 21 ნოემბერი

ს. ყაუხჩიშვილი

ნიკეის პირველი მსოფლიო კრება

მეოთხე საუკუნის ისტორიულ მოვლენებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს 325 წელს შემდგარ პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებას ქალაქ ნიკეაში. ამ კრების მნიშვნელობა განისაზღვრება შემდეგი გარემოებებით:

1. ეს იყო პირველი შემთხვევა, რომ რომის მთავრობის ინიციატივით მოწვეულ იქმნა კრება, რომელსაც უნდა გამოეტანა ოფიციალური დადგენილება ქრისტიანობის როგორც სახელმწიფოებრივად აღიარებული სარწმუნოების შესახებ, იმ ქრისტიანობისა, რომელიც ჯერ კიდევ IV საუკუნის დასაწყისშიც კი სასტიკად იღვევებოდა.

2. ამ კრებას დაესწრნენ მთელი მაშინდელი საქრისტიანო მსოფლიოს წარმომადგენელი; დაესწრნენ არა მარტო რომის იმპერიაში შემავალ მხარეთა ქრისტიანული ორგანიზაციების წარმომადგენელი, არამედ იმ მხარეთა წარმომადგენელიც, რომლებიც არ ეკუთვნოდნენ რომის იმპერიას.

3. ნიკეის 325 წლის მსოფლიო საეკლესიო კრება მოასწავებს ძირითად გარდატეხას მაშინდელი მოწინავე მსოფლიოს იდეოლოგიურ ცხოვრებაში, ისევე როგორც 330 წელს იმპერიის დედაქალაქის გადმოტანა რომიდან კოსტანტინეპოლში (ყოფილ დაბა ბიზანტიონში) მოასწავებს ძირითად გარდატეხას რომის იმპერიის ეკონომიურ ცხოვრებაში; ყველაფერი ეს კი საზღვარს უდებს ძველი რომის იმპერიის მონათფლობელური საზოგადოების არსებობას და იწყებს შუასაუკუნეებრივი ფეოდალური საზოგადოების საფუძვლების ჩაყრას.

ნიკეის კრებას დაესწრო საქრისტიანო ორგანიზაციების 3 / 8 წარმომადგენელი. კრების მონაწილეთა სია, შედგენილი საეკლესიო ეპარქიებისა და საეპისკოპოსო კათედრების მიხედვით, ჩვენამდე ზოლწეულია **ექვს ენაზე**: ლათინურად, ბერძნულად, კოპტურად, სირიულად, არაბულად და სომხურად. ეს სიები შეტანილია ნუსხებში სხვადასხვა დროს და ჩვენამდეც მოღწეულია სხვადასხვა საუკუნის ხელნაწერებით. ასე, მაგალითად,

სირიული სია მოღწეულია VI საუკუნის ხელნაწერით (ბრიტანიის მუზეუმის ხელნაწერი 14528).

ბერძნული ნუსხა გვაქვს XIII საუკუნის ვენეციის ხელნაწერში (codex Marcianus 344).

სომხური ნუსხები მომდინარეობენ XI საუკუნის არქეტიპიდან.

კოპტური სია მოიპოვება გიორგი ზოგას (მისი აღმომჩენის) ხელნაწერში, რომელიც X ან XI საუკუნეს მიეკუთვნება.

გამოცემა: Patrum Nicaenorum nomina latine, graece, cop-tice, syriace, arabice, armenice. Sociata opera ediderunt H. G e l - z e r, H. H i l g e n f e l d, Otto C u n t z. Lipsiae (BT) 1898.

ლიტერატურა: 1) E r n. H o n i g m a n n , The original lists o the membres of The council of Nicaea, the Robber-Synod and the council of Chalcedon: Byzantion XVI (Boston 1944), p. 20 – 80.

2) E r n. H o n i g m a n n, Becherches sur les listes des Pe-res de Nicée et de Constantinople: Byzantion XI (1936), 440 – 449.

ბერძნული ნუსხა

(გვ. 61 – 75)

Index Theodori Lectoris

Φιλομαθείας δὲ εἶναι νομί-
ζω καὶ τὰ ὀνόματα τῶν ἐν Νικαίᾳ
συνελθόντων ἐπισκόπων ὧν εὐρεῖν
ἠδυσήθην καὶ ἧς ἐπαρχίας ἕκασ-
τος καὶ πόλεως ἦν καὶ τὸν χρό-
νον ἐν ᾧ συνήλθον παραθέσθαι
ἐγχεσθαι.

თეოდორე მწუსხველის სია

ვფიქრობ, რომ საჭიროა ვი-
ცოდეთ ნიკეაში შეკრებილ ეპის-
კოპოსთა სახელები: რომელთა
პოვნა შევძელი, და მოვათავსო
აქ [ცნობები იმის შესახებ], თუ
რომელი ეპარქიისაა თითოეული
და რომელი ქალაქიდან, და რო-
დის შეიკრიბნენ.

(ასეთ შესავალს მოსდევს თვით ნუსხა)

XIII. Καπαδοκίας

93. Λεόντιος Καισαρείας
94. Εὐτύχιος Τυάωνων
95. Ἐρμούριος Κολωνείας
96. Τιμόθεος Κυβίστρων
97. Ἐλπίδιος Κωμάνων
98. Γοργόνιος χωρεπίσκοπος
99. Εὐδρόμιος χωρεπίσκοπος
100. Θεοφάνης

XIII. კაპადოკიის ეპარქია

93. ლეონტი კესარიისა
94. ევტიხი ტიანიდან
95. ერითრიოსი კოლონიისა
96. ტიმოთე კიბისტრისა
97. ელპიდიოსი კომანისა
98. გორგონიოს ქორეპისკოპოსი
99. ევდრომი ქორეპისკოპოსი
100. თეოფანე

XVII. Πόντου Πολι- μονιακῶν	XVII. პოლემონის პონტოსი
108. Δογγιανὸς Νεοκαισαρείας	108. ლონგი(ა)ნოზ ნეოკესარიისა
109. Δόμνος Τραπεζούντων	109. დომნე ტრაპეზუნტისა
110. Στρατόφιλος Πιτυούντων	110: სტრატოფილე ბიჭვინთისა

ლათინური ნუსხა
(გვ. 1 – 57)

XVI. Ponti Polimoniaci	XVI. პოლემონის პონ- ტოსი
110. Longinus Neocesariensis	110. ლონგინოზ ნეოკესარიისა
114. Domnus Trapezunclos ¹	114. დომნე ტრაპეზუნკტისა
195. Stratophilos ² Pitiuntos ³	195. სტრატოფილე პიტუნტისა

სხვა ნუსხით

XVI. Provinciae Ponti Polimoniaci	XVI. პოლემონის პონტოს პროვინციისა
103. Longinus Neocesarea	103. ლონგინოზი, ნეოკესარია
110. Domnus Trapezuntanus ⁴	110. დომნე ტრაპეზუნტელი
111. Stratophilus ⁵ phytionita ⁶	111 სტრატოფილე ფჰტიონელი

სირიული ნუსხა ⁷
(96 – 117)

D. P w n r w s P w l m j k w s 3	XIV პოლემიკის პონ- ტოსი 3
111. Lwngjnws d. N'k̄srj'	111. ლონგინუს ნეოკესარიისა
112. Dwmnws d. Ṭrpzwnṭ'	112. დუმნუს დ-ტრაპეზუნტა
113. Sṭrṭwpjlws d. Pjṭw'wnṭ'	113. სტრუფდლუს დ-ფტუუნ- ტა

¹ ვარიანტები: trapeiunctos, trapheiuunctos, tarpeiunctos

² ვარიანტები: stratofilos, stratofilius

³ ვარიანტები: piciuntos, pitiuinthos, pitiunctus

⁴ ვარიანტები: trapezuntensis, trapezantensis, trapezatensis

⁵ ვარიანტები: stratophylus, statofilus, stratopilus

⁶ ვარიანტები: phittonita, pithionita, thytionita, prothionita

⁷ არის მეორე სირიული ნუსხაც (გვ. 118 – 151), მაგრამ ის აღარ მოგ-
ვყავს, რადგან სახელები ისევეა, როგორც პირველ ნუსხაში, და „ბიჭვინტის“
სახელისა მხოლოდ ნახევარია შენახული d. Pjṭw'.

არაბული ნუსხა

(გვ. 144 – 181)

204. L'tjws 'I K̄jsr'nj (205. Dwmnś 'I T̄'j'rw')	204. ლატუჲს კესარიისა (205. დუმნს ტრაპეზუნტისა (?))
275. Ŗwh nmns 'I Trwb'ants	275. დო[ჰ-ი]მნუს ტრუპაზუნტისა
235. 'str'čwfls I' Bjtwlwth (გვ. 171)	235. სტრატოფილს ბითულუტენ- ისა

სომხური ნუსხა

(გვ. 184 – 215)

XV. ի Պոնտացւոյ կողնանէ	XV. პონტოელთა მხარიდან
105. Դոնցկնոս ի Նիոքեսարիայ	105. ლონგინოზ ნეოკესარიიდან
106. Դոմնոս ի Տրապիզոնտէ	106. დომნოს ტრაპიზონტიდან
107. Ստրատոփիլա ի Բիտլիանոսէ	107. სტრატოფილა ბიტლიანო- სიდან.

კობტური ნუსხა

(გვ. 78 – 93)

117. Longinos h̄n neokaisaria	117. ლონგინოზ ნეოკესარიაში
118. domnos h̄n trapezuntion	118. დომნოს ტრაპეზუნტონში
119. stratolios h̄m piteus	119. სტრატოლიოს პიტეუსში.

როგორც ვხედავთ, ყველა ექვსსავე ნუსხაში მოხსენებული არიან პოლემონის პონტოს ეპარქიათა წარმომადგენელი, რომელნიც 325 წლის კრებას დასწრებიან. იქ ყოფილა სამი საეპისკოპოსო კათედრა: ნეოკესარიისა, ტრაპეზუნტისა და პიტეუსისა (ბიჭვინთისა, ბიჭვინტისა).

შემდეგდროინდელ ეკთესისებში პოლემონის პონტოს ეპარქიაში მოხსენებულია კათედრები: ნეოკესარიისა, ტრაპეზუნტისა და, გარდა ამისა, სხვადასხვა დროს: კერასუნტისა, პოლემონიონისა და კომანისა¹. ნიკეის ნუსხით კომანის კათედრა კაპადოკიაშია შეტანილი (იხ. ზემოთ, აქვე). ამ ეკთესისებში, რომელთაგან უძველესი შედგენილია მეშვიდე საუკუნეში, „პიტეუსტი“ (ბიჭვინთა)

¹ იხ. ჩვენი გეორგიკა IV, 2 (თბ., 1952), გვ. 192 (ტაბულა).

აღარ არის: საფიქრებელია, რომ ბიჭვინთა ეკლესიურად ექვემდებარებოდა „აბაზგიის ავტოკეფალურ ეპარქიას“, რომელიც VII საუკუნიდან მოკიდებული ყველა ეკთეზისებში იხსენიება: მაგალითად. VI ნოტიციაში ვკითხულობთ: Τὼν αὐτοκεφάλων ἀρχιεπισκόπων... λέ' ἐπαρχία 'Αβασγίας, ὁ Σεβαστουπόλεως, ἄν და VII ნოტიციაში: Περί τῶν αὐτοκεφάλων ἀρχιεπισκόπων... λδ' ἐπαρχία 'Αβασγίας, ὁ Σεβαστουπόλεως ¹.

ეს ცნობები იმას მოწმობენ, რომ ძველად (მაგალითად, IV საუკუნეში) ბიჭვინთა („პიტუნტი“) შედიოდა პოლემონის პონტოს ეპარქიაში, ხოლო უფრო გვიან, რადგან აბაზგიის ეკლესია ცალკე ავტოკეფალურ ერთეულად გამოეყო, ბიჭვინთის კათედრაც, უთუოდ, ამ ავტოკეფალურ ერთეულში შევიდოდა.

ქვემოთ ჩვენ გვინდა სპეციალურად შევეხეთ ზოგიერთ საკითხს:


სახელწოდება ბიჭვინთა. ბიჭვინთის სახელწოდება შემდეგნაირად არის წარმოდგენილი ზემოთ მოყვანილ ნუსხებში: Πιτιούτων (ნათ. მრ. რიცხვისა) ლათ. **Pitiuntos** (ნათ. მხოლ.), არაბ.

Bjtwlwṭn, კოპტური Piteus, სომხური *Բիտխանთ* („ზიტხანოსი“), სირიული ფატუტუნტა.

ამ ექვსი სახელწოდებიდან სამი (ბერძნული, კოპტური და ლათინური) ერთი წარმოშობისა უნდა იყოს. ცნობილია, რომ ბერძენმა ეს სახელწოდება გააკეთა ასე: Πιτυσῆς, ნათ. Πιτυσύντος. ამ ბერძნული სახელწოდების წარმოშობა ასე წარმოგვიდგება ჩვენ: ბერძენმა გაიგონა ადგილობრივ „ბიჭვინტა“ (ან „ფიჭვინტა“) და ამის შედეგია ბერძნული Πιτυσύντος (ნათ. მხ. რიცხვისა), ხოლო ვინაიდან ბერძენს თავის საკუთარ ბერძნულ ტოპონიმიკაში ჰქონდა მსგავსი სახელწოდებანი: Πισσιύντος, Σελισύντος და სხვები, რომელთა სახელობითი ბრუნვა იყო Πισσιουσῆς, Σελισουσῆς და სხვ., ამიტომ Πιτυσύντος -ისთვისაც მან გააკეთა სახელობითი Πιτυσῆς. ბერძნული სახელწოდებიდან მომდინარეობს კოპტური Piteus (მომდინარეობს ბერძნული ნომინატივიდან) და ლათინული Pityus ² (=Πιτυσῆς) სახელობითი, Pityunta (= Πιτυσύντα) ბრალდებითი და Pityuntos, Pitiuntos ნათესაობითი.

¹ იხ. ჩვენი გეორგიკა, IV, 2 (თბ., 1952), გვ. 199, 190, 141 და ცხრილი გვ. 192.

² P l i n i u s, N. H. 6, 16: in intimo eo tractu P i t y u s oppidum... Direptum est.

რაც შეეხება დანარჩენ სამ ენაზე მოყვანილ სახელწოდებებს ბიჭვინთისას, აქ ჩვენს ყურადღებას პირველ რიგში იპყრობს სირიული სახელწოდების დაბოლოება: იქ სწერია: **სტრატუფაილუს დ-ფიტუნტ** . 113.⁴

ე. ი. „სტრატუფილუს დ-ფიტუნტა“. აქ **დ** არის ნათესაობითი ბრუნვის მანარმოებელი (მსგავსად ინგლისურისა of), მაშასადამე, თვით ქალაქის სახელწოდება სირიულად ყოფილა **ფიტუნტა**, რაც კარგად გადმოგვცემს ადგილობრივი სახელის დაბოლოებას (ბიჭვინტა); ეს საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც არცერთი სხვა ნუსხა ქართულ დაბოლოებას არ გადმოგვცემს (Πιτυντων, Pituntos, piteus, Bjtwlwt), სომხური უკეთებს ბერძნულ -ოს დაბოლოებას („ბიტანოს“), სირიულის დაბოლოება ა არ გამომდინარეობს სირიული ენის რაიმე თვისებიდან. სირიული უკეთებს ა-დაბოლოებას ისეთ სახელწოდებებს, რომელთაც თავის დედაენაში აქვს ეს დაბოლოება, მაგალითად: დ-ანკვრა (Ankyra., დ-ტვანა (Tyana), დ-ამსა (Amasia), მაგრამ დ-ზალუნ (Zelon), დ-ილიონ (Ilion), დ-სარდუნ (Σάρδων).

ყურადღებას მივაქცევთ აგრეთვე სირიული სახელწოდების პირველ თანხმოვანს: ფიტუნტა.

ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში. უაღრესი მნიშვნელობისაა ნიკეის კრებაზე ბიჭვინტის ეპისკოპოსის მონაწილეობა ისტორიული თვალსაზრისით. ფაქტი ბიჭვინტის ეპისკოპოსის მონაწილეობისა პირველ მსოფლიო კრებაზე უთუოდ მოწმობს იმ გარემოებას, რომ 325 წლისათვის დასავლეთ საქართველოში, რომლის ერთ-ერთი ეკონომიური და კულტურული ცენტრი იყო ბიჭვინტა, იმდენად ძლიერი ყოფილა ქრისტიანული ორგანიზაცია, რომ მას საეპისკოპოსო კათედრაც მოეპოვებოდა და მისი წარმომადგენელი მსოფლიო კრებაზედაც იქმნა მიწვეული. ის გარემოება, რომ სტრატოფილე ბერძენი ეპისკოპოსი იყო (თუმცა ეს არსაიდან არ ჩანს), ოდნავაც ვერ შეარყევს დასავლეთ საქართველოში 325 წლისათვის ქრისტიანობის არსებობის ფაქტს: ცნობილია, რომ ქართლში მირიანის დროს ქრისტიანობის განმტკიცების შემდეგ კონსტანტინეპოლიდან იქმნენ მოწვეული ბერძენი მღვდელმსახურნი, ისევე როგორც ცნობილია, რომ პირველ ხანებში მღვდელმსახურებაც ბერძნულ ენაზე წარმოებდა, – მაგრამ ამით არავინ ფიქრობს IV საუკუნეში ქართლის „მოქცევის“ ფაქტის უარყოფას.

ეს აზრი გავატარეთ ჩვენ 1948 წელს დაბეჭდილ „ლექციებში ბიზანტიის ისტორიიდან“ (გვ. 42 სქოლიო)¹. ხოლო აკად. კ. კეკელიძე 1955 წელს დაბეჭდილ სტატიაში „იბერიის ქრისტიანიზაციის საწყისებთან“² უარყოფს ნიკეის კრებაზე ბიჭვინთის ეპისკოპოსის მონაწილეობის ფაქტის მნიშვნელობას და წერს: ჩვენი მკვლევარების ერთი ნაწილი ქართლის მოქცევას სდებს „არაუგვიანეს 337 წლისა, იმპერატორ კონსტანტინე დიდის დროს. ამ თარიღის გასამართლებლად ზოგიერთი იმასაც კი უსვამს ხაზს, რომ 325 წელს პირველ მსოფლიო კრებაზე მონაწილეობას ღებულობდა ბიჭვინთის კათედრის ეპისკოპოსი სტრატოფილე. ავიწყდებათ ის გარემოება, რომ ბიჭვინთის ეპარქია იმ დროს იყო ერთი იმ ეპარქიათაგანი რომელნიც შავი ზღვის აღმოსავლურ სანაპიროებზე დაარსებულნი იყვნენ ბერძნების მიერ ბერძნული კოლონიების სარწმუნოებრივი საჭვიროებისათვის (იხ. A. H a r n a c k, Die mission und Ausbrietzung des Christentums, II, 177) ³.

ვთქვათ, რომ ბიჭვინთის ეპისკოპოსი, მართლა, ბერძნების მიერ დაარსებული ბერძნული კოლონიის წარმომადგენელი იყო. ხომ ნიშნავს ეს იმას, რომ აზაზგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვანსა და სახელგანთქმულ ცენტრში, ბიჭვინთაში, იმდენად ძლიერი იყო საქრისტიანო ორგანიზაცია, რომ მისი წარმომადგენელი მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მიიწვიეს. ბერძენთა ახალშენი იყო სინოპშიც (ჯერ კიდევ 657 თუ 631 წლიდან, ძვ. წელთაღრიცხვით) ⁴, მაგრამ მას ნიკეის კრებაზე არ ჰყოლია თავისი წარმომადგენელი. იმას ხომ ვერ ვიტყვით, რომ სინოპში ამ დროს ქრისტიანობა გავრცელებული არ ყოფილა. გვიანდელი ეკთეზისებით სინოპის ეპისკოპოსი ექვემდებარებოდა ამასიის ეპარქიას⁵ მაგრამ 325 წლის მსოფლიო კრებაზე ამასიის ეპისკოპოსი ევტიხი მონაწილეობს და არა სინოპის წარმომადგენელი ცალკე.

ცხადია, რომ ნიკეის საეკლესიო კრებაზე მიწვეული იყვნენ მნიშვნელოვანი საეკლესიო ცენტრების მოძღვარნი. ასე რომ, როდესაც ჩვენ ნიკეის მამათა სიაში ვკითხულობთ, რომ პირველ საეკლესიო კრებას დაესწრნენ ტრაპეზუნტის ეპისკოპოსი დომნოსი

¹ ამ აზრისა იყო იმთავითვე ივ. ჯავახიშვილი: ქ. ერ. ისტორია I (1928), 212.

² კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან III (თბ., 1955), გვ. 16 – 22.

³ იქვე, ზვ. 16, შენიშვნა.

⁴ F r. B i l a b e l, Die ionische Kolonisation (Leipzig, 1920 გვ. 66.

⁵ გეორგიკა. IV, 2. თბ. 1952, გვ. 132, 155.

და ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილეო, ეს იმას ნიშნავს, რომ ტრაპეზუნტი და ბიჭვინთა აერთიანებდნენ მსხვილ საქრისტიანო ორგანიზაციებს.

ახლა საკითხია, ვისი იყო ეს ორგანიზაცია, მაგალითად, ბიჭვინთის ქრისტიანებისა? იყო ის მხოლოდ და მხოლოდ ბერძენთა ორგანიზაცია, თუ საერთოდ ბიჭვინთის მცხოვრებთა ორგანიზაცია იყო ის. ისტორიულ პერსპექტივას მოკლებული იქნება საკითხის ისე დაყენება, თითქოს ბიჭვინთაში მცხოვრები ბერძენები ისეთი მაღალი კედლებით იყვნენ გამოიჯნული ამ რაიონის დანარჩენ მცხოვრებთაგან (ე. ი. მოსახლეობის უმრავლესობისაგან), რომ ბერძნულ კოლონიაში შეიქმნა მძლავრი ქრისტიანული ორგანიზაცია და ეს ახალი იდეოლოგია უცნობი დარჩა ბიჭვინთის არაბერძნული (ე. ი. ადგილობრივი) მოსახლეობისათვის. რომ მეოთხე საუკუნეში ბიჭვინთის ადგილობრივი მოსახლეობა ზიარებული არ ყოფილიყო ქრისტიანულ მოძღვრებას, განა შესაძლებელი იქნებოდა. ნახევარი საუკუნის ან ცოტა მეტის შემდეგ იქ აგებულიყო. ადგილობრივი მცხოვრების მოთავეობით ტაძარი შემკული მოზაიკური წარწერით, რომელშიც კტიტორად იხსენიება ქართველი წარჩინებული, ვინმე „ორელი“? ¹

ერთი სიტყვით, ჩვენ საეჭვოდ არ მიგვაჩნია, რომ სტრატოფილე წარმოადგენდა, საერთოდ, ბიჭვინთის მძლავრ ქრისტიანულ ორგანიზაციას და არა მარტო. ქრისტიან ბერძენებს.

იგივე უნდა ვთქვათ ტრაპეზუნტელი დომნოსის შესახებაც. ბერძენთა ახალშენი ტრაპეზუნტში დაარსებულია 757–756 წლებში, ძირითადი მოსახლეობა კი იყო არაბერძნული. აი, რასა სწერს აკად. ივ. ჯავახიშვილი XII – XIII საუკუნის დასაწყისში დაარსებულ ტრაპეზუნტის საკეისროს შესახებ:

„საქართველოს მეზობლად ამ დროითგან მოყოლებული თვით საქართველოს წყალობითვე შექმნილი [ტრაპიზონის], საკეისრო გაჩნდა, რომელიც ქართველთა მონათესავე ტომით იყო დასახლებული... მისი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ქართველთა მონათესავე ჭანების ტომისაგან შესდგებოდა. ბერძენთა მოსახლეობა მხოლოდ ქალაქებში იყო და მარტო მაღალი წრის ფენას ეკუთვნოდა,

¹ იხ. თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბიჭვინტის მოზაიკის ბერძნული წარწერა: საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XVI (1955), № 1, გვ. 73 – 80.

² F r. B i l a b e l, Die ionsiche Kolonisation, გვ. 66.

მაგრამ ამ მაღალი წრის ფენაშიც ქართულ მოსახლეობასაც საკმაოდ პყავდა თავისი წარმომადგენლები“¹.

ამას სწერს ივ. ჯავახიშვილი XII – XIII საუკუნეთა ტრაპეზუნტზე, ხოლო ძველი ტრაპეზუნტი ხომ მის დასავლეთით, იმავე შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე სინოპის კოლონია იყო; სინოპის არაბერძნულ მოსახლეობაზე (ხალიბებზე) მიუთითებდა ჯერ კიდევ პომპონიუს მელა.²

ამგვარად, არ არის საეჭვოდ მისაჩნევი ის ურყევი დებულება, რომ ტრაპეზუნტისა და ბიჭვინთის ეპისკოპოსები, რომელნიც 325 წელს პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებას დაესწრნენ ნიკეაში, მხოლოდ ბერძნულ მოსახლეობას კი არ წარმოადგენდნენ, არამედ მთელს მოსახლეობას, როგორც ბერძნულს, ისე ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობას.

ჩვენ არ უნდა დაგვძლიოს ა. ჰარნაკის ავტორიტეტმა და ხელი არ უნდა ავიღოთ ტრაპეზუნტზე და ბიჭვინთაზე იმის გამო, რომ თითქოს ა. ჰარნაკს ეთქვას, რომ ბიჭვინთის ეპარქია იმ დროს იყო ერთი იმ ეპარქიათაგანი, რომელნიც შავი ზღვის აღმოსავლურ სანაპიროებზე დაარსებულნი იყვნენ ბერძნების მიერ ბერძნული კოლონიების სარწმუნოებრივი საჭიროებისათვის. არც ასე გაულრმავებია საკითხი ა. ჰარნაკს. მან მხოლოდ შემდეგი თქვა: „ქრისტიანობა 325 წლის წინ შეიჭრა აღმოსავლურ პოლემონის პონტოს ბერძნულ სანაპირო ქალაქებში. ეპისკოპოსი დომნუს ტრაპეზუნტელი და შორეული ბიჭვინტის ეპისკოპოსი სტროფილეც კი დაესწრნენ ნიკეის კრებას. ისინი ბერძნები იყვნენ, როგორც ამას მოწმობს მათი სახელები“³. ა. ჰარნაკის ამ დებულების შესახებ უნდა შემდეგი ვთქვათ:

1. ა. ჰარნაკი ასხვავებს ტრაპეზუნტსა და ბიჭვინთას: შორეული ბიჭვინთის ეპისკოპოსის დასწრება მას უფრო ხაზგასასმელად მიაჩნია. ეს უნდა აიხსნებოდეს, ალბათ, იმით, რომ ა. ჰარნაკი ვარაუდობს, რომ ტრაპეზუნტის მხარე ამ დროს რომის იმპერიაში შედიოდა, ხოლო ბიჭვინთა სხვა სამეფოს, ლაზთა სამეფოს, ეკუთვნოდა.

¹ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორია: XI – XV საუკუნეები. თბ., 1949, გვ. 81.

² Chalybes.. clarissimas habent [urbes] Amison et Sinopen (ლ ა ტ ი-შ ე გ ი SC II, 117): იხ. F r. B i l a b e l, Die ionische Kolonisation 40.

³ A. H a r n a c k, Die mission und Ausbreitung des Christentums in den ersten drei Jahrhunderten. II Band (Leipzig 1906) 177.

2. დომნუსი და სტრატოფილე ა. ჰარნაკს ბერძნებად მიაჩნია, მაგრამ ის იმას კი არ ამბობს, რომ ისინი ნიკეის კრებაზე ტრაპეზუნტისა და ბიჭვინთის მხოლოდ ბერძნულ მოსახლეობას წარმოადგენდნენ; ამ საკითხს ის სრულებით არ ეხება.

3. ა. ჰარნაკი დომნუსისა და სტრატოფილეს ბერძნობას მათი სახელის მიხედვით ადგენს. ესე იგი: ჰარნაკი ფიქრობს, რომ რაკი სახელი „სტრატოფილოს“ ბერძნულია, მისი მატარებელი კაციც ეროვნებით ბერძენია¹. ასეთი დებულება არ მართლდება. დასავლეთ საქართველოს მხარეებს უხსოვარი დროიდან კავშირი აქვთ ბერძნებთან. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ურთიერთობა ბერძნებთან დასავლეთ საქართველოში მობინადრე ქართველებს (კოლხებს, ლაზებს, ჭანებს და სხვებს) ჰქონდათ ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ბერძენთა ახალშენები დაარსდებოდა იქ. ამ ურთიერთობამ შედეგად მოიტანა ისიც, რომ მრავალი პირთასახელი გავრცელდა ქართველებში ბერძნული ფორმით². მაგალითისათვის შეგვეძლო დაგვესახელებინა პეტრე იბერის ასურულ ცხოვრებაში. მოხსენებული აღმზრდელი და მეგობარი პეტრე იბერისა – იოანე ევზუხი, რომელსაც ბერად აღკვეცამდე მითრიდატე ლაზი ერქვა³, ამიტომ ვფიქრობთ ჩვენ, რომ არ არის სავალდებულო ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე უთუოდ ბერძნად ჩავთვალოთ: ის შეიძლება იყოს ბერძენიც და არაბერძენიც.

¹ რაც შეეხება ტრაპეზუნტის ეპისკოპოსის სახელს Δόμιος, ის ლათინურია (Dominus) და არა ბერძნული.

² ყველას კარგად მოეხსენება, რომ დასავლეთ საქართველოში დღესაც ბევრს ისეთა ბერძნული სახელი პქვია, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში ან სულ არ გვხვდება, ან ძალიან იშვიათად, მაგალითად: ანეპოდისტე (კაცის სახელია), პისტე (ქალის სახელია), მიტროფანე, მიტრადორა (ქალის სახელია) და მრავალი სხვაც.

³ R. R a a b e, Petrus der Iberer. Leipzig 1895, გვ. 34. იხ. აგრეთვე „ქართლის ცხოვრება“ I (თბ. 1955), გვ. 033.

**LIBER GENERATIONIS
CHRONICON a. 334**

ეს ორივე თხზულება წარმოადგენს ლათინურ დამუშავებას „მესაქმის წიგნისას“. ეს დამუშავება დაცულია ერთი მხრით დამოუკიდებელი გარდმოცემით და ფრედეგარის ხელნაწერებით, ხოლო მეორე მხრით 334 წლის „ქრონიკაში“.

ბერძნულ ორიგინალში წყაროებად გამოყენებული იყო **კლი-მენტი ალექსანდრიელის** „Stromata“ და **იპოლიტეს** ქრონოგრაფიული ნაწარმოებნი (წინათ Liber generation-ის ავტორად იპოლიტე მიაჩნდათ). იპოლიტე კიდევ მჭიდროდ უკავშირდება **იულიუს აფრიკანუსს**, თუმცა ერთგვარი დამოუკიდებლობის დაცვით (იხ. BZ. 3 [1894], 635).

ეს თხზულებები გამოცემულია: *Chronica minora*, ed. C. Frick I (Lipsiae 1892) 1 – 77 და 79 – 129. ფრიკის მიერ მათ დართული აქვს ბერძნული უკუთარგმანი, ე. ი. ბერძნული რეკონსტრუქცია.

იმავე დროს ისინი გამოსცა *მოძენმა* (*Chronica minora*, Berolini 1891).

გამოსცა აგრეთვე: *M o m m s e n*, *Chronographus a. 354*. Lipsiae 1850.

Confus[a]e sunt autem linguae post diluvium. Erant autem quae confusae sunt linguae LXXII, et qui turrem aedificabant erant gentes ¹ LXXII, quae etiam in liuguis super faciem totius ² terrae divisae sunt. Nebrot autem gigaus, filius Chus Etliiopy [in escam medis] venando subministrabat bestias in eibum.

ხოლო წარდენის შემდეგ აღირივნენ ენები. ენები, რომლებიც აღირივნენ, იყო [სულ] სამოცდათორმეტი; ტომებიც, რომლებმაც კოშკი ააშენეს, სამოცდათორმეტი იყო; ისინი აგრეთვე ენითაც გაყოფილ იქმნენ მთელ დედამიწის ზურგზე. ხოლო ნებროთ გოლიათი, ძე ხუს ეთიოპელისა, ნადირობდა ცხოველებზე და ასე შოულობდა საჭმელს.

¹ et qui – gentes] erantque gentes, quae turrem priusquam dividerentur aedificabant. ² totus.

Vocabula autem LXXII haec sunt:

Filii Iafeth; Gamer, et quo Cappadoces.

Magog, de quo Geltae et Galatae.

Madaë, de quo Medi. Iuan, de quo Greci et Iones.

Thobel, unde Etthalienses.

Moroc, unde Illyrici.

Thiras, unde Traces.

Coëttyn, unde Macedones.

Et filii Gamer: Ascanaz, de quo Sarmatae.

Rifan, de quo Sauromatae.

Thogorma 1, de quo Armenii.

Et filii Iuuan: Elisan, uude Siculi, Tharsis, ex quo H I b e-
r i 2, qui et Tyrreni 3. Cithii 4, de quo Romani, qui et Latini, **
Rodii (Ῥόδιος, ἕξ οὖν) Ῥόδιοι.

Omnes XV.

De his extiterunt insulae gentium.

ეს სამოცდათორმეტი სახელი შემდეგია:

ი ა ფ ე თ ი ს ძენი: გამერი, რომლისაგან არიან კაპადოკიელები.

მაგოგი, რომლისგან არიან გელტები და გალატები.

მადაე, რომლისაგან არიან მედები. იუანი, რომლისგან არიან ბერძნები და იონიელები.

თობელი, საიდანაც არიან ეტთალიელები.

მოროკი, საიდანაც არიან ილირიელები.

თირასი, საიდანაც არიან თრაკიელები.

კოეტვინი, საიდანაც არიან მაკედონიელები.

და გამერის ძენი: ასკანაზი, რომლისაგან არიან სარმატები.

რიფანი, რომლისაგან არიან სავრომატები.

თოგორმა, რომლისაგან არიან არმენიელები.

და ძენი იუვანისნი: ელისან, საიდანაც მომდინარეობენ სიკულები; თარსისი, რომლისგან არიან ჰიბერები, რომლებსაც აგრეთვე ტვირენები (ეწოდებათ); კითიები რომლისგანაც არიან რომაელები, რომელთაც აგრეთვე ლატინები |ეწოდებათ|, როდოსელები...5

სულ თხუთმეტი.

ამათგან მომდინარეობენ ტომთა კუნძულები.

¹ Togor. Togorma, Armini. ² Hibreri| Hebraei. ³ Tirreni, Tyrrheni.

⁴ Cythii, Kith. (Ῥοῦδιος ἕξ οὖν) ჩამატებულია ბერძნულში სვინკელოზიდან.

Sunt autem Cyprii ex Citiensibus 1 ex lafet, si quidem invenimus et eos, qui sunt ad borram et ipsis de ea tribu Citiensium.

Sunt autem et ipsis etiam gentes, quae sunt in Etiada 2, praeter eos, qui postmodum advenerunt ibi reges, qui habitaverunt civitatem, quae apud Graecos honoratur, Athenas, et Thebeorum, quoniam Sidoniorum sunt inhabitatores, et quicumque sunt alii similiter post haec apud Helladam transmigraverunt. Coguoscimur autem haec ex lege et prophetis.

Erant ergo de lafet ad confusionem turris tribus XV.

Et haec gentes lafet a Media usque vesperum oceani diffusae sunt adtendentes usque ad borram: Medi, Albani, Gargani, Airei, Armeni, Amazones, Choli, Corzieni, Benageni, Capadoces, Paflagones, Marianeni, Tibarenses, Chalibes, Mosynoti, Colchi, Melanceni, Sarmatae, Sauromatae, Meothes, Scythes, Tauri, Thracei, Bastarni, Illuri, Macedones, Hellenes, Gre-

არიან აგრეთვე კვიპროსელები **იაფეტის** კიტიელთაგან, თუ კიდევ ვპოულობთ იმათაც, რომლებიც ცხოვრობენ ჩრდილოეთით... იმავე კიტიელთა ტრიბიდან (განაყოფიდან).

არიან მათგან კიდევ ის ტომები, რომლებიც ცხოვრობენ ელადაში (ეტიადამი?), იმათ გარდა, რომლებიც შემდეგ არიან მოსული აქ მეფეებად, რომლებიც ცხოვრობდნენ იმ სახელმწიფოში, ბერინებში რომ პატივიცემა, ათენში და თებელთა (სახელიწიფოში), რადგან სიდონიის მცხოვრებლები არიან, და ვინც კი სხვები არიან მსგავსადვე ამის შემდეგ ელადაში გადასახლდნენ. ეს ჩვენ ვიცით სჯულთა წიგნიდან და წინასწარმეტყველთა წიგნებუდან.

ამგვარად, გოდოლის აღრევის დროისათვის იაფეტისაგან იყო 15 ტომი (ტრიბი).

და ეს იაფეტის ტომები მიდიიდან ოკეანის დასავლეთ კიდემდე არიან გადაჭიმული ჩრდილოეთსაკენ; |ესენი არიან:| მიდეები, ალბანები, გარგანები, არრეები, არმენები, ამაზონები, ხოლები კორზიენები, ბენაგენები, კაპადოკიელები, პაფლაგონიელები, მარიანდელები, **ტიბარენები, ხალიბები, მოხსენოტები, კოლხები, მელანკენები**, სარმატები, სავრომატები, მეოთები, სკვი-

¹ ex Civiensibus, ex Cythiensibus, et Cytienses, ² in Hellada

ci, Lybyes, Istri, Vieni, Danni, Dauues, Calabri, Opici, Latini, qui et Romani, Tyrreni, Galli qui et Celtae, Lybyestini, Celtiberi Hiberi, Gaili, Aquitani, Illuriaui, Bassanotes, Cyrtaui, Lusitani, Voccei, Cunienses, Brittones, qui et in insulis habitant ¹.

ლიბიესტინები, კელტიბერები, იბერები, გალები, აკვიტანები, ილურიანები, ბასანოტები, კვრტანები, ლუსიტანები, ვოკკეები, კუნილები, ბრიტანები, რომელნიც აგრეთვე კუნძულებზე ცხოვრობენ ¹.

Qui autem eorum noverunt litteras, hi sunt: Hiberi, Latini, qui et vocantur Romani, Hispani, Greci, Medi, Armeni ².

Sunt autem fines eorum ad borram a Media usque Gadiram, a Potameda fluvio usque Mastusia ad Ilion.

Terrae autem eorum hae sunt: Media, Albania, Amazonia, Armenia minor, Armenia maior, Cappadocia, Paflagonia, Galatia, Collis, Indice, Bosphorina, Me-

ტები, ტავრები, თრაკები, ბასტარნები, ილურები, მაკედონელები, ელენები, გრეკები, ლზბზები, ისტრეპი. ვიენები, დავნები, დაპუები, კალაბრები, ოპიკები, ლატინები, რომელთაც აგრეთვე რომაელები ეწოდებათ, ტვრენები, გალები, რომელთაც აგრეთვე კელტები ეწოდებათ,

ვისაც ამათგან დამწერლობა აქვთ, ესენი არიან: იბერიელები, ლატინები, რომელთაც აგრეთვე რომაელები ეწოდებათ, ისპანელები, გრეკები, მიდები, არმენები ².

ხოლო მათი საზღვრებია ჩრდილოეთისაკენ მიდიიდან ლადირამდე, მდინარე პოტამედიდან ვიდრე მასტუსიამდე ილიონთან.

ხოლო მათი მიწაწყალია შემდეგი: მიდია, ალბანია, ამაზონია, არმენია მცირე, არმენია დიდი, კაპადოკია. პაფლაგონია, გალატია. კოლისი, ინდიკე,

¹ საფიქრებელია, რომ ეს სტრიქონი დამატებულია არა უადრეს V საუკუნისა, როდესაც ბრიტანელებმა პირველად იწყეს კუნძულებიდან კონტინენტზე გადასახლება (ფრიკის შენიშვნა).

² აქედან მომდინარეობს Chronicon Pascale-ს და გიორგი სინგელოზის ცნობები:

1) Chr. Pasch: ხოლო საკუთარი დამწერლობა აქვთ: კაპადოკიელებს, იბერებს, რომლებსაც აგრეთვე ტირანელები ეწოდებათ, ტაბარინებს, ლათინებს, რომლებითაც სარგებლობენ რომაელები, სარმატებს, ესპანელებს, სკვითებს, ელიწებს, ბასტარნებს, მიდიელებს, არმენიელებს (Georgica, IV, 1, 8).

2) გიორგი სინგელოზი: ამათგან დამწერლობა იციან შემდეგმა ტომებმა: იბერებმა, ლატინებმა, რომელთაც აგრეთვე რომაელები ეწოდებათ, სპანიელებმა, ელინებმა, მიდიელებმა, არმენიელებმა (Georgica IV, 1, 63)

dis, Derris, Sarmatia, Tauriana, Scythia, Bastarnia, Thracia, Machedonia, Dalmatia, Mollis, Thessalia, Locria, Boeotia, Betailia, Attica, Achaia, Pellenia quae appellatur Pelleponensus, Acarnia, Epirotia, Illyria, Euchnitis, Hadriace ex quo pelagus Hadriaticum, Calcecia¹, Lusitania, Italia, thusgene², Massalia, Celtae Gallia, Hispanogallia³, Hiberia⁴, Hispania maior.

Hucque definit terra lafet usque ad Brittanicas insulas omnes ad borram respicientes.

Sunt autem his et insulae istae. Brittanicae, Sicilia, Euboea, Rhodus, Chius, Lesbns, Chitera, lacentus, Cefalenia, Itbaec⁵, Corcyra, et Cyclades insulae, et pars quaedam Asiae, quae appellatur Ionia.

Flumen est autem his Tigris, dividens inter Mediam et Babylonian.

His sunt fines lafeth.

Filii autem Cham: Chus... Mestram...

ბოსფორინა, მიდია, დერისი, სარმატია, ტავრიანა, სკვთია, ბასტარნია, თრაკია, მაქედონია, დალმატია, მოლისი, თესალია, ლოკრია, ბეოტია, ბეტალია, ატიკა, აქაია, პელენია, რომელსაც პქვია პელლეპონენსი, აკარნეა, ეპიროტია, ილირია, ექენიტისი, ადრიაკე, საიდანაც არის ზღვა ადრიატიკისა, კალკეკია, ლუსიტანია, იტალია, თუსგენე, მასალია, კელტო-გალია, ისპანოგალია, იბერია, ისპანია დიდი.

აქ თავდება იაფეტის მიწაწყალი. ყველა ეს მხარე ჩრდილოეთით არის მიმართული ვიდრე ბრიტანიის კუნძულებამდე.

ამათია აგრეთვე შემდეგი კუნძულები: ბრიტანიის კუნძულები, სიცილია, ევბეა, როდოსი, ქიოსი, ლესბოსი, ქიტერა, იაკენტი, კეფალენია, იტბეკი, კორკვრა, და კიკლადის კუნძულები, და აზიის ერთი ნაწილი, რომელსაც ეწოდება იონია.

მათივეა მდინარე ტიგროსი, რომელიც ჰყოფს მიდიას და ბაბილონს.

ეს არის იაფეტის საზღვრები.

ქამის შვილები კი არიან: ხუს...

... მესტრაიმი... (ჩამოთვლილი არიან დანარჩენებიც და მათი შთამომავლობაც).

¹ Calcecia] Gallitia, Gallicia. ² Thusgene] Thugeue, Tuseeue.

³ Lspanogallia, Spanogalia. ⁴ Hiberia] Ulieria, Huberia (<Hyberia).

⁵ Itbaecl labech, I t h a c a.

Est autem habitatio eorum
a Rinocoruris usque Gadiram.

Ex his autem uascuntur
reges vel gentes: Aethiopes,
Trogloditae, Aggei, Agageni, Isa-
bini, Iclthyofagi, Velanni, Ae-
gyptii, Fenices, Lybyes, Mar-
maredae, Chari, Filiilae, Mysi,
Mossynoeti 1, Friges, Magones,
Bithyni, Nomades, Lycii, Mari-
andeni, Pamfyli, Minsudi 2, Pisi-
deni, Lygallii, Cilices, Maurosii,
Cretae, Magartae, Numidae,
Macrones 3, Nasomones.

Hi possident ab Aegypto
usque ad oceanum.

Qui autem eorum suut lit-
terati, hi sunt: Fenices, Aegyp-
tii, Pamfyli, Fryges.

(Οἱ δὲ ἐπιστάμενοι αὐτῶν γράμματα εἰσιν οὗτοι Φοίνικες,
Αἰγύπτιοι, Πάμφυλοι, Φρύγες).

Filii Sem: Aelam, de quo
Aelymei; et Assir, de quo Assi-
rii; et Arfaxat, unde Chaldaei 4;
et Ludiin, unde Lazones 5; et
Aram, unde Etes prioris; hos
excidit Abraham.

საიდანაც არიან ეტეს პირველისა; ესენი მოსპო აზრაამმა.

ხოლო მათი (ე. ი. ქამის შთამო-
მავალთა) სამოსახლო ადგილებია
რინოკორურიდან ლადირამდე.

ამათგან ხომ წარმოიშვნენ მე-
ფეები ანუ ტომები: ეთიოპელები,
ტროგლოდიტები, აგგეები, აგა-
მენები, ისაბინები, იხთიოფაგები,
ველანები, ეგვიპტელები, ფენი-
კები ლიბიელები, მარმარედე-
ზი, ხარები, ფილიიტები, მუსიე-
ლები, **მოსინეტები** 1, ფრიგები,
მაგონები, ბითვიანები, ნომადები,
ლიკიელები, მარიანდენები, პამ-
ფილები, **მინსუდები** 2, პისიდე-
ნები ლიგალიები. კილიკები,
მავროსიები, კრეტები, მაგარ-
ტები, ნუმიდები, **მაკრონები** 3,
ნასომონები.

ესენი ფლობენ [მიწაწყალს]
ეგვიპტიდან მოკიდებული ვიდრე
ოკეანემდე.

ხოლო მათგან დამწერლობიან-
ინ არიან შემდეგნი: ფენიკები, ეგ-
ვიპტელები, პამფილები, ფრიგები.

სემის შვილები არიან: ელამ,
რომლისაგან არიან ელზმეები;
ასირკ, რომლისაგან არიან ასი-
რიელები; არფაქსატ, საიდანაც
არიან **ხალდეები**; ლუდიინ, საი-
დანაც არიან ლაზონები; არამ,

¹ Moyssinnoeti, Moyinnoeti.

² Minsudil Mynsudi, Μοσχεσίδιοι (E p i p h a n), Μοσσυνοί (S y n c e l l.).

³ Mamacrones, **Μάκρονες** (Anast Quaest. 28).

⁴ Chalidai, Caldei. ⁵ Lazones] Latuni, Lazani.

Et filii Aram: Osceun de quo Lidii, et Garter, de quo Gasfēni et Mosoc ¹, umde Mssini.

არიან გასფენები, და მოსოვი, რომლისგანაც არიან მასსონები.

Et Arfasxt genuit Sala; et Sala genuit Heber, unde Hebrei.

Et, Heber nati sunt duo filii: Falet [et Deboc], unde ducitur genus Abraham, [et Tac ten] et lectam.

lectan autem genuit Elmodab, de quo Indii; et Salef, de quo Bactriani; es Asarmot, de quo Arabes priores; et Duran, de quo Camebi, et Derra, de quo Mardi, et Ezei, de quo Arriani; et Declam, de quo Cedrusi; et Gebal, de quo Scythii priores; et Abimeel, de quo Hircaui; et Sabat, de quo Arabi primi; et Ufir, de quo Armoenii; et Euilat, unde Gemnosofutae; [hi omnes Bactriani].

მეელი, რომლისგანაც არიან ჰირკანები; და საბატი, რომლისგანაც არიან პირველი არაბნი; და უფირი, რომლისგანაც არიან არმენიელები; და ევილატი, საიდანაც არიან გემნოსოფუტები (გიმნოსოფისტები!) [ესენი ყველანი არიან ბაქტრიელები].

Qui autem eorum noverunt litteras, hi sunt: Iudaei, Persae, Medi, Chaldaei, Indii, Assyrii.

Gentes autem, quae linguas suas habent, haec sunt: Hebrei, qni et Iudei, Assyrii, Chaldaei, Persae, Medi, Arabes,

არამის შვილების არიან : ოსკეუნი, რომლისკენაც არიან ლიდიელები; გარტერი, რომლისგანაც

არფასატმა შვა სალა; სალამ შვა ჰებერი, საიდანაც არიან ჰებრეები.

ჰებერს ეყოლა ორნი ვაჟნი: ფალეტი [და დებოკი], საიდანაც მოდის გვარი აბრაამისა, [და ტაქტენი] და იექტაში.

ხოლო იესტანმა შვა, ელმოდაბი, რომლისაგანაც არიან ინდები; და სალეფი, რომლისაგან არიან ბაქტრიელები; და ასარმოტი, რომლისაგან არიან არაბნი უპირვილესნი; და დურანი, რომლისაგან არიან კამეჰები; და დერრა, რომლისაგან არიან მარდები; და ეზეი, რომლისგანაც არიან არრიანები; და დეკლამი, რომლისაგან არიან კედრუსები; და გებალი, რომლისაგან არიან სკვითნი უპირველესნი; და აბი-

ვინც ამათგან დამწერლობა იციან, ესენი არიან: იუდეები, სპარსელები, მიდიელები, ქალდეები, ინდები, ასირიელები.

ხოლო ტომები, რომელთაც აქვთ [საკუთარი] ენა, არიან შემდეგნი: ჰებრაელები, რომელთაც აგრეთვე იუდაელები ეწოდებ-

¹ Καὶ Μοσόχ, δθεν...

Madian, Adiabeni, Taieni, Alamosenni, Saraceni, Magi, Caspii, Aibani, Indi, Aethiopes, Aegyptii, Labies, Cliettei, Cananei, Feresti, Eunei, Amorrei, Gergesei, Iebusei, Idumei, Samaritae, Foenices, Syri, Cilices, Tharsenses, Cappadoces, Armenii, Hibeni (Ἰβηρες), Librari, Scytae, Colchi, Sanni, Bosphorani, Asiani, Hisaurienses, Lycaones, Pysidae, Galatae, Paflagoues, Fryges Achai, Thessali, Machedones, Traces, Mysi, Bessi, Dardani, Sarmatae, Germani, Pannoui, Peones, Norici, Dalmatae, Romani qui et Latini, Ligyres, Galli qui et Celtae, Aquiani Britanni, Hispani qui et Tyraeni, Mauri, Baccuates, et Massenses, Getuli, Afri qui et Barbari¹, Mazicei, Garamantes qui et Marmaredae qui usque Aethiopicam extendunt.

ლათინებიც ეწოდებათ, ლიგურები, გალები, რომელთაც კელტებიც ეწოდებათ, აკვიტანები, ბრიტანელები, ისპანელები, რომელთაც ტურენებიც ეწოდებათ, მავრები, ბაკუატები, და მასევნები, გეტულები, აფრები, რომელთაც ბარბარებიც¹ ეწოდებათ, მაზიკები, გარამანტები, რომელთაც მარმარედებიც ეწოდებათ, რომლებიც ეთიოპიამდე გადაჭიმულები არიან.

Necessarium autem putavi, nt inhabitationes gentium et cognominationes eorum declarari.

ბათ, ასირიელები, ქალდეველები, სპარსელები, მიდიელები, არაბები - მადიანი, ადიაბენიკები, ტაიენები, ალამოსენები, სარაკენები, მაგები, კასპიები, ალბანელები, ინდები, ეთიოპელები, ეგვიპტელები, ლაბიები, ხეტები, კანანელები, ფერესეები, ევეები, ამორეველები, გერგესეველები, იებუსეველები, იდუმეელები, სამარიტები, ფენიკები, სირიელები, კილიკიელები, თარსელები, კაპადოკიელები, არმენიელები, იბერები, ლიბრანები, სკვთები, კოლხები, სანები, ბოსფორელები, ასიელები, ჰისავრიელები, ლიკაონები, პისიდიელები, გალატელები, პაფლაგონები, ფრიგიები, აქაელები, თესალიელები, მახედონები, ბოსფორელები, მესიელები, ბესები, დარდანები, სარმატები, გერმანელები, პანონიელები, პეონები, ნორიკები, დალმატები, რომაელები, რომელთაც

ხოლო მე საჭიროდ ჩავთვალე, რათა ამ ტომთა სამოსახლო ადგილები და მათი სახელწოდებებიც ნათელყოფილი ყოფილიყო.

¹ Ἀναγκαῖον δέ μοί ἐδοῦξεν τάς ἀποικίας τῶν ἔθνων καί τάς Προσηγορίας εὐτῶν δηλᾶσαι.

¹ შეცდომა უნდა იყოს; აქ, ალბათ, იგულისხმებიან „ბერბერები“.

იპოლიტე რომაელი

(III საუკუნე)

ΔΙΑΓΕΝΕΣΜΟΣ

(Liber generation-თან დაკავშირებით)

ლიტერატურა:

1) Hippolytus Werke (Griechische christliche Schriftsteller), IV. Baud. Die Chronik, hergestellt von A. Bauer, durchgesehen und herausgegeben von Dr. R. Helm, nebst einem Beitrag von J. Markwart, Leipzig 1929.

2) Mommsen: Monnmenfa Germaniae historica IX, 1.

3) Lietzmann: RE VIII, 1873—1878.

4) კ. კეკელიძე, ხალხთა კლასიფიკაციისა და გეოგრაფიული განოიების საკითხები ძველს ქართულ მწერლობაში: თ. ს. უ. შრომები VII (1938), 1-15.

5) გივი ჟორდანიას, მეხურელნი („ხალხთა წარმოშობის წიგნის“ ქართული ვერსიის შესწავლისათვის). თბ. 1956.

225. Ἄρξομαι οὖν λέγειν περὶ τῶν ἀγνώστων¹ ἐθνῶν ἀπὸ ἀνατολῶν καὶ μέχρι δυσμῶν, πᾶς οἰκοῦσι.

229. Ἀλβανοὶ δὲ πέρον τῶν Κασπίων πυλῶν.

232. Καὶ πέρον δὲ τῶν Καπ-
καδόκων εἰς τὰ δεξιὰ μέρη οἰκοῦ-
σιν Ἀρμένιοι καὶ Ἰβηρες καὶ Βη-
ρανοί, εἰς δὲ τὰ ἐσώγυμα μέρη

225. დავიწყებ მოთხრობას უცნობი ტომების შესახებ, აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე: [მოგითხრობთ], თუ როგორ ცხოვრობენ ისინი.

229. ალბანელები – კასპიის კარების გადაღმა.

232. კაზადუკიელთა გადაღმა, მარჯვენა მხარეებში ცხოვრობენ არმენიელები, იბერიელები და ბერანები, ხოლო. მარცხენა მხა-

¹ ἀγνώστων < H₃. ² εἰς δὲ τὸ ἐσώγυμα μέρη οἰκοῦσι < H₂.

οἰκοῦσι¹ Σκύνθες καὶ Κόλχοι καὶ Βοσπορανοί.

233. Σαῦνοι δὲ οἱ λεγόμενοι Σάνιγγες, οἱ ἕως τοῦ Πόντου ἐκτείνοντες, ὅπου ἐστὶ παρεμβολή ἹΑψαρος (καὶ Σεβαστόπολις) καὶ Ἰσσοῦ λιμὴν καὶ Φάσις ποταμός².

234. Καὶ ἕως Τραπεζοῦντος οἰκοῦσι καὶ παρεκτείνεται τὰ ἔθνη ταῦτα.

რეებში სკვითები, კოლხები და ბოსპორელები.

233. **საუნები**, ეგრეთწოდებულ ეეუევა რომლებიც გადაჭიმული არიან ვიდრე პონტომდე, იმ ადგილამდე, სადაც არის პარემბოლე აფსაროსი (და სებასტოპოლისი), ჰისოს ნავსადგური და მდინარე ფაზისი².

234. და ვიდრე ტრაპეზუნტამდე ცხოვრობენ და გადაჭიმული არიან ეს ტომები.

¹ ოდრ. Chr. Pasch.: ὅπου ἐστὶν ἡ παρεμβολή ἹΑψαρος καὶ Σεβαστόπολις καὶ ὁ Ἰσσοῦ λιμὴν καὶ Φάσις ποταμός.

(Chr. Paschale-ს აღებული აქვს ეს იპოლიტეს შრომიდან).

ევსევი კესარიელი

(ca. 260 – 340 წ.წ.)

ევსევი კესარიელი, ანუ ევსევი ჰამფილი, „საეკლესიო ისტორიის“ მამა“, დაიბადა პალესტინაში 260 წლის მახლობელ ხანებში. განათლება მიიღო ცნობილი მასწავლებლის ჰამფილეს ხელმძღვანელობით. 313 თუ 315 წელს ევსევი დანიშნულ იქმნა პალესტინის კესარიის ეპისკოპოსად. ამ დროს იგი მონაწილეობას ღებულობდა არიოზულ მოძრაობაში და ფიქრობდა შემარიგებელი როლი ეთამაშა. მის შემდეგ რაც 323 – 324 წლებში იგი დევნილი იყო როგორც არიოზის მომხრე, ნიკეის კრებაზე მან დაგმო არიოზის მომდევრება და ხელი მოაწერა პირველი მსოფლიო კრების დადგენილებას.

ევსევი დაახლოვებული იყო კონსტანტინე კეისართან, მეტად აფასებდა მის მნიშვნელობას მაშინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და სპეციალურ თხზულებითაც ადიდა იგი.

ევსევი არის ავტორი მრავალი თხზულებისა, რომლებიც საქრისტიანო მწერლობის სხვადასხვა დარგს განეკუთვნება ¹:

1) ბიბლიოლოგიური შრომები. თავის მასწავლებელ ჰამფილესთან ერთად დაამზადა ძველი და ახალი აღთქმის ნუსხები ორიგენეს მიერ აღდგენილი კრიტიკული ტექსტისა. ევსევი, ორიგენეს მსგავსად, ბიბლიური წიგნების განმარტებებსაც სწერდა. სხვა ბიბლიოლოგიურ შრომებს შორის მას ეკუთვნის აგრეთვე „სადმართო წერილის ტოპონიმიკა“ (Περὶ τῶν τοπικῶν ὀνομάτων τῶν ἐν τῇ θείᾳ γραφῇ).

2) აპოლოგეტური შრომები, რომელთა შოლის ყველაზე მნიშვნელოვნად ითვლება Ἐνάγγελική προπαρᾶσις.

3) საისტორიო თხზულებათაგან მნიშვნელოვანია:

ა) 303 წლამდე დაწერილი „ქრონიკა“: Χρονικοί κανόνες καὶ ἐπιτομή παντοδαπῆς ἱστορίας Ἑλλήνων τε καὶ βαρβάρων („ქრონიკონული ნუსხები და მოკლე მიმოხილვა სხვადასხვა ამბებისა რო-

¹ დაწვრილებით ამის შესახებ იხ. W. C h r i s t ' s Geschichte der Griechischen Literatur, II, 2 (1913), 1135 – 1146. იხ. აგრეთვე ვ. კეკელიძე კიმენი II, 89 – 92.

გორც ელინთა, ისე ბარბაროსთა ისტორიიდან“). ჩვენამდე მოღწეულია ამ შრომის, ბერძნული ტექსტის გარდა, ლათინური ¹, სირიული და სომხური თარგმანები.

ბ) ათი წიგნისაგან შედგენილი „საეკლესიო ისტორია“, რომელიც „ქრონიკის“ ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს. აქ მოთხრობილია ქრისტიანობის გავრცელების ამბები 325 წლამდე; ეპისკოპოსთა მოღვაწეობა სხვადასხვა ეპარქიაში; საქრისტიანო მოძღვარნი და მწერლები; მწვალებლური მიმდინარეობანი; ქრისტიანთა დევნულებანი და ა. შ.

ევსევის „საეკლესიო ისტორია“ ის ფუძემდებელი შრომაა, რომლის მიხედვით ვეცნობით ჩვენი ეკლესიის ძველ ისტორიას. შემდგომი ხანების საეკლესიო ისტორიკოსები ყველანი ევსევის კვალს მისდევენ თავიანთი შრომების შედგენაში.

„საეკლესიო ისტორიის“ წინასწარ სამუშაოდ უნდა ჩაითვათვალოს ევსევის შრომა „უძველეს მარტვილობათა კრებული“, რომელიც ჩვენამდე არ მოღწეულა, მაგრამ „საეკლესიო ისტორიაში“ კი შევიდა. მაგრამ მოღწეულია მისი თხზულება „პალესტინის მოწამეთათვის“.

გ) ცალკე არის მოსახსენებელი „კონსტანტინეს ცხოვრება“ (Εἰς τὸν βίον τοῦ μακαρίου Κωνσταντίνου βασιλέως), ოთხ წიგნად, რომელიც, სრულიად მართებულად, საისტორიო თხზულებად კი არ ითვლება. არამედ „ქებად“ (Ἐγκάμιον).

ამათ გარდა ცნობილია ევსევის დოგმატური შრომები, წარმოთქნული სიტყვები და წერილები ².

ევსევი კესარიელის ზოგიერთი შრომა „თუ მთლიანი სახით არა, ფრაგმენტულად მაინც შემონახულა ძველ ქართულ მწერლობაში“ ³.

ერთია „წამებამ იაკობ მოციქულისად“.

¹ ლათინურად იგი თარგმნა ჰიერონიმემ. ევსევის დედანი მოღწეულია ფრაგმენტულად ბიზანტიურ „ქრონოგრაფიებში“. ევსევის ტექსტის აღდგენა ხერხდება ჰიერონიმეს ლათინური შრომისა და სომხური თარგმანის შემწეობით.

² არსებობს ევსევი კესარიელის თხზულებათა სხვადასხვა გამოცემა; Migne-ის პატროლოგიაში (FG, ტომები 19 – 24) გადაბეჭდილია ყველა თხზულება. საუკეთესო გამოცემად ითვლება ბერლინის აკადემიის (ე. წ. Kirchenvaier-kommission-ის) მიერ გამოქვეყნებული Eusebius Werke, რომლის VIII, 2 ტომი 1956 წელს დაიბეჭდა.

* კ. კეკელიძე, კომენი II, 92.

მეორე – „ქებად წმიდათა მოწამეთად“ და
მესამე – „წამებად წმიდისა პროკოპისი“¹.

გარდა ამისა, ცნობილია «ცხორებად და მოქალაქობად და სასწაულნი წმიდისა მამისა ჩუენისა სილიბისტროსისნი, ჰრომთა პაპისანი, რომელნი აღწერნა ევსებოს პამფილიელმან». ეს შრომა იწყება ასე: «**ე ვ ს ე ბ ი ო ს პ ა მ ფ ი ლ ი ე ლ მ ა ნ** საეკლესიონი წიგნნი აღწერნა მრავალნი»².

დასასრულ, გვაქვს ცნობა, რომ ქართულად ძველად ყოფილა თარგმნილი ევსევის „საეკლესიო ისტორია“. ეს ჩანს იქიდან, რომ ექვთიმე ათონელის ერთ წერილში ეს „საეკლესიო ისტორია“, რომელიც **«ქართულად ვისმე უთარგმნია»**, მოხსენებულია როგორც მიუღებელი წიგნი³.

აი, როგორ სწერია ექვთიმეს წერილში:

«წიგნნი რომელთა კათოლიკე ეკლესია“ არა შეიწყნარებს, არიან ყოველნი, რომელნი მწვალებელთა მიერ აღიწერნეს: ორიგინე სწვალებელსა მრავალნი წიგნები აღუწერია და არა შესაწყნარებელ არს. და კუალად ე ვ ს ე ვ ი პ ა მ ფ ი ლ ე ლ ი ს ა წიგნი არს, მრავალთა რათამე საქმეთა და თხრობათა წარმოიტყვს თვთოსახეთა, რომელ მრავლითა ფილოსოფოსობითა დაწერილ არს იგი, არამედ წვალეზანი მრავალნი ჩაურთავს მასვე და ამისთვის არ შეიწყნარებს ეკლესიად. იგი ქართულად ვისმე უთარგმნია და უწინანარეს მრავლისა ჟამისა. სიცოცხლესა ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანესსა მოეწერა ქართლით სტეფანეს, ეპისკოპოსსა ჭყონდიდისასა, და ეკითხა, ვითარმედ „შესაწყნარებელ არსა კითხვად წიგნისა ამის ანუ თუ არა?“ ხოლო ჩუენ მიუწერეთ მას, ვითარმედ „არა შესაწყნარებელ არს, მაგრა კარგნიცა საქმენი მრავალნი სწერიან, გარნა ღუარძლნიცა წვალეზასა თანა შთაურთავს და მით უხმარ არს იგი“⁴.

¹ სამივე შრომა გამოცემულია კ. კეკელიძის „კიმენის“ II ტომში (თბ. 1946).

² იხ. კ. კეკელიძე, უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში: ეტიუდები. ტ. V (თბ. 1957), გვ. 43.

³ კ. კეკელიძე, კიმენი II, გვ. 90 – 91.

⁴ იხ. ხელნაწერი A 55C, გვ. 558 – 570; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I (თბ. 1960), გვ. 432; მისივე, კიმენი II, გვ. 91.

მედემ გამოიგონა თმების შეღებვა

X, 6. Ἰατρικὴν δὲ Ἄπιν Αἰγύπτιον, μετὰ δὲ ταῦτα Ἀσκληπίον ἀνέβηται τὴν τέχνην Ἰστροῦσιν. Ἄτλας δὲ ὁ Αἴβυς πρῶτος ναῦν ἐναυπηγήσατο, καὶ τὴν θάλασσαν ἔπλευσε. Καὶ ἀστρολογίαν δὲ πρῶτοι εἰς ἀνθρώπους ἐξήνεγκαν Αἰγύπτιοι, ὁμοίως δὲ καὶ Χαλδαῖοι. Εἰσι δὲ οἱ Κᾶρας τὴν δι' ἀστέρων πρόβνσιν ἐπενεοηκέναι λέγουσι. Πτήγεις δὲ ὀρνίθων παρεψύλαξαν πρῶτοι. Καὶ φυτικὴν ἡκρίωσαν Τοῦσκοι, Ἰταλίας γείτονες...

ფრენას პირველად ფრიგიელები დაუკვირდნენ, ხოლო [ფრინველთა ფრენის მიხედვით] მისნობაში დახელოვდნენ ტუსკები, იტალიის მეზობლები...

Κάδμος γὰρ ὁ Φοίνιξ λιθοτομίαν ἐξέφερε, καὶ μέταλλα χρυσοῦν τὰ περὶ τὸ Πάγγαιον ὄρος ἐπενόησεν. Ἦδη δὲ καὶ ἄλλο ἔθνος Καππαδόκιαι πρῶτοι εὗρον τὴν νάβλαν¹ καλομένην, ὃν τρόπον καὶ τὸ δῆγαρον Ἀσσύριοι. Καρχηδόνιοι γὰρ πρῶτοι τετρήρη κατεσκεύασαν· ἐναυπήγησε δ' αὐτὴν Βόνπορος ἀντόχμων.

ოთხწყვილ-ნიჩბიანი ხომალდები: იგი ადგილობრივმა ბოსპორემ ააშენა.

Μήθειά τε, ἢ Αἰήτου, ἢ Κολχίης, πρῶτη τριχῶν ἐπενόησε βαΐην (Praeparatio evangelica:

გადმოგვეცემენ, რომ სამკურნალო მეცნიერება ეგვიპტელმა აპისმა [შემოიღო], ხოლო შემდეგ ასკლეპიოსმა განავითარა. ლიბიელმა ატლასმა პირველმა ააგო ხომალდი და ზღვაში შესცურა. ეგვიპტელები პირველები იყვნენ რომ „ადამიანებს ვარსკვლავთმრიცხველობა ასწავლეს, აგრეთვე ქალდეელებიც. არიან ისეთები რომლებიც ამბობენ, რომ ვარსკვლავების მიხედვით გამოცნობა [მოვლენებისა] კარიელებმა გამოიგონეს. ფრინველთა

კადმოს ფინიკელმა შემოიღო ქვის ტეხა და ხელი მიჰყო ოქროს მადნის დამუშავებას პანგეონის მთასთან სავა ტომმაც, კაპადოკიელებმა, პირველებმა გამოიგონეს ეგრეთწოდებული „ნაბლა“¹, ისევე როგორც ასირიელებმა ორძალიანი საკრავი შემოიღეს. კარქედონელებმა (ე. ი. კართაგენელებმა) პირველებმა დაამზადეს

მედემ, აეტის ასულმა, კოლხელმა, პირველმა გამოიგონა თმების შეღებვა².

¹ νάβλας (ναύλας, νάβλα) სიმებიანი საკრავია. სტრაბონის მიხედვით ეს „ბარბაროსული“ სიტყვაა (გეოგრაფია X, 3, 17).

² ეს ცნობები ევსევის ამოულია კლემენტი ალექსანდრიელის შრომიდან

ტიბარენები

I, 4. "Αμα δὲ τῆ τοῦ Σωτῆ-
ρος ἡμῶν εὐσεβεστάτη καὶ εἰρη-
νωτάτη διδασκαλία, τῆς μὲν πολυ-
θείου πλάνης καθάρσεις ἐπετε-
λεῖτο, τὰ δὲ τῆς τῶν ἔθνων διασ-
τάσεως πᾶσαν ἀτύκτα παλαιῶν
κακῶν ἀπελάμβανεν; ὁ καὶ μά-
λιστα μέγιστον ἡγοῦμαι τεκμήριον
τυγχάνειν τῆς ἐνθέου καὶ ἀπορ-
ρήτου δυνάμεως τοῦ Σωτῆρος
ἡμῶν. Τῆς δ' ἐκ τῶν ἀποστο-
λων προφανομένης ἀφελείας δεῖ-
μα ἐναργῆς ἴδοις ἄν, ἐπιτήσας
ὡς οὐδὲ ἄλλοτε πῶ ἐξ αἰῶνος,
οὐδ' ὑπὸ τινος τῶν πάλαι διαρα-
νῶν, ἐκ μόνων δὲ τῶν ἀποστο-
λῶν, καὶ τῆς ἀνά παῖσαν τὴν
οἰκουμένην διαδοθείσης διδασκα-
λίας ἀποστολῶν, εὐ τὰ πάντων¹ τῶν
ἔθνων νόμιμα κείται, ἀπὸ ἐκείνα
τὰ πρὶν θηριώδη καὶ βάρβαρα.
Ὡς μηκέτι Πέρσας μητρογαμεῖν
τοὺς ἀπὸ μαθητευθέντας· μηδ'
ἀνθρωπογορεῖν Σκύθας διὰ τὸν
καὶ μέχρις αὐτῶν ἐλθόντα τὸν
Χριστὸν λόγον, μηδ' ἄλλα γένη
βαρβάρων ἐκθέσματος φυγατράσι
καὶ ἀβελφαῖς μίγνυσθαι. Μηδ'
ἄρρενας ἄρρεων ἐπιμάνεσθαι, καὶ
τὰς παρὰ φύσιν ἡθονὰς μετεῖναι.
μηδὲ κισί καὶ οἰωνοῖς τοὺς οἰκεί-
ους νεκροὺς προσιθῆναι· τοὺς πάλαι
τοῦτο πράττοντας, μηδ' ἄγ-

ჩვენი მაცხოვრის უსათნოესი და უმძვიდობიანესი მოძღვრების წყალობით მოხდა აღმოფხვრა წარმართული (მრავალღმერთიანული) ცდომილებისა, მაგრამ განა ხალხთა შუღლით გამოწვეული მოვლენები მაშინვე ჰპოვებენ ძველ უბედურებათაგან თავის დაღწევას? ეს, ჩემის აზრით, უდიდესად ადასტურებს ჩვენი მაცხოვრის ღვთაებრივსა და საიდუმლო ძალას. მაცხოვრის სიტყვათაგან წარმოჩენილი სარგებლობის ნათელი საბუთი შეგიძლია დაინახო, თუ წარმოიდგენ, რომ არა ოდესმე წინათ საუკუნეთა სიღრმეში, არც ვინმეს მიერ ძველად სახელგანთქმულ კაცთაგან, არამედ მხოლოდ მაცხოვრის სიტყვათა და მთელს მსოფლიოში გავრცელებული მისი მოძღვრების წყალობით გაკეთილშობილდა ყველა ხალხის ადათ-წესები, თვით იმათიც, ვინც წინათ ველური იყო და ბარბაროსი. ასე, მაგალითად, ის სპარსელები, რომელთაც მაცხოვრის მოძღვრება მიიღეს, დედებს აღარ ირთავენ ცოლებად; არც სკვითები ჰამენ ადამიანის ხორცს იმის წყალობით, რომ ქრისტეს სიტყვამ იქაც მიაღწია; არც ბარბაროსთა სხვა ტომები არიან

Stromata, სადაც ვკითხულობთ (I, 16, § 76): Μηδεῖα τε ἢ Αἰήτου ἢ Κολχίδ, πρώτη βιφήν τριχῶν ἐπειθήσεν.

¹ πάντα Migne.

χόγη τοὺς γεγηρακότητας, ὡσπερ ἦν πρότερον, ἐπιβάλλειν.

უზნეოდ აღრეული თავიანთ ასულებთან და დებთან. არც მამათ-

მავლობას მისდევენ და ბუნების საწინააღმდეგო სიამოვნებას ეტრფიან; არც ნათესავების გვამებს გადუგდებენ ხოლმე ძალღებსა და მტაცებელ ცხოველებს, როგორც ამას წინათ სჩადიოდნენ; არც მოხუცებს ჰკიდებენ სახრჩობელაზე, როგორც წინათ...

Ταῦτα γὰρ ἦν καὶ συγγενῇ τοῦτοις μυρία τὰ πάσαι τῶν ἀνθρώπων βίον λυμαινόμενα. Ἱστοροῦνται Μασσαγέται καὶ Δέρβικες¹ ἀφλιωτάτους ἡγείσθαι τῶν οἰκείων τοὺς αὐτομάτως τελευτήσαντας. διὸ καὶ φθάσαντες κατέψυον καὶ εἰσιτινῶν τῶν φιλητάτων τοὺς γεγηρακότητας. Τιβαρηνοὶ² δὲ ζῶντας κατακρήμνιζον τοὺς ἐγγυτάτῳ γέροντας. Ἰρακανοὶ δὲ καὶ Κάσπιοι οἱ μὲν οἰωνοῖς καὶ κυσὶ παρέβαλλον ζῶντας, οἱ δὲ τεθνεώτας. Σκύθαι δὲ συγκατέρυττον ζῶντας καὶ ἐπέσφαττον ταῖς πυραῖς οὖς ἡγάπων οἱ τεθνεώτες μάλιστα. Βάκτριοι δὲ τοῖς κυσὶ παρέβαλλον ζῶντας τοὺς γεγηρακότητας (Praeparatio evangelica I, 4; Migne PG 21, 38—40; Eusebius Werke VIII, 1 [1954], 16).

ასეთი და ამის მსგავსი უამრავი ადათი ჩირქს სცხებდნენ ძველად ადამიანის სიცოცხლეს. გადმოგვცემენ, რომ მასაგიტები და დერბიკები ძალიან ბედკრულად თვლიდნენ იმ თავის ნათესავებს, რომელნიც ბუნებრივი სიკვდილით კვდებოდნენ და ამიტომ ისინი დაასწრებდნენ ხოლმე [სიკვდილს] და კლავდნენ და შესჭამდნენ თავიანთ ძვირფას მოხუც ნათესავებს; ხოლო ტიბარენები¹ მახლობელ მოხუც ნათესავებს ცოცხლებს გადაისროდნენ ხოლმე კლდიდან; ჰირკანელები და კასპიელები – პირველნი მტაცებელ ცხოველებსა და ძაღლებს გადაუგდებდნენ ხოლმე [მოხუც ნათესავებს] ცოცხლებს, ხოლო მეორენი – გარდაცვლილებს; სკვითები ცოცხლებს მარხავდნენ და კოცონზე დააკლავდნენ იმათ,

ვინც განსაკუთრებით უყვარდათ მიცვალებულებს; ბაქტრიელებიც ძაღლებს გადაუგდებდნენ ხოლმე მოხუცებს ცოცხლებს².

¹ ერთ ხელნაწერში (№ 451) სწერია Βέβρσικες („ბებრიკები“). იხ. PG 21, 146.

² ერთ-ერთ ნუსხაშია ამის მაგიერ სწერია Τιβαροί.

³ ეს ცნობა ევსევვის ამოღებული აქვს პორფიროსის (233 – 304 წ.წ) შრომიდან Περὶ ἀποχῆς ἐμψόχων (IV, 21), სადაც ტიბარენებზე სწერია: Τιβαρηνοὶ δὲ ζῶντας κατακρήμνιζουσι τοὺς ἐγγυτάτῳ γέροντας.

ჰ ი ე რ ო ნ ი მ ე (348 – 420) გადმოგვცემს ევსევვის ამ თხრობას (Ἱστοροῦνται

იაზონი და არგონავტები

Χ, 12. Θησεὺς δὲ, Ἑρακλέους ζῆλωτής ὢν, πρῆσβυτέρως ἔστι τῶν Τρωϊκῶν μιᾶ γενεᾶ· τοῦ γούν Τληπολέμου, ὃς ἦν υἱὸς Ἑρακλέους, Ὁμηρος μέμνηται, ἐπὶ Ἰλιον στρατεύσαντος. Προτερεῖν ἄρα Μωσῆς ἐπιδείκνυται τῆς μὲν Διονύσου ἀποθεώσεως ἔτη χθ'· εἶγε τῆς Περσέως βασιλείας τῷ τριακοστῷ δευτέρῳ ἔτει ἀποθεοῦται, ὃς φησιν Ἀπολλόδωρος ἐν τοῖς Χρονικοῖς. Ἀπὸ δὲ Διονύσου ἐπὶ Ἑρακλέα καὶ τοὺς περὶ Ἰάσονα ἀριστεῖς, τοὺς ἐν τῇ Ἀργοῖ πλεύσαντας, συνάγεται ἔτη ξγ'. Ἀσκληπίος τε καὶ Διόσκουροι συνέπλευον αὐτοῖς, ὃς μαρτυρεῖ ὁ Ῥοδιος Ἀπολλώνιος ἐν τοῖς „Ἀργοναυτικῶς“ (Pr. εν : PG 21, 829; Eusebius Werke VIII, 1, 604).

ხოლო თესევსი, რომელიც ჰერაკლეს მეტოქე იყო, ტროადის ამბების ერთი თაობით უფროსი იყო. ტლეპოლემოსს კი, რომელიც ჰერაკლეს ვაჟი იყო, ჰომეროსი იხსენიებს როგორც ილიონის წინააღმდეგ ლაშქრობის მონაწილეს. მოსეც გამორკვეულია, რომ დიონისეს ღმერთქცევაზე ადრე იყო ექვსას ოთხი წლით; ის ხომ ღმერთად ჩაირიცხა, როგორც ამბობს აპოლოდორე თავის „ქრონიკებში“, პერსევის მეფობაზე ადრე სამას ორი წლით. ხოლო დიონისედან ჰერაკლემდე და იაზონის გარშემო შემოკრებილ გმირებამდე, რომლებმაც არგოს ხომალდით ილაშქრეს, ითვლება სამოცდასამი წელი. მათთან ერთად ილაშქრეს

ასკლეპიოსმა და დიოსკურებმა, როგორც მოწმობს აპოლონიოს როდოსელი თავის „არგონავტიკაში“¹.

Μασσαγέται...) თითქმის იმავე სიტყვებით, მაგრამ რადგან დეტალებში მაინც არის განსხვავება, მოვიყვანთ ჰიერონიმეს ტექსტსაც:

Massagetae et Derbices miserimos putant qui aegrotatione moriuntur, et parentes, cognatos, propinquos, cum ad senectam pervenerint, ugulatos devorant; rectius esse ducentes ut a se potius quam a vermibus comedantur. Tibareni quos dilexerunt senes suspendunt in patibulis... (Hieronimus, Adversus Iovinianum, lib. II).

მასაგეტები და დერბიკები ძალიან საწყალობელად თვლიან იმათ, ვინც ავადმყოფობით კვდება, და მშობლებსაც, ნათესავებსაც, მახლობლებსაც, როცა ისინი სიბერეს მიაღწევენ, ჰკლავენ და სჭამენ; ისინი უფრო მართებულად თვლიან, რომ მათ შეჭამონ ისინი, ვიდრე ჭიანჭველებმა. ტიბარენები იმ მოხუცებს, რომლებიც უყვართ, სახრჩობელაზე ჩამოვიდებენ ხოლმე...

¹ ეს ცნობა ევსევის ამოღებული აქვს კლემენტი ალექსანდრიელის შრომიდან Stromata I, თავი 21, რომლის ტექსტს ევსევი იმეორებს სიტყვა-სიტყვით.

ამადონები

VI, 10. Ἐν Βρετανίᾳ πολλοὶ ἄνδρες μίαν γυναῖκα ἔχουσιν· ἐν δὲ τῇ Παρθίᾳ πολλαὶ γυναῖκες ἕνα ἄνδρα, καὶ πᾶσαι σωφρονοῦσι παιθόμενοι αὐτῶν κατὰ τὸν νόμον. Αἱ δὲ Ἀμαζόνες πᾶσαι ἄνδρας οὐκ ἔχουσιν, ἀλλ' ὡς τὰ ἄλογα ζῶα ἅπαξ τῶν ἔτους περὶ τὴν ἔαριν τὴν ἰσημερινῶν, ὑπερβαίνουσαι τοὺς ἰσθμὸς ὄρους, κοινωνοῦσι τοῖς πλησιοχώροις ἐορτήν τινα ταύτην ἵγγυμένους. Ἐξ ὧν συλλαμβάνουσαι ὑποστρέφουσι καὶ ἀναγκάτως ἐν ἐνὶ καιρῷ ἀποκυτσκουσι κατὰ τὸν τῆς φύσεως νόμον· καὶ τοὺς μὲν γεννωμένους ἄρρενας ρίπτουσι, τὰς δὲ θηλείας ἀνατρέφουσι. Πολεμικαὶ τὲ εἰσι, καὶ γυμνασίων προνοοῦμεναι (Pr. ev.: PG 21, 472; Eusebius Werke VII, 1, 340).

ხოლმე, ხოლო გოგოებს ზრდიან. ისინი მამაცი მებრძოლები არიან და ტანვარჯიშობას ძალიან მისდევენ ¹.

¹ ეს ცნობა ევსევის ამოულია ბარდესანის ნაწერებიდან: თვით ევსევის შრომის VI, 10 თავს აწერია: *ἐκ τῶν Βαυθῆσάνου*. ბარდესანი (154 – 223) სირიელი მწერალი იყო.

² ამავე VI წიგნის მომდევნო თავში (VI, 11) ევსევი ათავსებს ცნობას იმის შესახებ, რომ „ამადონებს წესად ჰქონდათ ცალი ძუძუ მოკვეთათ“:

Καὶ πάντων τῶνδὲ τινῶν τῶν ἐν Αἰθίοπι τοῖσδε τὰς κόγχας τῶν γυναικῶν περιαιρεῖσθαι, καὶ τῶν Ἀμαζόνων τοὺς ἑτέροους τῶν μαστῶν (PG 21, 501; Eusebius Werke VIII, 1, 358).

და კვლავ [მოსახსენებელია], რომ ეთიოპიაში მცხოვრებ ზოგიერთ ხალხებს წესად აქვთ კვირისტავის მოკვეთა, ხოლო ამადონებს – ცალი ძუძუსი.

ეს ცნობა ამოღებულია ორიგენეს ნაშრომიდან. VI, 11-ს კიდევაც აწერია: *ἐκ τῶν Ἰβრიέნους*.

ალანეთი და ალბანეთი

VI, 10. Καὶ παρὰ Ταῖνοις, καὶ Σπρακηνοῖς, καὶ ἐν τῇ ἀνωτέρῳ Λιβύῃ, καὶ παρὰ Μασύροις, καὶ παρὰ τοῖς παρὰ τὸ στόμα τοῦ Ὀκεανοῦ Νόμασι, καὶ ἐν τῇ ἐξωτέρῳ Γερμανίᾳ, καὶ ἐν τῇ ἀνωτέρῳ Σαρματίᾳ, καὶ ἐν τῇ Σκυθίᾳ, καὶ ἐν πᾶσι τοῖς ἐξ ἀρκτικῶν μερῶν τοῦ Πόντου ἔθνεσι, καὶ ἄλλῃ τῇ Ἀλανίᾳ, καὶ Ἀλβανίᾳ, καὶ Ὠτηνῇ, καὶ Σαυνίᾳ², καὶ ἐν Χρυσῇ³ οὐκ ἔστιν ἰδεῖν οὐ τραπεζίτην, οὐ πλάστην, οὐ ζωγράφον, οὐκ ἀρχιτέκτονα, οὐ γεωμέτρην, οὐ φωνασκόν, οὐκ ὑποκρίτην ποιημάτων, ἀλλ' ἐστέρηται ὁ τῆς τοῦ Ἑρμοῦ καὶ τῆς Ἀφροδίτης ἐνεργείας τρόπος ἐν ἄλλῳ τῷ κύκλῳ τούτῳ τῆς οἰκουμένης (Pr. ev.: PG 21, 472—474;

ტაინებთან და სარკინოზებთან, ზემო ლივიაში და მავრებთან, ნომადებთან, რომელნიც ოკეანის უბის გასწვრივ ცხოვრობენ, გარე გერმანიასა და ზემო სარმატიაში, სკვითიაში და ყველა იმ ტომებთან, რომელნიც პონტოს ჩრდილო მხარეებში ცხოვრობენ, მთელს ალანიასა და ალბანიაში, ოტენესა¹ და სავნიაში², და ქრისეში³, – ვერსად ვერ ნახავ ვერც ზარაფს, ვერც მოქანდაკეს, ვერც მხატვარსა და ხუროთმოძღვარს, ვერც მიწისმზომელს, ვერც აშულსა და მსახიობს, – არამედ მსოფლიოს მთელი ეს დუნია სრულიად მოკლებულია ჰერმესისა და აფროდიტეს შემოქმედებით ძალას. Eusebius Werke VIII, 1, 340.

ანდრიას ქადაგება სკვითიაში

III, 1. Τὰ μὲν δὴ κατὰ Ἰουδαίους ἐν τούτοις ἦν τῶν δὲ ἱερῶν τοῦ σωτήρος ἡμῶν ἀποστόλων τε καὶ μαθητῶν ἐφ' ἅπασαν κατασπαρέντων τὴν οἰκουμένην, Θωμᾶς μὲν, ὃς ἢ παράδοσις περιέχει, τὴν Παρθίαν ἐξήλεχεν⁴, Ἄν-

ასეთი იყო საქმის ვითარება იუდეელებში. ხოლო როდესაც ჩვენი მაცხოვრის წმინდა მოციქულები და მოწაფეები მთელ მსოფლიოში გაიფანტნენ, თომას, როგორც გადმოცემა გვიამბობს, პართია ხვდა წილად,

¹ Ὠτηνῇ – სომხეთის პროვინცია, რომელიც ლაზარე ფარპელის დროს ალბანეთში ითვლებოდა (H. A. d. o. n. c., Армения в эпоху Юстиниана, გვ. 223).

² Σαυνία – თუ სად მდებარეობდა, გამორკვეული არაა. ევსევის შრომათა გამომცემელი Karl Mras-ი ფიქრობს, რომ ეს უნდა იყოს იგივე. რაც Σαύნიც არაბეთისა სტევანე ბიზანტიონელთან (იხ. Eusebius Werke VIII, 2, 1956, გვ. 532). ³ ეს ქერსონესი უნდა იყოს.

⁴ აქ რუფინუსი უმატებს Matthaesus Aethiopiā, Bartholomaeus Indiam eiteriorem.

θρέας δὲ τὴν Συρίαν¹, Ἰωάννης τὴν Ἀσίαν, πρὸς οἷς καὶ διατρίψας ἐν Ἐφέσῳ τελευτᾷ, Πέτρος δ' ἐν Πόντῳ καὶ Γαλατίᾳ καὶ Βιθυνίᾳ Καππαδοκίᾳ τε καὶ Ἀσίᾳ κεκηρυχέναι τοῖς [ἐκ] διασποράς² Ἰουδαίους ἔοικεν· ὃς καὶ ἐπὶ τέλει ἐν Ῥώμῃ γενόμενος, ἀνεσκολοπίσθη κατὰ κεφαλῆς, οὐτως ἀπὸ τῶν ἀξιώσας παθεῖν (Eusebius The Ecclesiastical History, I, London 1953, გვ. 190).

ანდრიას სკვითია, იოანეს აზია (აქ მოღვაწეობდა ის და ეფესოში გარდაიცვალა), ხოლო პეტრე, როგორც ჩანს, უქადაგებდა პონტოში, გალატიასა და ბითონიაში, კაპადოკიასა და აზიაში გაფანტულ იუდეებს; დასასრულ ის რომში მოხვდა და აქ ჯვარზე იქმნა გაკრული თავდაყირა; ასეთი წამება აირჩია მან თვითონ.

„ქრონიკები“³

იბერები და იბერია

«ნაბუკოდროსოროსმა, რომელიც ჰერაკლეზე უფრო ძლიერი იყო, მის შემდეგ რაც საომარი ჯარი შეკრიბა, მიაღწია ლიბიელთა ქვეყანაში და იბერთა ქვეყანაში, აჯობა მათ, გააცამტვერა და დაიმორჩილა; ერთი წილი მათგანი გადაადგილა მან პონტოს-ზღვის მარჯვენა მხარეზე⁴, იქ დაასახლა (J. Karst, გვ. 20).

«აგრეთვე მეგასტენე ამბობს თავის „ინდოეთის“ მეოთხე წიგნში, რომელშიც მოგვითხრობს ამის წინ მოხსენებული ბაბილონელთა მეფის შესახებ, რომ ის სიძამაციტ და საგმირო საქმეებით ჰერაკლეს აღემატებოდა, იმდენად აღემატებოდა, რომ ლიბიის და იბერიის⁵ მეტი წილი, ამბობს იგი, დაიპყრო» (J. Karst, გვ. 23).

¹ სკვითიად აქ იგულისხმება ფართო ტერიტორია შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე.

² ἐκ διασπορᾶς] ἐν διασπορᾷ Dindorfius.

³ ევსევის „ქრონიკების“ ბერძნული ფრაგმენტები შემონახულია უმთავრესად გიორგი სინგელოზის ქრონოგრაფიაში. მთლიანად მოღწეულია მხოლოდ „ქრონიკების“ სომხური თარგმანი (ორი ხელნაწერით – კოსტანტინეპოლისა და ეჩმიადინის ხელნაწერებით). მოგვყავს Karst-ის გერმანული თარგმანის მიხედვით.

⁴ κατὰ γαλιτικὴν, in anteriorem plagam.

⁵ მართალია სწერია Ἰβηρίας (,,ზიბეელთა“), მაგრამ Aucher-ის შესწორებით უნდა წავიკითხოთ Ἰβηρίας (,,იბერთა [ქვეყანა]“).

არგონავტები. ფაზისი. მედეა

«მეოთხე თაობაში, როდესაც ასურეთში პანინოსი ბატონობდა, არგონავტებმა საომარი ხომალდები შეაცურეს მდინარე ფაზისისაკენ და კოლხური მენტესკენ (Mente); და პერაკლემ გზას აუხვია თავისი ტრფობის გამო ჰვლასადმი და, როგორც ამბობენ, ამ ხეტიალში მიადგა გამირს [კაპადოკიაში]». კვლავ ამბობს: «ათასი წელი გავიდა შამირამიდან მეფე მიტრეოსამდე ¹: თუ გამოითვლის ვინმე, ორივე მხრით დამთხვევას იპოვის. მაგრამ მედეამ, კოლხელმა ქალმა, გრძნეულმა, დასტოვა მეფე ეტიუსი ²; მისი ვაჟია მედოსი, რომლისგანაც არიან მიდიელები, ესე იგი მარები, და მათ ქვეყანას ეწოდა მედია, ესე იგი მარასტანი» (J. Karst, გვ. 29 – 30).

იბერები. სანიგები.. ტრაპეზუნტი

Graeca Barbari
 Και πέραν τῆς Καππαδοκίας
 εἰς τὰ δεξιὰ Ἀρμένιοι καὶ Ἰβή-
 ρες καὶ Βερρανοί, ἐν ἀριστερᾷ δὲ
 Σκύθαι καὶ Κόλχοι καὶ Βοσπορα-
 νοί,... δὲ οἱ λεγόμενοι Σαννίγαι,
 οἱ καὶ ἕως τοῦ Πόντου ἐκτείνον-
 τες, ὅπου ἐστὶν ἡ παρεμπόλη
 Ἀψαρος καὶ Σεβαστόπολις καὶ...
 καὶ φάσιν ποταμὸς. Ἐως τοῦ
 Τραπεζούντου ἐκτείνει ταῦτα τὰ
 ἔθνη (C. Frick, *Chronica Mi-
 nora* 1 [1892], 216—219.

Excerpta Latini Barbari

Et ultra Cappadocia in dex-
 tera Armenii et Birri et Bir-
 rani, in leva autem Scythi et
 Colchi et Bosporani, Sanni ³
 autem qui dicuntur Sannii-
 gi, qui et usque Pontum ex-
 tendunt, ubi est congregatio
 Apsari et Sebastopolis et
 Causolimin ⁴ et Fasis fluvius.
 Usque ad Trapezutum extendunt istas gentes ⁵.

¹ ასურეთის მეფე. ² კოლხეთის მეფე „აეტი“.

³ Sannil ექსცერპტების სხვა ადგილას ჩამოთვლილ ტომებს შორის იხსენიებოდა *Καππάδοκες, Ἰβήρες, Βερρανοί, Σκύθαι, Κόλχοι, Σάννιοι* (Cappadoci, Armenii, Ibiri, Bibrani, Seythi, Colchi, Sanui). იხ. *Chronica minora*, 1, 210 – 211.

⁴ ეს უდრის Ἰσσοῦ λιμῆν-ს.

⁵ შდრ. *Liber generationis: Contra Cappadoces a parte dextra Armeni, Hiberti, Birrani, Scytae, Colchi, Bosforani, Sani qui appellantur Sannices, usque Pontum oxtendcntes, ubi est accessus Absarus et Sebastopol s et Yssilimea Ὀισσοῦ λιμῆνι, quod est portus, et Pasius flumen. Usque Trapezunto extenduntur hae gentes* (*Chronica Minora* I, 31 – 35).

«კაპადოკიის გადაღმა მარჯვნივ არიან არმენიელები, იბერები (Ἰβηρες, Birri) და ბერანები, ხოლო მარცხნივ სკვითები, კოლხები და ბოსპორანები, აგრეთვე [სანნები], რომელთაც სანნიგები ეწოდებოდათ და რომლებიც ვრცელდებიან პონტომდე, სადაც არის ბანაკი აფსაროსი, სებასტოპოლი [კაუსილიმინი]¹, და მდინარე ფაზისი. ვიდრე ტრაპეზუნტამდე გადაჭიმული არიან ეს ტომები».

ხელთ გვქონდა შემდეგი გამოცემები:

Eusebius, Kirchengeschichte, herausgegeben von Eduard Schwartz. Leipzig 1908.

Eusebius, Ecclesiastical History. Kirsopp Lake and J. E. L. Oulton. 2 Vols. Loudon (Loeb) 1953.

Die Chronik des Eusebius, aus dem armenischen übersetzt. Herausgegeben im Auftrage der Kirchlenväter-Commission d. Pr. Ak. D. W. von Dr. Josef Karst. Leipzig 1911.

Eusebius Werke. Achter Band: Die Praeparatio evangelica. Herausgegeben von Karl Mras. Berlin 1954 (I Teil), 1956 1] Teil).

Eusebii Caesariensis opera, recogn. G. Dindonfius. Vol. IV, Historiae ecel libri I – X. Lipsiae 1890.

Migne, Patrologia graeca t.t. 19 – 24.

ევსევი კესარიელის ფრაგმენტები: კიმენი, ტომი II, გამოსცა კორნ. კეკელიძემ თბ. 1946, გვ. 87 – 114.

Chronica Minora I, ed. Frick (BT, 1892).

¹ ეს უდრის Ἰσσοῦ λιμῆν-ს.

ევსტათი ანტიოქელი

(ca. 280 – 360)

ევსტათი დაიბადა პამფილიის ქალაქ სიდში, იყო ეპისკოპოსად ქალაქ ბეროიაში (სირია), შემდეგ ანტიოქიის ეპისკოპოსად იქნა არჩეული (დაახლ. 324 წლიდან). ნიკეის მსოფლიო კრებაზე იბრძოდა არიანოზელთა წინააღმდეგ. ხოლო 330 წელს ანტიოქიის არიანოზულმა კრებამ იგი გადააყენა; კონსტანტინე კეისარმა იგი გადასახლა თრაკიაში. გარდაიცვალა 360 წელს.

მეტი წილი მისი შოომეხისა დაკარგულია. სრულად მოღწეულა მხოლოდ „ორიგენეს წინააღმდეგ, განკუთვნილია მუცლით-მეზღაპრის შესაცნობად“ (Κατὰ Ἱερωμένων διαγνωστικός εἰς τό τῆς ἐγγαστριμύθου μεσσημια φραგμέντεβι არის მოღწეული ევსტათის დოგმატიკური თხზულებისა „არიანოზელთა წინააღმდეგ“ (რომელიც 8 წიგნისაგან შედგებოდა), ტრაქტატისა „სულისათვის“ და მისი ზოგიერთი ეგზეგეტიკური შრომისა.

1912 წელს ჰიერ. ნიკანორმა გამოაქვეყნა მოსკოვის ხელნაწერების მიხედვით ევსტათის ორი შრომა: Περὶ τοῦ Μελησεδέκ და Ἐκ τοῦ εἰς τον Ἰωσήφ λόγιον, რომელთაგან მეორე მანამდე მხოლოდ ლათინურ თარგმანში იყო ცნობილი ¹.

ევსტათის სახელით მოღწეულია რამდენიმე შრომა, რომლებიც მას არ ეკუთვნის. ერთი მათგანია „ექვსთა დღეთას განმარტება“, რომელიც თავისთავადაც IV საუკუნის პირველ ნახევარში უნდა იყოს დაწერილი: ასევე ევსტათის არ ეკუთვნის „ჰომილია ლაზარეს, მარიამის და მართასთვის“.

ევსტათის თხზულებათაგან ქართულად გადმოუთარგმნიათ „ჰომილია ლაზარეს, მარიამის და მართასთვის“: «თქუმული ოდეს იგი ჯდა იესუ სერსა მას და ლაზარე იყო თანამეინახედ, რომელი იგი აღადგინა. დათა მისთა მარიამის და მართასთვის» ².

¹ იხ. ЖМНП (1912 წ. თებერვალი), გვ. 100 – 104; BZ 21 (1912), გვ. 603.

² კ. კეკელიძე, ეტიუდები... ტ. V, გვ. 44.

Καππὰδοικὰ („ექვთა დღეთას გან- დღეს სკვითები ეწოდებათ;...
 მარტება“: PG. 18, 753). ობელი, რომლისაგან არიან თეო-
 ბელები, დღეს რომ იბერები ეწოდებათ; ოსოხი, რომლისაგან
 არიან მესხენები, დღევანდელი კაპადოკიელები ¹.

¹ ევსტათი ანტიოქელის ზემომოყვანილ ცნობაში ჩვენს ყურადღებას იპყ-
 რობს შემდეგი გარემოება: მამამთავრის სახელისაგან ნაწარმოებ ეთნიკურ სა-
 ხელს ერთვის თავსართი M (Ἐργὰ — Μαγὰδεις, Ὀσὸζ — Μεσσηναίους; აქ
 უფრო თანმიმდევრული იქნებოდა Ὀσὸζ — Μοσὸζ); სხვა შემთხვევაში კიდეც
 თავსართად გვევლინება Θ (Ὀβέλ — Θοβέλου).

„თობელის“ შესახებ ევსევი კესარიელს უწერია: Θοβέλ, ἐξ οὗ Θεσσαλι,
 ხოლო Chronicon Alexandrinum წერს; Θοβέλ, ἐξ οὗ Μακουακί. მაშასადამე,
 ევსევის წყაროს სცოდნია, რომ თესალიელები (ე. ი. ძველი პელაზგების ტერი-
 ტორიაზე მცხოვრებნი) თობელისაგან იყვნენ წარმოშობილი.

კესარიოს ნაზიანზელი

(გარდ. 368 წ.)

კესარიოსი, გრიგოლ ნაზიანზელის უმცროსი ძმა, დაიბადა ნაზიანზში, სწავლობდა ალექსანდრიაში გეომეტრიას, ასტრონომიას და, განსაკუთრებით, მედიცინას. კეისარმა კონსტანციმ მისცა მას კონსტანტინეპოლის მთავარ ექიმის (ἀρχιατρὸς) თანამდებობა. კესარიოსი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მაღალ წრეებში.

368 წელს მან მიიღო ახალი თანამდებობა, comes sacrarum largitionum, და ცხოვრობდა ნიკეაში. გარდაიცვალა ამავე 368 წელს.

კესარიოსის ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ არავითარი ცნობა არ არის შენახული, მაგრამ მისი სახელით მოღწეულია ერთი დიალოგი, რომელშიც გამოჩენილ პირთა სხვადასხვა შეკითხვაზე (πεύσεις) გაცემულია პასუხები (ἀποκρίσεις). დღეს უკვე დამტკიცებულია, რომ ეს დიალოგი დაწერილი უნდა იყოს 395 წლის შემდეგ, მახლობელ წლებში¹.

ამაძონები

Απόκρ. ρθ'. Ἄμαζόνες δὲ ἀνδρας οὐκ ἔχουσιν· ἀλλ' ὡς τὰ ἀλογα ζῶα ἀπαῖ τοῦ ἔτους, περὶ τῆν ἐαρινὴν ἰσημερίαν, ὑπερὶ-ριστοὶ γίνονται, μισχόμενοι τοῖς γει-νῶσιν ἀνδράσιν, οἷον παυήγυριν τινα καὶ ἑσπτήν τὸν καιρὸν τῆς ἐταιρείας ἡγούμενοι. Ἐξ ὧν κατὰ γαστρὸς φέρουσαι παλιμδρομοῦσιν οἰκადε ἅμα πᾶσαι. Τῷ δὲ καιρῷ τῆς ἀποκύψεως τὸν μὲν ἄρρενα φθείρουσαι, τὸ δὲ θῆλυ ζωογονοῦ-

პასუხი 109. ხოლო ამაძონებს არ ჰყავთ ქმრები; ისინი მსგავსად უტყვი ცხოველებისა, წელიწადში ერთხელ გაზაფხულის ბუნიობის დროს, საზღვარზე გადადიან და ეუღლებიან მეზობელ მამაკაცებს და ამ კავშირის დრო მიაჩნიათ რაღაც ზეიმად და დღესასწაულად. მათგან რომ დაორსულდებიან, ყველანი ერთად შინ ბრუნდებიან. რომ მოიმშობიარებენ, მამრობითს [ნა-

¹ ob. O. Se e c k, Caesàrius: RE III, 1309 – 1804.

σι καὶ τιμῆσιν ἐπιμελῆς (PG 38, 981; SC I, 717).

ყოფს] სპობენ, მდედრობითს კი ცოცხალს სტოვებენ და მზრუნველობით უვლიან ¹.

პონტოს ქვეყნები

Ἐν τῇ ἀνωτέρᾳ Σαρματίᾳ καὶ ἐν Σκυθίᾳ καὶ πᾶσιν ἐν τοῖς ἐξωτικαῖς μέρεσι τοῦ Πόντου ξιμνεσιν οὐχ οἷόν τε εὑρεῖν κολληβιστήν, ἢ πλάστην, ἢ ζαγράφον, οὐκ ἀρχιτέκτονα, οὐ φωνασκόν, οὐχ ἠποκριτὴν ποιημάτων, ὡς παρ' ἡμῖν (PG 38, 984; SC I, 717).

ზემო სარმატიაში და სკვითიაში და ყველა იმ ტომებთან, რომელნიც პონტოს გარეთა მხარეებში ცხოვრობენ, – ვერსად ვერ ნახავ ვერც ზარაფს, ვერც მოქანდაკეს ან მხატვარს, ვერც ხუროთმოძღვარს, ვერც აშულსა და მსახიობს, როგორც ეს ჩვენშია ².

¹ იგივე ცნობა, ოდნავ განსხვავებული სიტყვიერი გამოთქმებით. მეორდება ევსევი კესარიელის ნაშრომში Praeparatio evangelica. იხ. ზემოთ გვ. 28.

² ეს ნაწყვეტიც იმეორებს ევსევი კესარიელის ნაშრომში (Praeparatio evangelica) გადმოცემულ ცნობას; განსხვავებაა ზოგიერთ გამოთქმაში: ა) ἐν ἐξωτικαῖς μέρεσι — ἐξ ἀρτυκῶν μερῶν, ბ) κολληβιστήν — τραπέζιου, არის სხვა განსხვავებაც (იხ. ზემოთ გვ. 29).

ეპიფანე კვიპრელი

(ca. 314 – 403)

ეპიფანე დაიბადა 314 წლის მახლობელ ხანებში პალესტინაში (ელევთეროპოლის რაიონში). ახალგაზრდობა გაატარა ეგვიპტეში. რამდენიმე წლის შემდეგ დაბრუნდა პალესტინაში და ელევთეროპოლში დააარსა მონასტერი, რომლის წინამძღვარი თვითონვე იყო. 367 წელს ის აირჩიეს ქალაქ კონსტანციის (ძველად სალამინი, კუნძულ კვიპროსზე) ეპისკოპოსად და ამ თანამდებობაზე იყო სიკვდილამდე, 403 წლამდე.

ეპიფანეს სამქადაგებლო და სალიტერატურო მოღვაწეობა მიზნად ისახავდა, უმთავრესად, ყოველგვარ მწვალებლურ მიმდინარეობასთან ბრძოლას. ამ ბრძოლას ასახავს მისი მთავარი შრომა *Κατὰ αἱρέσεων* („მწვალებლობათა წინააღმდეგ“) ანუ *Πανάριον* (*panarium* „პურის კალათი“)¹, რომელიც 374 – 377 წლებშია დაწერილი, სამ წიგნად, და შეიცავს 80 სხვადასხვა მოძღვრების განხილვას.

შრომა *Ἀγκυρωτός* („ღუზით დამაგრებული“) შეიცავს მოძღვრებას სამებაზე: დაწერილია 374 წელს.

ნაწილობრივ არის მოღწეული ტრაქტატი „საზომთათვის და საწყაულთა“ (*Περὶ μέτρων καὶ σταθμῶν*), სადაც ლაპარაკია ბიბლიურ საზომებზე და წონის ერთეულებზე.

დიდი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობისაა ეპიფანეს შრომა „თუალთათვის“ (*Περὶ τῶν δώδεκα λίθων τῶν ὄντων ἐν τοῖς στοισμοῖς τοῦ Ἀαρῶν* „იმ თორმეტი ძვირფასი თვალის შესახებ, რომლებიც აარონის სამოსლის გულმკერდზე იყო“). დაწერილია 394 წლის წინა ხანებში და შეიცავს თორმეტი ძვირფასი ქვის და მათ თვისებათა აღწერას, განსაკუთრებით, მათ სამკურნალო თვისებათა ჩამოთვლას. ამ შრომის ბერძნული ტექსტი ფრაგმენტულად არის მოღწეული. სრულად არის მოღწეული ლათინური თარგმანი და აგრეთვე ქართული რედაქცია.

¹ *Πανάριον κατὰ πασῶν αἱρέσεων* „კალათი [წამლებით] ყოველგვარი მწვალებლობის წინააღმდეგ“.

ეპიფანე კვიპრელს ეკუთვნის აგრეთვე რამდენიმე ქადაგება და საღვთისმეტყველო ტრაქტატი.

ძველქართულად მოღწეულია ეპიფანეს ათი შრომის თარგმანი ¹, მათ შორის:

- ა) ათორმეტთა თუალთათჳს,
- ბ) საზომთათჳს და საწყაულთა,
- გ) თარგმანებაჲ დავითის ფსალმუნებისაჲ.

«ათორმეტთა თუალთათჳს» მოღწეულია ორი რედაქციით: მოკლე რედაქციით და ვრცელით. ვრცელი რედაქცია მხოლოდ ლათინურად არის შენახული. ქართულ თარგმანშიც ვრცელი რედაქციაა, მაგრამ არა სიტყვა-სიტყვით: პირველ ნაწილში ის ლათინურ თარგმანს მისდევს, ხოლო მეორე განსაკუთრებულ რედაქციას წარმოადგენს. დაკარგული ბერძნული დედანი ქართული თარგმანით უფრო უნდა იყოს შემონახული ².

«საზომთათჳს და საწყაულთა» საზოგადოდ, ნაკლულევნად არის მოღწეული, ხოლო რაც შეეხება ძველქართულ ვარიანტს, ის მხოლოდ ეპიფანე კვიპრელის შრომის რამდენსამე თავს შეიცავს: ეს თავები შეტანილია VIII საუკუნეში უცნობი ავტორის მიერ შედგენილ „სასწავლო წიგნში“, რომელიც მთლიანად ეპიფანეს შრომის (Περὶ μέτρων καὶ σταθμῶν) თარგმანს კი არ წარმოადგენს, არამედ სხვადასხვა ავტორთა (ეპიფანე კვიპრელი, დიონისე თრაკიელი და სხვ.) შრომებიდან ამოღებული თავების კრებულია ³.

ქართველი ტომები

Τοῦ ὄντος Σήμ ἴνουνται παῖ-
δες καὶ παῖδων παῖδες καὶ ἕως
ἔτε διεσπάρμενοι ἀπὸ γλῶσσαις καὶ
ἐἰς τὴν διεσπάρμενοι ἐν γλῶσσαις καὶ
φυλαῖς καὶ βασιλείαις. Τὰ δὲ ὀνό-
ματα ἀνθρώπων ἔστι τάδε: Ἑβραῖοι,
Παῖονες, Ἀλζοί, Κοσσεσσοῖοι.....

სემს ეყოლა შვილები და შვილ-
თა შვილები მანამდე, სანამ გაი-
ყვნენ ენები და განიფანტნენ ენე-
ბის, მოდგმების და სამეფოების
მიხედვით. მათი სახელები შემ-
დეგია: ელიმეები, პეონები, ლ ა-
ზ ე ბ ი, კომესეები, სარკინო-

¹ მათი სია იხ. კ. კეკელიძე, უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერ-
ლობაში: ეტიუდები V, 46 – 47.

² კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I (1960), გვ. 460.

³ იხ. ს. ყაუხჩი ოშვილი, შატბერდის კრებულის სასწავლო წიგნი:
თბ. უნივ. მოამბე III (1923), 178 – 185.

Σαρακηνοί, Σύνθαι, Χίονες, Γυμνο-
σοφισταί, Χαλδαῖοι, Πάρθοι, Ἐνό-
ται, Κορδυσληνοί¹, Μασσηνοί, Φοί-
νικες, Μαδιγναῖοι, Κομμαγηνοί,
Δαρδάνιοι, Ἐλαμασηνοί. Κεδρού-
σιοι, Ἑλαμίται, Ἀρμένιοι, Κίλι-
κες, Αἰγύπτιοι, Καππάδοκες, Φοί-
νικες, Ποντικοί, Μαρμαρί-
δαι, Βίονες, Κάρες, Χάλυβες,
Ψυλλῆται. Ἀαζοί, Μοσσύ-
νοικοι, Ἴβηρες, Φρύγες.

ლიბები, ფსილიტები, ლაზები, მოსინიკები, იბე-
რები, ფრიგიელები.

Χάμ δὲ τῷ δευτέρῳ παιδὲς
καὶ παίδων παιδὲς τριάκοντα ὄνο
ἕως τοῦ αὐτοῦ διαμερισμοῦ τῶν
γλωσσῶν... Ψυλλῆται, Μοσσύνοι-
κοι...

Ἰάφεθ δὲ τῷ τρίτῳ παιδὲς
καὶ παίδων παιδὲς δεκαπέντε ἕως
τοῦ αὐτοῦ διαμερισμοῦ τῶν γλωσσ-
ῶν, Μηδοί, Γαργανοί³, Ἀρμένιοι,
Ἄρραιοι, Ἀμαζόνες, Κόλλοι,
Κορζηνοί, Βενεαγηνοί, Γαλάται,
Καππάδοκες, Γαλάται, Παφλαγό-
νες, Μαριανδηνοί, Τιβαρηνοί,
Χάλυβες, Μοσσύνοικοι
Κόλλοι, Μελασχηνοί, Σαυ-
ρομάται, Μαιῶται, Σύνθαι,
Ταῦροι, Θράκες, Βαστέρνοι, Ἰλλῆ-

ზები, სკვითები, ქიონები,
გიმნოსოფასტები, ქალდევე-
ლები, პართები, ენოტები,
კორდილენები, მაშენები, ფინი-
კიელები, მადიენელები, კომაგე-
ნები, დარდანიები, ელამასინები,
კედრუსიები, ელამიტები, არმე-
ნიელები, კილიკიელები, ეგვიპ-
ტელები, კაპადოკიელები, ფინი-
კები², პონტოელები, მარმარი-
ლები, ბიონები, კარიელები. ხა-

ხოლო მეორე [ვაჟს], ქამს,
ჰყავდა შვილები და შვილთაშვი-
ლები ოცდათორმეტი იმავე
ენათა-განყოფამდე... ფსილიტე-
ბი, მოსინიკები...

ხოლო მესამე [ვაჟს], იაფეთს
ჰყავდა შვილები და შვილთაშვი-
ლები თხუთმეტი ვიდრე იმავე
ენათა-განყოფამდე: მიდიელები,
გარგანები, არმენიელები, არეე-
ბი, ამაზონები, კოლები⁴,
კორზენები, ბენეაგენები, გალა-
ტელები, კაპადოკიელები, გალა-
ტელები, პაფლაგონელები, მარი-
ანდენები, ტიბარენები, ხა-
ლიბები, მოსინიკები,
კოლხები, მელასქენები,

¹ შდრ. ნავსადგური „კორდილოსი“ შავი ზღვის ნაპირას, დასავლეთ სა-
ქართველოში (იხ. გეორგიკა IV, 2, გვ. 415).

² „ფინიკიელები“ უკვე ზემოთ არიან მოხსენიებული; აქ კი რომელიღაც
მცირეაზიული ტომი უნდა იყოს.

³ *Γαργανοί* – ლატინურის ვარაუდით ეს ის რომია, რომლისაგანაც წარ-
მოიშვნენ ქართველები: *utrum Georgi sint Sarmatae eirca Pontum Euxi-
num, a quibus Georgiani Hodie Iberi nominantur, iudicent periti.*

⁴ კოლები და მათი ქვეყანა „კოლიკე“.

ριοι ... εἴ που δὲ ὄνομα ἔθνηους ἢ νήσου ἐντέταται δισσωῶς, ἐν κλήρω ἄλλου καὶ πάλιν ἄλλου κατὰ κοινὰ ὄρια, ἢ κατὰ τὰς γενομένης κατὰ καιρὸν ἀποικίας, ἢ κατὰ πρόσληψιν τοῦ Χάμου, ὅς ἐπλεονέκτησε καὶ ἔλαβε τοῦ Σήμου μέρους, μηδεὶς θαυμαζέτω ἢ ἀμφιβαλέτω (Ἀγκρωτός 113; SC I 707—708).

მიერ მითვისების გამო, რომელსაც წილად ხვდა მეტი და სემის წილიც მითვისისა, – ნურავის გაუკვირდება და ნურც დაეჭვდება ¹.

... Τῷ δὲ Σήμῳ ὑπέπεσεν ὁ κληρὸς πρὸς πλάτος, ἢ Παλαιστίνην καὶ Φοινίκην καὶ Κοίλην, Κομμαγενήν, Κιλικίαν, Καππαδοκίαν, Γαλατίαν, Παφλαγονίαν, Θράκην, Εὐρώπην, Ῥοδόπην, Λαζίαν, Ἰβηρίαν, Κασπίαν, Καρδυσίαν ἄχρι τῆς Μηδίας πρὸς βορρᾶν. Ἐντεῦθεν οὗτος ὁ κληρὸς διορίζει τὸν Ἰάφεθ τὰ πρὸς βορρᾶν (Κατὰ αἰρέσεων, წიგნი II, § 66: Migne PG 42; SC I, 710).

სავრომატები, მეოტელეები, სკვითები, ტავრები, თრაკიელები, ბასტერნები, ილირიელები... თუკი სადმე შეგხვდებათ ტომის ან კუნძულის სახელი ორჯერ ჩართული, ჯერ ერთ ნაწილში და კვლავ მეორის ნაწილში საერთო საზღვრებზე, ან დროთა ვითარებაში მომხდარა გადასახლების გამო ან ქამის

ხოლო სემს წილად ხვდა სივრცით პალესტინა, ფინიკია და კვილი-სირია, კომაგენე, კილიკია, კაპადოკია, გალატია, პაფლაგონია, თრაკია, ევროპა, როდოპე, ლაზია, იბერია, კასპია, კარდია ვიდრე მიდამდე ჩრდილოეთით. აქედან ეს ნაწილი საზღვრავს იაფეთის სამფლობელოს ჩრდილოეთით.

ლაზები. იბერები. ჯიქები

III, 10. Ἐν μὲν τῇ Μηδίᾳ ἕξ αἰρέσεις πάλιν λέγονται εἶναι διάφοροι, ἐν δὲ τῇ Αἰθιοπίδι ὄσται, παρὰ Πέρταις τε, ἢ ἐν τῇ Παρθία ἢ Ἐλαμίτιδι, ἢ Κασπίᾳ, ἢ Γερμανῶν χώρα, ἢ Σαρματία ἢ ὀπίσσοι ἐν τοῖς Δαθύσιον, ἢ παρὰ Ζιχχοῖς καὶ Ἀμαζόσις,

III, 10. ამბობენ, კიდევ, რომ მიდიაში ექვსი სხვადასხვა სახის მწვალეობობაა, ხოლო რამდენია ეთიოპიაში, სპარსელებში, ან პართიაში და ელამიტადში, ან კასპიაში, გერმანელთა ქვეყანაში ან სარმატიაში, ან რამდენია დავნიდებში, ან ჯი-

¹ ამ ნაწყვეტში ყურადღება უნდა მივაქციოთ ორჯერ მოხსენიებულ ტომს: Ψυλλίται აკად. ნ. მარი ფიქრობს, რომ აქ უნდა იგულისხმებოდნენ „ა-ფსილები“.

Λαζοῖς τε καὶ Ἰβηρσι καὶ Βοσπορηνοῖς, ἢ Γηλοῖς, ἢ Σηροῖς, ἢ τοῖς ἄλλοις ἔθνεσι νόμων τε διαφοραὶ καὶ φιλοσοφῶν καὶ αἰρέσεων καὶ διαφορῶν ἄμετρον πληθος (Κατὰ αἰρέσεων, Ὀρθο III: Migne PG 42; SC I, 710).

ქებში და ამორძალებში, ლაზებში, იბერებში და ბოსფორელებში, ან გელებში, ან სერებში, ან სხვა ტომებში რამდენია განსხვავება კანონებში, ფილოსოფიებში და მწვალებლობებში, – უზომო რაოდენობაა განსხვავებათა.

თვალი იასპისი იბერთა ქვეყანაში

(„ათორმეტთა თუალთათჳს“)

ბერძნული ტექსტი, აღდგენილი

Λίθος ἰασπιδος. Οὗτός ἐστι τῷ εἶδει σμαραγδίζων, παρὰ δὲ τὰ χεῖλη τοῦ Θερμῶδοντος ποταμοῦ εὐρίσκεται, καὶ περὶ Ἀμαθούντα, οὐ τοὺς ἐν Κύπρῳ. Ἄλλ’ ἔστι γένος πολὺ καλούμενον Ἀμαθούσιον. Τὸ εἶδος δὲ τοιόνδε ἐστὶ τοῦ λίθου.

Κατὰ τὴν σμάρραγον ἐστὶ χλωρίζουσα, ἀλλὰ ἀμβλυτέρα καὶ ἀμαυροτέρα. Καὶ ἐνδοθὲν χλωρὸν ἔχει τὸ σῶμα, εἰκοῦτα ἢ χαλκοῦ, ἔχοντι φλέβας τετραστίχους· ὡς δὲ τοῦτο ἠκούσαμεν εἶναι φαντασίας, ὡς οἱ μυθολόγοι λέγουσιν.

Ἄλλη δὲ ἐστὶ γλαυκοτέρα θαλάσσης, βαθυτέρα τῷ ἄνθει καὶ τῇ βαφῇ. Ἄλλη δὲ ἐν τοῖς σπηλαίοις, ἐν τῷ ὄρει τῆς Ἰδῆς ἐν τῇ Φρυγίᾳ, ὁμοιάζουσα τῇ ἀπὸ τοῦ αἵματος κόχλου, διαυγεστέρα μάλλον, ὡσπερ οἶνω ὁμοιάζουσα, ἢ ἀμεθύστου ξανθοστέρα. Οὐ γάρ

ძველი ლათინური ვერსია

laspis est lapis velut speciem smaragdi referens, qui apud ostia Thermodontis fluminis invenitur et apud Amathunta, non quae in Cypro est: sed naturaliter Amathusiorum generatio multiplex habetur. Hie vero lapis hanc habet speciem:

Sub smaragdo est ittervirescens, sed obtunsior et obscurior, interiusque corpus habet viride ad instar aeruginis aeris. Delectantur autem phantasiae, id est speculationes, huic insidere, sicut asserunt, qui fabulosa commemorant.

Est et alia iaspis albidior, quam mare; flore vero tincturaque pressior; alia vero in speluncis Idae montis, qui est in Phrygia, reperitur similis sanguini cochleae, sed lucidior magis et veluti similior vino et amethysto rubicundior; non

ἔστι μίᾳ χροιάς, οὐδὲ τῆς αὐτῆς
δυνάμεως.

Ἄλλ' ἢ μὲν ἔστι χαυνοτέρα
καὶ λευκοτέρα, οὔτε πάνυ στίλ-
βουσα. οὔτε πάλιν ἀπόδέουσα.
ἄλλη δὲ κρυστάλλου ὕδατι ὁμοία.
Λέγεται δὲ ὑπὸ τῶν μυθοποιῶν
ἄκος εἶναι φαντασιῶν. Εὐρέθη
δὲ παρὰ Ἰβηρσι καὶ ποιμέσιν
Ἰρκανῶν τοῖς κατὰ τὴν Κασπί-
αν γῆν.

enim sunt unius coloris, eius-
demque potentiae.

Sed alia quidem rarior est et
albidior, quam aer fumi nimis
eftulgens nec impar, item cae-
ruleae vibrationis, veluti si
tempore hiemis de terra vapor
aut nebula austro desinente
consurgat; alia, quae glaciei
similis est, ab his, qui fabulosa
fingunt, phantasiis dicitur esse

remedium. Repertum est autem ab Hiberis et pastoribus Hyr-
canorum, qui circa Caspium solum lacumque consistent.

*Ἄλλη δὲ Ἰασπις, οὐ πάνυ
λάμπουσα, χλωρά, ἣτις ἔχει γραμ-
μὰς μέσας.

Καὶ ἄλλος Ἰασπις ὁ παλαι-
ὸς λαλούμενος, ὁμοίος ἢ χιόνι,
ἢ ἀφρῶ φιλιάσσης. Τοῦτό φασι
οἱ μυθοποιοὶ τοὺς θῆρας τοὺς ἐν
ἀγρῶ φοβεῖσθαι, καὶ τὰ φάσματα
(PG 43, 297).

Est et alter iaspis, qui voca-
tur oppalius, similis nivibus,
aut spumis maris.

Aut veluti si sanguis lacti
misceatur, ut Massagetae potare
sunt soliti: lunc ut aiunt, qui

fabulosa referunt, bestiae iu agro metuunt, aliaque portenta
(PG 43, 334 – 335).

ძველქართულ თარგმანში:

«თუალი იასპინი. იასპინი თუალი არს და ხილვად მისი მსგავს
არს ზმურისა, და იპოვების პირისპირ მახლობელად **თერმაგონდოს**
(Θερμάδοντος) მდინარესა და მახლობელად იამანთისა, არა რო-
მელი იგი კვიპროს არს. რამეთუ ბუნებით მრავალ არს რომელსა
იგი ჰრქვან ამათვისიონ.

რომლისა ხილვად მის მწუანის ფერ არს, ვითარცა ზმური-
საჲ. ხოლო მცირედ ოდენ ბნობის სახც არს. და შინაგამო ფერსა
მწუანისასა გამოუტევენ პილენძის სახედ, და განშუენდიან მით,
რომელთა ჰნებავნ შემკობად თავთა თვისთაჲ, ვითარცა ზღაპართა
მათ შინა ითქუმის.

არს სხუაცა თუალ უწითლეს წყალთა მათ ზღვისათა, მომ-
რუმც უფროდს ყუავილთა.

არს სხუაცა თუალ, რომელი იხილვების ქუაბთა შინა მათათა მათ სიდესიადსთა, რომელ არს ფრვგიას. არს ფერი მისი სისხლი-სად, და ვითარცა მარგალიტისა ძირისა ფერი უნათლჳს არს, და ვითარცა ღვინის ფერ ჰგავს ამეთვსტოსა თუალსა, და უმწითურჳ არს. და არა ერთ ფერ და არცა ერთ ძალ.

«და სხუა არს, რომელი უნათლჳს არს და მსგავს ალისა, და კუამლისა უსპეტაკჳს და უბრწყინვალჳსდა. და რომელნიმე ზღა-პართაგან იტყჳან, ვითარმედ თუალი საცნაურ რამემ ყვიან. და იბოვების ესე საზღვართა ქართლისათა, და გორგანეთს, და ქუე-ყანასა მას კასპთა სადა არიან ნათესავნი.

«სხუა არს მერმე იასაპინი არა დიდად ბრწყინვალჳ და მწუა-ნის ფერ. და ნაწევარნი არიედ შიდა თუალსა მას.

«და მერმე სხუაცა არნ იასაპინი, რომელსა ჰრქჳან უპავლიოს (oppalius). მსგავს არს თოვლისა ¹ და პერულსა ზღვსასა. და ვი-თარმცა ვინმე შეჰპროთო სისხლი სძესა და ვითარცა სუმენ მასქათნი (Μασσαγέται)... (ბლედკის გამოც. გვ. 14 – 15).

ხელთ გვქონდა შემდეგი გამოცემები და გამოკვლევები:

E p i p h a n i i... opera quae reperiri potuerunt omnia: Migne PC 41 – 43.

Л а т ы ш е в, Сведения, I (СПБ 1900), 707 – 713.

E p i p h a n i u s, De Gemmis. The Old Georgian Version and the Fragments of the Armenian Version, by Robert Blake and Henri de Vis. London 1934.-

გ. დ ე ე ტ ე რ ს ი, რეცენზია რ. ბლედკის მიერ გამოცემულ შრო-მაზე E p i p h a n i u s, De Gemmis; ZDMG 90 (1936), გვ. 209 – 220.

М. Д ж а н а ш в и л и, Драгоценные камни, их названия и свойства: СМОМПК XXIV 1898, 1 – 72.

რ. ბ ლ ა დ ხ შ ტ ა ი ნ ე რ ი ს გერმანული თარგმანი ეპიფანეს შრომისა «თუალთად» Jahrbuch der Oesterreichischen Leogesellschaft. Wien 1930, გვ. 233 – 270.

Н. М а р п: Виз. Врем. IX (1902), 466 – 470 (რეცენზია მ. ჯანაშვილის გამოცემაზე).

ს. ყ ა უ ხ ი შ ვ ი ლ ი, შატბერდის კრებულის სასწავლო წიგ-ნი: თბ. უნ. მოამბე III (1923), 178 – 185.

¹ ბლედკის გამოცემაში სწერია: თჳალისა.

თემისტიოსი

თემისტიოსი (Θεμιστιος), გამოჩენილი ფილოსოფოსი და რიტორი IV საუკუნის დაიბადა 317 წელს პაფლაგონიაში, ქალაქ აბონუტიქოსში (Abonuteichos) მერმინდელი Ionopolis, ეხლანდელი Inebolis, წარმართულ ოჯახში (მამა მისი ევგენი იყო ფილოსოფიის მასწავლებელი კონსტანტინეპოლში); გრამატიკული განათლება მან მიიღო ჰიეროკლესთან, ხოლო რიტორიკული – ერთ გამოჩენილ მასწავლებელთან პონტოს ნაპირს მდებარე ქალაქში, ფოთის მახლობლად (აქვე უსწავლია რიტორიკა მის მამასაც). შემდეგ მას თავისი განათლება გაუგრძელებია კონსტანტინეპოლში და ფილოსოფია უსწავლია თავის მამასთან. კონსტანტინეპოლშივე დაიწყო მან პედაგოგიური მოღვაწეობა 345 წელს.

350 წლიდან თემისტიოსი ახლო კავშირშია ხელისუფლების წარმომადგენლებთან: ჯერ კონსტანცისთან, შემდეგ იულიანესთან, იოვიანესთან, ვალენტისთან და თეოდოსისთან. ყველანი დიდ ანგარიშს უწევდნენ მას და აჯილდოვებდნენ როგორც საპატიო წოდებებით, ისე მაღალი თანამდებობებით. ასე, 355 წელს კოსტანციმ დანიშნა ის სენატორად. 358/359 წელს იგი იყო პროკონსულად, 377/378 წელს – ელჩად რომში, 383 – 384 წლებში – ქალაქის პრეფექტად კონსტანტინეპოლში და სხვ.

მაგრამ ამ კეისრებს შორის განსაკუთრებით მეგობრული იყო თემისტიოსის ურთიერთობა იულიანესთან. ეს გასაგებიცაა: თემისტიოსი ბოლომდე წარმართი დარჩა თავისი მსოფლმხედველობით, თავისი ფილოსოფიით, თავისი რწმენით და, თუმცა მას როგორც სახელმწიფო მოღვაწეს მისი თანამდებობა ავალებდა, მაგალითად, კოსტანცის დროს, ლოიალური ყოფილიყო და ამიტომაც იგი თავ-

¹ რომელი იყო ეს ქალაქი, ზუსტად არ ვიცით. O. Seeck (Briefe des Libanios 292) ფიქრობს, რომ ეს სინოპი იყო. მაგრამ თვით თემისტიოსის განსაზღვრა ამ ქალაქისა *πλησίον φάσιδος* („ფაზისის მახლობლად“) და მის მიერვე დაკავშირება ამ ადგილისა არგონავტების ლაშქრობასთან (იხ. ქვემოთ or. XXVII) შეუძლებლად ხდის აქ სინოპი ვივულისხმით. Christ-Schmid-Stäblin-ი და F. Wilhelem-ი არ ეთანხმებიან ო. ზეკს: პირველნი (Gesch. d. gr. L.⁵ 815) პირდაპირ სწერენ, რომ ეს სკოლა რიტორიკისა „კოლხების ქვეყანაში“ იყო, ხოლო ვილჰელმი კატეგორიულად ამტკიცებს, რომ აქ მხოლოდ ფოთი შეიძლება იგულისხმებოდეს.

ვის სიტყვებში არაფერს ამბობდა – არც კარგს, არც ავს – ქრისტიანულ მოვლენებზე, მაგრამ იულიანეს, როგორც წარმართული მსოფლმხედველობის წარმომადგენლის, ასვლას ტახტზე ის სიხარულით მიესალმა.

388 წლის შემდეგ თემისტიოსის კვალი არსად ჩანს. 388 – 393 წლებში კონსტანტინეპოლში გამოგზავნილი მრავალი წერილია ლიბანიოსისა, მაგრამ თემისტიოსის ხსენება იქ არსად არის. ჩანს, თემისტიოსი ცოცხალი აღარ არის. თემისტიოსის აყვავების ხანა ეკუთვნის ვალენტის მეფობის წლებს.

როგორც ფილოსოფოსი, თემისტიოსი მოგვიანო პერიპატოელთა ჯგუფს ეკუთვნის. მისივე სიტყვებით, არისტოტელე მან გაიხადა თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ხელმძღვანელად. მართალია, ის არისტოტელეს მოძღვრებას უკავშირებდა პლატონისასაც და ერთ შემთხვევაში პლატონს უპირატესობასაც კი ანიგებს, მაგრამ, Stegemann-ის აზრით (RE II, X, 1648), ის ნეო-პლატონიკოსთა რიცხვს არ მიეკუთვნება, ასეთად თვლიან მას: Goldz in her: Kultur d. G. I, 52: Geffcken, Ausgang 168; Lübker Reall. 8 1031. თემისტიოსის მოძღვრების დედააზრია: ფილოსოფიამ თავისი თავი აუდიტორიაში კი არ უნდა დამარხოს, არამედ თავისი მოძღვრება პრაქტიკულ ცხოვრებაში უნდა გაიტანოს და საზოგადოებრიობაზე გავლენა მოახდინოს (ἐργάζεσθαι ἀρετήν). ამიტომ ის მთავარ ყურადღებას აქცევს ეთიკას, ხოლო ლოგიკას და ფიზიკას მისთვის პროპედევტიკული მნიშვნელობა აქვს.

თემისტიოსი როგორც ორატორი. თემისტიოსის სიტყვებს ფოტიუსი უწოდებს λόγοι πολιτικοί და უჩვენებს 36 სიტყვას, მაგრამ ამ სიტყვებს შორის 13 სრულიად არ ეხება პოლიტიკურ ცხოვრებას.

Oratio XII

Καὶ² τῆν περὶ ταῦτα διακρι-
σιν οὐκ ἐπὶ τῶν ἰδίων μόνον ἔργω-

ჩვენ ვხედავთ, რომ მეფე ამ-
გვარ განსხვავებას ამჟღავნებს

¹ ეს სიტყვა თემისტიოსმა წარმოთქვა კონსტანტინეპოლში, სენატში, ვალენტის თანადასწრებით, 373 წელს. ამ სიტყვაში ის ქებას ასხამს ავგუსტის განსაკუთრებულ სიკეთეს, მწერლობის სიყვარულს, ჰუმანურობას, შემდეგ მის საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ საქმიანობას.

² ბერძნული ტექსტი მოგვყავს დინდორფის გამოცემით: Themistii orationes ex codice Mediolanensi emendatae a Guilelmo Dindorfio (Lipsiae 1882).

μεν, ἀλλὰ καὶ ἐπὶ τῶν κοινῶν ἐπιδεικνύμενον τὸν βασιλέα. Ἐπεὶ διὰ τί Σικύθαις μὲν ξυγχωρεῖ τὴν εἰρήνην, Περσῶν δὲ ἀφαιρεῖται; βάρβαρα μὲν γὰρ τὰ φύλα ἄμφω καὶ οὐκ εὐμενῇ τῇ Ῥωμαίων ἀρχῇ. ἀλλὰ τὸ μὲν θυμῶδές τε καὶ ἀνόητον, τὸ δὲ ἐπίβουλόν τε καὶ δολερόν· ὥστε τὸ μὲν καταπλήξας καὶ νουθετήσας ἔχει ἀκολουθοῦν ἑαυτῶ, ὥσπερ τὸν θυμὸν φησιν ὁ Πλάτων λόγῳ νουθετήσαντι ἔπεισθαι σύμμαχον, τὸ δὲ ἀνάγκη ἐκτεμεῖν ἢ ἐπικόψαι, εἰ μέλλοι μὴ διανοχλήσειν. Καὶ διὰ τοῦτο ὥσπερ ἀγαθὸς κυνηγέτης οὐκ εὐθύς ὄρμαξ ἐπὶ τὸ θήριον, ἀλλ' ἰχνηλατήσας ἔνθεν καὶ ἔνθεν καὶ τὰς κύννας παρορμήσας καὶ τοὺς θηρευτὰς διεγείρας καὶ τὰς στάλικας εὐτρεπίσας καὶ τὰ δίκτυα, ὡς ἂν μὴ ἐν τῇ θήρᾳ αὐτῇ εἰς τὴν παρασκευὴν τῆς θήρας ταλαιπωροῖτο. Καὶ οἱ μὲν στρατηγοὶ οὕτω χωρὶς περιστάντες ὁ μὲν τοῦ Καυκάσου ἀποπειράται. ὁ δὲ Ἄλβανῶν καὶ Ἰβήρων, ὁ δὲ ἀνασώζεται Ἀρμενίου, αὐτὸς δὲ τῷ Εὐφράτῃ ἐφορμαξ καὶ τῷ Τίγρητι (ed. Dindorfii 176,32—177,18).

არა მარტო კერძო საქმეებში, არამედ საზოგადო საქმეებშიც. აბა, რატომ ანიჭებს ის სკვითებს მშვიდობას, ხოლო სპარსელებს ართმევს? ხომ ზარზაროსულია ორივე ეს ტომი და არა კეთილად განწყობილი რომაელთა ძალაუფლების მიმართ. მაგრამ ის (სკვითი) ფიცხი და უგუნური, ეს კი (სპარსელი) მოღალატე და ვერაგი, ასე რომ იმას თავზარს სცემს და სტუქსავს და ამ გზით აიძულებს დაიდორჩილოს (სწორედ ისე, როგორც პლატონი ამბობს, რომ სიფიცხე დამტუქსავი სიტყვით მოკავშირედ უნდა გაიხადო), ხოლო მეორე აუცილებლად უნდა მოსბო და მოკვეთო, რომ ძალიან თავი არ მოგაბეზროს. ამიტომ როგორც კარგი მონადირე ერთ-ბაშად კი არ ეცემა ნადირს, არამედ კვალს გამოიძიებს იქიდან და აქედან ძაღლებს მიუსევს მეძებრებს გააფხიზლებს, პალოებსა და ზადეებს დააგებს და გამლის, რომ თვით ნადირობის დროს არ იწვალოს სამონადირო მზადებისათვის. ასევე სარდლები იმნაირად დგანან გარ-

შემო ცალცალკე, რომ ერთი ცდილობს ხელთ იგდოს კავკასია, მეორე ალბანელებს და იბერიელებს ებრძვის, სხვა კიდევ არმენიელებს იცავს, თვითონ [მ ე ფ ე] კი მიემართება ევფრატისა და ტიგროსისაკენ.

Oratio XVI ¹

იბერები ბიზანტიის ჯარში

Μετὰ γὰρ τὴν ἀδιήγητον τῶν ἐπὶ Ἰστροῦ κακῶν λιείδων καὶ τῆς ἀτόπου φλογοῦ τὴν ἐπιδρομήν, οὐπω βασιλέως Ῥωμαίων πράγμασιν ἐφεστηκότος, ἀνηρπασμένων μὲν Θρακῶν, ἀνηρπασμένων δὲ Ἰλλυριῶν, στρατοπέδων δὲ ἑλοκλήρων ἀφανισθέντων ὤσπερ σικιᾶς, οὐκ ἀντισχόντων δὲ οὐκ ἕρῶν ἀδιεβάρτων, οὐ ποταμῶν ἀπεράτων, οὐ θυσχωριῶν ἀδιοθεύτων, ἀλλὰ καὶ συνελθούσης ἐπὶ τοὺς βαρβάρους τὰ τελευταῖα σχεδὸν ἀπάσης γῆς καὶ θηλάττης καὶ περιστάντων αὐτοὺς ἔνθεν καὶ ἔνθεν Κελτῶν, Ἀσσυρίων, Ἀρμενίων, Λιβύων, Ἰβήρων, ἕσοι Ῥωμαίων προβέβληται ἐξ ἐσχάτων εἰς ἔσχατα γῆς (SC I 693).

ისტროსზე მომხდარ უბედურებათა ენით უთქმელი ილიადის შემდეგ და არაჩვეულებრივი ცეცხლის მოდების შემდეგ, როდესაც მეფე ჯერ კიდევ არ იდგა რომაელთა საქმეების სათავეში და როდესაც დარბეულ იქმნენ თრაკიელები, დარბეულ იქმნენ ილირიელები, აჩრდილივით გაქრნენ მთელი სამხედრო. ბანაკები, წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ ვერც ძნელ-გადასასვლელი მთები, ვერც ძნელად გადასაცური მდინარეები, ვერც გაუვალი ჭანჭრობები, - [მიუხედავად ამისა] მაინც ბოლოსდაბოლოს თითქმის მთელი ზღვა და ხმელეთი შეერთდა ბარბაროსების წინააღმდეგ და იმათ გარ-

შემოერთებენ ყოველი მხრიდან კელტები, ასირიელები, ა რ მ ე-
ნ ი ე ლ ე ბ ი, ლიბიელები. ი ბ ე რ ე ბ ი ², რომლებიც რომაელებს
წინ მიუძღვიან ამ ქვეყნის კიდით-კიდემდე.

იბერთა და ალახანთა საზღვრები

... Διέβαινον μὲν στρατηγοὶ Ῥωμαίων πύλας Κασπίας, ἐξήλανον δὲ Ἀλανοὺς ἐξ Ἀρμενίας, ἔταπτον δὲ Ἰβηρίων ἕρους καὶ Ἀλβανοὺς (SC I, 697).

რომაელთა სარდლებმა გაიარეს კასპიის კარები, გააძევეს არმენიიდან ალანები და საზღვრები დაუწესეს იბერებს და ალანებს.

1 ეს სიტყვა მიმართულია თეოდოსისადმი. იხ. XV სიტყვა.

2 იბერთა სამხედრო ერთეულების არსებობის შესახებ ბიზანტიის ჯარში იხ. ქვემოთ Notitia dignitatum.

Oratio XV¹

Πρὸς ταύτης δὲ σοι τὴν φυλακὴν οὐδὲν οἶ ἔπλῖται, οὐδὲ μὰ Δία οἶ σφενδονηται καὶ οἶ τοξόται οὐδὲ Ἄρμενίων ἴλαι οὐδὲ Ἰβήρων οὐδὲ τῶν ὑπασπιστῶν οὐδὲ τῶν δορυφόρων δεήσεις, ἀλλ' ἀντάρκης σὺ σεαυτῷ· μόνη γὰρ ἡ γνώμη τοῦτου τοῦ ἔργου κυρία (ed. Dindorfii 233, 14—19).

ამ შენი სათნოების დასაცავად არავითარი ღირებულება არა აქვთ არც ჰოპლიტებს, არც – ვვიცავ ზევსს – მეშურდულებსა და მშვილდოსნებს, არც არმენიელთა და არც იბერიელთა რაზმებს, არც ფარის მტეირთელები დაგჭირდება შენ და არც მეშუბენი, საკმარისი იქნება მენთვის

შენი საკუთარი თავი: ვინაიდან მხოლოდ გონებაა ამ საქმის დედოფალი.

Oratio XVIII²

Μόνην δὲ δεῖ ἄρα ταύτην τὴν τέχνην ζητεῖν καὶ γινώσκειν, τίς ἀληθινῶς βασιλεὺς καὶ τίνα σημεῖα αὐτοῦ καὶ γινώσκειν· ὅτι οὐ χρυσὸς ἀετὸς οὐδὲ δράκοντες λεπτῶν ὑφασμάτων οὐδὲ μὰ Δία τοξείεσθαι ἐπίσκοπα καὶ ἀκοντίζειν· ταῦτα γὰρ οἶμαι καὶ Νέρωνι ὑπῆρχε κίθαρῶδοντι καὶ Δομετιανῷ μελαγχολῶντι· ἀλλ' εἰ ἡ ψυχὴ ἄνω ἕρῳσα πρὸς τὸν τοῦ παντὸς βασιλεία συντεταμένη καὶ ἀρχομένη ἐκείθεν ὅσα οἶόν τε ἀρύεται ἐκ τοῦ οὐρανοῦ τῆ ἐπὶ τῆς γῆς βασιλείᾳ. — Ὡν καὶ σὺ, ὦ χρηστὲ, ἀρυσόμενος οὐκ ἐδέξῃης τῶν τοξοτῶν οὐδὲ τῶν ἔπλιτων οὐδὲ τῶν Ἄρμενίων οὐδὲ Ἰβήρων οὐδὲ Ἰππου πεφραγμένης, ὥστε

საჭიროა ეს ერთი ხერხი ეძიო და შეიგნო, თუ ტემმარიტად რა არის მეფე და რა არის მისი გამოსაცნობი ნიშნები; ეს ხომ არ არის ოქროს არწივი, არც დრაკონები, წმინდა ქსოვილები-საგან გაკეთებული³. არც, ვვიცავ ზევსს სასროლი მიზანი მშვილდისა და შუბისათვის. მე ვფიქრობ, რომ ეს ჰქონდა ნერონს, კითარაზე მომღერალს, და დომეტიანეს, შავ-ღვარძლიანს; მაგრამ თუ სული, ზესთა მხედველი და ყოვლისა მპყობელი-სადმი ზიმმართველი და იქიდან მართული, ზეციდან იღებს რაც. კი რამ შეიძლება მიწიერი სამეფოსათვის, – შენც, ჩემო ძვირფასო, როდესაც აზას იძენ, არ

¹ ეს სიტყვა წარმოთქმულია თეოდოსის გამეფების მესამე წელს, ე. ი. 381 წელს, და მიმართულია თეოდოსისადმი.

² სიტყვა წარმოთქმულია 384 წელს.

³ „ოქროს არწივი და დრაკონები, წმინდა ქსოვილებისაგან გაკეთებული“ – ეს იყო სამეფო ინსიგნიები, რომლებიც იმპერატორის წინ მიჰქონდათ ხოლმე.

τὴν φλόγα σβέσαι τὴν Σαυθακίην,
ἀλλὰ μόνῃ τῇ σῆ βουλή καὶ τῇ
σῆ γνώμῃ ὑπ' ἐκαστῆς ἡ φλόξ ἐκαί-
νῃ ἀπεμαρζάνῃ.

გჭირდება არც მშვილდოსნები,
არც ჰოპლიტები, არც **არმენი-
ლები**, არც **იბერიელები**, არც
მცველი ცხენოსანთა რაზმი, რომ

ჩააქრო სკვითური ალი; არამედ მხოლოდ შენი ბჭობის და შენი
გონიერების მეოხებით თავისთავად ჩაქრა ის ალი.

გრძნეული მედეა

Τὰ μὲν γὰρ φάρμακα τῆς
Κολχίδος ἐξηπάτησε τὰς Πελιά-
δας, ὑποταχόμενης τὸν πατέρα ἀμ-
ταῖς ἀντὶ προσβύτου νέον ποιή-
σειν (Dindorfius, p.)

კოლხიდელის (ე. ი. მედეას)
ბანგმა შეცდომაში შეიყვანა პე-
ლიადები: მედეა დაჰპირდა მათ,
რომ მათ მოხუც მამას გააახალ-
გაზრდავებდა.

კოლხეთის რიტორიკული სკოლა ¹

(Oratio XXVII)

Ἐγὼ τίνουσ καὶ αὐτὸς, ὃ
χρηστὲ νεανία, ἐν πολλῶ τούδε
ἀρχαιστέρῳ χαρίῳ τοῦς ῥητορι-
κοῦς λόγους ἀνεδρεψάμην, οὐδὲ
ἐν ἡμέρῳ καὶ "Ἐλληνι, ἀλλ' ἐν
τῇ ἐσχατιᾷ τοῦ Πόντου πλησίον
Φάσιδος ὄπου καὶ τὴν Ἀργὴν
σάθεισαν ἐκ Θεσσαλίας ποιηταί
τε ἐμψύμασαν καὶ οὐρανὸς ἀνη-
ρεῖσθαι ἐκαί δέ που καὶ ὁ Θεμισ-
δων καὶ τὰ Ἀμαζόνων ἔργα καὶ
τὸ Θεμισκύριον. Ἄλλ' ὅμως οὕτω
βάρβαρον καὶ ἀνήμερον χαρίον
ἀνδρὸς ἑνὸς σοφία καὶ ἀρετὴ
Ἑλληνικὸν τε ἐποίησε καὶ ἀνάκ-
τορον τῶν Μουσῶν, ἃς ἐν μέσῳ
Κόλχων καὶ Ἀρμενίων καθύδρου-
μένως οὐ τοξεύειν οὐδὲ ἀκοντίζειν
ἐδίδρασκε οὐδὲ ἀναβάνειν ἵππου
κατὰ τὴν προσοίχων βαρβάρων
παιδείαν. ἀλλὰ ῥητορικὴν ἐκπο-

მეც, ჩემო კარგო ახალგაზრდაც,
რიტორიკის ნაყოფნი მოვწვევით
გაცილებით უფრო უჩინარ ადგი-
ლას, ვიდრე ეს ჩვენი ადგილია,
არა წყნარსა და ელინურ ადგი-
ლას, არამედ პონტოს ბოლოში,
ფ ა ზ ი ს ი ს მახლობლად, სადაც
არგომ, თესალიიდან წამოსულმა,
დაისადგურა, – რასაც პოეტები
გაკვირვებით მოგვითხრობენ, –
და ცამ იგი ალიტაცა, იქ. სადაც
(ცნობილია) თერმოდონტი, ამა-
ძონთ [საომარი] საქმეები და თე-
მისკვირი. და, აი, ასეთი ბარბა-
როსული და პირქუში ადგილი ერ-
თი კაცის სიბრძნემ და სათნოებამ
გახადეს ელინური და აქციეს მუზე-
ბის ტაძრად, იმ ერთი კაცის, რო-
მელიც დამკვიდრდა კოლხებისა
და არმენიელების ქვეყანაში და
ასწავლიდა არა ისართ ტყორცნას

¹ ეს ნაწყვეტი პირველად გამოვაქვეყნეთ 1940 წ., (საქ. მუზ. მოამბე, X – B.).

νεῖν καὶ πικνηγύρεσιν Ἑλλήνων ἐμπρέπειν¹. Εἰ δὲ ἀληθῆ ταῦτα λέγω, δῆλον ἐμῶς εἶ τι λέγω κακείσε ἀφικόμεν οὐ κατ' οἰκείαν ὀρμὴν τε καὶ κρίσιν, ἀλλὰ με ἔστειλεν ἀνὴρ οὕτω μὲν εὖνους ὥς ἂν πατήρ, οὕτω δὲ ὀρμῶς δοκιμάζων, ὥς ἂν φίλοςσοφος. Ἡ κακείνου σὺ πάντως καταφρονησεις, ὅτι τὴν θρησκουμένην φιλοσοφίαν τῆδ' εἶπες καὶ αὐτὸς συνελέξατο, ἐμοῦ δὲ ἴσως καὶ πολὺ μᾶλλον, ἅτε οἴκοθεν καὶ ἀφ' ἐστίας τὰ ὄργια τελεσθέντος (ed. Dindorfii, p. 401—402).

და ოროლოთ სროლას ან ჯირითს, მეზობელ ბარბაროსთა წესებისდა მიხედვით, არამედ იმას, თუ როგორ გაიწვრთნა რიტორიკულ ხელოვნებაში და როგორ ბრწყინავდე ელინთა დღეობებზე¹, მართალია თუ არა ის, რასაც ვამბობ, ცხადი გახდება ეხლავე, თუ დავძენ შემდეგსაც: იქ ჩავდი მე არა საკუთარი მისწრაფებითა და გადაწყვეტილებით, არამედ მე გამგზავნა იქ ისეთმა კეთილმოსურნე კაცმა, როგორც შეიძლება იყოს მამა, და ისეთმა მართებულად მოაზროვნემ, რო-

გორც შეიძლება იყოს ფილოსოფოსი. იქნებ შენ ის სრულიად დაჰგმო იმისათვის, რომ მან თვითონაც თავისი განთქმული ფილოსოფია სწორედ იქ შეიძინა, ან უფრო მეტად დამგმო მე, რომელიც [ფილოსოფიის] საიდუმლოებას ბავშობიდანვე ვარ ზიარებული.

თემისტოლოსის ამ ცნობებს კოლხეთის რიტორიკული სკოლის შესახებ ჯერ კიდევ ამ ორმოცდაათი წლის წინათ ყურადღება მიაქცია ივანე ჯავახიშვილმა და „ქართველი ერის ისტორიის“ პირველ ტომში მან ლატიშევის მიერ მოყვანილი ნაწყვეტების საფუძველზე შემდეგი სტრიქონები უძღვნა ამ საკითხს: „თემისტეს სიტყვებითგან ჩანს, რომ ელინური სწავლაგანათლების ნაყოფიერი ნიადაგი აღმოჩენილა კოლხეთში და, თუ მას დავუჯერებთ, ქვეყანა ელინური კულტურისა და «მუზათა სადგურად“ უქცევია, ისე რომ იმ დროს კოლხებს ელინთა სადღესასწაულო ყრილობებზედაც კი უსახელებიათ თავი რიტორიკითა და მჭერმეტყველებით“². ლატიშევის კრებულში მოყვანილი ნაწყვეტები თემისტოლოსის სიტყვიდან მეტის დასკვნის საშუალებას არ იძლევა, მაგრამ საკმარისია გავეცნოთ თემისტოლოსის ამ 27-ე სიტყვის მთლიან ნაწილს, სადაც ლაპარაკია კოლხებზე, რომ ჩვენ თვალწინ უფრო კონკრეტული სურათი გადაიშალოს: სახელდობრ, თემისტოლოსის

¹ აქ თავდება ლატიშევის კრებულში (SC) მოყვანილი ტექსტი.

² ივ. ჯ. ა. ვ. ა. ხ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., ქართველი ერის ისტორია I³, 253.

სიტყვებიდან ნათელი ხდება, რომ უკვე მეოთხე საუკუნის შუა წლებში კოლხეთში, ფოთის მახლობლად, არსებულა რიტორიკული განათლების ცენტრი, სადაც განათლებას დებულობდნენ ბიზანტიიდან საგანგებოდ მოვლინებული ახალგაზრდები.

თემისტოსის 27-ე სიტყვა, რომლის ნაწილი ზემოთ მოვიყვანეთ, მიმართულია ერთი პროვინციელი ახალგაზრდისადმი, რომელსაც თემისტოსისთვის, როგორც გამოჩენილი რიტორისა და ფილოსოფოსისათვის, უთხოვია: დამეხმარე, რათა თავი დავაღწიო ამ პროვინციას და სატახტო ქალაქში მივიღო ნამდვილი განათლებაო. ამ თხოვნის საპასუხოდ თემისტოსი თავის სიტყვაში ავითარებს იმ აზრს, რომ მეცნიერებას ქმნის არა ადგილი, არამედ დახელოვნებული ოსტატი. ეს დედააზრი გატარებულია სიტყვაში ყველგან: „მეცნიერებას, ამბობს ის, არ ესაჭიროება განთქმული დედაქალაქი“¹; „ოდისევსმა ითაკაზე მიიღო განათლება, ნესტორმა პილოსში“² და ა. შ. და ამ აზრის კიდევ უფრო განსამტკიცებლად მას მოჰყავს თავისი საკუთარი შემთხვევა: სახელდობრ, რომ მ ა ნ რ ი ტ ო რ ი კ უ ლ ი გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა კ ო ლ ხ ე თ შ ი მ ი ი ღ ო.

თემისტოსის ამ სიტყვებიდან უდავოდ გამომდინარეობს შემდეგი დასკვნები:

1. კოლხეთში ფაზისის (ფოთის) მახლობლად არსებულა რიტორიკული სკოლა, სადაც განათლება მიუღია თემისტოსს. თუ რომელი იყო ეს ქალაქი, ჩვენ არ ვიცით. ო ტ ტ ო ზ ე ე კ ი ფ ი ქ რ ო ბ ს, რომ ეს სინოპი იყო. მაგრამ თვით თემისტოსის განსაზღვრა ამ ქალაქისა *πλησιον Φάσθιδος* („ფაზისის მახლობლად“) და მის მიერვე დაკავშირება ამ ადგილისა არგონავტების ლაშქრობასთან შუემღებლად ხდის აქ სინოპი ვიგულისხმობთ. Christ-Schmid-Stählin-ი და F. Wilhelm-ი არ ეთანხმებიან ზეეკს: პირველნი პირდაპირ სწერენ, რომ ეს სკოლა რიტორიკისა კოლხების ქვეყანაში იყო, ხოლო ვილჰელმი³ ვრცელ კომენტარებსაც უძღვნის თემისტოსის ამ სიტყვას და კატეგორიულად ამტკიცებს, რომ აქ მხოლოდ კოლხეთის ფოთი შეიძლება იგულისხმებოდეს.

2. ფაზისის მახლობლად არსებულ რიტორიკულ სკოლაში განათლება მიუღია აგრეთვე თემისტოსის მამას, ე ვ გ ე ნ ი ო ს ს,

¹ Themistii orations, ed. Dindorfius, p. 403, 22

² იქვე, გვ. 404, 2.

³ F. Wilhelm, Zn Themistios Or. 27: Byz.-Neugr. Jahrbücher VI (1927 – 1928), 451 – 489.

რომელიც შემდეგ ფილოსოფიის განთქმული მასწავლებელი იყო. კონსტანტინეპოლში. „მან – ამბობს თემისტიოსი, თვითონაც თავისი განთქმული ფილოსოფია სწორედ იქ შეიძინაო“.

3. კოლხეთი, როგორც ყოველი არაბერძნული ქვეყანა, ბერძნებისათვის ბარბაროსული ქვეყანა იყო, მაგრამ თემისტიოსი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ კოლხეთი უაღრესად კულტურული (მისი ტერმინით „ელინური“) ქვეყანაა და იგი მეცნიერებისა და ხელოვნების ცენტრს (მისი ტერმინით „მუზების ტაძარს“) წარმოადგენს.

4. თემისტიოსი ამბობს, რომ კოლხეთი „ბარბაროსული და პირქუში ადგილი ერთი კაცის სიბრძნემ და სათნოებამ (σοφία και ἀρετή) გახადეს ელინური და აქციეს მუზების ტაძრად (ἀνάκτορον τῶν Μουσῶν). თუ ჩვენ ამ სიტყვებს მათი პირდაპირი მნიშვნელობით გავიგებთ, აღმოჩნდება, რომ ერთი კაცის პირად თვისებებს მიეწერება კოლხეთის ამ კულტურული ცენტრის შექმნა და დაწინაურება. მაგრამ ასეთი გაგება უმართებულო იქნებოდა. თემისტიოსის მთელი ეს სიტყვა, აგებული აზიანური მჭევრმეტყველების დახვეწილ რიტორიკულ ხერხებზე, უხვად იყენებს ანტითეზებს, ანალოგიებს და სხვა საშუალებებს, და ბევრი რამ, ორატორის მიერ ნათქვამი, უნდა გაცხრილულ იქნეს, რათა ისტორიულ ფაქტად არ გამოვაცხადოთ ის, რაც მხოლოდ და მხოლოდ რიტორიკულ სამკაულს წარმოადგენს. მაგალითად, გამოთქმა „ბარბაროსული და პირქუში“ (Βάρβαρον και ἀνήμερον) ანტითეზურია ცოტა ზემოთ ნახმარი გამოთქმისა „წყნარსა და ელინურს“ (ἐν ἡμέραις και “Ελληνι), სადაც ერთმანეთს არის დაპირისპირებული ἡμεροειδ – ἀνήμεροειδ და “Ελλην – Βάρβαροειδ. ასევე ერთი კაცის სიბრძნისა და საქმეებისათვის გადამწყვეტი როლის მიკუთვნება და იმ დებულების აღიარება, რომ „კაცი ქმნის ადგილს და არა პირიქით, ცნობილია ბერძნულ მწერლობაში და თემისტიოსიც ამ დებულების გაშლისას ანალოგიით ხმარობს იმავე გამოთქმებს, როგორც ნახმარი აქვს ისოკრატეს, ჰიმერიოსს, ლიბანიოსს და თვით თემისტიოსსაც სხვაგან ¹. მაშასადამე, ჩვენ შეიძლება ზედმეტადაც მივიჩნიოთ იმის ძიება, თუ ვის გულისხმობს თემისტიოსი ამ „ერთ კაცში“: თავისი მამის რომელსამე მეგობარს, როგორც ფიქრობს ო. ზეეკი ², თუ თვით მამას, რიტორსა და ფილოსოფოსს ევგე-

¹ F. Wilhelm, I.e. 456.

² O. Seck, Briefe des Libanios 292.

ნიოსს, როგორც ფიქრობენ ე. ბორეტი ¹ და ფ. ვილჰელმი ². თემისტოსის მიერ მოცემული ახსნა უნდა იყოს ნაყოფი თვით თემისტოსის რიტორიკული ხერხთხმარებისა ერთი მხრით და მეორე მხრით მაშინდელი საერთო ბერძნული კონცეპციისა, რომ „ბარბაროსულ“ ქვეყანაში თუ რამ იყო კარგი, ის უთუოდ ბერძნის ნახელარი იქნებოდა.

5. თუ კოლხეთში, ფაზისის მახლობლად, ისეთი რიტორიკული სკოლა მოიპოვებოდა, სადაც ბიზანტიიდან მოვლინებული ახალგაზრდები სწავლობდნენ თავისთავად იგულისხმება, რომ პირველ რიგში იქ თვით ადგილობრივი კოლხები ისწავლიდნენ. ამ რიტორიკული სკოლის ბრწყინვალე მუშაობის შედეგი უნდა იყოს ის, რომ კოლხებში (ლაზებში) რიტორიკული ხელოვნება, როგორც ეს ჩანს მე-6 საუკუნის ისტორიკოსთა პროკოპი კესარიელისა და აგათიას სქოლასტიკოსის თხზულებებიდან, დიდ სიმაღლეზე იდგა. აგათიას სქოლასტიკოსის „ისტორიაში“ გადმოცემული სიტყვები წარჩინებული ლაზებისა, აეტისა და ფარტაზისა, რომლებიც მათ წარმოთქვეს საიდუმლოდ მოწვეულ კრებაზე გუბაზ მეფის მოკვლის გამო, უბრწყინვალესი ნიმუშებია მჭევრმეტყველებისა და უნდა ვიფიქროთ, რომ აეტსა და ფარტაზს, ისევე როგორც სხვა ორატორებს, რომელთა სიტყვები გადმოცემული აქვთ პროკოპისა და აგათიას, რიტორიკული განათლება უნდა მიეღოს სწორედ ამ ფაზისის რიტორიკულ სკოლაში.

პროკოპი კესარიელს გადმოცემული აქვს ის სიტყვები, რომლებითაც ლაზთა ელჩებმა მე-6 საუკუნის შუა წლებში მიმართეს სპარსთა მეფეს ხოსროს და უმტკიცებდნენ მას, თუ რაოდენ ხელსაყრელი იქნებოდა სპარსეთისათვის ლაზებთან კავშირი; ისინი ურჩევენ მას, რომ სპარსეთის ინტერესებისათვის საჭიროა დაარღვიოს ზავი ბიზანტიელებთან (532 წელს დადებული) ³. იმდენად მჭევრმეტყველურად არის აგებული ლაზების ეს სიტყვა, იმდენად დამაჯერებლად არის აგებული იგი, რომ ხოსრო მეფე მაშინვე მოიხიბლა ამ სიტყვით ⁴.

¹ E. Boret, De Themistio sophista, Paris 1853, გვ. 7 (მოგვყავს ფ. ვილჰელმის მითითების მიხედვით).

² F. Wilhelm, 1. e. 458.

³ იხ. გეორგიკა II, გვ. 48 – 53.

⁴ რასაკვირველია, მართლ ამ მოხიბლვამ კი არ გადააწყვეტინა ხოსროს დამრულიყო დიდძალი ჯარით ლაზეთის „დასახმარებლად“ (ეს გამომდინარე-

აგათიას სქოლასტიკოსის მიერ მოყვანილი სიტყვები უფრო ვრცელი მოცულობისაა და თავისი აგებულებით განსხვავდება პროკოპის მიერ მოთავსებული სიტყვებისაგან. აგათიას სიტყვები ორგვარია: 1) სიტყვები წარმოთქმული ლაზთა მიერ მთებში მოწყობილ საიდუმლო კრებაზე უაღრესად მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხზე და 2) სიტყვები წარმოთქმული სასამართლოში.

გუბაზ მეფის მოკვლის გამო (554 წელს) ლაზთა თავკაცებმა სათათბიროდ კავკასიის ერთ ხეობაში შეკრიბეს დიდძალი ხალხი და დასვეს საკითხი – სპარსელების მხარეზე გადავიდეთ, თუ ისევ რომაელებთან დავრჩეთო. მაშინვე მრავალმა წარმოსთქვა სიტყვა; ზოგი ერთ წინადადებას იძლეოდა, ზოგი კიდეც სხვას. იყო უთავბოლო და არეული ყვირილი“. მაშინ მეთაურებმა დაამყარეს წესრიგი და სალაპარაკოდ გამოუშვეს ორი წარჩინებული: აიეტი, „რომაელთა მოძულე“, და ფართაზი, რომაული ორიენტაციისა. მათ მიერ წარმოთქმული სიტყვები სტენოგრაფიული სისრულით მოჰყავს აგათიას ¹.

აგათია სქოლასტიკოსი, პირველ რიგში, პოეტი იყო. სალიტერატურო მოღვაწეობა მან ლექსების წერით დაიწყო. ჩვენამდე ნაწყვეტების სახით მოღწეულია აგათიას ეპიკური „დაფნიაკა“ და შვიდი წიგნისაგან შემდგარი კრებული ეპიგრამებისა (მათ შორის საკუთარისაც). იუსტინიანეს გარდაცვალების (565 წ.) შემდეგ აგათია შეუდგა საისტორიო ნაშრომის წერას. ამიტომ ბუნებრივია, რომ ადამიანმა იფიქროს, – აგათიას საისტორიო ნაშრომში ბევრი რამ თვით აგათიას მიერ პოეტურად შეფერადებული ამბები იქნება გადმოცემულიო. ჯერ კიდეც კ. კრუმბახერი ამბობდა აგათიას შესახებ: მასში პოეტური განწყობა სჭარბობს ისტორიკოსის თვალთახედვის თავისუფლებასა და გამჭბრიახობასო ².

მაგრამ არ იქნება მართებული, თუ ვინმე იფიქრებს, რომ აგათიას მიერ გადმოცემული სიტყვები, თითქოს, მის მიერვე იყოს, შეთხზული და არ შეესაბამებოდეს სინამდვილეს. უნდა ანგარიში გავუწიოთ შემდეგ მოსაზრებებს:

ობდა სპარსეთის მაშინდელი პოლიტიკიდან), მაგრამ პროკოპი კესარიელი მაინც აღნიშნავს: „ამ სიტყვებით ნასიამოვნებმა ხოსრომ აღუთქვა ლაზებს დახმარებაო“ (გეორგიკა II, 53.

¹ იხ. გეორგიკა III (თბ., 1936), გვ. 64 – 81.

² K. K r u m b a c h e r ², Geschichte d. hyz. Litteratur 241: Bei ihm überwuchert die dichterische Neigung die Freiheit und Schärfe des historischen Blickes.

1) კავკასიის ერთ ხეობაში მოწვეულ საიდუმლო კრებაზე, რასაკვირველია, იქნებოდნენ ბიზანტიის მთავრობის მზვერავები, რომლებიც თათბირზე წარმოთქმულ სიტყვებს ჩაიწერდნენ: ისე კარგად ჰქონდა ბიზანტიის ხელისუფლებას დაყენებული დაზვერვის საქმე, რომ ძნელი საფიქრებელია, მზვერავებს გამოჰპარვოდეს ლაზთა საიდუმლო თათბირი და არ მოხვედრილიყვნენ იქ ამა თუ იმ სახით (მაგალითად, თათბირის მონაწილის სახით).

2) ცნობილია, რომ საბერძნეთმა და რომმა საფუძველი ჩაუყარეს და დიდ დონეზე განავითარეს „მალემწერლობა“ ანუ სტენოგრაფია. საგანგებო ტერმინებიც არსებობს: *σημειογράφος, ταχυγράφος* ან *ἰσχυγράφος*, რომელთაც ძველ ქართულში ხმარებული „სიმიათამწერალი“ და „მალემწერალი“ შეესატყვისება ¹.

საიდუმლო თათბირზე დამსწრე მზვერავები, რასაკვირველია, „მალემწერალნი“ იქნებოდნენ და ისინი შესძლებდნენ სრულად ჩაეწერათ სტენოგრაფიულად ლაზთა მიერ წარმოთქმული სიტყვები.

ის ორი სიტყვაც, რომლებიც გუბაზ მეფის მკვლელთა გასამართლების დროს იქმნა წარმოთქმული, თავისთავად ცხადია, „მალემწერალთა“ მიერ იქნებოდა სტენოგრაფიულად ჩაწერილი, რადგან კონსტანტინეპოლის მთავრობა და თვით კეისარიც თვალყურს ადევნებდა ამ პროცესს, რომელმაც საერთაშორისო ხასიათი მიიღო ².

3) სტენოგრაფიულად ჩაწერილი ეს მასალა სახელმწიფო არქივში ინახებოდა, და აგათიაც, როგორც კარის ისტორიკოსი, თავისი „ისტორიის“ წერის დროს სახელმწიფო არქივში დაცული მასალებით სარგებლობდა.

ყველა ეს მოსაზრება ნათელჰყოფს, რომ აგათიას „ისტორიაში“ მოყვანილი სიტყვები, რომლებიც წარჩინებულმა ლაზებმა წარმოთქვეს საიდუმლო თათბირზე და სასამართლო პროცესზე,

¹ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათამცოდნეობა ანუ პალეოგრაფია. თბ., 1926, გვ. 127 – 128.

² რომ გუბაზ მეფის მკვლელთა გასამართლების პროცესზე სტენოგრაფისტები იყვნენ, ამას თვით აგათია გადმოგვცემს. აგათიას გადმოცემით, მთავარი მოსამართლე, სენატორი «ათანასი თავისი ღირსების შეგნებით დაჯდა ერთ მაღალ სავარძელზე, ქლამიდში გამოწყობილი, როგორც ეს სჩვევიათ ბრწყინვალე მთავრებს. მასთანვე იყვნენ კაცნი, რომელთაც **ივოდნენ სწრაფი წერა** და დაწერილის წაკითხვა სხაპასხუპით.

ნამდვილად წარმოთქმული სიტყვებია და არა პოეტ-ისტორიკოსის აგათიას მიერ შეთხზული; თანაც ეს ისეთი სიტყვები იყო, რომლებიც „მალემწერალთა“ მიერ იყო ჩაწერილი.

ჩვენი მეცნიერების მორიგი ამოცანაა შევისწავლოთ ეს სიტყვები, როგორც ქართული მჭევრმეტყველების ძეგლები. სამწუხაროდ, ეს სიტყვები ამ თვალსაზრისით შესწავლილი არ არის¹, ე. ი. უნდა იქნეს გამორკვეული, თუ რა დარგის მჭევრმეტყველებას მიეკუთვნებიან ეს სიტყვები და რა ნაწილებისაგან შედგებიან ისინი.

ჩვენმა წინაპრებმა კარგად იცოდნენ, რომ იყო სამი დარგი მჭევრმეტყველებისა: 1) სათათბირო, 2) საპოლემიკო, 3) საზეიმო. იოანე პეტრიწი ასე განმარტავს რიტორიკის დარგებს: «სამად განიყოფების: თანამზრახვალობისა, მეპაექრობისა და დღესასწაულობისა»². რომ ეს დარგები შევადაროთ ბერძნულ რიტორიკაში ცნობილ დარგებს, მივიღებთ შემდეგ სურათს; ბერძნულ რიტორიკაში მიღებული იყო შემდეგი კლასიფიკაცია: γένος σμψισλευτικόν (დარგი სათათბირო-პოლიტიკური), γ. δικαιικόν (დარგი სამოსამართლო) და γ. πανευρικόν (დარგი საზოგადოებრივი ანუ საზეიმო). ე. ი.

γ. σμψισλευτικόν		თანამზრახვალობისა
γ. δικαιικόν		მეპაექრობისა
γ. πανευρικόν		დღესასწაულობისა

როგორც ჩანს, ბერძნული რიტორიკის ეს სამი დარგი ცნობილი იყო საქართველოში იოანე პეტრიწამდე. ჯერ კიდევ ეფრემ მცირისეულ თარგმანში გრიგოლ ნაზიანზელის სიტყვა-ეპიტაფიისა სწერია: «სამნი სახენი არიან რიტორებრისა სწავლულებისა გამომეტყუელებისანი – თანაგამზრახობითი და სადღესასწაულობითი»³.

¹ სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ ამ სიტყვების შესწავლას უკვე შეუდგა დოც. ნ. კანდელია, რომელმაც თავის, დიდის გულმოდგინებით და საქმის ცოდნით შედგენილ წიგნში „ქართული მჭევრმეტყველება“ (თბ. 1958) თავი მოუყარა ქართული მჭევრმეტყველების ძეგლებსა და მასალებს და წინასწარი ნარკვევიც დაურთო ამ კრებულს.

² იოანე პეტრიწის შრომები II (1937), გვ. 223.

³ იხ. იოანე პეტრიწის შრომები, ტომი I (თბ. 1938/1940), გვ. XLII. – ზემოთ მოყვანილ ტექსტში ეფრემ მცირის თარგმანისა, გადამწერთა შეცდომის გამო, რიტორიკის მხოლოდ ორი დარგია დასახელებული: თანაგამზრახობითი

დასახელებული სამი დარგიდან აგათიას მიერ მოყვანილი სიტყვები უნდა მიეკუთვნოს: 1) თანანზრახვალობის დარგს (აიეტისა და ფარტაზის სიტყვები) და 2) მეპაექრობის დარგს (გუბაზის მკვლელთა გასამართლების დროს კოლხთა წარმომადგენლების მიერ წარმოთქმული სიტყვა და გუბაზის მკვლელის რუსტიკეს სიტყვა).

უნდა ვიფიქროთ, რომ კოლხეთის რიტორიკულ სკოლაში მიღებული «რიტორებრი სწავლულება» აგებული იყო მსგავსად იმ რიტორიკისა, რომელიც მაშინდელ მოწინავე მსოფლიოში იყო გაბატონებული. და ამიტომ ჩვენ უნდა მოვიშველიოთ ბერძნულ რიტორიკაში ცნობილი სტრუქტურა წარმოსათქმელი სიტყვებისა და ამის მიხედვით შევისწავლოთ იმ სიტყვების სტრუქტურა, რომლებიც გადმოცემული აქვთ პროკოპი კესარიელსა და აგათიას. ასეთი შესწავლა გამოავლენს აგრეთვე იმ სპეციფიკურ თვისებებს, რომლებიც ექნებოდა კოლხეთის რიტორიკულ „სწავლულებას“.

და სადღესასწაულობითი, გამოტოვებულია მესამე დარგი („მეპაექრობითი“). დოც. ნ. კანდელაკი ფიქრობს (დასახ. შრომა, გვ 83), რომ აქაც სამი დარგია დასახელებული: გამომეტყულებისანი, თანაგამზრახობითი და სადღესასწაულობითი. მაგრამ სიტყვა გამომეტყულებისანი ეკუთვნის წინა გამოთქმას: ს ა მ ნ ი ს ა ხ ე ნ ი არიან რიტორებრისა სწავლულებისა გ ა მ ო მ ე ტ ყ უ ე ლ ე ბ ი ს ა ნ ი.

ლიბანიოსი

(314 – 393)

ლიბანიოსი დაიბადა ანტიოქიაში, განათლება მიიღო ჯერ იქვე და შემდეგ ათენში. 341 წელს მან გახსნა საკუთარი სკოლა კონსტანტინეპოლში, მაგრამ, სხვადასხვა გარემოებათა გამო, ის იძულებული იყო დაეტოვებინა სატახტო ქალაქი და სკოლა ნიკომედიაში გადაეტანა. 354 წელს, კეისარ კონსტანტინის ნებართვით, ის დაუბრუნდა თავის მშობლიურ ქალაქს, ანტიოქიას, სადაც ის დარჩა სიკვდილამდე.

ჩვენამდე მოღწეული შრომები ლიბანიოსისა 6 ჯგუფად განიყოფება:

1. სიტყვები (λιγυι),
2. დეკლამაციები (μελέται),
3. წინავარჯიშობანი (προγυμνάσματα),
4. დემოსთენეს ცხოვრება და მისი სიტყვების შინაარსები (ὑποθέσεις τῶν λόγων Δημοσθένους),
5. ἐπιστολιματοι χαρακτηρες,
6. წერილები.

ლიბანიოსის საუკეთესო მცოდნედ ითვლება Förster-ი, რომელსაც ეკუთვნის მთელი რიგი გამოკვლევები ლიბანიოსზე და მის თხზულებათა უკანასკნელი გამოცემა:

Libanii opera v. v. 1 – IV, Lipsiae 1903 – 1908; v. v. V – VI, Lipsiae 1910 – 1911; v. VII, Lipsiae 1913; v. VIII – XI, Lipsiae 1914 – 1922.

ძველი გამოცემა: Libanii Sophistae Orationes et Declamationes ad fidem codicum manuscriptorum recensuit J. Jacobus Reiske (voll. I – IV). Altenburgi 1791 – 1797.

ლიბანიოსი არის ატიციისტური რიტორიკული პროზის წარმომადგენელი. ნეოპლატონიკოს იულიანე განდგომილთან და მის წრესთან ახლო კავშირმა და აგრეთვე ქრისტიანობის საწინააღმდეგო განწყობილებამ მიიყვანა ის პლატონიზმთან. ის აქებს იულიანეს, რომელიც ღმერთებს მსხვერპლებსა სწირავს. ის სარგებლობს ყოველი შემთხვევით, რომ ქრისტიანობისა და მის მსახურთა წინააღმდეგ გაილაშქროს.

ლიბანიოსი განთქმული იყო მთელს აღმოსავლეთში. მისი ნაშრომები ფართოდ იყო გავრცელებული და კლასიკურად აღიარებული. მე-9 საუკუნის ცნობილი მოღვაწე და ლიტერატორი ფოტიოსი მას უწოდებს „ატიკური მეტყველების კანონსა და საზომს“. ლიბანიოსი, როგორც სოფისტი და რიტორი, ცნობილია თავისი „სიტყვებით“ და „წერილებით“. ამ უკანასკნელებში უკეთ მოჩანს მისი პირადი ცხოვრება, მისი ურთიერთობა მოწაფეებთან და მეგობრებთან. ჩვენამდე მოღწეულია 1605 ბერძნული წერილი, მიწერილი მოწაფეებისადმი, მეგობრებისადმი და სხვა პირებისადმი. „ლიბანიოსის წერილების ადრესატთა შორის ჩვენ გვხვდებიან მაშინდელი სახელგანთქმული პირები აღმოსავლეთის ქვეყნებიდან; საგანგებო პატივისცემად ითვლებოდა მისგან წერილის მიღება“¹.

ნეოპლატონიკოს იულიანესთან მეგობრულ ურთიერთობაში მყოფი, პლატონიზმის დებულებათა საფუძველზე მოაზროვნე და ქრისტიანობისადმი მტრულად განწყობილი რიტორი ლიბანიოსი ახლო კავშირშია ბაკურთან. ბაკურს შეუძლია მივიდეს მასთან რადროსაც სურს, დაუკონოს ლოყები და მთელი ღამეები უჯდეს მას გვერდით. რას აფასებს ლიბანიოსი ბაკურის პიროვნებაში?

ლიბანიოსს თავის წრეში ხშირად აქვს საუბარი ბაკურის შესახებ. ყველანი აქებენ ბაკურს: ზოგი აქებს მის სამართლიანობას (δικαιοσύνη), ზოგი მის რწმენას ღმერთებისადმი (πίστεύς), ზოგს მოსწონს კიდევ მისი ზომიერება, სიბრძნე და გულადობა. მაგრამ თვით ლიბანიოსს ბაკურის ღირსებათაგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნია ის, რომ ბაკურს უყვარს ლოგოსები და ისინიც, ვინც ამ ლოგოსებს მისდევენ. ამიტომ ბაკური საყვარელია ღმერთებისათვის, რომელთა მიერ არის ნაბოძები ეს ლოგოსები (λόγοι).

რა არის ეს „ლოგოსები“, რომელთა სიყვარულსაც საგანგებოდ უფასებს ლიბანიოსი ბაკურს?

ბერძნული λόγοι მრავალნაირი მნიშვნელობისაა: სიტყვა, მოთხრობა, ანგარიში, მნიშვნელობა, გონება, მსჯელობა, ყურადღება და მრავალი სხვა. ლიბანიოსის წერილების ერთი ძველი გამომცემელი კიდევ სთარგმნის ამ ადგილს ლათინური სიტყვით litteras².

¹ Christ, Geschichte der griechischen Litteratur II, 800 – 801.

² Libanii epistolae, edidit, latine convertit... Joannes Ghr. Wolfius. Amsterdami 1738.

მაგრამ საკმარისია გადავიკითხოთ ლიბანიოსის სხვა ნაწერები, რათა დავრწმუნდეთ იმაში, რომ აქ *λόγιο* ნიშნავს „რიტორიკულ ხელოვნებას“.

ასე, მაგალითად, თავის განთქმულ მე-18 სიტყვაში, რომელიც წარმოთქვა მან იულიანეს საფლავზე, ის რამდენჯერმე ხმარობს ამ ტერმინს სწორედ „რიტორიკული ხელოვნების“ მნიშვნელობით. „განა ვინმეს შეუძლია დაასახელოს იმაზე უფრო უდიდესი ღვაწლი, ვიდრე ის რომ უკიდურესი უგულვებლყოფიდან დიდ პატივში აიყვანო ღმერთები და ღმერთების უდიდესი საჩუქარი – სიტყვის ხელოვნება (*θεῶν τε καὶ θεῶν δῶρον τὸ μέγιστον – τοῦς λόγιος*) და ყოველი მგზავრობის დროს შენი თავი სოფისტების განკარგულებაში გადასცე?“¹.

იმავე სიტყვაში, ცოტა ზევით, ლიბანიოსი აქებს იულიანეს იმისათვის, რომ მან შეუქმნა სოფისტებს და რიტორიკას საუკეთესო პირობები. „ამ დროიდან კვლავ ფართოა მდელი სიბრძნისა. ისევ დაედო პატივი იმ პირთ, რომელნიც ფლობენ სიტყვის ხელოვნებას (*τῶν λόγων*) და სოფისტთა საქმეები უკეთესად წარმართა“².

ექვს გარეშეა, რომ ამ ორსავე შემთხვევაში ტერმინი *λόγιο* (ნათ. მრ. *λόγων*) ნიშნავს „რიტორიკულ ხელოვნებას“. სოფისტთა საქმეები კარგად წავიდა, მათ კვლავ მოაწყდნენ მოწაფეები, იმიტომ რომ იულიანემ ხელი შეუწყო „ლოგოსებს“ (რიტორიკას). პირველ მაგალითშიც ნათქვამია, რომ იულიანემ დიდ პატივში აიყვანა „ლოგოსები“. და ამის დასამტკიცებლად ლიბანიოსი ასახელებს იმას, რომ იულიანე ყოველი თავისი მგზავრობის დროს მჭიდრო ურთიერთობაშია სოფისტებთან, რიტორიკული ხელოვნების ოსტატებთან. მაშასადამე, არავითარი ეჭვი არაა, რომ ბაკურისადმი მიწერილ წერილშიც *λόγιο*, ნიშნავს „სიტყვის ხელოვნებას“, „რიტორიკულ ხელოვნებას“³.

¹ Libanii opera, ed. Foerster, II, გვ. 306.

² Libanii opera, ed. Foerster, II, გვ. 305.

³ „ლოგოსების“ შესახებ ჩვენს ამ შეხედულებას, რომელიც პირველად 1940 წელს განვაკითხარეთ „ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის“ I ტომში მოთავსებულ ნარკვევში, არ იზიარებს პროფ. შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, რომელიც „ქართული ფილოსოფიის ისტორიის“ I ტომში წერს (გვ. 111): „საეჭვოა ვიფიქროთ, რომ აქ „ლოგოსები“ ნიშნავდნენ როგორც ხანდისხან ფიქრობდნენ, მჭერმეტყველებაში დაოსტატებას. მართალია, ბერძნული სიტყვა „ლოგოსი“ ნიშნავდა სიტყვასაც და სიტყვის საშუალებით გამოთქმულ აზრსაც, მაგრამ იმავე დროს

აქვე შევნიშნავთ იმასაც, რომ ლიბანიოსი ბაკურის წერილშიც, ისევე როგორც მე-18 სიტყვაში რიტორიკულ ხელოვნებას უწოდებს „ღმერთების საჩუქარს“. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ მე-18 სიტყვაშიც და ბაკურისარმი გაგზავნილ წერილშიც ლიბანიოსი ხმარობს „მდელოს“ (λειμῶν). მე-18 სიტყვაში ის ამბობს, რომ კვლავ აყვავდა მდელო სიბრძნისა, და, როგორც მომდევნო განმარტებიდან ჩანს, აქ იგულისხმება რიტორიკული ხელოვნების წიაღი, რიტორიკული ხელოვნების საგანძური. ასევე ბაკურს ეძახის ის მდელოს: „ჩვენ რომ ასეთ ყვავილებში ვტრიალებდით, შენ რასაკვირველია იყავი მდელოო“, ესე იგი ლიბანიოსი და მისი მეგობრები რომ საუბრობდნენ, სიტყვებს რომ ამბობდნენ, წყარო ამ სიტყვებისა იყო თვით ბაკური: ისინი თავის „ყვავილებს ღებულობდნენ მდელოდან“.

წერილები ბაკურის შესახებ და ბაკურთან

წერილები 963 და 964 დაწერილია ლიბანიოსის მიერ ერთად, ვინაიდან ორივე წერილში ლაპარაკია ბაკურის ჩამოსვლაზე ანტიოქიაში, ხოლო პირველი წერილი, რომელიც კონსტანტინე-პოლშია გაგზავნილი არისტენეტე უმცროსის სახელზე, დაწერილი უნდა იყოს 392 წლის ზაფხულის მეორე ნახევარში: არისტენეტე იქ უკვე ქალაქის პრეფექტად არჩეულად ჩანს, ხოლო 392 წლის 25 ივნისს პრეფექტად ჯერ კიდევ Proculus იყო (O. Seeck, Die Briefe des Libanios, zeitlich geordnet. Berlin 1906, გვ. 462).

ღმერთსაც ნიშნავდა. უნდა ითქვას, რომ ქრისტოლოგიისათვის „ლოგოსით“ აღინიშნებოდა მეორე იპოსტასი, ე. ი. პირი სამებისა. ამ სიტყვის ფილოლოგიური ინტერპრეტაცია ამ შემთხვევაში არ გამოდგება“ (და აქვე მითითებულია ჩვენი 1940 წლის ნარკვევი „ლიბანიოსი და ბაკური“). ესე იგი პროფ. შ. ნუცუბიძე ფიქრობს, რომ ლიბანიოსთან λῆγει ნიშნავს „ღმერთებს“. მართალია, ქრისტოლოგიაში „ლოგოსი“ ნიშნავს სამების მეორე პირს, ქრისტეს, ხოლო „ლოგოსები“ ამ გაგებით არ არსებობს. თუ „ლოგოსები“ ნიშნავს „ღმერთებს“, მაშინ უაზრო გამოდის გამოთქმები, რომლებიც ნახმარი აქვს ლიბანიოსს: «შენ გიყვარს ლოგოსები და ისინიც, ვინც ლოგოსებს მისდევენ, რისთვისაც შენ საყვარელი ხარ ღმერთებისათვის, რომელნიც ზრუნავენ ლოგოსებზე»; «ხომ ზრუნავენ ლოგოსებზე ისინი, რომლებმაც ეს (ლოგოსები) მოგვცეს». გამოდის, რომ „ღმერთები ზრუნავენ ლოგოსებზე“, ე. ი. „ღმერთები ზრუნავენ ღმერთებზე“, ან და: „ღმერთებმა მოგვცეს ლოგოსები“, ე. ი. „ღმერთებმა მოგვცეს ღმერთები“(!).

წერილი 980, ბაკურთან მიწერილი, გაგზავნილია კონსტანტინეპოლში 392 წელს, ე. ი. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ის გაგზავნილია 963 და 964 წერილებზე ადრე.

წერილი 980

(392 წლისა)

ბაკურის

1. Τὰ γράμματά σου τοὺς περὶ σου κατέλαβε λόγους, οἷς μετὰ τῶν φίλων εἰσώψαμεν ποιεῖσθαι μεγάλην ἔχοντες ἠδονὴν ἐν τοῖς ἐπαίνοις οἷς ἢ σὴ φύσις ποιεῖ.

2. Ἄιδει δὲ ὁ μὲν τὴν δικαιοσύνην καὶ τὸ πεπεισθαι τὰν τῇ γῆ πραττόμενα πάντα τοὺς θεοὺς καὶ ἑρᾶν καὶ εἰδέναι, ὁ δὲ τὴν σοφροσύνην καὶ τὸ τῶν ἐπιθυμιῶν ἀρχειν μᾶλλον ἢ τῶν στρατιωτῶν, ἄλλος δὲ τὴν σοφίαν παρ' ἧς σοὶ τὸ κρατεῖν ἐν τοῖς ὅπλοις.

ვილებს, ვიდრე ჯარისკაცებს. სხვა კიდევ აქებს შენს სიბრძნეს, რომლის წყალობითაც იმარჯვებ ხოლმე ბრძოლაში.

3. Ἦδη δὲ τις εἶπεν ὡς οὐδεις φόβος οὐδενὸς κινδύνου τῆς ψυχῆς ἦψατό σου. Μέγιστον δὲ μοι τῶν σῶν ἐφαίνετο τὸ λόγων τέ σε καὶ τῶν τούτους ἐργαζομένων ἑρᾶν, ἀγῆ' ὦν εἶχαι σε φίλον θεοῖς οἷς μέλει λόγων· μέλει. δὲ τοῖς αὐτοῖς δεδωκόσι.

დევენ, რისთვისაც შენ საყვარელი ხარ ღმერთებისათვის, რომელიც ზრუნავენ ლოგოსებზე. ხომ ზრუნავენ ლოგოსებზე ისინი, რომლებმაც ეს (ლოგოსები) მოგვცეს.

შენი წერილი შეიცავდა ისეთ აზრებს შენ შესახებ, როგორსაც, ჩვეულებრივ, მეგობრების წრეში გამოვთქვამთ ხოლმე, რადგან დიდს სიამოვნებას განვიცდით იმ ქებათაგან, რომელთაც გძენს შენი ბუნებრივი ნიჭი.

ზოგი აქებს შენს სამართლიანობას და იმას, რომ შენ დაჯერებული ხარ იმაში, რომ ყველაფერი, რაც ქვეყანაზე ხდება, ღმერთებმა იციან და ხედავენ. ზოგი კიდევ ადიდებს შენს ზომიერებას და იმას, რომ უფრო მეტად მზრძანებლობ ვაება-სურ-

იყო ისეთიც, რომელიც ამბობდა, რომ შენს სულს არ მიჰკარებია არავითარი შიში რაიმე საფრთხის წინაშე. მე კი შენ ღირსებათაგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანად მეჩვენება ის, რომ შენ გიყვარს ლოგოსები და ისინიც, ვინც ლოგოსებს მის-

4. Ἐν τοιοῦτοις τοίνυν ἀνθε-
σιν ἡμῶν διατριβόντων, σὺ δ' ἦσθα
δήπουθεν ὁ λειμών, ἐνέθηκέ μου
ταῖς χερσίν ὁ φέρων σου τὴν ἐπισ-
τολὴν πίστιν ἔχουσαν τοῦ σοῦ
περὶ λόγους ἔρωτος.

5. Τὸν γὰρ ἐν φροντίσει πολε-
μικῶν ζῶντα καὶ τοιοῦτων ἐν μέ-
σῳ πραγμάτων ζῶντα ἀνθρώπων
ἐν λόγοις ἐν ἑαυτῷ περιφέρειν καὶ
τιμᾶν μὴ τῷ μεμνησθαι μόνον,
ἀλλ' ἦδη καὶ γράμμασι πῶς οὐ
κοσμοῦντος ῥητορικῆν ἐν τοῖς πρὸς
τοὺς λέγοντας γιγνομένοις;

6. Ἐμὲ δὲ πολλαῖς ὀρμή-
σαντα πρὸς ἐπιστολὴν ἦν τι τὸ
καλῶν, οὐ ταῦτόν μὲν αἶε, αἶε
δὲ ἦν, τῶν θεῶν σοι καὶ τοῦτο
διδόντων, ὡς ἂν μάλλον εὐδοκι-
μοίης. οὐ γὰρ ἴσον ἐπιστεῖλαι
πρότερον ἢ ἀντεπιστεῖλαι (Liba-
nii opera, ed. Förster, v. XI,
p. 183—184).

ჩვენ რომ ასეთ ყვავილებში
ვტრიალებდით, შენ, რასაკვირ-
ველია, იყავი მდელი; ამ დროს
ხელში ჩამიდო მისმა მომტანმა
წერილი, რომელიც არის საბუთი
შენი სიყვარულისა ლოგოსები-
სადმი.

5. რომელი ადამიანიც ცხოვ-
რობს საომარ საქმეებზე ზრუნ-
ვით და ამგვარი საქმეების შუა-
გულშია, თავისთავთან მართავს
საუბარს და პატივისცემას გამო-
ხატავს არა მარტო მოგონებით,
არაზედ წერილითაც. რატომ არ
ამკობს ის რიტორიკას მთქმელ-
თა მიმართ მომხდარ ამბებში?

6. მე ხშირად [დამმართნია],
რომ საწერად რომ განვეწყობო-
დი, რაღაც დაბრკოლება გადა-
მეღობებოდა, ყოველთვის ერთ-
ნაირად კი არა; ხოლო მუდამ
ასე იყო, და როდესაც ღმერთები
შენ ამას მოგცემენ, უფრო მეტ
პატივში იქნები, ვინაიდან არ
არის ერთიდაიგივე, შეუთვლი თუ
წერილობით შეატყობინებ.

წერილი 963

(392 წლისა)

არისტენეტეს

1. Ἦκεν ἡμῖν γράμματα κα-
λὰ παρὰ καλοῦ διὰ καλοῦ, παρὰ
σοῦ καλῶς ἔχοντα διὰ Βακουρίου
τοῦ λάμποντος μὲν τῷ σώματι,
φυγῆν δὲ ὁμοίαν ἐκείνῳ παρεχο-
μένῳ.

1. მოგვივიდა კარგი წერილი
კარგი კაცისაგან და კარგი კა-
ცის ხელით; შენგან, რომელიც
კარგი ხარ, და ბაკურის ხე-
ლით, რომელიც სხეულითაც
ბრწყინავს და სულიც მას ასე-
თივე აქვს.

2. Σὺ δ' ἡμῶν ἐρῶν οὐκ ἀρ-
καεῖν σοι τοῦτο νομίζων προσέθη-
κας σαυτῷ τὸν χρηστὸν Βακού-
ριον καὶ ἔρωτός γε ἐμπλήσας Ἰσοῦ
θεῦρο ἐπεμψας, ὥστ' οὐ μόνον ὡς
ἡμᾶς ἀνέβη διὰ τῆς στενῆς θύρας,
ἀλλὰ καὶ εὐθύς καὶ ἐσπέρας καὶ
θρόμφῳ φιλήσας τὲ μοι τὸ πρόσω-
πον καθ' ἕκαστον τῶν μερῶν
καθιζάνει τε πλησίον καὶ χάριν
αἰτεῖ δοῦναι αὐτῷ βλέπειν εἰς ἐμὲ
πολὺν χρόνον. Μικρὸν δὲ ἔφασκε
καὶ τὴν νύκτα ὄλην ἔσεσθαι.

3. Οὐκ ἐλάνθανεν οὖν με,
τίς ἡμῖν τοιοῦτον τὸν ἄνδρα πε-
ποίηκε καὶ πόθεν τὸ βέλος. Χαρι-
ζόμενος δὲ μοι τοῖς περὶ ἐμὲ πρατ-
τομένοις εὐφραინε καὶ τοῖς περὶ
σοῦ λεγομένοις. Ἐν οἷς ἦν ἢ τε
δικαιοσύνη καὶ τὸ δόξης ἐπιθυ-
μεῖν σε καὶ τὸ χρημάτων ὑπερο-
ρᾶν καὶ τὸ πολλοῖς ἐπαίνοις στε-
φανοῦσθαι, τοῖς μὲν ὑπὸ τῆς με-
γάλης βουλήs, τοῖς δ' ὑπὸ τοῦ
σωφρονοῦντος δήμου, τοῖς δ' ὑπὸ
τοῦ θείου στόματος.

მხრით კეთილგონიერი დემოსის მიერ და აგრეთვე ღვთაებრივი პირის მიერ ¹.

4. Οὐκοῦν καὶ χαίρειν με
καὶ εὐχέσθαι δεῖ· τὸ μὲν γὰρ πρό-
πει τοῖς ἐρωμένοις, τὸ δὲ τῷ μέλ-
λοντι χρόνῳ (Libanii opera, ed.
Förster, v. XI, p. 167—168).

2. ჩვენდამი ძლიერი სიყვარუ-
ლით აღტყინებული შენ ფიქრობ,
რომ ეს არ კმარა, და შენს თავს
მიუმატე ნიჭიერი ბაკური და,
აღვსე რა თანაბარი სიყვარუ-
ლით, გამოგზავნე აქეთ, რათა
ჩვენთან ამოსულიყო არა ვიწრო
კარით, არამედ პირდაპირ, საღა-
მოთიცი და რბენით. პირზე მა-
კოცა, თითოეულ ნაკვთში ცალ-
ცალკე. მომიჯდა გვერდით და
მთხოვა ნება მიმეცა ეცქირა ჩემ-
თვის დიდი ხანს.

3. დაფარული არ არის ჩემ-
თვის, თუ ვინ მომგვარა მე ასე-
თი კაცი და საიდან არის ისარი.
უზომოდ გამახარა და მასია-
მოვნა მან იმით, რაც ჩემთვის
გააკეთა, და იმით, რაც შენ
შესახებ მითხრა. ამათ შორის
იყო როგორც სამართლიანობა,
ისე ის, რომ შენ გეწადა დიდება,
და რომ არაფრად აგდებ ფულს,
და რომ მრავალი ქებით ხარ
შემკული, ერთი მხრით დიდი
საბჭოს მიერ, ხოლო მეორე

4. მაშასადამე, საჭიროა მე მი-
ხაროდეს და ვლოცულობდე:
პირველი მართებს შეყვარებუ-
ლებს, ხოლო მეორე მომავალ
დროს.

¹ θείον στόμα „ღვთაებრივი ბაგეები“; ამ გამოთქმით ბერძნები „მისანს“ და „მისნობას“ აღნიშნავდნენ.

წერილი 964

(392 წლისა)

ლეონტის

1. Δοῦς τὴν ἐπιστολὴν τὴν Ἀρισταίνετου Βακούριος, ἐπειδὴ ἀνέγνωστό τε καὶ μεθ' ἡδονῆς, αὐτῇ δὲ ἔφη σοι (παρὰ) Λεόντιου. Ποῖου—ἔφη—Λεόντιου; ὁ δ' ἀπεκρίνατο—τοῦ λογογράφου (Libanii opera, ed. Förster, v. XI, p. 168).

1. მის შემდეგ რაც არისტენეტეს წერილი გადმომცა და ის მე წავიკითხე, დიდის სიამოვნებითაც, ბაკურიმ მითხრა: „აი, ესეც ლეონტისაგან არის შენთან“. – „რომელი ლეონტისაგან“ კვითხე მე. იმან კი მიპასუხა: „ლოგოგრაფოსისაგანო“¹.

ლიტერატურა ბაკურის შესახებ

- 1) Georgii Monachi Chronicon II, 591 – 592, ed. de Boor.
- 2) Ammiani Marcelini Rerum pestaum libri, rec. V. Gardthausen. I IL Lipsiae 1874 – 1875; ბაკურზე: lib. XXXI 12, 16 (იხ. აქვე 144).
- 3) Rutinus (იხ. აქვე ქვემოთ).
- 4) ს. ყ ა უ ხ ი შ ვ ი ლ ი, ლიბანიოსი და ბაკური: ქუთ. პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 13 – 20. ქუთაისი 1940.
- 5) ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია I², თბ. 1928. გვ. 184 – 215.

1 ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში იყო კამათი იმის შესახებ, თუ რომელ ბაკურზეა აქ ლაპარაკი და რა კავშირშია ის იმ ბაკურთან, რომელსაც პეტრე ქართველის ცხოვრების აღმწერელი იხსენიებს როგორც პირველ ქრისტიან მეფეს. დღეს არსებული ლიტერატურის საფუძველზე (კ. ვეკელიძე, ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები: „მომომხილველი“, თბილისი 19426, გვ. 1 – 63; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია I, 184 – 215; ს. ყ ა უ ხ ი შ ვ ი ლ ი, გელასი კესარიელის ცნობები საქართველოს შესახებ: „მომომხილველი“, თბ. 1926, გვ. 54 – 68), – ჩვენის აზრით, შეიძლება იმ დასკვნას დავადგეთ, რომ 90-იან წლებში მამაცად მებრძოლი სარდალი არ შეიძლება იყოს იგივე პიროვნება, რომელსაც წყაროები იხსენიებენ იზერიის მეფედ 30-იანი წლებისათვის (როდესაც ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ვარაუდობს ქართლის მოქცევას), ან თუნდაც 50-იანი წლებისათვის (როდესაც კ. ვეკელიძე სდებს ქართლის მოქცევის თარიღს).

6) კ. კეკელიძე. ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები: „მიმომხილველი“, თბ. 1926, გვ. 1 – 53.

7) ს. ყაუხჩიშვილი, გელასი კესარიელის ცნობები საქართველოს შესახებ: „მიმომხილველი“, თბ. 1926, გვ. 54 – 68.

8) გ. გოზალიშვილი, არის თუ არა ბერძნულ-ლათინური წყაროების ბაკური იბერიის მეფე? თბ. 1947.

10. O. Seeck, Die Briefe des Libanios, S. 94; „Bacurius – Tribunus Sagittariorum im Jahre 378, Dux Palaestinae, Comes Domesticorum im J. 394“.

11. G. Sievers, Das Leben des Libanios. Berlin 1868, p. 271.

აეტი სკვითთა მეფე

ლიბანიოსის თხზულებებში ხშირად იხსენიებიან არგონავტთა ლაშქრობასთან დაკავშირებული პერსონაჟები: იაზონი, მედეა და აეტი.

ამჟამად ყურადღებას მივაქცევთ ლიბანიოსის შრომას Pro-gymnasmata ¹, რომლის ერთ-ერთ თავში: სათაურით Ἡθιοποιία ლაპარაკია მედეაზე: Τίνας ἀν εἶποι λόγιος Μήδεια μέλλουσα ἀποσφάπτειν τοὺς ἔαυτῆς παῖδας („რა სიტყვებს იტყოდა მედეა თავისი შვილების დაკვლის წინ?“ ² Libanius, ed. Fuerster, VIII, 372).

მეორე ასეთსავე წერილს სათაურად აწერია: Τίνας ἀν εἶποι λόγιος Μήδεια γαμοῦντος ἑτέραν Ἴασονος („რა სიტყვებს იტყოდა მედეა, იაზონი რომ სხვა ქალს ირთავდა?“ Libanius, ed. Foerster, VIII, 413).

¹ „პროგიმნაზმატა“ ანუ „წინასწარი ვარჯიშობანი“ წარმოადგენს რიტორიკულ სკოლაში სახმარებელ (მსჯელობათა სხვადასხვა სახის) ნიმუშთა კრებულს. იყო გამოთქმული აზრი, რომ ეს კრებული ლიბანიოსს არ ეკუთვნის, მაგრამ ეს აზრი გაზიარებული არ არის.

² ეს უნდა მომდინარეობდეს ევროპიდან „მედეადან“. კავშირი აქვს აგრეთვე ოვიდიუსის „ჰეროიდებში“ მოთავსებულ წერილთან „მედეა იაზონს“ (იხ. RE XII, 2521; რ. ფერსტერის სტატია).

ამ წერილების მნიშვნელობა ჩვენთვის იმაში გამოიხატება, რომ კოლხთა ქვეყანას აქ ეწოდება „სკვითთა ქვეყანა“, აეტს ეწოდება „სკვითთა მეფე“, ხოლო მედეას „სკვითთა მეფის ასული“. მაგალითად:

Οὐδὲν ἐξ̄ με τῶν δικαίων
ἐξετάζειν τὸ πλῆθος καὶ τὸ μέγε-
θος τῶν ἐμῶν κακῶν, ἀλλ' ἔταν
λογίσωμαι τί δράσασα τίνων ἀπο-
λέλαυκα, πάντα πρὸς δίκην ἤγισ-
μαι μικρά. Αἰήτης ἐμοὶ πατήρ
καὶ Σκυθῶν ἦν βασιλεύς. Καὶ
παρθενία καὶ φήμη βελτίων καὶ
πολλοὶ τῶν ἐν τέλει μνηστῆρες
καὶ τῶν παρόντων ἐλπίδες ἀμεί-
νους (ed. Foerster VIII, 373).

არავითარი კანონი არ მრთავ-
და მე ნებას ჩამედინა ამდენი
და ასეთი ბოროტება, მაგრამ,
როდესაც მე ავწონ-დავწონი,
თუ ჩემი მოქმედებით რა სია-
მოვნებას ვეწიე, მივდივარ იმ
დასკვნამდე, რომ ყველაფერი
ეს მცირე არის მართებულობის
თვალსაზრისით. ა ე ტ ი მ ა მ ა
ი ყ ო ჩ ე მ ი და ს კ ვ ი თ თ ა მ ე-
ფ ე. ქალიშვილობაც და სახელიც

უკეთესი მქონდა და მრავალი წარჩინებული საქმროც მთხოულობდა
და მდგომარეობის იმედებიც უფრო უკეთესი იყო.

აგათანგელოსი

„აგათანგელოსის“ სახელწოდებით ჩვენამდე მოღწეულია „სომეხთა მოქცევის“ ისტორია, რომელიც არსებითად გრიგოლ განმანათლებელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორიას წარმოადგენს.

აგათანგელოსი IV საუკუნის ავტორად ითვლება, მაგრამ ჩვენამდე მოღწეული რედაქცია მისი თხზულებისა VIII საუკუნეს ეკუთვნის და წარმოადგენს უკანასკნელ ეროვნულ რედაქციას და „სომხური ეროვნული მონოფიზიტური საეკლესიო წრეების სულისკვეთების გამომხატველია“¹.

აგათანგელოსის თხზულება VI – VIII საუკუნეებში გადაუთარგმნიათ სხვადასხვა ენებზე. „VI საუკუნეში არსებულა ელინოფილური უნივერსალური (კათოლიკე) რედაქცია, რომელიც შედგენილი ყოფილა მასრუპის მიერ და რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. სამაგიეროდ კი ჩვენამდე მოუღწევია VII – VIII ს.ს. ქალკედონისტურ რედაქციას არაბულ ენაზე, რომელიც ბერძნულიდან უნდა იყოს გადათარგმნილი“².

გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების ბერძნული ტექსტი, რომელიც აქამდე იყო ცნობილი, VII – VIII საუკუნისად იყო მიზნეული. ჯერ კიდევ 1906 წელს ივ. ჯავახიშვილი „Известность же Григория Просветителя в греческой литературе не прослеживается глубже VII века“³. მაგრამ შეიძლება ამის წინადროინდელი იყოს ის ახალი ბერძნული რედაქცია გრიგოლის ცხოვრებისა, რომლის ხელნაწერი, 1107 წელს გადაწერილი, იპოვა ჟ. გარიტმა და რომლის ტექსტი ქვემოთ მოგვყავს.

¹ ივ. ჯავახიშვილი, ძველი სომხური საისტორიო მწერლობა I (თბ. 1935), გვ. 144.

² ლ. მელიქსეთ-ბეგი, ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია თბ. 1941, გვ. 74.

³ ივ. ივ. ჯავახიშვილის საბიბლიოგრაფიო მიმოხილვა ნ. მარის შრომის შესახებ (Крещение армян, грузин...): Византийский Временник XII (1906), გვ. 433.

Πράξεις καὶ μαρτύριον τοῦ ἁγίου καὶ ἐνδόξου
ἱερομάρτυρος Γρηγορίου τῆς Μεγάλης Ἀρμενίας

92. Ὁ δὲ βασιλεὺς Τιρεδά-
της, γενόμενος ἐν τῇ Οὐαλαρσα-
πατῶν χώρα, προστάξουσιν βασιλι-
καῖς ἐν γραφαῖς¹ χρησάμενος
ἐκέλευσεν πάντας, τοπάρχας² καὶ
σατράπας, γενεάρχας τε καὶ φυλάρ-
χους συνάγεσθαι πρὸς τὸν βασι-
λέα ἐν Οὐαλαρσαπάτοις, γράψας
πρὸς τε τῶν Ἰβέρων³ καὶ Ἀλβα-
νῶν βασιλεῖς, ἐν τοῖς προγράμ-
μασιν πάντα τὰ σεσυμβεβηκότα
αὐτοῖς σημάνας καὶ ἕτι χρή αὐ-
τοῖς μετὰ πολλῆς σπουδῆς παρα-
γενέσθαι.

98. Συνήλθον δὲ πρὸς τὰ
προγράμματα οἱ τρεῖς βασιλεῖς,
Λαζῶν⁵ τε καὶ Ἰβέρων⁶ καὶ Ἀλ-
βανῶν, καὶ μετὰ τοὺς βασιλεῖς ὁ
πρῶτος ἐν ἀρχῇ Ἰνγίληνης καὶ
Ἀντιστηνῆς τοπάρχης· ὁ δὲ δεύτε-
ρος τῆς Ἀρζια[νη]νῆς⁷ πιτιάνης

ხოლო ტირედატე მეფემ, რო-
დესაც ის იყო ვალარშაბათთა
ქვეყანაში, სამეფო ბრძანებებით,
რომლებიც წერილობით იყო
შედგენილი, მოუწოდა ყველას,
ადგილთა მმართველებსა და სატ-
რაპებს, ტომთა მთავრებსა და
გვართა მთავრებს შეკრებილი-
ყვნენ მეფესთან ვალარშაბათებ-
ში, და მისწერა იბერთა⁴ და
ალბანთა მეფეებს წერილები,
რომლებშიც ატყობინებდა ყვე-
ლაფერს რაც მოხდა, და [წერ-
და], რომ საჭირო იყო რაც
შეიძლებოდა მალე, დიდის სის-
წრაფით, მოსულიყვნენ.

მიწერილობებზე შეიკრიბნენ
სამნი მეფენი, მეფე ლაზთა, მეფე
იბერთა და მეფე ალბანთა და
მეფეებთან ერთად: პ ი რ ვ ე ლ ი -
ადგილთმმართველი ინგილინისა
და ანტისტენისა; მ ე ო რ ე -
დიდი პიტიახში არზიანენისა;

¹ ἐν γραφαῖς cod., ἐγγράφοις Garitte

² τοῦπάρχας cod. ³ ἰεββέρων cod.

⁴ ამის წინ ჩასამატებელია Λαζῶν καὶ. ამის საბუთად ჟ. გ ა რ ი ტ ს მო-
ჰყავს ის, რომ § 98-ის თავში (იხ.) სწერია: οἱ τρεῖς βασιλεῖς, Λαζῶν τε καὶ
Ἰβέρων καὶ Ἀλβανῶν. აკად. ნ. მარიც არაბული ვარიანტის თარგმანში უმა-
ტებს ამასვე: ad regem Abchazorum ('bh'z'). აქ, ისევე როგორც სხვაგან, «აბ-
ხაზთა» სწერია «ლაზთა» მაგიერ.

⁵ არაბ.: rex Abchazorum ('bh'z).

⁶ არაბ.: rex Georgiorum (grg 'n).

⁷ Ἀρζια[νη]νῆς-ის ადგილას არაბული ტექსტის მიხედვით სწერია
'r t n w ḡ, ესე იგი „არტანტჯ“, რაც, როგორც ეს ნათელყოფილია ჟ. გარი-
ტისა და პ. ინგოროყვას მიერ, რაღაც გაუგებრობაზეა აგებული.

ὁ μέγας· ὁ δὲ τρίτος τῶν Μέρδων
τοπάρχης· ὁ δὲ τέταρτος γενεάρχης
τῶν Ὀσπιτιανῶν ἐπάρχης,
ὅστις κα(τα)τεταγμένος ὑπῆρχεν
φυλάττειν τὰ μέρη τῶν Καυκα-
σίων ὁρέων καὶ Τζάνων¹.

159. Ὁ δὲ βασιλεὺς Τιρεδά-
της, ἅμα τῇ βασιλείᾳ Ἀσχηνη²
καὶ τῇ ἀδελφῇ Χοσροῖδοῦντα
καὶ Ἰβέροις³, Λαζοῖς³ καὶ Ἀλβα-
νοῖς βασιλεύσιν καὶ φυλάρχαις τε
καὶ γενεάρχαις, ἀπῆλθα τῷ ἀγίῳ
Γρηγορίῳ, καὶ ἀσπασάμενος αὐτόν
καὶ τὸν ὄσιον Πέτρον ἐδέχετο
πάντας τοὺς μεγιστᾶνας.

რეს, და მიიღო ყველა [მისი] დიდებულები..

163. Αὐτὸς δὲ ὁ ἅγιος Γρη-
γόριος ἔσπευδεν ἐν Βαγαβάνοις
κτίσαι ἐκκλησίαν, ἐκδοὺς ἑαυτὸν
ἐν προσευχαίς καὶ δάκρυσιν, εὐχό-
μενος τοῦ ἐμμεῖναι τὸν λαόν τῇ
παραδοθείσῃ αὐτῶν πίστει· ἅμα
δὲ τοῖς συνελθούσιν εὐλαβεστά-
τοις πρεσβυτέροις καὶ μοναχοῖς,
ἔποιεῖ δὲ καταθέσεις ἐκκλησιῶν,
καὶ τάττων ἱερεῖς ἐν ἐπισταμέ-
νους τὰς ἁγίας γραφάς, τοὺς μὲν
ἔξέπεμπεν ἐπὶ τὴν Ἰβέρων⁶ καὶ
Λαζῶν⁷ γῆν, τοὺς δὲ ἐπὶ Ἀλ-
βανίαν.

მ ე ს ა მ ე – ადგილთმმართველი
მერდებისა; მ ე ო თ ხ ე – გვარის
უფროსი ეპარხოსი ოსპიტიანთა,
რომელსაც დავალებული ჰქონდა
დაეცვა კავკასიის მთათა და
ჭანთა მხარეები.

ხოლო ტირედატი მეფე დედო-
ვალ ასხენასთან და თან დასთან
ხოსროდუსტთან ერთად, აგ-
რეთვე იბერიელ⁴, ლაზ⁵ და ალ-
ბანელ მეფეებთან ერთად, ტომ-
თა მთავრებთან და გვართა-
მთავრებთან ერთად წმინდა გრი-
გოლის შესახვედრად წავიდა,
მიესალმა მას და წმინდა პეტ-

თვითონ წმინდა გრიგოლი იჩ-
ქაროდა ბაგაბანში ეკლესია აეშე-
ნებია, და თვითონ დროს ატა-
რებდა ლოცვა-ვედრებაში და
ცრემლთა-ღვრაში, ლოცულობ-
და, რომ ხალხი დარჩენილიყო
მათ მიერ მიღებულ სარწმუნოე-
ბაში; შეკრებილ კეთილსათნო
მომღვრებთან და მონაზონებთან
ერთად, აფუძნებდა ეკლესიებს;
აყენებდა მღვდლებად ისეთებს,
რომელთაც იცოდნენ საღმრთო
წერილი; ზოგიერთებს გზავნიდა
იბერთა ქვეყანაში⁸, ხოგს ლაზთა
ქვეყანაში⁹ და ზოგს ალბანიაში.

1 τὰ μέρη τῶν Καυκασίων ὁρέων καὶ Τζάνων – ამის საზღალოდ არა-
ბულ ვარიანტი სწერის: (eustodiae) montium qwsywn (==ქუსჯუნ) et mtznywn
(მტზნჯუნ).

2 Ἰβερροῖς cod. ³ Λατοῖς cod. ⁴ არაბ.: regem Georgiorum (grž'n).

⁵ არაბ.: regem Lazorum ('lrws; უნდა იყოს lzwn).

6 Ἰβερρῶν cod. ⁷ λαζῶν cod.

⁸ არაბულ ვარიანტი: misit ad Georgiam (grž'n).

⁹ არაბ.: ad regionem Abchazorum ('b'hz).

164. Πληρωθεισῶν δὲ τῶν τριάκοντα ἡμερῶν ἅμα τοῖς πρεσβυτέροις καὶ παντὶ τῷ κλήρῳ ἔφερον ἅπαν τὸ πλῆθος ἐπὶ τὸν Ἄρσινον¹ ποταμὸν, πλησίον τῆς βασιλικῆς κώμης Βαγαβάνων. Ἦσαν δὲ ὡσεὶ τριάκοντα ἑπτὰ μυριάδες, αὐτὸς δὲ ὁ βασιλεὺς Τιρεδάτης καὶ Λαζῶν² καὶ Ἰβέρων³ βασιλεῖς Ἀλβανῶν⁴ καὶ μεγιστᾶνες, τοπάρχαι⁵, γενῶν καὶ φυλῶν ἄρχοντες καὶ πᾶσαι αἱ στρατιαὶ ἐπόμεινοι⁶ αὐτοῖς, καὶ ὑπηρησία μεγίστη, γυναῖκες, ἄνδρες, παῖδες.

170. Χειροτονήσας δὲ ἐπισκόπους ὁ ἄγιος Γρηγόριος ἐξέπεμπεν ἐπὶ πᾶσαν γῆν τῆς Μεγάλῆς Ἀρμενίας καὶ εἰς πᾶσαν χώραν, ὁμοίως καὶ πρεσβυτέρους. Καὶ ἐκ τῆς Σεβαστειανῶν χώρας Εἰρήναρχον ὀνόματι πρεσβύτερον καὶ ἡγούμενον. Οὗτος δὲ ὁ Εἰρήναρχος σεμνότατος ἦν ἐν σχήματι καὶ πολιτείᾳ ἐπαινετῇ, ἔχων καὶ πείραν πολλήν τῶν φείων γραφῶν· οὗτος καὶ ἐν τῇ εὐρέσει τῶν ἁγίων λειψάνων τῶν Τεσσαράκοντα διάκονος ἦν τοῦ τηγιαυτα ἐπισκόπου ὄντος τῆς Σεβαστείας, ἀνὴρ πολιτῆ κεκοσμημένος... Εἰς δὲ τὴν γῆν

როგორც კი შესრულდა ოცდაათი დღე, მოძღვრებთან და მთელ სამღვდელოებასთან ერთად წაიყვანა მთელი ხალხი მდინარე არსინოზე სამეუფო დაბის ბაგავანის მახლობლად. იყვნენ დაახლოვებით ოცდაჩვიდმეტი ბევრი (370.000); თვით მეფე ტირედატე, ლაზთა, იბერთა და ალბანთა მეფეები და დიდებულნი, ადგილთა მმართველნი, გვართა და ტომთა მთავარნი, და ყოველნი ლაშქარნი, მათი ქვეშევრდომნი, და მსახურნი ბევრნი, ქალები, კაცები, ბავშვები.

წმინდა გრიგოლმა აკურთხა ეპისკოპოსები და დაგზავნა დიდი არმენიის მთელ მიწაწყალზე და მთელ ქვეყანაზე, აგრეთვე მოძღვრებიც. და სებასტიელთა ქვეყნიდან ი რ ე ნ ა რ ხ ე სახელით, მღვდელი და წინამძღვარი; ეს ირენარზე იყო კაცი მეტად სათნო სქემითა და საქები მოქალაქეობით, ჰქონდა დიდი გამოცდილება საღვთო წერილში: ის ორმოც მოწამეთა წმინდა ნეშტთა მოპოების დროს დიაკვნად იყო სებასტიის მაშინდელი ეპისკოპოსისა, იყო კაცი შემკული ჭადარიით... ხოლო ლაზთა ქვეყა-

¹ არაბულ ვარიანტში სწერია: ad flumen Euphratem.

² არაბ.: rex Tiridates et rex A b c h a z o r u m ('bh'z) et rex Georigorum (grz'n) et rex Albanorum ('II'n).

³ Ἰββερῶν cod.

⁴ აქ არეულია და უნდა წავიკითხოთ:

⁵ τοῦπάρχαι cod.

⁶ ἐπόμεινοι cod.

καὶ Ἰβέρων καὶ Ἀλβανῶν βασιλεῖς.

τῶν Λαζῶν¹ Σωφρόνιον καὶ
 αὐτὸν πρεσβύτερον ὄντα καππα-
 δόκην, καὶ αὐτὸν συνελθόντα τῷ
 ἀγίῳ· ὃν πεποιήκειν ἐπίσκοπον καὶ
 ἀπέστειλεν. Εἰς δὲ Ἀλβανίαν
 Θωμᾶν ὄσιον ἄνδρα, ἐκ τῆς τῶν
 Σαταλέων τῆς μικρᾶς πόλεως.
 Οὗτοι γὰρ πλείστοι συνηλθόν αὐ-
 τῷ, ἐν ἐπιστάμενοι τὰς ψευδοπνεύσ-
 τους γραφάς.

ნაში გაგზავნა სოფრონი, რო-
 მელიც მღვდლად იყო კაპადო-
 კიაში, და ის მოვიდა წმინდა
 გრიგოლთან ერთად: იგი ეპის-
 კოპოსად გახდა და გაგზავნა.
 ხოლო ალბანიაში გაგზავნა თო-
 მა, წმინდა კაცი, [იგი მოი-
 ყვანა] სატალელთა მცირე ქალა-
 ქიდან. ეს ისინი იყვნენ, რომელ-
 ნიც მასთან ერთად მოვიდნენ,
 იმათ კარგად იცოდნენ საღვთო
 წერილი².

ლიტერატურა აგათანგელოსის შესახებ

1. Gérard Garitte, Documents pour l'étude du livre d'Agathange. Studi e testi 127. Città del Vaticano 1946.
2. Н. Марр, Крещение армян, грузин, абхазов и ала-

¹ λαζῶν cod.

² არაბულ ვარიანტში სულ სხვანაირად არის ეს პარაგრაფი გადმოცემული: «მაშინ წმ. გრიგოლმა დაამზადა ეპისკოპოსები, – ის ხომ მთელი არმენიის კათალიკოსი იყო, – და ისინი დააგზავნა არმენიის მთელ მიწაწყალზე, და საქართველოში (grgn) და დურძუკეთის (drzqy't) ქვეყანაში და ალბანეთში. ქართველი (grgny) კაცი აიყვანა იმათგან, რომელნიც მასთან ერთად სებასტიიდან მოვიდნენ, სახელით byrbzhm * (ირენარხე), და მას მისცა მიტროპოლიტობა და გაგზავნა იგი, რათა მას ეპისკოპოსები დაედგინა მთელ საქართველოში (grg'n). მშვენიერი იყო ცხოვრების წესით, სრულყოფილი, საღვთო წერილში განსწავლული; იგი დიაკვნად იყო და დამსწრედ, როდესაც მოიპოვეს ორმოცი მოწამის ძვლები, აგრეთვე შემკული იყო ჭადარით; ამიტომაც იყო, რომ იგი ამ ხარისხზე აიყვანა. აფხაზთა ქვეყანაში ('bh'z) გაგზავნა სოფრონი (sfrwn) რომელიც მღვდლად იყო კაპადოკიაში და წმ. გრიგოლთან ერთად მოვიდა, იგი ეპისკოპოსად აკურთხა და გაგზავნა. ალბანთა მხარეში გაგზავნა თომა, კაცი რჩეული, ის იყო სატალის მცირე ქვეყნიდან. ეს იყვნენ ისინი, რომელნიც მასთან ერთად მოვიდნენ და საღვთო წერილში განსწავლული იყვნენ.

• ასე კითხულობს ქ. გარიტი, ხოლო ნ. მარი კითხულობს Ибирн-зхуа და ამ უკანასკნელში ხედავს მეგრულ სიტყვას სკუა, ე. ი. „იბერის შვილი“ (Н. Марр, Крещение... გვ. 127 და 172).

нов святым Григорием (Арабская версия): Записки Вост. отд. ИРАрх. Общ. т. XVI (1905), стр. 63 – 211.

3. И. А. Д ж а в а х о в: Византийский Временник XII (1906), 432 – 437 (რეცენზია ნ. მარის შრომაზე „Крещение армян...“).

4. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი სომხური საისტორიო მწერლობა. თბ. 1935. აქ თავი II, 1: სომეხთა მოქცევის შესახებ საისტორიო წყაროები და აგათანგელოსი, გვ. 71 – 149.

5. ლ ე ო ნ მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე გ ი, ძველი სომხური ლკიტერატურის ისტორია. თბ. 1941, გვ. 72 – 75.

6. ლ ე ო ნ მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე გ ი, ცხოვრებად წმ. გრიგოლ პართელისად. ქართული ძეგლები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემანი. 1: საეკლესიო მწერლობა № 2. თბილისი 1920. გვ. VIII+51.

7. Л. М е л и к с е т - Б е к о в, Грузинская версия Агафангелия и ее значение для грузинской историографии: Христианский Восток IV (1915), 155 – 170.

8. თ. ქ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები I, 19 – 27: თა სეკტემბერსა ლ ცხ რბ და მოქალაქობად და ამისსა შ დ წამებად წ ისა მღდელმოწამისა გრიგოლი პართელისად.

9. Н. М а р р, Описание грузинских рукописей Синайского монастыря. М. – Л. 1940, стр. 255: Рукопись № 91 (Ц. 49) – Житие святых. Содержит; 1) [30 сентября] Житие Григория Просветителя. Нач.: რკთ: და საბელნი იგი მოაბნეს შეშათა აღმართულთა: და ლამპრებითა სწუვიდეს ასოთა მისთა...
Рукопись... не ранее XIV века.

ამიანე მარცელინე

ამიანე მარცელინე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ

ანტიკური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენლის ამიანე მარცელინეს ცხოვრების აღწერა, ისევე როგორც ანტიკურობის ბევრი სხვა გამოჩენილი მოღვაწისაც, თითქმის მხოლოდ მისივე თხზულებიდან მკვლევართა მიერ დიდის დაკვირვებით გამოწვლილულ ფაქტებს ემყარება. მის, როგორც პიროვნებისა და როგორც ისტორიკოსის, შესახებ უკვე საყოველთაოდ მოიკიდა ფეხი იმ შეხედულებამ, რომ, როგორც ცნობილი გერმანელი მეცნიერი ე. შტაინი ამბობს, ტაციტუსიდან მოყოლებული დანტემდე, ამაზე უფრო დიდი მწერალი არ იცოდა მსოფლიომ¹. ამასთანავე უკვე საერთოდ აღიარებენ (Stein-ი, Thompson-ი და სხვ.), რომ ამიანე ობიექტურობაში ტაციტუსს სჯობია და გაცილებით ფართო ისტორიული თვალთახედვითა და ყურადღებით ეპყრობა პროვინციების ცხოვრებას. ხაზგასმულია ისიც, რომ ამიანეს, ტაციტუსისა არ იყოს, მაღალი წარმოდგენა აქვს როგორც პიროვნების საზოგადოებრივი როლის, ისე ისტორიის მიზნების შესახებ და დიდის გულმოდგინებითაც ცდილობს ამ კეთილი ზრახვების განხორციელებას თავის შესანიშნავ თხზულებაში.

მიუხედავად იმისა, რომ, ვითარცა ისტორიკოსი და მოქალაქე, თუ აღემატება ზოგი მხრით მაინც, თორემ არ დაუვარდება რომის ისეთ სახელგანთქმულ პირებს, როგორც იყვნენ ლივიუსი და ტაციტუსი (მაგალითად, მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ერთ-ერთი უკანასკნელი სერიოზული მკვლევარი თომპსონი ტაციტუსის გარდა სხვას ვერავის უყენებს გვერდში და ისიც ამ უკანასკნელის საზარალოდ), ამიანე დიდხანს იყო ჩრდილში, რის მიზეზიც მის სტილში უნდა ვეძიოთ. ბევრი არა მიჯნავდა ერთმანეთისაგან ამიანეს, როგორც ისტორიკოს-მწერალსა და როგორც სტილისტს. სტილი მართლაც, შედარებით სხვებთან, მაიმე, ხელოვნური და ნაწილობრივ ბუნდოვანიც აქვს, რაც გამოწვეულია

¹ Stein E., Geschichte des spätrömischen Reiches, I B., Wien, 1928, S. 331.

იმით, რომ მას, როგორც ტომით არარომაელს, მწიგნობრული გზით უფრო ჰქონდა შეთვისებული ენა.

ამიანეს თაზულებას „Res Gestae“, რაც ქართულად „ისტორიის“ სახელით შეიძლება გადმოვცეთ, საერთოდ უფრო სწავლობდა ბედი ვიდრე ტიტუს ლივიუსის ანდა ტაციტუსის ნაწერებს, რადგან ამიანეს ისტორიის გადარჩენილი ნაწილი თითქმის სწორედ იმ პერიოდს მოიცავს, რომელიც მის თანამედროვე ვითარებას ეხება და როცა თვითონვე უშუალოდ მოღვაწეობდა სამხედრო ასპარეზზე. ამიტომ არის, რომ იგი ისეთი სისრულითა და მკაფიოებით ასახავს მაშინდელ ამბებს, რომ არა თუ რომაულ ისტორიოგრაფიაში, არამედ საერთოდ ანტიკურ ისტორიოგრაფიაშიაც ბევრს არ მოეპოვება მისი ბადალი ფურცლები.

როგორც ითქვა, უმთავრესად მისივე თხზულების ცნობების მიხედვით არის დადგენილი, რომ იგი დაიბადა დაახლოებით 330 წ. (ახ. წ.) ქალაქ ანტიოქიაში, სირიაში, საკმაოდ წარჩინებული ბერანის ოჯახში (შდრ. მისი ისტორიის XIX, 8, 6; XXXI, 16, 9).

იმ პერიოდში ანტიოქია დიდ კულტურულსა და ეკონომიურ ცენტრს წარმოადგენდა. საკმარისია დავასახელოთ ამიანეს თანამედროვე და თანამოქალაქე, გვიანანტიკური ფილოსოფიისა და რიტორიკის ისეთი დიდი წარმომადგენელი, როგორც იყო მისი მეგობარი ლიბანიოსი, რომლის ზოგი მოწაფე, მაგ., ბასილ დიდი და იოანე ოქროპირი (ასევე ანტიოქიელი) და სხვანი, განუდგნენ ძველ რელიგიას და ქრისტიანული დოგმატიკის ბურჯები შეიქნენ. ამიანე მარცელინესაც, ჩანს, კარგი განათლება მიუღია ალბათ თავის მშობლიურ ქალაქშივე.

თვით ამიანეს მოღვაწეობა ემთხვევა ძირითადად IV საუკუნის თითქმის მთელ მეორე ნახევარს, კერძოდ კონსტანციუს II-ის (337 – 361), იულიანუსის, ანუ ჩვენს ძველ მწერლობაშიაც ცნობილი იულიანე განდგომილის (361 – 363), იოვიანუსის (363 – 364), ვალენტინიანუს I-ის (364 – 375), ვალენტის (364 – 378) იმპერატორობის ხანებს.

იგი ადრევე მიუღიათ საიმპერატორო გვარდიაში, როგორც კარგი გვარის კაცი. 353 წელს კი აღმოსავლეთის არმიის მთავარსარდლის ურცინიუსის შტაბში ჩანს, ჯერ ნიზიბინში, შემდეგ ანტიოქიაში. 357 წ. გალიაშია თავის სარდალთან ერთად, 359 წ. კი ორთავენი კვლავ აღმოსავლეთში იქნენ გადმოყვანილი სპარსელებთან საბრძოლველად. 359 – 360 წლების საომარი ოპერაციების

დროს სპარსეთის ფრონტზე ურცინიუსთან ერთად თვით ამიანუსიც ბევრჯერ არის მოხსენებული თხზულებაში, ხოლო 360 წლიდან, ურცინიუსის გადაყენების შემდგომ, კი შედარებით ძუნწი ცნობებიდაა. ჩანს, რომ 363 წ. იულიანუსის ლამქრობაშიც მიუღია მონაწილეობა სპარსელთა წინააღმდეგ, შემდეგ კი ვარაუდობენ, რომ დრო 378 წლამდე, ვალენტის ადრიანოპოლთან დამარცხებამდე მანც, თავის მშობლიურ ქალაქ ანტიოქიაში უნდა გაეტარებინოს, თუმცა ამ ხანებში, როგორც მისი ისტორიიდან ჩანს (XVII, 4, 6, XXII, 15, 1), ეგვიპტესა და საბერძნეთშიც უმოგზაურია. ანტიოქიაში ამ ხანებში ყოფნას უნდა შეეწყო ხელი მისი თხზულების შემზადების საქმისათვის, რადგან კითხვისა და მასალის მოგროვებისათვის დიდი დრო უნდა ჰქონოდა უკვე.

378 წლის შემდეგ რომს წასულა და გზაში ომის ასპარეზები დაუთვალაიერებია თრაკიაში, ხოლო 383 წელს უკვე რომს დაფუძნებული ჩანს, სადაც მნიშვნელოვანი გავლენისათვის უნდა მიეღწია ზოგ წრეებში.

როგორც ცნობილია, IV საუკუნე ქრისტიანობის საბოლოო გამარჯვების საუკუნე იყო – 382 წელს გრაციანუსმა საგანგებო ბრძანებით აკრძალა კიდევ ძველი რელიგია. რაც შეეხება ამიანე მარცელინეს, რელიგიის საკითხებში იგი დიდ ტოლერანტობას იჩენს. ქრისტიანი რომ არ არის, ჩანს, მაგრამ არც მათ მოძულეთა და მდევენელთა რიცხვშია და მის ფავორიტ იმპერატორ იულიანეს კიცხავს კიდევ ქრისტიანების დევნისათვის.

ამიანე ცოცხალია 391 წელს და, როგორც უკანასკნელი გამოკვლევები დაბეჯითებით ცხადჰყოფენ, 393 წელსაც. მაგალითად, ამიანე მარცელინეს ისტორიის დაწერის დროის შესახებ უკანასკნელი სერიოზული გამოკვლევის ავტორი, კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი ოტო მენხენ-ჰელფენი ნაშრომში – „მარცელინეს უკანასკნელი წიგნების თარიღი“¹ – საგულდაგულო, დასაბუთებული გამოკვლევის შედეგად ამ თხზულების დასრულების თარიღს უფრო აზუსტებს და დაასკვნის: ჩვენ შეგვიძლია დიდის გულდანდობით ვცნოთ, რომ ამიანე მარცელინემ თავისი ნაშრომი 392 – 393 წლების ზამთარში დაამთავრაო (გვ. 399).

¹ Maenchen-Helfen O. J. Date of Ammianus Marcellinus' Last Books: American Journal of Philology, № 76, fasc. 4., 1955, pp. 384 – 399.

ამიანემ განაგრძო ტაციტუსის „ისტორია“ სწორედ იმ ადგილიდან, სადაც იგი წყდებოდა, ე. ი. ნერვას იმპერატორად გახდომის დროიდან (ახ. წ. 96 წ.), და მოიყვანა იმპერატორ ვალენტის დაღუპვამდე ადრიანოპოლის ახლოს გუთებთან ბრძოლაში 378 წ. მთელი მისი თხზულება შედგებოდა 31 წიგნისაგან, რომელთაგან პირველ 13 წიგნს არ მოუღწევია ჩვენამდე, მოღწეულ XIV – XXXI წიგნებში (რიცხვით 18) კი, როგორც ითქვა, აწერილია 353 – 378 წლების ამბები, ე. ი. ავტორის თანამედროვე ვითარება.

მარცელინეს დიდი ნაკითხოვა ეტყობა და დიდის სიბეჯითითაც უმუშავია თავის ისტორიაზე. გარდა სახელოვანი რომელიც ისტორიკოსების ლივიუსის, ტაციტუსის და სალუსტიუსისა, დიდი გავლენა ეტყობა ციცერონისა. იცნობს ავლუს გელიუსს, ვალერიუს მაქსიმუსს, პლინიუს უფროსს, ფლორუსს, აგრეთვე რომაულ პოეზიას. გამოყენებული აქვს სენეკას, სოლინუსის და პტოლემეაოსის შრომებიც. განსაკუთრებით შავი ზღვისპირეთის ქვეყნების აღწერაში, როსტოვცევის თქმით ¹, დადგენილად ითვლება, რომ მისი მთავარი წყაროები იყო პომპონიუს მელას და პლინიუს უფროსის, აგრეთვე ვალერიუს ფლავუსის წყარო პერიპლუსი და პერიეგესი; ამასთანავე სალუსტიუსი და მისი მეშვეობით ერატოსთენე და ჰეკატაიოსი. ეტყობა სარგებლობა დიონისიოს პერიეგეტის თხზულების წყაროთი, რომლის დამამტკიცებელი ერთი მაგალითის შესახებაც ქვემოთ გვექნება უფრო ვრცელი საუბარი. აღსანიშნავია, რომ გარდა მწერალთა თხზულებებისა, ოფიციალური დოკუმენტებითაც უსარგებლია.

საერთოდ ამიანეს დიდი მასალა აქვს გადამუშავებული, რომელთაგან ზოგი დაკარგულია და ნაწილობრივ ამითაც ემატება ჩვენი ისტორიკოსის ცნობებს ღირებულება. იგი ბევრ საინტერესო გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიულ ექსკურსს უძღვნის ამა თუ იმ მხარეს, კერძოდ შავიზღვისპირეთს. უმთავრესად ძველ მწერალთა თხზულებებზე დაყრდნობით, მაგრამ ზოგჯერ ახალი მასალის შემატებითაც.

ამ მხრით ნიშანდობლივია მისი სიტყვები, რომლებითაც იგი იწყებს შავი ზღვის სანაპიროების აღწერას: „რაკი ამ მხარეებს მივადექით, დროა მკაფიოდ და სარწმუნოდ აღვწერო, რაც კი რამ ნახული ან წაკითხული მაქვს თრაკიის შორეული კუთხეებისა და

¹ Ростовцев М. Ы., Скифия и Боспор, Ленинград, 1925, стр. 82.

პონტოს უბის მდებარეობის შესახებო“ (XXII, 8,1). მართლაც წანაკითხთან ერთად იყენებს თავის თვალთ ნახულსა და ჩანიშნულ მასალასაც. მაგრამ მკვლევართა აღიარებით, საერთოდ ამ ექსკურსებში უფრო მოიკოჭლებს, რადგან ბევრ შემთხვევაში წყაროებს აქ უფრო ეყრდნობოდა და თვით ეს წყაროები კი ღალატობდნენ.

რაც შეეხება საკუთრივ მის ისტორიულ ნაწილს, გარეშე ყოველი დეკლარაციული განცხადებისა, დიდ პირუთვნელობასა და მოსაწონ პირდაპირობას იჩენს და, სადაც გასაკიცხია, თვით თავის სათაყვანო გმირს იულიანესაც არ ინდობს. ამასაც ერთხმად აღიარებს ამიანეს თითქმის ყველა მკვლევარი.

როგორც ითქვა, მის შედარებით ნაკლებ პოპულარობას მისმა მძიმე სტილმა შეუწყო ხელი. მისი სტილი ძირითადად მწიგნობრულ-რიტორიკულია, მაგრამ სალაპარაკო ენის დაღივ ემჩნევა აქა-იქ. შენიშნულია აგრეთვე, რომ გადაჭარბებულ მიდრეკილებას იჩენს მიმღეობით გაწყობილი ფრაზების ხმარებისადმი. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამიანეს ტექსტისა და სტილის შესწავლისათვის მის თხზულებაში რიტმული პროზის ნიშნების მიკვლევას. ამ რიტმული ფრაზების მიხედვით დასვა სასვენი ნიშნები და გამართა ტექსტი ამიანეს უკანასკნელი სერიოზული კრიტიკული გამოცემის ავტორმა, ამერიკელმა მეცნიერმა კლარკმა, რომლის ეს სამუშაო თავისი ღირებულებით, ზოგი მეცნიერის თქმით, ახალი მნიშვნელოვანი ხელნაწერის პოვნას ედარება ტექსტის დადგენის საქმეში.

*
* *
*

ამიანე მარცელინეს ჩვენს მიერ ამოკრებილი მასალიდან ნაწილი შედარებით ნაკლებად ყოფილა მსჯელობის საგანი, ნაწილი კი საკმაოდ ცნობილია. მე მინდა შევაჩერო მკითხველის ყურადღება ზოგ საკითხზე.

განვიხილოთ წიგნების თანამიმდევრობის მიხედვით.

XIV წიგნის მე-8 თავში (XIV, 8, 3), აღმოსავლეთის პროვინციების აღწერისადმი მიძღვნილ ექსკურსში, გვხვდება არგონავტოლაშქრობის ხსენება. ტექსტში გადმოცემულია იაზონის თანამოლაშქრის მობსოსის ანუ მოპსოსის ამბავი, რომ ის იყო კილიკიის ქალაქ მობსუსტიიდან და რომ ოქროს საწმისის მომტაცებელი არგონავტები როცა უკან ბრუნდებოდნენ, თანამოლაშქრეებს ჩამოცილებული აფრიკაში გარდაიცვალა უცბად.

აღსანიშნავია, რომ ამ პირს სხვა ძველი მწერლებიც ახსენებენ, მაგ., პინდარე (P. 4, 338), აპოლონიოს როდოსელი (1, 65) და მისი სქოლიასტები, ვალერიუს ფლაკუსი (1, 384), ოვიდიუსი (მეტამორფოზები, 12, 456) და სხვ. და არსებითს არაფერს ახალს ამბობს ამიანე, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო არგონავტთა ციკლის სისრულით შესწავლასათვის ყოველ წვრილმანს ანგარიში უნდა გაეწიოს.

XVI წიგნში ყურადღებას იქცევს პონტოს მეფის მითრიდატე დიდის ასულისა და საჭურის მენოფილოსის ამბავი (XVI, 7, 9 – 10), რომელიც სხვა ავტორებს არა აქვთ მოხსენიებული და მარტო ამიანეს ისტორიაში გვხვდება. ამიანე ხოტბას ასხამს კეისარ იულიანეს ე. წ. მესაწოლეთუხუცეს (praeposirus sacri cubi-culi) საჭურის ევთერიოსს და მის შესადარებლად მოჰყავს მენოფილოსის ერთგულების მაგალითიც თავის პატრონისადმი. მითრიდატე რომ კოლხთა სამეფოებისაკენ გაიქცა, თავისი ავადმყოფი ასული დრიპეტინა მენოფილოსს დაუტოვა ციხე-სიმაგრე სინჰორიუმში, რომელიც მცირე და დიდი არმენიების საზღვარზე მდებარეობდა. საჭურისმა მოარჩინა ქალი, მაგრამ როცა პომპეუსის ერთ-ერთმა სარდალმა ალყა შემოარტყა ციხეს და ქალის ტყვედ ჩავარდნის საშიშროება შეიქმნა, ისიც მოჰკლა მენოფილოსმა და თვითონაც თავი მოიკლა, რათა მეფის ასულისათვის შეურაცხყოფა არავის მიეყენებინა და ამით კიდევ უფრო არ გაემწარებინათ დამარცხებული მითრიდატეს სიცოცხლე.

XXI, 6, 7 – საკმაოდ ცნობილი ადგილია სომხეთის მეფის არშაკისა და იბერთა მეფის მერიბანის ანუ მირიანის შესახებ, რომ მათ საჩუქრებით იბირებდა თავისკენ რომის მთავრობა. საკამათოდ არის ქცეული ოლონდ ამ ქართველი მეფის მეფობის წლები. ეს ამბავი ხდება 361 წ. და საკითხავია არის თუ არა ეს მეფე „ქართლის ცხოვრების“ ის მირიან მეფე, რომელმაც ქრისტიანობა აღიარა. მკვლევრების ერთი ნაწილი უარყოფს, რომ ეს იგივე მეფეა¹, ზოგი კი ბუნდოვნად ტოვებს საკითხს – გამეფდა IV ს. 20 – 30-იან წლებში, გარდ. 338 ან დაახლ. 362 წელსო, ე. ი. 24 წელი მაინც გამოდის მერყეობისათვის. მაგრამ, თუ კი აღიარებული იქნება (როგორც მკვლევართა დიდი უმრავლესობა სცნობს), რომ ქართლი

¹ ამ მირიანის ვინაობის საკითხი გადახლართულია ქართლის მოქცევის საკითხებთან, რომელთაც განსაკუთრებით ვრცლად ეხება ივ. ჯავახიშვილი (იხ. მისი ქართ. ერის ისტ., ტ. I, 1951, გვ. 176 – 235 და სხვ.).

30-იან წლებში მოიქცა კონსტანტინე დიდის (306 – 337) დროს, საკმაოდ კარგად ეწყობა ამას „ქართლის ცხოვრების“ სხვა ჩვენება, რომ „მოქცევითგან მირიან მეფისათ მეოცდახუთესა წელსა მოკუდა ძე მისი რევ...“ და შემდეგ: „და მასვე წელიწადსა დასწულდა მირიან მეფე, რომელიცა აღესრულაო“¹, ე. ი. 25 – 26 წელიწადს თუ მივუმატებთ ოცდაათიან წლებში დადებულ მოქცევის თარიღს, თითქმის სწორედ ეთანხმება და გამოდის, რომ ამ მირიანს 361 წლამდე მართლაც უმეფია და არ უნდა იყოს მართალი მოსე ხორენაცის გადმოცემა, რომლის მიხედვითაც თითქოს დაახლოებით 338 წელს მოეკლათ იგი².

XXII, 7, 9 – 10 362 წლის ამბებთან დაკავშირებით იულიანუს მოციქულებს უგზავნიან სხვადასხვა ხალხები, მათ შორის „ჩრდილოეთიდან და უდაბური ადგილებიდან, რომლებზე ჩამომავალი ფაზისიც ზღვას ერთვის, ბოსფორანებისა და სხვა მანამდე უცნობებისაგან მორჩილი ვედრებით მოვიდნენ ელჩებიო“ და სხვ.

აქ ჩვენ გვინდა ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ აქ ნახსენები ფაზისი ჩვეულებისამებრ რიონს არ უნდა უდრიდეს, რადგან კონტექსტის მიხედვით ჯერ ხომ ჩრდილოეთის უდაბურ ადგილებზეა ლაპარაკი, რომელხედაც ფაზისი ჩამოდისო, მის უშუალოდ მომდევნო წინადადებაშიაც კვლავ ჩრდილოელები – ბოსფორანები იხსენიებიან. ამ ფაზისში შესაძლოა დონი ან ყუბანი იგულისხმება, როგორც ხანდახან არის ხოლმე კიდეც ანტიკურ წყაროებში³.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ავტორს აქ ფაზისი ერთგვარად ჰიპერბოლურ კონტექსტში აქვს ნახსენები – მას სურს რაც შეიძლება გააზვიადოს თავისი გმირის იმპერატორ იულიანუს მორჭმულობისა და სახელგანთქმულობის ამბავი და ფაზისი ნახმარი აქვს. ჩვენის აზრით, არა როგორც კონკრეტული გეოგრაფიული ცნება, არამედ როგორც საერთოდ შორეულის, უცნობის აღმნიშვნელი რამ, სადაც მისწვდა იულიანუს სახელი. მას იგი

¹ ქართლის ცხოვრება“, პროფ. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. I, თბ., 1955, გვ. 129.

² История Армении Моисея Хоренского, новый пер. Н. О. Эмина, Москва, 1893, стр. 149.

³ შდრ., მაგ. ფსევდო-პლუტარქოსის (II ს. I ნახ. ახ. წ.) თხოულება „მდინარეთა შესახებ“: ВДИ, № 1 (23), 1948, გვ. 349 პლუტარქე, რჩეული პარალელური ბიოგრაფიები, თარგმანი აკ. ურუშაძისა, თბ., 1957, გვ. 288.

ამ თვალსაზრისით ნახმარი უნდა ჰქონდეს რომელიმე ბუნდოვანი ანტიკური წყაროს ზეგავლენით.

ჩვენს მოსაზრებას მარცელინეს ამ ადგილას ფაზისის გაგების შესახებ მხარს უჭერს აგრეთვე ის, რომ ფაზისი აქ წარმოდგენილია როგორც „უდაბურ“ ადგილზე ჩამომდინარე (მდრ. „ab aquiline et regionibus solis“), რაც ზოგ თარგმანში ზუსტად არც არის აღბეჭდილი (მდრ. „из тех дальних стран...“); ნამდვილი ფაზისის მიდამოები კი უდაბურობით, შეიძლება ბეჯითად ითქვას, არ იყო ცნობილი მაშინ.

თავისი თანამედროვე ვითარება მაშინდელი დასავლეთ საქართველოს შესახებ ამიანეს უფრო სწორად აქვს გადმოცემული მეორე ცნობაში, რომელიც მოყვანილია მისი თხზულების XXVII წიგნში (12, 11). აქ მაშინდელი ფაზისის მიდამოების – კერძოდ ლაზიკის შესახებ ისეთი აზრია გამოთქმული, რომ შეიძლება ვიფიქროთ, იმ ხანებში ლაზიკა რომის უშუალო მორჩილებასა და მოხარკეობაში არ უნდა ყოფილიყო. აქ გარკვევითაა ნათქვამი: სომეხთა მეფემ პაპმა და მასთან ერთად მისმა კარისკაცებმა „სცადეს შეფარებინათ თავი მაღალ მთებში, რომლებიც ჩვენებს [ე. ი. ჩვენს მიწებს, რომაელთა მიწებს] ლაზიკისაგან ჰყოფენო“ (limites nostros disterminates et Lazicam). თანაც ლაზიკა და იქაურები საეჭვოა ამიანეს უცნობებად მოეხსენებინა XXVI წიგნში, მაშინ როცა XXVII წიგნში მშვენივრად ერკვევა მათთან მოსაზღვრობის საკითხებში ¹.

ჩვენის აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს ამიანეს ცნობას ე. წ. კამარიტების ვინაობისა და საცხოვრისის უკეთ გარკვევისათვის. ВДИ-ს კომენტატორი (1949, № 3 [29], გვ. 221) აღნიშნავს: შესაძლოა სტრაბონის და ტაციტუსის მიერ აღწერილი ნაგებობის მიხედვით უწოდებს დიონისიოს პერიეგეტი დასავლეთ კავკასიელ ტომებს კამარიტებსო და მითითებულია დიონისიოს პერიეგეტისა და მისი კომენტატორის ევსტათის სათანადო ადგილები (D. Per., 721 და შესაბ. ადგილების კომენტარი ევსტათისა 700, 721). მაგრამ ის, რაც თვით დიონისიოსს აქვს გადმოცემული კამარიტების შესახებ, არ გვაძლევს საბუთს ისინი დასავლეთ ამიერკავკასიაში ვიგულისხმოთ. ყოველ შემთხვევაში, დიონისიოსს იმდენად ბუნდოვნად აქვს ამ ხალხის ადგილმდებარეობის შესახებ ნათ-

¹ მდრ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა; შრომები, თბ. 1952, გვ. 315; აგრეთვე, Г. А. М е - л и к и ш в и л и, К истории древней Грузии, Тб., 1959, стр. 381 – 382.

ქვამი რომ ძნელია თვით ტექსტის მიხედვით რაიმე გარკვეულის თქმა.

აი რა კონტექსტში ახსენებს დიონისიოსი კამარიტებს: მისი, ე. ი. ფაზისის (ევსტათის კომენტარის მიხედვით, არმენიის მთის, ფაზისის სათავის) ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს ყელი კასპიისა და ევქსინის ზღვებს შორის. მასზე ცხოვრობს აღმოსავლელი ხალხი იბერები, რომლებიც ოდესღაც მოვიდნენ პირინეებიდან აღმოსავლეთში და სასტიკი ომი აუტეხეს ჰირკანებს, და დიდი ტომი კამარიტებისა, რომელთაც ოდესმე სტუმართმოყვარეობით მიიღეს ბაკხოსი ინდოეთის ომის შემდეგ და ლენეებთან ერთად გაუმართეს წმიდა ფერხული, ჩამოჰკიდეს მკერდზე ყელსაბამები და ნებსიდები (ირმის ტყავის მოსასხამები) და დასძახოდნენ „ეგოი, ბაკხოს!“ ღმერთმა კი შეიყვარა გულით ეს ტომი და ამ ქვეყნის ადათები. მათ იქით ღელავს კასპიის ზღვაო¹.

დიონისიოსის ტექსტში, ჩვენის აზრით, სრულიად აშკარად, კამარიტები ნაგულისხმევი არიან ჯერ ერთი ზოგადად კასპიის და ევქსინის ზღვებს შორის მდებარე ყელზე, მერე – იბერებთან ახლოს, რომლებიც სხვათა შორის ძალიან საინტერესო კონტექსტში არიან ნახსენები – თითქოს ისინი მოსულნი არიან და მათ ბრძოლა აუტეხეს პირკანებს ალბათ ტერიტორიისათვის. ეს გარემოება – ქართველების სატომო სახელის დაკავშირება ჰირკანთან, ვირქთან და სხვ., რომელსაც ამ ბოლო ხანებში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს, ისეთი თავისებური შტრიხია, რომ ერთგვარად ხელს შეუწყობდა ამ მოსაზრების განმტკიცების საქმეს. რაც შეეხება კამარიტებს, მათ შესახებ საუბარი ბოლოვდება ძალიან ნიშანდობლივი ფრაზით – „მათ იქით ღელავს კასპიის ზღვაო“, ე. ი. თითქოს კასპიის ზღვის სანაპიროებზე ივარაუდებინ დიონისიოსის აზრით.

დიონისიოსის კომენტატორის ევსტათის (თესალონიკელის – XII ს. II ნახ. – კომენტარები დაწერილი აქვს 1170 – 75 წწ.) კომენტარი ამ ადგილის შესახებ დიონისიოსის „კამარიტების“ მექანიკურ დაკავშირებას წარმოადგენს სტრაბონისაგან (XI, 2, 12) მოხსენიებულ კამარებთან და თითქმის სიტყვა-სიტყვითაა გადმოწერილი სტრაბონის მიერ მოცემული აღწერილობა ამ ნაგებობისა. ეს მტკიცდება სტრაბონისა და ევსტათის ტექსტის უბრალო თვა-

¹ შდრ. ВДИ, № 1 (23), 1948, გვ. 240; ევსტათის კომენტარი იქვე, გვ. 253.

ლის გადავლებითაც. მაგ., აი რას ამბობს სტრაბონი, რომელიც, საინტერესო ცნობებს გვაწვდის კამარებისა და მისი პატრონების შესახებ და რაკი ამ ცნობებს დიდი მნიშვნელობა აქვს საკითხის გარკვევისათვის, ამიტომ რაც შეიძლება სრულად მოვიყვანო:

„სინდიკესა და გორგიპიას შემდეგ ზღვასთან არის აქეელთა, ზიგთა და ჰენიოხთა სანაპირო, მეტწილად უნავსადგურო და მთიანი, და წარმოადგენს კავკასიონის ნაწილს. ესენი ცხოვრობენ ზღვაზე მეკობრეობით, აქვთ პატარა, წვრილი და მსუბუქი ნავები, რომლებიც დაახლოებით 25 კაცს იტევს, ხოლო იშვიათად მთლიანად 30 (კაცს) დაიტევენ. ელინები მათ უწოდებენ კამარებს. ამბობენ, რომ იაზონის ლაშქრიდან ფთიელმა აქაველებმა დაასახლეს აქაური აქა-აა, ხოლო ლაკონელებმა – ჰენიოხია, რომლებსაც მართავდნენ რეკასი და ამფისტრატე, დიოსკურების მეეტლეები, ხოლო ჰენიოხებმა ამათგან მიიღეს სახელი. ესენი კამარებისაგან ფლოტებს ჰქმნიან და თავს ესხმიან ხან საზარგო ხომალდებს, ხან რომელიმე ქვეყანას, ან ქალაქს და [ასე] ფლობენ ზღვას. ბოსფორის მგლობელი ზოგჯერ ეხმარებიან ხოლმე მათ, აძლევენ მათ ნავსაყუდლებს, ბაზარსა და ნადავლის გაყიდვის [საშუალებას]: ხოლო როდესაც ბრუნდებიან საკუთარ ქვეყანაში, ვერ აგდებენ ღუზას, იდებენ მხრებზე კამარებს და მიაქვთ ტყეებში, რომლებშიც ცხოვრობენ, ამუშავებენ მწირ მიწას, შემდეგ კი როდესაც დრო დგება ნაოსნობისა, [კამარების] უკან მიაქვთ. ასევე იქცევიან ისინი სხვა ქვეყანაშიც, [სადაც] აქვთ მათ განთქმული ტყიანი ადგილები, რომლებშიც ინახავენ კამარებს, ხოლო თვითონ დაეხეტებიან ფეხით დღე და ღამე ტყეების მოპოვების მიზნით. რასაც ისინი მოიპოვებენ, იოლად სთმობენ გამოსასყიდით და წასვლის შემდეგ ატყობინებენ გამარცვულებს. იმ ადგილების მცხოვრებნი, რომელთაც მმართველები ჰყავთ, რაღაცა შემწეობას ჰპოვებენ ხოლმე წინამძღოლთაგან უსამართლობის შემთხვევაში: რადგან ხშირად მათ თავს ესხმიან და მიჰყავთ კამარები იქ მყოფ ხალხიანად. ხოლო რომაელების [გამგებლობაში] მყოფი [ნაწილი] უფრო უმწეოა გამოგზავნილ პირთა უპასუხისმგებლობის გამო“ (გეოგრაფია XI, 2. 12; თ. ყაუხჩიშვილის გამოც. გვ. 118 – 119).

ახლა თუ ევსტათის მივუბრუნდებით, იგი შემდეგს გადმოგვცემს თავის კომენტარში (სტრიქ. 700): „ხსენებულ ყელზე ცხოვრობს აგრეთვე დიდი ტომი კამარიტებისა, რომლებიც ამ სახელს ატარებენ მათ მიერ ხმარებული მრგვალი საავაზაკო ნავების მიხედვით, რომლებიც ელინებში იწოდებოდა „კამარებად“. ეს იყო მომ-

ცრო, ვიწრო და მსუბუქი ნავეები, რომლებიც იტევდა 25-ს ან იშვიათად 30-მდე კაცს. ამ კამარიტებმა, დიონისიოსის სიტყვით, სტუმართმოყვარულად მიიღეს ბაკხოსი ინდოეთის ომიდან დაბრუნების შემდეგ და მონაწილეობა მიიღეს ლენეებთან, ე. ი. ბაკხებთან ერთად ცეკვებში, თანაც გულზე ეფარათ მათი სამოსი, ე. ი. სარტყლები და ირმის ტყავები და გაიძახოდნენ „ეყო, ბაკხოსო!“¹.

ВДИ -ს დიონისიოსის ამ ტექსტის კომენტატორიც არ მიდის ამაზე შორს, კმაყოფილდება ევსტათიზე მითითებითა და სტრაბონის ხსენებით და დასძენს: „ეს სახელი (ე. ი. კამარიტები) წარმოშობილია თავისებურ ხომალდ-კამარებისაგან, რომლებიც აწერილია სტრაბონის მიერ და მათ მქონებლებად დასახელებულნი არიან აქეები, ზიგები და ჰენიოხები, რომლებიც, ჩანს, უნდა გავაიგივეოთ კიდეც დიონისიოსის „კამარიტებთანო“ (ВДИ, 1948, № 1 [23] 240). აქ ნახსენებიც კი არ არის ამიანე მარცელინე, ხოლო თვით მარცელინესთან კი მხოლოდ ლიტონი მითითებით არის დავკმაყოფილებული კომენტატორი – შდრ. დიონისიოს პერიეგეტის ამა და ამ ადგილსო.

საკითხი კამარიტების შესახებ რომ საერთოდ ბუნდოვანია და გარკვევას საჭიროებს, მოწმობს ცნობილი პაპეს განმარტებაც ამ სიტყვისა: Καμαρίται-ს, ევსტათისა და დიონისიოსზე მითითებით, განმარტავს როგორც „Volk in Albanien auf dem Isthmus zwischen dem Caspischen Meere und dem Pontus Euxinus“, ე. ი. „ხალხი ალბანიაში, ყელზე (იგულისხმება კავკასიის ყელი) კასპიისა და შავ ზღვებს შორისო“ და მითითებულია ევსტათი-დიონისიოსის შესაბამისი ადგილები.

საინტერესო და ცოტა თავისებური ცნობები აქვს ისტორიკოს ტაციტუსს კამარების შესახებ. იგი მათ ახსენებს ცნობილი ანიკეტის აჯანყებასთან დაკავშირებით შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, ტრაპიზონის ახლოს, იმპერატორ ვესპასიანეს დროს². ეტყობა მას სტრაბონისაგან განსხვავებული და თითქოს

¹ შდრ. ВДИ, № 1 (23), 1948, გვ. 253.

² ამ აჯანყებისა და იქ მოხსენებული კამარების შესახებ ვრცელი მსჯელობა იხ. პროფ. გ. გოზალიშვილი, რომის ექსპანსიის წინააღმდეგ შავი ზღვის სანაპიროზე პირველ საუკუნეში ქართველ ტომთა აჯანყების შესახებ: სტალინის სახ. თბ. სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 37, 1949, გვ. 131 – 152.

შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე ქართველ ტომებში ახლაც ხმარებული ნავეების ძველი ავტორების კამარებთან მსგავსების საკითხს ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე ნაწილობრივ ეხება მ. გეგეშიძის ნაშრომი,

უფრო ზუსტი ცნობებიც ჰქონია ამ კამარების შესახებ. თუმცა კამარიტებს, როგორც ხალხს კი, ისიც არ იცნობს.

ტაციტუსი თავისი „ისტორიის“ III წიგნის 47-ე თავში შემდეგს გადმოგვცემს კამარების შესახებ: „ბარბაროსები თავხედურად დაძრწოდნენ სახელდახელოდ გაკეთებული ნავებით. [მათ] უწოდებენ კამარებს, [აქვთ] დაბალი გვერდები, განიერი მუცლები; შეკრულნი არიან ბრინჯაოს ანდა რკინის სამაგრების გარეშე და როცა ზღვა ღელავს, ტალღების სიმაღლისდა მიხედვით, ნავებსაც სიმაღლეს უმატებენ ფიცრებით, ვიდრე [სახლის] სახურავით არ გადაიხურება. ასე დალივლივებენ ტალღებში, აქვთ რა ორივე მხარეს ერთიანი ცხვირები და ცვლადი მოსასმელი ნიჩბები, ისე რომ ორივე ცხვირით თანაბრად და უვნებლად [შეუძლიათ ნაპირს] მიადგნენ“.

ამ ტექსტში რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი შეინიშნება სტრაბონის აღწერილობისაგან განსხვავებით. ჯერ ერთი არ არის აღნიშნული, ვინ ეძახის კამარებს ამ სახელს, მართლა მარტო ელინების შერქმეულია იგი, თუ საერთოდ და კერძოდ ადგილობრივი მცხოვრებნიც ეძახიან. ეს მით უფრო ყურადღებამისაქცევია, რომ მაგ., ერთ ინგლისელ მთარგმნელს ისე ესმის, თითქოს თვით იქაურები ეძახდნენ ამ სახელს, რაც სრულიად ეწინააღმდეგება სტრაბონის მტკიცებას.

მეორე – ნიშანდობლივადაა აღწერილი ამ ნავების აგების წესი: რკინის ან ბრინჯაოს სამაგრების გამოუყენებლად არიან შეკრულნიო.

მესამე – დაბალი გვერდები აქვთ, მუცლები კი ფართოო. ეს უკანასკნელი ცნობაც ეწინააღმდეგება სტრაბონის აღწერილობას ვიწროობის შესახებ.

საქმე ის არის, რომ დღევანდელ ლაზეთში დაახლოებით ამგვარი აგებულების ნავები ბოლო ხანებამდეც კი ყოფილა ხმარებაში – სწორედ ბრტყელ, განიერძირიანი, რომელთა გადანურვა შეიძლებოდა ავდარში, ასე რომ ადგილობრივი ვითარება თითქოს ტაციტუსის აღწერილობას უფრო ამართლებს.

ამ საკითხებთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი დეტალიც. ზოგ თარგმანში, განსაკუთრებით რუსულსა (ლატიშევის და სხვა) და იქიდან მოქდინარე ქართულ თარგმანებში ¹, ისეა წარმოდგე-

„მეღვინეობის ხის იარად-ჭურჭელი დასავლეთ საქართველოდან“; აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIX-B, 1956, გვ. 146 – 147.

¹ ეს ციტატი ბევრი ქართველი მკვლევრის ნაშრომში გვხვდება.

ნილი, თითქოს ნავებს მაღალი გვერდები (შდრ. „... с высокими ноками“) ჰქონდა და ეს გაკეთებულია ერთ-ერთი გამომცემლის (ნიპერდის) კონიექტურის მიხედვით, რომლის თანახმადაც ხელნაწერის artis (სიტყვიდან artus – ვიწრო, მცირე) შეცვლილია სიტყვით altis (სიტყვიდან altus – მაღალი). მართალია სიტყა artus შედარებით იშვიათია დაბალის მნიშვნელობით, მაგრამ კონტექსტი თითქოს ხელნაწერის წაკითხვას უფრო უჭერს მხარს, რადგან გვერდები რაკი დაბალი ჰქონია ნავს, სავარაუდოა, ალბათ ამიტომ დასჭირებიათ, რომ ზღვის ღელვის დროს ტალღების მომატებასთან ერთად ფიცრებს უმატებდნენ ნავის გვერდებს სიმაღლეში.

აღნიშვნის ღირსი უნდა იყოს ის გარემოებაც, რომ სწორედ ლაზეთის სანაპიროზე, ათინის სამხრეთ-დასავლეთით, ზღვის პირას მონიშნულიც არის ადგილი „ქემერი“ (იხ. მაგ., ივ. ჯავახიშვილის რედაქციით გამომცემული „საქართველოს ისტორიული რუკა“, თბ. 1923 წ.), რომელიც თურქულ გამოთქმას უნდა წარმოადგენდეს სიტყვისათვის – „კამარა“ (ამასვე უკავშირდება „ქამარიც“), რაც ეგებ ამ მიდამოების მოყვანილობის ერთგვარ თავისებურებაზე შეიძლება მიუთითებდეს (მორკალული უბე, კონცხი, ქედი) და თავისი ძველი საფუძველი მოეპოვებოდა. ტაციტუსის მიერ ნახსენები კამარების მფლობელები, ფრიად შესაძლოა, ამ ადგილებიდან იყვნენ, რადგან იქ აღწერილი ამბების ასპარეზი ხომ სწორედ ტრაპიზონსა და მის აღმოსავლეთით ზღვის სანაპიროზე მდებარეობდა.

რაც შეეხება ამიანე მარცელინეს იმ მასალას, რომლისთვისაც აქამდე თითქოს ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევიათ კამარიტების ლოკალიზაციის საკითხის გარკვევისას, ჩვენის აზრით, იგი გადამწყვეტი მნიშვნელობისა ჩანს. ამ კონტექსტში (XXII, 8, 21 – 24) კამარიტები სრულიად ლოგიკურად არიან მოხსენიებულნი მართლაც შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს მიდამოებში, მდ. ფაზისის სიახლოვეს, დასავლეთ საქართველოს სხვა ცნობილი ქართველი თუ არაქართველი ტომების ახლოს, რაც სტრაბონისა და უფრო ტაციტუსის კამარების ამბავსაც უდგება. ამბავიც უკეთ დალაგებული ჩანს, ვიდრე ეს დიონისიოს პერიეგეტის თხზულებაში არის გადმოცემული და უპირატესობაც ამიანეს უნდა მიენიჭოს საკითხის გადაჭრაში.

კერძოდ ამ ადგილთან (XXVII, 8, 21 – 24) დაკავშირებით აშკარად ჩანს, რომ ამიანე მარცელინეს გაცილებით სრული წყარო ჰქონია ხელთ, ვიდრე დიონისიოს პერიეგეტის ტექსტია.

ის რაც დიონისიოსს შეკვეცილი და გაბუნდოვანებული აქვს, ამიანეს უფრო ვრცლად და ისეთი ნიშანდობლივობით აქვს მოყვანილი, რომ ცხადია, მართო დიონისიოსით რომ ესარგებლა, ამას ვერ მოახერხებდა. ამიტომ, ერთის მხრით, მიუღწეველი ვარაუდს – ამიანეს ერთ-ერთი წყარო დიონისიოს პერიეგეტი ყოფილაო, მეორე მხრით კი როსტოვცევის ნათქვამს – მათი მსგავსება „შიეძლება აიხსნას, როგორ უშუალო სესხებით, ისე ამიანესა და დიონისიოსის მიერ მსგავსი ხასიათის წყაროების გამოყენებითო“ (Скифия и Боспор. стр. 82), ამ მაგალითის მიხედვით, უფრო მეტი დაზუსტების შესაძლებლობა ექმნება. აქედან ჩანს, რომ შიეძლება, რასაკვირველია, დიონისიოსის შრომასაც იცნობდა ამიანე, მაგრამ გამოყენებით კი, კერძოდ ამ ადგილას, სხვა, იმაზე უფრო სრული და შიეძლება თვით დიონისიოსისავე წყარო გამოუყენებია. უნდა ითქვას, რომ დაახლოებით ასეთივე დამოკიდებულება ჩანს წყაროების თვალსაზრისით სხვა მისი ტექსტის მსგავსი ცნობების მომყვანი მწერლების პომპონიუს მელას, პლინიუს უფროსის და ვალერიუს ფლავუსის მიმართაც. მარცელინეს ზოგ დეტალში ისეთი განსხვავებული ცნობები მოეპოვება, რომლებიც გვავარაუდებინებენ, რომ მათ გარდა ამიანეს მართლაც მათი წყაროებიც უნდა ჰქონოდა ხელთ.

იმავე XXII-ე წიგნში (XXII, 8, 20 – 21) ჩვენთვის საყურადღებოა ქართველი ტომების ჩამოთვლა შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებზე მდ. ჰალისიდან მოყოლებული აღმოსავლეთის მიმართულებით. ავტორი გადმოგვცემს, რომ ამ „ადგილების მეზობლად არიან დაჰები, ყველაზე უმამაცესი მეომრები და ხალიბები, რომლებმაც პირველად მოიპოვეს და დაამუშავეს რკინა. მათ შემდეგ ვრცელი მიწები უჭირავთ ბიზარებს, საპირებს, ტიბარენებს, მოსინეკებს, მაკრონებს და ფილირებს – ხალხებს, რომლებიც ჩვენთვის სრულიად უცნობნი არიანო“.

ჩვენი ავტორის უკანასკნელი რემარკა იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ამ შემთხვევაში, ტომების ჩამოთვლის დროს, იგი მწიგნობრულ ტრადიციას უფრო მისდევს და მის თანამედროვე რეალურ ვითარებას ნაწილობრივ მაინც დამორებული უნდა იყოს, რადგან მაგ., მოსინეკები ანუ მოსინოიკები, მაკრონები და ზოგი სხვანი ამ დროს უკვე სხვა სატომო სახელებში უნდა იგულისხმებოდნენ. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია თუნდაც დიონისიოს პერიეგეტის იმავე სქოლიასტის ევსტათის ცნობა: მაკრონებს ახლა სანებს ანუ ვულგარულად ჭანებს (Τζάνους) ვეძახითო.

ამ მხრივ თვითონ ამიანეს თხზულებაც გვთავაზობს ერთ საინტერესო ცნობას ამავე ჭანების შესახებ (აღსანიშნავია, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე უფრო ადრინდელი შემთხვევაა მათი ხსენებისა). XXV-ე წიგნში (XXV, 1, 19) ნათქვამია: სპარსელებთან ბრძოლაში დაიღუბა ჭანების (Ziannorum) ლეგიონის მეთაური ვეტრანიონიო. ძველი კომენტატორები ანრი ვალუა და ლინდენბროგი აღნიშნავენ: აქ მოხსენებული Zianni, იგივე Zanui, Tzanni, Sanni და Thanni,, ლაზებისა და სომხების მოსაზღვრე ხალხიაო, და არ ეეჭვებათ, რომ აქ მართლაც ჩვენთვის ცნობილ ჭანებზეა ლაპარაკი. ვალუა კიდევ დასძენს: აქედან ჩანს, რომ ჭანები ჯერ კიდევ იუსტიანემდე ყოფილან რომის მოკავშირენი და დამხმარე-ნიო¹. მაშასადამე თვით ამიანესათვისაც ერთგვარად ცნობილი უნდა ყოფილიყო საქმის ეს ვითარება, რაკი ამ სახელის მქონე მთელ ლეგიონზე ლაპარაკობს.

ასევე მწიგნობრული ტრადიციის გავლენას უნდა მიეწერებოდეს ფრაზა „ფაზისი ხმაურიანი დენით ჩამოუდის კოლხებს, ეგვიპტელთა ძველ მოდგმასო“ (XXII, 8, 24); მაგრამ აქვე საინტერესოა მისი ნიშანდობლივი ცნობა: „იქ სხვა ქალაქებს შორის არის მდინარის მოსახელე ფაზისი და ახლაც კი კარგად ცნობილი დიოსკური ა“. სხვა წყაროებით ამ დროს დიოსკურიაც თითქოს უკვე მოკლებულია ძველ ბრწყინვალეობას, ხოლო ჩვენი ავტორი კი საგანგებოდ აღნიშნავს „ახლაც კი კარგად ცნობილიაო“. კოლხთა შემდეგ მოიხსენიებს სხვა ქართველ ტომებსაც იქებებსა და ჰენიოხებს, მაგრამ მათი ეთნოგენეზის შესახებ იმავე ლეგენდურ ცნობებს იმეორებს, რომლებიც სხვა ძველი ავტორების წყალობითაც ვიცით (შდრ. სტრაბონი, XI, 2, 12, პლინიუსი VI, 15 – 6, სოლინუსი XV, 17); ოღონდ ჰენიოხთა ტომის მამამთავრების სახელი (ამფიტოსი და კერკიოსი) კი სრულად არ ემთხვევა სხვა ავტორებს ნათქვამს.

საკმაოდ ვრცელი და შინაარსიანი ცნობებია დაცული ამიანეს თხზულების XXVII წიგნში რომისა და სპარსეთის ომში იბერიის მონაწილეობისა და მისი ბედის შესახებ. ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ სპარსეთის მეფე შაბურმა (II-ემ) ახ. წ. 368 წ. გამოაძევა რომაელთა ხელის შეწყობით იბერიის მმართველად დანიშნული სავრომაკი (ჩვენი საისტორიო წყაროს მეფე საურმაგი) და მის ნაცვლად ასპაკურს მისცა ხელისუფლება და გვირგვინიც

¹ იხ. Wagner-Erfurdt-ის გამოცემა, t. III, pp. 88 – 89.

(XXVII, 12, 4). აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, „ალბათ, ეს ასპაგური იგულისხმება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატთანეში „ვარაზბაკურის“ სახელით“ (ქართ. ერის ისტ. ტ. I თბ. 1951, გვ. 236).

შემდეგ სავრომაცისა და ასპაკურის ამბავი ცოტა ქვემოთ გრძელდება (XXVII, 12, 16): გამევებული სავრომაკ-საურმაგი რომაელებმა 12 ლეგიონითა და სარდალ ტერენციუსის თანხლებით დააბრუნეს უკან და, როცა იგი მტკვარს მოუახლოვდა, ასპაკურმა სთხოვა, საერთო ძალით ნათესაურად ვიმეფოთო. ამით ასპაკურს შეემლო შუალედი პოზიცია დაეჭირა: არც სამეფო ხელისუფლება დაეკარგა მთლიანად, არც რომაელთა მხარეს გადასულიყო აშკარად, რადგან მისი ვაჟიშვილი ულტრა ჯერ კიდევ მძევლად ჰყავდათ სპარსელებს.

მერე (XXVII, 12, 17) გადმოცემულია, რომ იმპერატორი ვალენტი დათანხმდა იბერიის ასე გაყოფას საქმის მშვიდობიანად მოგვარების მიზნით. საზღვრად მტკვარი იქნა დადებული, სავრომაკ-საურმაგმა სომხებისა და ლაზების მოსაზღვრე ნაწილი დაიჭირა, ასპაკურ-ვარაზბაკურმა კი ალბანეთისა და სპარსელების მოსაზღვრე ნაწილი. ეს განაწილება, როგორც ქვემო ტექსტიდან (XXVII 12, 18) ჩანს, შაბურს არ მოსწონებია და კვლავ საომარ მზადებას შესდგომია. რათა ეს საქმეები იარაღის ძალით გადაეწყვიტა.

XXX წიგნში, სადაც 374 წლის ამბებზეა საუბარი (XXX, 2, 2), ჩანს, რომ შაბურს დამარცხების შემდეგ უკვე მოლაპარაკების გზით მოუნდომებია იბერიის საკითხის მოგვარება და მოციქული გაუგზავნია ვალენტისათვის: იბერიის გაყოფა გააუქმე, იქიდან რომაელთა მომხრეების დასაცავი გარნიზონები გაიყვანე და მეფობა მარტო ასპაკურს დაანებე, რომელიც მე თვითონ დავუსვი მაგ ხალხსაო. მაგრამ ამაზე იმპერატორ ვალენტს უარი შეუთვლია (იქვე, 2, 3).

ამიანე მარცელინეს ისტორიის XXVII და XXX წიგნებში მოთხრობილი ამბები სომხეთის მაშინდელი მდგომარეობის შესახებ მნიშვნელოვნად ავსებს სხვა წყაროებს, განსაკუთრებით ძველი სომხური საისტორიო ძეგლების ცნობებს¹, რომლებშიც გადმოცემულია სომხეთის მეფის არშაკ II-ის, მისი ძის მეფე ჰაპის თავ-

¹ შდრ., История Армении Фавстоса Бузанда, пер. М. А. Геворгияна, Ереван, 1953, стр. 55 – 179; История Армении Моисея Хоренского, новый перевод Н. О. Эмина, Москва, 1893, стр. 156 – 178.

გადასავალი და მათი ბრძოლა სპარსეთის მეფე შაბურ II-ესთან (სომხური წყაროების შაპუჰი).

პირველად სწორედ სომხეთის მეფის პაპის თავგადასავალთან კავშირში ჰყავს მოხსენიებული ამიანეს ფაროსანთა ანუ სკუტარიების ტრიბუნი ბარზიმერესი (XXX, 1, 11 – 16), რომელსაც მკვლევრები V საუკუნის სახელოვანი მოღვაწის პეტრე ქართველის პაპად მიიჩნევენ¹. პეტრე ქართველის ასურულ ცხოვრებაში მისი სახელი გადმოცემულია Busmirios-ის ფორმით², რაც იგივე ბუზმირი ანუ ბუზმიჰრია. განსხვავებით პეტრეს მამისაგან, რომელსაც აგრეთვე ბუზმირი ერქვა, წყაროებში „იგი მეფედ არ იხსენიება“³.

ამიანე-ს გადმოცემით, რომაელთა სამსახურში მყოფი ეს ბუზმირი დაახლოებით. 373 წ. (ახ. წ.) კომიტ დანიელუსთან ერთად ათასი მშვილდოსნითურთ დაედევნა ტარსოსიდან (კილიკია) გაქცეულ პაპს, მაგრამ ეს უკანასკნელი ოსტატური ხრიკით ხელიდან გაუსხლტა მდევარს (XXX, 1, 15).

მეორედ ეს პირი ჩვენს ავტორს მოხსენიებული ჰყავს 377 წლის ამბებში – აღწერილია მისი ვაჟკაცური სიკვდილი ქალაქ დიბალტუმთან (თრაკია) გუთების წინააღმდეგ ბრძოლაში და დახასიათებულია, როგორც ომში გამობრძმედილი სარდალი (XXXI 8, 9).

ბარზიმერესის ანუ ბუზმირის თანამდებობა tribunus scutariorum ფაროსანთა უბრალო რაზმის ტრიბუნის, მეთაურის აღმნიშვნელი არაა. სკუტარიები (scutarii), თომელთა სახელი მართლაც მათი ერთ-ერთი იარაღის სახელიდან მომდინარე ჩანს, წარმოადგენდნენ ე. წ. Scholae Palatinae-ს, ანუ იმპერატორის კარის მცველი ჯარის (შედგებოდა 3500-მდე მეომრისაგანს) ერთ-ერთ ქვეგანაყოფს და, მაშასადამე, მათი მეთაურის თანამდებობა თავისთავად საკმაოდ მნიშვნელოვანი რანგის სამხედრო პირს გულისხმობს იმპერატორის კარზე.

აღსანიშნავია, რომ იმდროინდელი მეორე ქართველი სამხედრო პირი ბაკური (Bacurius Hiberus) რომელსაც, მარცელი-

¹ J. M a r k w a r t, Die Bekehrung Iberiens und die beiden ältesten Dokumente der iberischen Kirche, Caucasia, Fasc. 7, Leipzig, 1931, S. 127; აკად. გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბილისი, 1960, გვ. 20.

² მისი სახელის ასე ამოკითხვის, და აგრეთვე ეტიმოლოგიის შესახებ იხ. აკად. გ. წერეთლის დასახელებული ნაშრომი, გვ. 19 – 23.

³ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, თბილისი, 1928, გვ. 177.

ნეს გადმოცემით, 378 წელს მიუღია მონაწილეობა გუთებთან ბრძოლაში (XXXI, 12, 16), ასევე სკუტარიების მეთაურად არის მოხსენიებული. ამ ბაკურის შესახებ ბევრია ნათქვამი ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში. ზოგ მკვლევარს იგი იმავე პეტრე ქართველის მეორე პაპად (დედის მხრით) მიაჩნია და დიდ ბაკურთან აიგივებს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბუზმირის (ანუ ბარზიმერესის) შემდეგ სკუტარიების ტრიბუნობა ამ ბაკურს მიენიჭა.

*
* * *

ამიანე მარცელინეს ტექსტის შესწავლის საქმეში ჯერჯერობით უკანასკნელ სიტყვას წარმოადგენს კლარკის გამოცემა, რომელიც ორ წიგნად გამოვიდა. I ტომში მოთავსებულია XIV – XXV წიგნები და 1910 წ. გამოქვეყნდა ბერლინში, მეორე ტომის I ნაწილი კი (XXVI – XXXI წიგნები) 1915 წ. გამოვიდა. ამ მეცნიერს განზრახვა ჰქონდა II ტომის მეორე ნაკვეთში ტექსტის შესახებ სრული გამოკვლევა, კომენტარები და საძიებლები დაერთო, მაგრამ ვედარ განუხორციელებია. გამოცემულ ნაწილში საჭირო სისრულითაა გათვალისწინებული ხელნაწერთა თავისებურებანი და სხვადასხვა მეცნიერთა მიერ გამოცემული რედაქციების კითხვასხვაობანი. სქოლიო ორსართულიანი აქვს დართული, ზემო ნაწილში მარტო ხელნაწერის წაკითხვებია მოცემული, ქვემო ნაწილში კი გამომცემელთა ნაკვლევი და აღდგენილი ნაწილების წაკითხვები. ჩვენს მუშაობაში ამ გამოცემას დავეყრდნეთ და ამასთანავე სხვა, ჩვენში ხელმისაწვდომი, გამოცემებიც გამოვიყენეთ. ჩვენი ტექსტი ძირითადად მისდევს კლარკის წაკითხვებს, რადგან ახლა იგი საყოველთაოდ აღიარებულად ითვლება; ოღონდ ზოგ, ისიც იშვიათ შემთხვევაში ვუხვევთ მისი წაკითხვებიდან, თანაც ჩვენი ტექსტის გაგებისათვის ყველა მნიშვნელოვანი წაკითხვა სქოლიოში მოგვყავს როგორც ხელნაწერებისა, ისე გამოცემებისა

¹ ამ საკითხების შესახებ იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ. 1951 წ., გვ. 213 და შმდ.: ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გელასი კესარიელი ქართლის მოქცევის შესახებ: მიმომხილველი, ტ. I, 1926, გვ. 54 – 68; კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართველთა მოქცევის მთავარი საკითხები: მიმომხილველი, ტ. I, 1925, გვ. 12 შმდ; გ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, არის თუ არა ბერძნულ-ლათინური წყაროების ბაკური იბერიის მეფე? მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, 1946, ნაკვ. 1, გვ. 1 შმდ.: ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ლიბანიოსი და ბაკური, ქუთაისის პედ. ინსტ. შრომები, ტ. I, ქუთაისი, 1940, გვ. 13 – 20; მ ი ს ი ვ ე, ბერძნული ლიტ. ისტორია, ტ. II, თბ., 1949, გვ. 355 – 357. იხ. აქვე გვ. 59 – 68.

და ისე თვით კლარკისა. უმთავრესი გადახვევებიდან შემდეგი უნდა აღვნიშნოთ: როგორც წესი, კლარკს v და u მარტო u ასოთი აქვს გადმოცემული, როგორც უძველეს ლათინურ ხელნაწერებს სჩვევია, ძე კი ვარჩიე ეს ორი ასო გვიანდელი წესის მიხედვით განმესხვავებინა არასპეციალისტი მკითხველის საჭიროების გათვალისწინებისათვის. ამავე მიზეზით, ძველი ხელნაწერების ასოთა ჯგუფები: adp, ads-, inl-, inr- და სხვ., რომლებიც ასიმილირებულად უფრო წარმოიდგინებოდნენ შემდეგში, შესაბამისად app-, ass-, ill-, irr- და სხვ. სახით დავწერე.

გადავუხვიე ზოგი კლარკისეული სახელის წაკითხვასაც. მაგ., იგი ერთი სომეხი დიდებულის სახელად ხელნაწერის მიხედვით ყველგან Arrabanes წერს; მე ვამჯობინე Artabanes, ზოგი ძველი გამოცემის მიხედვით, რადგან თითქოს ამჯერად ჩანს, რომ აქ ასე უნდა იყოს და ცნობილიც არის ასეთი სახელი, რაც არ ითქმის მის კლარკისეულ ფორმაზე. სამაგიეროდ სომეხთა მეფის სახელი, რომელიც გარდჰაუზენის წაკითხვისა და ხელნაწერის მიხედვით აკად. ვ. ლატიშევის კრებულში Para-ს ფორმითაა გადმოცემული, ვამჯობინე კლარკისეული წაკითხვით დამეწერა, რადგან ასევე აშკარად ეს ფორმა უფრო სწორია და სომხეთის ისტორიაშიც ცნობილია ეს სახელი. მაგრამ საერთოდ ყოველი მნიშვნელოვანი თავისებურება გათვალისწინებულ გვაქვს სქოლიოში.

ხელნაწერთა გულმოდგინე შესწავლის შედეგი კლარკს მოკლე შესავლის სახით დაურთავს თავისი გამოცემისათვის¹. მისი გამოკვლევით, სურათი სრულიად ნათელია. სულ 16 ხელნაწერია ჩვენი ავტორისა ცნობილი. ამათგან 12 სრულ (ე.ი. XIV – XXXI წიგნების) ტექსტს შეიცავს, ორი XXVI წიგნზე წყდება, ერთი XXV წიგნს არ სცილდება, ერთი ხელნაწერი კი Hersfeld-ის სააბატოს კუთვნილ ექვს დაშლილ ფურცელს წარმოადგენს და ახლა მარბურგშია დაცული. ამ თექვსმეტი ხელნაწერიდან მხოლოდ ორია მნიშვნელოვანი – ერთი სრული, ე. წ. Fuldensis (აღნიშნულია V ლიტერით) და ერთი ექვსფურცლიანი – Hersfeldensis, ახუ Marburgensis (აღნ. M ლიტერით). პირველი IX ს.-საა, მეორე. IX – X, ს.-სა. ყველა დანარჩენი გადმოწერილია XV საუკუნეში V ხელნაწერიდან (ინახება რომში, ეტრატი, Vat. Lat. 1873) ან უშუალოდ, ან პირის მიხედვით. ამიტომ მარბურგული ხელნაწერი გამოყენე-

¹ იხ. აგრეთვე, მისივე, The Text Tradition of Ammianus Marcellinus, New Haven, 1904.

ბულია იმ ადგილებში, რომელი ნაწყვეტებიც (XXIII, XXVIII, XXX წიგნების ფრაგმენტები) არის მასში დაცული.

ხელნაწერთა ასეთი თავისებური მდგომარეობითაა გამოწვეული ის გარემოება, რომ კლარკს ხელნაწერის წაკითხვები (ე. ი. ზემო სქოლიო) ულიტეროდ მოჰყავს დიდ უმრავლეს შემთხვევაში და ჩვენც ასე მოვიქცით – თუ წაკითხვაზე მითითება არ არის, მაშასადამე V (Fuldensis) ხელნაწერისა ყოფილა.

რადგან V ხელნაწერი ძალიან დაზიანებულია. აღიარებულია, რომ ზოგ უძველეს გამოცემასაც ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა, ამიტომ გამოყენებულიც არის.

პირველი გამოცემა გამოაქვეყნა რომში 1474 წ. ს ა ბ ი ნ უ ს მ ა (A. Sabinus). იგი შეიცავდა მხოლოდ XIV – XXVI წიგნებს და ერთ-ერთ გვიანდელ ხელნაწერს ეყრდნობოდა. მას სხვებიც მოჰყვა. აღსანიშნავია ჰამბურგში ლინდენბროგის მიერ 1609 წელს გამოცემული ტექსტი, რომლისთვისაც გვიანდელი ხელნაწერი გამოიყენა, მაგრამ ახსნა განმარტებები დაურთო ტექსტს პირველად. მნიშვნელოვანია ანრი ვალუას (Valesius) გამოცემა (პარიზი, 1636), რომლის ზოგ განმარტებას ახლაც არ დაუკარგავს ფასი. ძველი კომენტატორების ნამუშევარი თავისი დამატებებითურთ Erfurdt-თან ერთად გამოსცა Wagner-მა ლაიპციგში 1808 წელს. ეს გამოცემა ახლაც მნიშვნელოვანია მკვლევარისათვის.

კლარკის გამოცემამდე ყველაზე უკეთეს გამოცემად ითვლებოდა გერმანელი მეცნიერის გარდტჰაუზენის რედაქციით 1874 – 75 წლებში ლაიპციგში გამოსული ტექსტი. ჩვენი ავტორის ტექსტის ვრცელი ფილოლოგიურ ისტორიული კომენტარების ნაწილი გამოუქვეყნებია სადოქტორო დისერტაციისათვის ჰოლანდიელ მეცნიერს დე იონგს (P. de Jonge) ორი ნაკვეთია გამოსული. პირველი შეიცავს XIV წიგნის 1 – 7 თავების კომენტარს და 1935 წ. არის გამოსული, მეორე კი XIV წიგნის 7 – 11 თავების კომენტარს და 1939 წ. გამოუცია ¹, მაგრამ ამ გამოცემებით სარგებლობა სამწუხაროდ ვერ მომიხერხდა, თუმცა ჩვენთვის საინტერესო ადგილებიდან მისი კომენტარი ალბათ მხოლოდ ერთს თუ მოიცავს (XIV, 8, 3).

მასალის ამოკრებისას ვცდილობდი, რაც შეიძლება ვრცლად ამომეწერა საქართველოს და ქართველ ტომთა შესახებ არსებული ცნობები, აგრეთვე მეზობელი ხალხების ალბანელების, სომხების

¹ P. de Jonge, Sprachlicher und historischer Kommentar zu Ammianus Marcellinus, Groningen, I. 1935; II, 1939.

და სხვათა შესახებ გადმოცემული ცნობების უმეტესობაც. ამიტომ აკად. ვ. ლატიშევის ცნობილი კრებულის ¹ ტექსტთან შედარებით ზოგი რამ შეემატა, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგი ისეთი ცნობა, რომელიც, მართალია, ლატიშევის კრებულში მოტანილია, ოღონდ საქართველოდან ძალიან დაშორებულ ამბებს კი ეხება (მაგალითად, კვადებსა და სარმატებთან ომი დუნაის მიდამოებში [XVII, 12; 1 – 13, 33: XIX. 11, 1 – 16; XXIX. 6, 8 – 16])

და ზოგი სხვა, ჩვენ არ შემოგვიტანია.

ამასთანავე, რაკი შავიზღვისპირეთის აღწერას ამიანე ცალკე ექსკურსს უძღვნის (XXII, 8, 1 – 48), სურათის სისრულით წარმოსადგენად მთლიანად გადმოვიღეთ და შიგ ისეთი საინტერესო ცნობებიც არის, რომლებსაც ლატიშევის კრებულის შემდგენლებს არც პირველ გამოცემაში მიუქცევიათ ყურადღება, არც მეორეში და, რაც უფრო გასაკვირია, არც იმ სპეციალურ დამატებაში შეუტანიათ, რომელიც ძირითადი ძველი ტექსტის მოთავსების შემდეგ დაერთო ВИД-ში გამოქვეყნებულ მასალას უფრო გვიან ².

ძირითადი კრიტიკული გამოცემა, რომელიც საფუძვლად დაედო ჩვენს მუშაობას ტექსტზე:

Ammiani Marcellini rerum gestarum libri qui supersunt, recensuit rhythmiceque distinxit C. U. Clark, adiuvantibus L. Tranbe et G. Heraeo, vol. I (libri XIV – XXV), Berolini, 1910; vol. II, pars I (libri XXVI – XXXI), Berolini, 1915.

სხვა მნიშვნელოვანი გამოცემები:

Ammiani Marcellini rerum gestarum libri qui supersunt, rec. V. Gardthausen, vv. I – II, Lipsiae, 1874 – 75 (Bibliotheca Teubneriana).

¹ В. В. Л а т ы ш е в, Известия древных писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе, ч. II, Латинские писатели, СПб, 1904 – 1906 (ლათინური ტექსტიურთ); მეორე გამოცემა ლათინური ტექსტის გარეშე, მაგრამ უფრო ვრცელი კომენტარებით, იხ. ჟურნ. „Вестник древней истории“, № 3 (29), 1949, стр. 283 – 308.

რაც შეეხება ვ. განის კრებულში უფრო ადრე გამოქვეყნებულ ნაწყვეტებს, აგრეთვე ლათინური ტექსტის გარეშე (К. Г а н, Известия древних греческих и римских писателей о Кавказе, ч. I, Тифлис, 1884, стр. 181 – 191), იგი ჩვენთვის საინტერესო მასალის უფრო მცირე ნაწილს შეიცავს.

²) ВДИ, № 2 (40), 1952, стр. 307 – 323.

Ammiani Marcellini rerum gestarum libri qui supersunt,
F. Eyssenhardt recensuit, Berolini, 1871.

Ammiani Marcellini quae supersunt cum notis integris
F. Lindenbrogii, Henr. et Hadr. Valesiorum et I. Gronovii, qui-
bus T. Reinesii quasdam et suas adiecit I. A. Wagner; editio-
nem absolvit C. G. A. Erfurdt, tt. I – III, Lipsiae, 1808.

თარგმანები:

რუსული – Аммиан Марцеллин, История, пер. Ю. Кула-
ковского и А. Сонни, вып. 1 – 111, Киев, 1906 – 1908.

ინგლისური – Ammianus Marcellinus with an English trans-
lation by J. C. Rolfe, 3 vols. (Loeb Classical Library), Lon-
don. 1950 – 1952.

გერმანული – Ammianus Marcellinus,, Römische Geschichte,
überset von L. Tross und C. Büchele, Stuttgart, 1853 – 1854.

ფრანგული – Ammien Marcellin, Juruandès, Frontin... Pa-
ris, 1849, თარგმანი T. Salvète-ისა, სერიაში – Collection des Au-
teurs latins avec la traduction en Français, publiés sous la direc-
tion de M. Nisard.

უმთავრესი ნაშრომები ავტორისა და მისი თხზულების შე-
სახებ:

ყაუხჩიშვილი ს. პროფ., ბერძნული ლიტერატურის ისტო-
რია, ტ. II, თბილისი, 1949, გვ. 333 – 334.

Соколов В. С., Аммиан Марцеллин как последний пред-
ставитель античной историографии, ВДИ, № 4, 1959, стр.
43 – 62.

Покровский М. М., Акад., История римской литературы,
М.-Л., 1942, стр. 385 – 388.

Ростовцев М. И., Скифия и Боспор. Критическое обо-
зрение памятников литературных и археодогических. Ленин-
град, 1925. стр. 80 сл.

Thompson E. A., The Historical Work of Ammianus Mar-
cellinus, Cambridge, 1947.

Schanz M., Geschichte der römischen Literatur, 4. Teil,
1. Band, 2. vermehrte Aufl., München, 1914, SS. 93 – 107.

Teuffel W. S., Geschichte der römischen Literatur, III B.
Neub. 6. Aufl., Berlin, 1913, SS. 297 – 302.

- Seeck O., *Ammianus Marcellinus* (4): Pauly-Wissowa, Real-Encyclopädie, I B., Stuttgart, 1894, S. 1845 – 52.
- Mackail J., *The Last Great Roman. Historian: Classical Studies*, London, 1925, pp. 159 – 187.
- Ensslin W., *Zur Geschichtsschreibung und Weltanschauung des Ammianus Marcellinus: Klio, Beiheft XVI*, 1923.
- Klein W., *Studien zu Ammianus Marcellinus: Klio, Beiheft XIII*, 1914.
- Seeck O., *Zur Chronologie und Quellenkritik des Ammianus Marcellinus: Hermes, XLI*, 1906, SS. 481 – 539.
- Clark C. U., *The Text Tradition of Ammianus Marcellinus*, New Haven, 1904.
- Novák R., *Kritische Nachlese zu Ammianus Marcellinus: Wiener Studien 33*, 1912, SS. 293 ff.

ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები ამიანეს შესახებ იხ. Bursian-ის Jahresbericht-ის შემდეგ ნომრებში:

- B. 72. 1892, 1 – 19 (M. Petschenig-ის ნაშრომი),
 B. 203. 1925, 46 ff. (W. A. Baehrens-ის ნაშრომი),
 B. 247. 1935, 52 ff. (J. Miller-ის ნაშრომი).

ლათინური ტექსტის სქოლიოს შემოკლებათა ახსნა:

- A – Editio Accursii Augustana a. 1533.
 B – Editio Castellii Bononiensis a. 1517.
 b – Editio Erasmi Basiliensis a. 1518.
 B o x h. – Editio Boxhornii Zuerii Lugdunensis Batav. a. 1632.
 B t l. – Bentleius in emendationibus Ammianeis...
 C – Codex chart. Culbertinus s. XV, Paris. B. N. Lat. 5821.
 C m2 – Eiusdem codicis corrector aevi aequalis.
 C m3 – Eiusdem codicis corrector aevi recentioris.
 C I – Emendationes Clarkii.
 D – Codex chart. s. XV, Vat. Lat. 1874.
 E – Codex chart. a. 1445, Vat. Lat. 2969.
 E y s s. – Editio Eyssenhardti maior, Berolini a. 1871.
 G – Editio Gelenii Basiliensis a. 1533.
 G d t. – Gardthausen in coniectaneis Ammianeis a. 1869 aut editione Teubneriana 1874 – 5.
 H – Cudex membr. a. 1462, Paris. Bibl. Nat. Lat. 5819.

- H e r . – Guil. Heraeus in editione Clarkii recensenda et corrigenda.
 K – Codex membr. s. XV, Malatestianus, Cesanae, Bibl. XIV
 4 sinistr.
 M – Codex membr. s. IX – X, Hersfeldensis.
 M g – In margine.
 M o m m s . – Th. Mommsen.
 N – Codex chart. Neapolitanus s. XV (Codex Regius Valesii),
 Paris. Bibl. Nat. Lat. 6120.
 N o v . – Rob. Novák.
 P – Codex membr. s. XV, Petrinus, Rom. Babil. Petri E 27.
 P e t . – Michael Petschenig.
 Q – Cod. membr. a. 1488 Corvinianus, Mutinae Bibl. Est. Lat. 425.
 R – Codex chart. s. XV, Reginensis, Vat. Reg. Lat. 1994.
 S – Editio princeps A. Sabini Romae 1474, ex cod. R.
 T – Codex membr. s. XV, Paris. Bibl. Nat. Lat. 5820.
 T m2 – Eiusdem cod. scriptoris correctiones.
 U – Codex membr. s. XV, Urbinas, Vat. Urb. Lat. 416.
 v u l g o – Lectio quae Valesiis ignota in textum Gronovianum
 iam accepta est.
 V – Codex membr. s. IX, Fuldensis, Vat. Lat. 1873.
 V m2 – Corrector eiusdem temporis.
 V a l . – Editio Henrici Valesii, Parisiis a. 1636 impressa.
 W – Cod. chart. s. XV. Bessarionis, Venet. Bibl. S. Marc. 388 Bess.
 W a g n . – Ed. J. A. Wagneri Weidmanniana a. 1808.

წიგნი XIV

არგონავტთა თანამოლაშქრე მობსოსი *

8, 3. Ciliciam vero, quae
 Cydno amni exultat, Tarsus nobi-
 litat, urbs perspicabilis – hanc
 condidisse Perseus memoratur,
 Jovis filius et Danaes, vel certe
 ex Aethiopia profectus Sandan
 quidam nomine vir opulentus

8, 3 1. ხოლო კილიკია, რომე-
 ლიც ტრაბახოს მდინარე კიდნო-
 სით, სახელგანთქმულია ტარსო-
 სით, მშვენიერი ქალაქით. ამბო-
 ბენ, რომ ეს დაარსებულია პერ-
 სევსისაგან, ზევსისა და დანაეს
 მისაგან თუ, უფრო სწორედ,

* თარგმანში აღნიშნული ციფრები ბოლოში დართულ შენიშვნებზე მიუ-
 თითებენ.

et nobilis, – et Anazarbus auctoris vocabulum referens, et Mobsuestia, vatis ¹ illius domicilium Mobsi ², quem a commilitio Argonautarum, cum aureo vellere ³ direpto redirent, errore ⁴ abstractum, delatumque ad Africae litus, mors repentina consumpsit, et ex eo cespite Punico tecti, manes eius heroici dolorum varietati medentur plerumque sospitales.

სიკვდილით მოკვდა. მას შემდეგ პუნკური კორდით დაფარული მისი გამირული ნეშტი უმეტესწილად სხვადასხვა სენთა განკურნებას შველოდა.

ეთიოპიიდან მოსული ვინმე მდიდარი და წარჩინებული კაცისაგან სახელად ზანდან. [აქვეა] ანაზარბოსი, თავისივე დამაარსებლის სახელის მატარებელი, და მობსუესტია, სამშობლო იმ მისან მობსოსისა ², რომელიც, როცა ოქროს საწმისის მომტაცებელი არგონავტები უკან ბრუნდებოდნენ, თანამოლაშქრეებს გზაში მოსწყდა, აფრიკის სანაპიროზე მოხვდა და ანაზდეული

წიგნი XVI

მითრიდატე პონტოელის საჭურისის ამბავი და მითრიდატეს გაქცევა კოლხეთში

7, 9. Verum si forte scrupulosus quidam lector antiquitatum, Menofilum Mithridatis Pontici regis eunuchum, nobis opponat, hoc monitu recordetur, nihil super eo relatum ⁵, praeter id solum, quod in supremo discrimine ⁶ gloriose moustravit. 10. Ingenti proelio superatus a Romanis et Pompeio rex praedictus, fugiensque ad regna Colchorum, adultam filiam nomine Drypetinam, vexatam asperitate morborum in castello Sinhorio ⁷

7, 9. ოღონდ თუ შემთხვევით ვინმე ბეჯითი მკითხველი სიძველეთა ³ წარმოგვიდგენს მეფე მითრიდატე პონტოელის საჭურისის მენოფილოსს ⁴, ის უნდა შევახსენოთ, რომ მის შესახებ სხვა არაფერია გადმოცემული, გარდა იმისა, რომ უკიდურეს გასაჭირში დიდებულად მოიქცა. 10. როცა ზემოხსენებული მეფე რომაელებმა და პომპეუსმა ⁵ დიდ ბრძოლაში დაამარცხეს და კოლხთა სამეფოსკენ გარბოდა, მოწიფული ქალიშვილი,

¹ Mobsuestia, vatis] mobsu estiauat.

² Mopsi BG. mobsi. mopsi.

³ vellere EBG, bellere; ⁴ direpto redirent errore EG, direptore direm terrore. ⁵ super eo relatum G, superiore laetum.

⁶ discrimine BG, discrimen. ⁷ Sinhorio] Synorio N.

huic Menofilo commissam reliquit. Qui virginem ¹ omni remedium solacio plene curatam, patri tutissime servans, cum a Mallio ² Frisco, imperatoris legato, munimentum quo clauderetur, obsideri coepisset, defensoresque eius deditorem meditari sentiret, veritus ne parentis opprobrio puella nobilis captiva superasset et violata, inrrefecta ilia mox gladium in viscera sua compegit.

ბას ფიქრობენო, შეშინდა, წარჩინებული ქალიშვილი მშობლის სალანძღავად ტყვედ არ ჩავარდეს და არ გაწბილდესო და ამიტომ ჯერ ის მოჰკლა, მერე კი მაშინვე საკუთარ მუცელშიაც ჩაიცა მახვილი.

სახელად დრიპეტინა, რომელიც მძიმე სნეულებით იყო შეპყობილი, ციხე-სიმაგრე სინჰორიუმში ⁷ დასტოვა ამ მენოფილოსის ხელში. მან მრავალი წამლის მემწეობით სრულიად განკურნა ქალწული და დიდი სიფრთხილით უნახავდა მამას, როცა მთავარსარდლის [ე. ი. პომპეუსის] ლეგატმა მანლიუს პრისკუსმა იმ სიმაგრის ალყა დაიწყო, სადაც ის იყო ჩაკეტილი. ხოლო რომ შეიტყო, ციხე-სიმაგრის ჩაბარებას

წიგნი XVIII

ალბანთა მეფე სპარსეთის ლაშქარში

6, 22. Ibi morati integrum biduum, cum sol tertius affulsisset, cernebamus terrarum omnes ambitus subiectos, quos ὀρίζοντες appellamus, agminibus oppletos innumeris, et antegressum regem vestis claritudine rutilantem. Quem iuxta laevus incedebat Grumbates ³, Chionitarum rex nobilitate ⁴ quidem media, rugosisque membris, sed mente quadam grandifica, multisque victoriarum insignibus nobilis;

6, 22. იქ დავრჩით მთელ ორ დღეს ⁸. ხოლო როცა მზე მესამედ აღმობრწყინდა, დავინახეთ, რომ ირგვლივ ძირს გადაშლილი მთელი მიწები, რომელსაც ὀρίζοντες ⁹ ვუწოდებთ, ურიცხვი ლაშქრით აივსო, წინ კი მოუძღოდა ოქროთი მბზინავ სამოსში გამოწყობილი მეფე ¹⁰. მას მარცხნივ ახლოს მოსდევდა გრუმბატი, ხიონიტების ¹¹ მეფე, საშუალო ჩამომავლობის ¹², ტანმორჩილი, მაგრამ გონიერებით კი ერთგვარად დიდებული და მრავალი გამარ-

¹ qui virginem Wm2 G, quibus originem ² Mallio] Manlio PBG.

³ grynbate scionitarum V, grynbrates chionitarum V 2, gruinbates G.

⁴ nobilitate] M o m m s. ; nobis V, V 2; quidem aetate quidem V, nobilis BA, no<ta>bis B o k h., n o v u s E y s s., venustato H e r., nervositate P e t., nobis, aetate Cl.

dextra rex Albanorum, pari loco atque honore sublimis; post duces varii, auctoritate et potestatibus eminentes, quos ordinum omnium multitudo sequebatur, ex vicinarum gentium roboribus lecta, ad tolerandam rerum asperitatem diuturnis casibus erudita.

ბილი რჩეული ნაწილი, მძიმე გასაჭირის ატანაში ხანგრძლივი ვარჯიშით გაწვრთნილი.

ჯვებით სახელგანთქმული; მარჯვნივ – ალბანთა მეფე¹³ თანაბარი მდგომარეობისა და პატივით მაღალი; შემდეგ [მოდიონდენ] სხვადასხვა სარდლები, გავლენითა და ძალაუფლებით გამოჩენილნი, რომელთაც ყოველი რანგის ურდო მოსდევდა, მეზობელი ტომებისაგან მოკრე-

წიგნი XXI

რომის მთავრობისაგან იბერიის მეფის მერიბანისა და არმენიის მეფის არშაკის მოქრთამვა

6, 7. Et qui a¹ Persarum rege ad difficultatem hiberni temporis aegre contruso, reserata caeli temperie, validior impetus timebatur, ad Traustigritanos reges et satrapas legati cum muneribus missi sunt amplis, monituri cunctos et hortaturi, nostra sentire, et² nihil fallax temptare³ vell fraudulentum. 8. Ante omnia tamen Arsaces et Meribanes, Armeniae et Hiberiae reges, cultu ambitioso indumentorum emercabantur⁴, et multiformibus donis, damna negotiis Romanis illaturi, si rebus tum etiam dubiis discivissent ad Persas.

6, 7. ვინაიდან ემინოდათ, რომ კარგი ამინდის დადგომისთანავე უფრო ძლიერ თავდასხმას [მოაწყობდა] სპარსეთის მეფე¹⁴, რომელიც გაჭირვებით იქნა უკან დახევინებული ზამთრის დროის სიმძნელების გამო, ტიგრს გადაღმელ მეფეებთან და სატრაპებთან უხვი საჩუქრებითურთ ელჩები იქნენ გაგზავნილნი, რათა ყველასათვის მოეწოდებინათ და ჩაეგონებინათ, ჩვენთვის თანაეგრძნოთ და არაფერ მოტყუებას ანდა ღალატს ცდილიყვნენ. 8. მაგრამ ყველაზე უფრო მეტად მოქრთამულ იქნენ არშაკი¹⁵ და მერიბანი¹⁶, არმენიისა და იბერიის მეფეები, ბრწყინვალედ

¹ aj a d. V m2 M o m m s.

² sentire et A, sentirent.

³ temptare] tentarent G.

⁴ emercabantur BG, emersabantur.

მემკული სამოსით და მრავალნაირი საჩუქრებით, რადგან, თუ მაშინ-დელ საეჭვო ვითარებაში სპარსელებს მიუდგებოდნენ, ავნებდნენ რომის საქმეებს.

წიგნი XXII

ფაზისის მიდამოების მცხოვრებნი ელჩებს უგზავნიან იმპერატორ იულიანეს

7, 9. Haec eum curantem et talia, commendabat externis nationibus fama, ut fortitudine, sobrietate, militaris rei scientia, virtutumque omnium incrementis excelsum, paulatimque progrediens, ambitum oppleverat, mundi. 10. Proinde timore eius adventus per finitimos iongeque distantes latius explicato, legationes undique solito ocius ¹ concurrebant: hinc Transtigritanis pacem obsecrantibus et Armeniis, inde nationibus Indicis certatim cum donis optimates mittentibus ante tempus, ab usque Divis et Serendivis, ab australi plaga ad famulandum rei Romanae semet offerentibus Mauris, ab aquilone et regionibus solis, per quas in mare Fasis ² accipitur, Bosporanis ³ aliisque antehac ignotis, legationes vehementibus supplices, ut annua complentes sollemnia, intra terrarum genitalium terminos otiose vivere sinerentur.

7, 9. როცა ამ და აზის მსგავს საქმეებს აწესრიგებდა, [იულიანეს] უცხო ერებში გაუვარდა მამაცობის, თავშეკავებულობის, ომის საქმის მცოდნის, აგრეთვე ყოველი სიქველით აღმატებულის სახელი, რომელიც ნელ-ნელა მთელ მსოფლიოს მოედო ¹⁷. 10. შემდეგ, რაკი მისი მოსვლის შიშში მეზობლებსა და შორეულებში შორს გავრცელდა, ყოველის მხრიდან ჩვეულებრივზე უფრო ასწრაფებით მოაშურეს მისკენ ელჩებმა: აქეთ ტიგრსიქითელები და არმენიელები იხვეწებოდნენ ზავს, იქით ინდოელი ერები, თვით დივები და სერენდივებიც ¹⁸ კი, ერთმანეთს ასწრებდნენ საჩუქრებითურთ წარჩინებულ პირთა გზავნას. სამხრეთიდან მავრები სთავაზობდნენ რომაელებს სამსახურს, ჩრდილოეთიდან და უდაბური ადგილებიდან, რომლებზედაც ჩამომავალი ფაზისი ¹⁹ ზღვას ერთვის, ბოსფორანებისა და სხვა მანამდე უცნობებისაგან მორჩილი ვედ-

¹ solito ocius] solito eius m l, solito ocius v u l g o, solicite ad eum BG.

² Fasis] Phasis EBG.

³ Bosporanis] bosporanis, Bosforanis EB, Bosphoranis G.

რებით მოვიდნენ ელჩები, რათა ყოველწლიური ხარკის გადახდით თავიანთ მშობლიურ ქვეყნებში მშვიდად ეცხოვრათ.

შავი ზღვის სანაპიროების აღწერა

8, 1. Appositum est (ut existimo) tempus, ad has partes nos occasione magni principis devolutos, super Thraciarum extimis situque Pontici sinus, visa vel lecta quaedam perspicua fide monstrare.

2. Athos¹ in Macedonia mons ille praecelesus, navibus quondam Medicis pervius, et Cafereus Euboicus scopulus, ubi Nauplius Palamedis pater classem collisit Argivam, licet longo spatio controversi a Thessalo mari distingunt Aegaeum, quod paulatim fusius aduliscens, dextra (qua late protenditur) per Sporadas est insulosum atque Cycladas, ideo sic appellatas, quod omnes ambiunt Delon, partu deorum msignem, laeva Imbrum et Tenedum circumluens et Lemnum et Thasum, quando perflatur. Lesbo illiditur violentius.

დებით სახელგანთქმულს. მარცხნივ გარს უვლის იმბროსსა და ტენედოსს, ლემნოსსა და თასოსს, ხოლო როცა ქარი აღელვებს, მძლავრად აწყდება ლესბოსსაც.

3. Uncle gurgitibus refluxis, Apollinis Sminthii tempulum et Troada perstringit, et

8, 1. დროა, რომ, როგორც ვფიქრობ, რაკი დიდი ხელმწიფის²⁰ მიზეზით ამ მხარეებს მივადექით, მკაფიო სარწმუნოებით აღვწერო, რაც კი რაიმე ნახული ან წაკითხული მაქვს თრაკიის შორეული²¹ [კუთხეებისა] და პონტოს უბის²² მდებარეობის შესახებ²³.

2. ის ფრიად მაღალი მთა ათონი²⁴ მაკედონიაში, რომელშიაც ოდესღაც გაიარა მიდიის ხომალდებმა²⁵, და კაფერესი, ევბეის მწვერვალი, რომელსაც პალამედესის მამამ ნავპლიოსმა არგოსელთა ფლოტი შეახეთქა, თუმცა დიდ მანძილზე მდებარეობენ ერთმანეთის პირისპირ, თესალის ზღვისაგან მიჯნავენ ეგევსის [ზღვას]. ეგევსის ზღვა უფრო და უფრო განივრდება და მარჯვენა [მხარე], რომელიც შორს ვრცელდება, კუნძულებიანია სპორადებისა და კიკლადების გამო. ასე კი ამათ იმიტომ ეწოდებათ, რომ ყველანი ერთყმთან გარშემო დელოსს²⁶, ღმერთების დაბა-

3. იქიდან შემობრუნებული წყლებით ეხება აპოლონ სმინთიოსის ტაძარს ტროადას და

¹ Athos] adhos, Athos EBG.

Ilium heroicis casibus claram,
efficitque Melana ¹ sinum, oppo-
situm Zephyro ², cuius apud prin-
cipium Abdera visitur, Protago-
rae domicilium et Democriti,
cruentaeque Diomedis Thracii
sedes, et convalles per quas
Hebrus sibi miscetur et Maro-
nea et Aenus, qua diris auspi-
ciis coepta, moxque relicta, ad
Ausoniam veterem ductu numi
num properavit Aeneas.

4. Hinc gracilescens pau-
latim, et velut naturali quodam
commercio ruens in Pontum,
eiusque partem ad se uncens ³,
in speciem Φ litterae G r a e-
caae formatur exin ⁴ Hellespon-
tum a Rliiodopa scindens, Cynos-
sema (ubi sepulta creditur He-
cuba) et Coelan praeterlabitur
et Seston et Gallipolin. Contra
per Acillius Aiacisque sepulchra,
Dardanum coutingit et Abydon,
unde iunctis pontibus Xerxes ⁵
maria pedibus peragravit, dein
Lampsacum Themistocli dono
datam a rege Persarum, et Pa-
rion quam condidit Iasionis ⁶ fi-
lius Paris.

ჩუქრად ბოძებულს ³¹, და პარიონს, რომელიც იასიონის ძემ პარისმა
დააარსა.

ილიონს, გმირთა დაღუპვით სახე-
ლოვანს ²⁷; დასავლეთის მხარეს
ქმნის მელასის უბეს, რომლის
დასაწყისში ჩანს აბდერა, პროტა-
გორას და დემოკრიტეს სამშობ-
ლო, სისხლიანი საცხოვრისი
თრაკიელი დიომედესისა, და ხე-
ობა, რომლითაც ერთვის მას
ჰებროსი, აგრეთვე მარონეა და
აინოსი, რომელიც, ავის მომას-
წავებელი ნიშნების ქვეშ დაწყე-
ბული, მალევე მიატოვა ენეასმა ²⁸
და ღმერთების ნებით ძველ ავზო-
ნიას ²⁹ მიაშურა.

4. აქ [ეგევსის ზღვა] ნელ-ნელა
შევიწროებული, თითქოს რაიმე
ბუნებრივი კავშირით პონტო-
ში შეედინება. შეიერთებს რა
მის ნაწილს, ბერძნულ ასო Φ -ს
სახეს იღებს ³⁰. შემდეგ ჰელეს-
პონტს ჰყოფს როდოპსაგან,
ჩაუვლის გვერდით კინოსემას,
სადაც, როგორც ფიქრობენ,
ჰეკუბა არის დაკრძალული, და
კელასს, სესტოსს და კალიპო-
ლისს. მოპირდაპირე მხარე ეხება
აქილეესისა და აიაქსის საფლა-
ვებს, დარდანოსს, აბიდოსს, სა-
დაც ქრერქსემ ხიდი გასდო და
ზღვა ფეხდაფეხ გადაიარა; შემ-
დეგ ლამპსაკოსს, სპარსეთის მე-
ფისაგან თემისტოკლესთვის სა-

¹ Melana] m[e]lana (e m3). ² Zeplyrol zephyri, Zephiro BGr. ³ ad
se iungens E W m2 G, ad se uniens G r o n. ⁴ exin] et in V, exin V a 1.

⁵ Xerxes] xersis, Xerxes W m2 BG.

⁶ Iasionis] [ia]sonis (ia m3), Iasionis B, Iasionis E b G.

5. Unde semiorbe turges-
cens altrinsecus, lataque aperi-
ens terrarum divortia, circum-
fluis spatiis Propontidos resper-
git ex eoo latere Cyzicum, et
Dindyma (religiosa Matris Mag-
nae delubra), et Apamiam Cium-
que, ubi Hylam..... et A s t a-
c u m (secuto tempore Nicome-
diam a rege cognominatam), qua
in occasum procedit, Cherrone-
sum pulsat et Aegospotamus ¹,
in quo loco lapides casuros ex
caelo praedixit Anaxagoras, et
Lysimachiam, et civitatem quam
Hercules conditam, Perinthi
Comitis sui memoriae dedicavit.

6. Et ut effecte pleneque
Φ litterae figura servetur, in
meditullio ipso rotunditatis, Pro-
conesus insula est oblonga et
Besbicus ².

7. Post cuius summitatem
in angustias rursus extenuatum,
Europam et Bithyniam inter-
currens, per Clalcedona et Chry-
sopolim et stationes transit
obscuras.

8. Nam supercilia eius si-
nistra Athyras portus ³ despec-
tat, et Selymbria, et Constan-

5. იქიდან ორივე მხარეს ნახე-
ვარწრედ იხრება, მოჩანს შორს
გადაშლილი ხმელეთი და პროპო-
ნტიდის ³² ვრცელი [ტალღებით]
უვლის აღმოსავლეთის მხარეს
კიზიკოსს, დინდიმას, დიდი დე-
დის ³³ წმიდა ტაძარს, აპამიას და
კიოსს, სადაც არის ჰილასი ³⁴
და ასტაკოსი, შემდეგ ხანებში
ნიკომედია რომ ეწოდა მეფის
სახელის მიხედვით; დასავლეთის
მხარეს რომ დის, ეხლება ქერო-
ნესოსს და აიგოსპოტამოსს, სა-
დაც ანაქსაგორამ იწინასწარ-
მეტყველა ზეციდან ქვის ცვენა,
და ლისიმაქიას და ქალაქს, რო-
მელიც ჰერკულესმა დააარსა და
თავის თანამგზავრ პერინთოსის
ხსოვნას მიუძღვნა.

6. ხოლო ასო Φ -ს დასრულე-
ბული და მთლიანი ფორმის
შენარჩუნებისათვის წრის შიგ
შუაგულში არის მოგრძო კუნ-
ძული პროკონესოსი ³⁵ და ბესბი-
კოსი ³⁶.

8. მისი უკიდურესი [წერტი-
ლის] შემდგომ კვლავ სრუტედ
ვიწროვდება, ევროპასა და ბით-
ვინიას შორის გადის და ქალკი-
დონს ³⁷, ქრისოპოლისს ³⁸ და
უმნიშვნელო ნავსაყუდებს ჩაუვ-
ლის.

8. ხოლო მის მარცხენა კიდეს
მისდგომიან ნავსადგური ათი-
რასი, სელიმბრია, კონსტანტინო-

¹ Egospotamus WBG (-mos b G).

² Besbicus] besbuin cus, Besbicus G.

³ Athyras portus AG, athira sportus V.

tinopolis, vetus Byzantium, Atticorum colonia, et promuntorium Ceras, praelucentem navibus vehens constructam celsius turrim, quapropter Ceratas appellatur ventus inde suetus oriri praegelidus.

9. Hoc mode fractum, et participatione maris utriusque finitum, iamque mitescens in aequoream panditur faciem, quantum potest cadere sub aspectum, late diffusum et longe.

10. Omnis autem eius velut insularis circuitus litorea navigatio, viginti tribus dimensa milibus stadiorum, ut Eratosthenes affirmat, et Hecataeus¹ et Ptolomaeus², aliique huius modi cognitionum minutissimi scitatores, In speciem Scythici arcus, nervo coagmentati, geographiae totius assensione formatur.

11. Et qua sol oceanu exurgit eoo, paludibus elauditur Maeotidos: qua declinat in vesperum, Romanis provinciis terminatur: unde suspicit sidus arctoum, homines alit linguis et moribus dispares: latus eius austrinum molli devexitate subductum.

პოლი, ძველი ბიზანტიონი, ატიკელთა ახალშენი³⁹, და კონცხი კერასი, რომელზედაც აგებულია მაღალი კოშკი ხომალდებისათვის მისანათებლად. ამიტომ იქიდან ჩვეულებრივ მონაბერ, ფრიადცივ ქარს კერატასი ეწოდება.

9. ამნაირად დატეხილი, ორივე ზღვის შეერთებით დასრულებული და უკვე დაწყნარებული, გაშლილი ზღვის სახეს იღებს და, სადამდეც კი თვალი მისწვდება, ფართოდ და შორს ვრცელდება⁴⁰.

10. მისი მთელი სანაპიროს მანძილი, თუ მას კუნძულებით გარს შემოვუვლით ხომალდით, განიზომება ოცდასამი ათასი სტადიონით⁴¹, როგორც ერთოსთენე, ჰეკატაიოსი, პტოლემეოსი და ამგვარ საქმეთა სხვა ყველაზე დაწვრილებით მცოდნენი ამტკიცებენ⁴²; მთელი გეოგრაფოსების თანახმად, ლარით მოჭიმული სკვითური მშვილდის სახე აქვს მიღებული⁴³.

11. სადაც აღმოსავლეთის ოკეანიდან მზე ამოდის, მეოტიდის ჭაობით⁴⁴ სრულდება; სადაც [მზე] დასავლეთისაკენ იხრება, რომელთა პროვინციებით ისაზღვრება; საიდანაც ჩოდილოეთის ვარსკვლავს⁴⁵ უცქერის, ენითა და ხნით განსხვავებულ ადამიანებს ჰკვებავს; მისი სამხრეთი ნაპირი მცირე დახრილობით მიუყვება.

¹ Hecataeus] haecateus.

² Ptolomaeus] ptholomeus.

12. Per haec amplissima spatia, oppida sunt dispersa Graecorum, quae cuncta aetatibus variis praeter pauca, Atheniensium coloni condidere Milesii¹, inter Ionas alios in Asia per Nileum multo inte locati, Codri illius filium, qui se pro patria bello fertur Dorico devovisse.

13. Extremitates autem arcus utrimque tenues duo exprimunt Bospori, e regione sibi oppositi, Thracius et Gimmericus: hae causa Bospori vocati, quod per eos quondam Inachi filia, mutata (ut poetae Iocantur) in bovem, ad mare Ionium permeavit.

14. Dextram igitur inflexionem Bospori Thracii excipit Bithyniae litus, quam veteres dixere Mygdoniam, in qua Thynia et Mariandena² sunt regiones, et Amyci saevitia Bebryces exempti virtute Pollucis, remotaque statio, in qua volitantes minaciter harpyias, Finus vates horrebat; per quae litora in sinus oblongos curvata, Sangarius et Fyllis et Lycus et Rheba fluvii funduntur

12. ამ უდიდეს სივრცეზე გაბნეულია ბერძენთა ქალაქები, რომლებიც ყველანი, გარდა მცირედენისა, სხვადასხვა დროს დააარსეს მილეტელებმა⁴⁶, ათენელთა მოახალშენებმა, რომლებიც იონიელებს შორის გაცილებით ადრე დაბინავდნენ აზიაში ნილევის წყალობით, იმ კოდროსის ძისა, ვინც, როგორც ამბობენ, სამშობლოს თავი შესწირა დორიელებთან ომში.

13. ხოლო მშვილდის გოზები ორივე მხარეს ქმნიან სწორედ ერთმანეთის პირდაპირ მდებარე ორ ვიწრო ბოსფორს, თრაკიისას და კიმერიისას⁴⁷. ბოსფორებს იმიტომ უწოდებენ, რომ ოდესღაც (როგორც პოეტები ამბობენ) ძროხად ქცეულმა ინაქოსის ასულმა⁴⁸ განვლო ისინი და იონის ზღვაში გავიდა.

14. თრაკიის ბოსფორის მარჯვენა მოხრილობა იწყება ბითინიის ნაპირით⁴⁹, რომელსაც ძველები მიგდონიას უწოდებდნენ. მასში შედიან მხარეები თინია და მარიანდენა, ამიკოსის სისასტიკისაგან პოლუქსის⁵⁰ სიქველით დახსნილი ბებრიკები⁵¹ და შორეული სადგური, სადაც მრისხანედ მოფაშვავაშე ჰარპიები⁵² მისან ფინეცს თავზარს სცემდნენ. გრძელი უბეებით დაკლავნილ ამ სანაპიროებზე მდინარეები

¹ Milesii] milesi. ² Mariandena] martam dena, Mariandena G., Mesembria B.

4. ამიტომ, თითქოს საქმეების განსჯაში მონაწილეობის მისაღებად, პაპა მეფური ღირსებით იქნა მოწვეული და ტარსოსში, კილიკიაში, საპატო პატიმრობაში [ჩააგდეს]. ყველას სიჩუმის მიზეზით ვერც იმპერატორის ბანაკში შესვლა შესძლო და ვერც დაჟინებით მოწვევის მიზეზი გაიგო; ბოლოს კი საიდუმლოდ შეიტყო, რომ ტერენციუსი რომაელთა გამგებელს წერილებით არწმუნებდა, მალე გამოგზავნე არმენიის სხვა მეფეო, რათა პაპას სიძულვილით და მისი დაბრუნების შიშით ჩვენთვის სასარგებლო ერი არ გადავიდეს ქვეშევრდომობაში სპარსელებისა, რომელნიც ფრიად მოწადინებულნი

¹ gentilibus] gentibus. ² Cylacis] gylacis.

³ Artabanis] arrabanus, Arrabanis C I

⁴ addons] deus. ⁵ Papa] Para N m2 AG.

⁶ nec urgentos] nesurgentes, nec urgens <nega>ti M o m m s.

⁷ adventus] advenus, adcessus G.

5. Quae reputans ille, im-
pendere sibi praesagibat ¹ exi-
tium grave. Et doli iam prudens,
neque aliam nisi cito ² discessu
salutis repperiens viam, suaden-
tibus his quibus fidebat, conglo-
batis trecentis comitibus, secu-
tis eum e patria, cum equis
velocissimis, ut in magnis solet
dubiisque terroribus, audacter
magis quam considerate plera-
que die parte emensa, egressus
cuneatim, properabat intrepidus.
სოლივით [დაწყობილი] რაზმით

6. Cumque eum provinciae
moderator, apparitoris qui por-
tam tuebatur i n d i c i o perci-
tus ³, festinato studio repperisset
in suburbanis, ut remaneret
enixius obsecrabat, et parum
hoc impetrato ⁴, mortis aversus
est, metu.

7. Nec minus paulo postea
legionem secutam, iamque adven-
tantem, ipse cum promptissimis
retrorsus excurrans, fundensque
in modum scintillarum sagittas,
sed voluntate deerrans, ita in
fugam compulit ut cum tribuno
milites universi perterrefacti,
vividius quam venerant reme-
arent ad muros.

5. ეს რომ აწონ-დაწონა ¹⁸², გაი-
თვალისწინა, მძიმე აღსასრული
მელისო. ცბიერებაში უკვე გამო-
ცდილმა რომ დაინახა, სასწრა-
ფოდ გაქცევის გარდა სხვა ხსნა
არ არისო, მისანდო პირების
ჩაგონებით თავი მოუყარა მარ-
დი ცხენებით სამშობლოდან
გამოყოლილ სამას მხლებელს და
როგორც დიღმა ორჭოფობამ
და შიშმა იცის, უფრო თავზე-
ხელალებით, ვიდრე მოფიქრე-
ბით, როცა დღე იწურებოდა,
შეუპოვრად გამოიჭრა.

6. როცა პროვინციის მმარ-
თველმა ეს შეიტყო [ქალაქის]
ალაყავის მცველი მოხელისაგან,
სასწრაფოდ დაეწია სანახებში
და ძალიან ევედრა დარჩენი-
ლიყო, მაგრამ ვერაფერი გააწყო
და მოკვლის შიშით უკან შემო-
ბრუნდა.

7. ამასთანავე ცოტა ხნის შემ-
დეგ, როცა ლეგიონიც დაედევ-
ნა და უკვე დაეწია კიდეც, თვითვე,
შემობრუნებულმა ყველაზე უფრო
შეუპოვრებითურთ, სეტყვასავით
დააყარა მას ისრები, ოღონდ
განზრახ არ ახვედრებდა მიზანში
და ისე აიძულა გაქცეულიყვნენ,
რომ მთელმა დამფრთხალმა ჯარ-
მა ტრიბუნითურთ დევნაზე უფ-
რო მკვირცხლად კვლავ გალა-
ვანს მოაშურა.

¹ praesagibat] praesagebat, praesagiebat EAG. ² cito] scito.

³ indicio percitus] inpercilus, in<dicio> percitus P e t.

⁴ impetrato] imparato.

8. Exin solutus omni formidine, biduo et binotio exanclatis itinerum laboribus magnis, cum ad flumen venisset Eufraten, et inopia navium, voraginosum amnem vado transire non posset, nandi imprudentia ¹ paventibus multis, ipse omnium maxime cunctabatur: et remansisset ni cunctis versantibus varia, id repperire potuisset effugium, in uecessitatis abrupto tutissimum.

თი, რომლითაც შეეძლო გაქცევა და ამ გასაჭირში ყველაზე უხიფათოც იყო.

9. Lectulos in villis repletos, binis ² utribus suffulserunt, quorum erat abundans prope in agris vinariis copia, quibus singulis proceres insidentes, et regulus ipse, iumenta trahentes, praeruptos undarum occursantium fluctus obliquatis meatibus declinabant: hocque commento, tandem ad ulteriorem ripam post extrema discrimina paruenunt.

10. Residui omnes, equis invecti natantibus, et circumluente flumine saepe demersi iactatique ³, infirmati periculoso madore, expelluntur ad contrarias margines, ubi paulis-

8. იქიდან, ყოველი შიშისაგან განთავისუფლებული, ორ დღე და ღამეს შეუსვენებლივ სიარულით მდინარე ევფრატს მიადგა, მაგრამ რაკი ნავების უქონლობის გამო მორევებიანი მდინარის ფონით გადალახვა ვერ შესძლო, ცურვის უცოდინარობით ბევრი შეშინდა, ყველაზე უფრო კი თვითონ შეფიქრიანდა, და კიდევ დარჩებოდა, რომ ყველას მიერ გამოთქმულ სხვადასხვა მოსაზრებაში არ აღმოეჩინა ისე-

9. სოფლის სახლებში ნაპოვნ საწოლებს ამოაკრეს ორ-ორი ტიკი, რომლებიც უხვად იყო ვენახების სიმრავლის წყალობით. მათზე სათითაოდ დახსდნენ წარჩინებულნი და თვით მეფე, ცხენები სადავით მიიყოლეს, შემოჯახებული ტალღების სასტიკ ნაკადებს ირიბად მოძრაობით დააღწიეს თავი და ამ ხერხით, უკიდურესი ხიფათის შემდეგ, ზოლოს გაღმა ნაპირს გავიდნენ.

10. ყველა დანარჩენი ცურვით მავალ ცხენებს გაჰყვა, აზვირთებული მდინარე ხშირად გადაეველებოდა მათ თავს და აქეთ-იქით აწყვეტებდა და სახიფათო გაწულულობით ქანცმიხდილნი გაღმა

¹ inpudentia, imprudentia EAG.

² binis] biis.

³ iactatique] iactique, actique P e t.

per refecti, expeditius quam diebus praeteritis iucedebant.

11. Hoc nuntiato, princeps ante dicti fuga percussus, quem elaqueatum fidem rupturum existimabat, cum sagittariis mille succinctis et levibus, Danielum mittit et Barzimerem, revocatos eum – comitem unum, alterum Scutariorum tribunum.

12. Hi locorum gnaritate confisi, qui ille properans ut peregrinus et insuetus, maeandros faciebat et gyros, compendiosis vallibus eius itinera praevenirent, et divisis inter se copiis, clausere vias proximas duas, trium milium intervallo distinctas, ut transurus per utramvis caparetur improvidus: sed evanuit cogitatum hoc casu.

ევლო, მეეპყროთ; მაგრამ განზრახვა გაუქარწყლდათ შემდეგი მიზეზით.

13. Viator quidam ad citeriora ¹ festinans, cum bivium ² armato milita vidisset oppletum, per posterulam ³ tramitem medium, squalentem fructectis et sentibus, vitabundus excedens, in Armenios incidit fessos, et ductus ⁴ ad regem, arcano ser-

ნაპირას გაირიყენენ, სადაც ცოტასული მოითქვეს და მერე წინა დღეებზე უფრო აჩქარებით გაეშურნენ.

11. როცა იმპერატორმა ეს შეიტყო, სახტად დარჩა მისი გაქცევით; იფიქრა, რაკი ხაფანგს თავი დააღწია, აღთქმასაც გასტეხსო და ათასი მსუბუქად შეიარაღებული მშვილდოსნით დანიელუსი და ბარზიმერესი ¹⁸⁴ – ერთი კომიტი ¹⁸⁵, მეორე კი ფაროსანთა ტრიბუნი ¹⁸⁶ – გაგზავნა მის დასაბრუნებლად.

12. ამათ, ადგილის ცოდნაში დარწმუნებულებმა, მამინ როცა, მართალია, ის [ე. ი. პაპა] მიიჩქაროდა, უცხო და გამოუცდელი იყო და მიხვეულ-მოხვეული გზებით მიდიოდა, მოკლე ხეობებით გზა მოუჭრეს მას; ორად გაყოფილი ჯარით ორი უახლოესი, ერთმანეთისაგან სამი მილის მანძილზე მდებარე, გზა ჩაკეტეს, რათა, რომლითაც არ უნდა გა-

13. ვინმე მგზავრმა, რომელიც აქეთა მხარეს ¹⁸⁷ მოეშურებოდა, დაინახა შეიარაღებული ჯარით სავსე ფერდობი. თავის ასარიდებლად ბუჩქნართა და ჯაგნართით დაფარული მოსავლელი ბილიკით მოუარა და დაქანცულ არმენიელებს წააწყდა. როცა

¹ citeriora] ceteriora. ² bivium] vivum, elivum G.

³ posterulam] psterulae M o m s. ⁴ et ductus] eductus.

mone solum quae viderat, docet,
ac retinetur intactus.

14. Moxque metu dissimulato, eques mirtitur clandestinus ad dextrum itineris latus, diversoria paraturus et cibum ¹, quo paulum progresso, in laevum tractum item alius talia facturus ire iubetur ocissime, alterum aliorsum nesciens missum.

ვლა, თანაც ისე, რომ ამან არ იცოდა პირველის სხვა მხარეს გაგზავნის ამბავი.

15. Quibus ita utiliter ordinatis, rex ipse cum suis, dumeta per quae venerat viatore relegente ² retrorsus, monstranteque hispidam et iumento onustam exiguam callem, post terga relictis militibus, evolavit, qui captis eius ministris, missis ad mentes observantium praestringendas, quasi venaticiam ³ praedam, modo non porrectis brachiis expectabant, dumque hi venturum operiuntur, ille regno incolumis restitutus, et cum gaudio popularium summo susceptus, fide pari deinde ⁴ remansit immobilis, iniuriis quas pertulerat, omnibus demussatis.

დიდი სიხარულით მიიღო. იგი შემდეგაც ისევ ერთგული დარჩა

მეფეს მიჰგვარეს, საიდუმლოდ მარტო იმას უთხრა, რაც ნახა და იგი ხელუხლებლად დაიტოვეს.

14. დამალა შიში, მყის მხედარი გაგზავნა ფარულად მარჯვენა გზის მხარეს თავშესაფრისა და სურსათის მოსამზადებლად, ხოლო როცა მან ცოტა მანძილი განვლო, ასეთივე საქმისათვის სხვას უბრძანა სასწრაფოდ მარცხენა მხარისაკენ წასვლად.

15. საქმის ასე სასარგებლოდ გარიგების შემდგომ, თვითონ მეფე თავისიანებითურთ იმ ჯაგნარის გზას დადგა, რომელიც მგზავრმა გამოიარა, თანაც ეს უჩვენებდა ტვირთიანი ცხენისათვის ძნელად სავალ ჯაგან ბილიკს; მოიტოვა ზურგს უკან კარისკაცები და თავს უშველა. ხელთ რომ იგდეს მისი მხლებლები, რომლებიც გაგზავნილნი იყვნენ სწორედ ჩასაფრებულების მოსატყუებლად, ისე ხელეგამლილებმა დაუწყეს ლოდინი, თითქოს სანადავლო ნადირი ყოფილიყო. მაგრამ მისი გამოვლის ცდაში უვნებლად დაიბრუნა მან თავისი სამეფო და ნალხმაც

¹ paraturus et cibum] paratus et in cibum.

² venerat viatore relegente] venat relegenter, viator venerat relegens G, venerat relegens A, vonit relegente G d t.

³ venaticiam] vena ciam. venatitiam EAG.

⁴ fide pari deinde] fiderandine.

[რომაელებისა] და ყველა უსამართლობა, რომელიც განიცადა, ჩუმად მოითმინა.

16. Danielus post haec et Barzimeres ¹, cum lusi iam revertissent, probrosis lacerati conviciis, ac si inertes et desides, ut hebetatae ² primo adpetitu venenatae serpentes, ora exacuere letalia, cum primum potuissent, lapso pro virium copia nocituri.

ველი მესამღებლობისთანავე, რაც კი შეეძლოთ, მეტად ევნოთ ხელიდან გასხლტომილისათვის.

17. Et leniendi causa flagitii sui vel fraudis, quam meli-ore consilio pertulerunt, apud imperatoris aures (rumorum omnium tenacissimas) incessebant falsis criminibus Papam ³, incensiones Circeas ⁴ in vertendis debilitandisque corporibus, miris modis eum callere fongentes: addentesque quod huius modi artibus, offusa sibi caligine, mutata sua suorumque ⁵ forma transgressus, tristes sollicitudines, (si ⁶ huic irrisioni super- fuerit) excitabit.

და თავისიანების სახე და ისე გაიარა, და თუ მას ეს გატრიზა- ვება შერჩა, დიდი სამწუხარო დავიდარაბა წარმოიშობაო.

18. Hinc in ¹⁷ illum inexplicabile auctum principis odium, et doli struebantur in dies,

16. დანიელუსი და ბარზიმერესი გატრიზავებულნი რომ დაბრუნდნენ, უმარჯვობისა და დოცლაპიობისათვის ამის შემდეგ სამარცხვინო ლანძღვით გაწბილებულები, ვითარცა პირველ კბენაზე კბილმოცარული შხამიანი გველები, მომაკვდინებელ კბილებს ილესავდნენ, რომ პირ-

17. თავიანთი შერცხვენისა და მოლორების მიზეზის შესამსუბუქებლად, უფრო მეტად გამჭრიახი კაცისაგან რომ განიცადეს, იმპერატორს ყურში (რომელიც ძალიან ბეჯითად ისმენდა ყველა ჭორს) ჩააგონეს პაპას საწინააღმდეგო ყალბი ბრალდებანი, მოჩმახეს რა, რომ იგი საოცრად გამობრძმედილია კირკესებური ¹⁸⁸ შელოცვით სხეულების შეცვლასა და დასუსტებაში. თანაც დასძენდნენ, რომ სწორედ ამნაირი ხელოვნებით შემოიხვია მან გარს სქელი ნისლი, შესცვალა თავისი

18. ასე განუდიდდა იმპერატორს გამოუთქმელი სიძულვილი მის [ე. ი. პაპას] მიმართ. ხრი-

¹ Barzimeres] barzmeres. ² hebetatae] haebeatae.

³ Papam] Param AG. ⁴ Circeas] cireas.

⁵ mutata sua suorumque] matatas vasorumque, mutatus vasorum-que G. ⁶ Si] a d d. G. ⁷ in] add. G.

ut per vim ei vel clam vita adimeretur: agentique tune in Armenia Traiano, et rem militarem curanti, id secretis committitur scriptis.

სარდალს ტრაიანუსს მიანდეს საიდუმლო მიწერილობით.

19. Qui illecebrosis regem insidiis ambiens, et modo serene mentis Valentis indices literas tradens, modo ipse sese eius convivii¹ ingerens, ad ultimum composita fraude, ad prandium verecundius invitavit: qui nihil adversum metuens venit, concessoque honoratiore² discubuit loco.

20. Cumque apponerentur exquisitae cuppediae, et aedes amplae³ nervorum et articulato flatilique sonitu resultarent, iam vino incaliscente ipso convivii domino, per simulationem naturalis cuiusdam urgentis egresso, gladium destrictum intentans, torvo lumine ferociens quidam immittitur barbarus asper, ex his quos Scurras⁴ appellant, confossurus invenem, n e⁵ exilire posset etiam tum praepe-ditum.

ხვით აბრიალებდა, ხოლო უკვე გზამოჭრილ [მეფეს] თავის დაღწევა აღარ შეეძლო.

კებიც დღე და ღამე ერთმანეთს ემატებოდა, რათა ძალით ან ფარულად სიცოცხლეს გამოესალმებინათ იგი. ეს საქმე მაშინ არმენიაში სამხედრო ძალების

19. იგი გაიძვერული ხრიკებით ცდილობდა მეფის მონადირებას. ხან ვალენტის კეთილგანწყობილ წერილებს გადასცემდა, ხან თვითონ ეწვეოდა მას ნადიმებზე ბოლოს, როცა ღალატი უკვე მოამზადა, ნადიმზე მიიპატიჟა დიდის პატივისცემით. მეფეს არავითარი მტრობის შიში არ ჰქონდა, მივიდა კიდევ და მისთვის მოჩენილ საპატიო ადგილზე წამოწვა.

20. როცა მოართვეს ნუგბარი საჭმელები და ვრცელი დარბაზი ზანზარებდა სიმებიანი საკრავების, სიმღერისა და სასულე საკრავების ხმებით, უკვე ღვინით შეხურებული თვით მასპინძელი ვითომდა რაღაც ბუნებრივი საჭიროებისათვის გავიდა გარეთ; შინ კი ჭაბუკის მოსაკლავად შემოშვებულ იქნა ხმალო ამოწვდილი ვინმე შმაგი ბარბაროსი, სკურებს¹⁸⁹ რომ უწოდებენ იმათგან, რომელიც მუქარით იქნევდა ხმალს და თვალებს რის-

¹ convivii] conviciis. ² honoratiore] honoratior.

³ amplae] pulsu G, assidue H e r.

⁴ Seuras] supras, s<c> urras W a g n. ⁵ ne] a d d. G.

21. Quo Viso regulus forte
prominens ultra torum, expedito
dolone, assurgens ut vitam omni
ratione defeuderet, perforato
pectore deformis procubuit vic-
tima, multiplicatis ictibus ¹
foede concisa.

მსხვერპლი, მრავალი დარტყმით

22. Hocque figmento nefa-
rie decepta, credulitate, inter
epulas quae reverendae sunt
vel in Euxino ponto hospitali
numine contuente, peregrinus
crueur in ambitiosa linthea cons-
persus, spumante sanie satie-
tati ² superfuit couvivarum, hor-
rore maximo dispersorum...

მენი, რომელნიც დიდად შეძრწუნებულნი გაიფანტნენ...

21. ეს რომ დაინახა მეფემ,
რომელიც შემთხვევით გადმო-
წეული იყო საწოლიდან, ხანჯა-
ლი იძრო და წამოხტა, რათა
სიცოცხლე ყოველი ღონისძიებით
დაეცვა, მაგრამ გულგანგმიური
დაეცა, როგორც სამარცხვინო
საზარლად მოკლული.

22. ამნაირი ბოროტმოქმედე-
ბით გატეხილი იქნა ნდობა ნა-
დიმზე, რომელიც პატივცემული
უნდა იყოს ევქსინის ზღვაშიაც ¹⁹⁰.
სტუმარ-მასპინძლობის ღვთაების
წინაშე დიდებულ ტილოს სუფ-
რაზე შესხურებულმა უცხოელის
სისხლმა აქაფებული სითხით ზო-
მაზე მეტად გააძლო მონადი-

იბერიის მეფის სავრომაკის წინააღმდეგ ილაშქრებს სპარსეთის მეფე შაბური

2, 1. Haec per Armeniam
notabiliter gesta sunt. Sapor
vero post suorum pristinam cla-
dem, comparto interitu ³ Papae ⁴,
quem sociare sibi impendio cona-
batur, maerore gravi percul-
sus, augenteque nostri exercitus
alacritate formidinem, maiora
sibi praeseminans.

2. Arsace ⁵ legato ad prin-
cipem misso, perpetuam aerum-

2, 1. არმენიაში ეს მოხდა მოხ-
სენიების ღირსი. შაბური კი თა-
ვისი წინანდელი მარცხის შემ-
დგომ, როცა შეიტყო პაპას მო-
კვლა, რომლის თავის მხარეს
გადმობირებასაც ძალიან ცდი-
ლობდა, მძიმე მწუხარებით სასო
წარკვეთილი და ჩვენი ჯარის
მხნეობით შიშმომატებული, კიდევ
უფრო მეტ ხათაბალაში ჩავარდა.

2. მან იმპერატორს გამოუ-
გზავნა ელჩად არშაკი და ურ-

¹ ictibus] a d d. E p o s t, G a n t e. multiplicatis.

² satietati] societataietati, societati <l>aetali superf(1)uit M o m m s.

³ interitu] interito. ⁴ Papae] Parae AG.

⁴ Arsace] Arrace V, C I . Arsace G.

narum causam deseri ¹ penitus ² suadebat Armeniam ³: si id ⁴ displicuisset ⁵, aliud poscens, ut Hiberiae divisione cessante remotisque inde partis ⁶ Romanae praesidiis, Aspacures solus regnare permitteretur, quem ipse praefecerat genti.

მეფობა მხოლოდ ასფაგურისათვის, რომელიც თვითონვე დაუდგინა გამგებლად იმ ხალხს.

3. Ad que ⁷ Valens in hanc respondit sententiam, nihil derogare se posse ⁸, placitis ex consensu firmatis, sed ea studio curatiore defendere...⁹ glorioso proposito, contrariae regis litterae bieme iam extrema perlatae sunt, vana ¹⁰ causantis et tumida. Asseverarat ¹¹ enim non posse semina radicitus amputari discordiarum, nisi intervenissent conscii pacis foederatae cum Ioviano, quorum aliquos vita didicerat abscessisse.

ლებად არ ჩაერევთან იოვიანუსთან დადებული საზავო ხელშეკრულების მცოდნენიო ¹⁸², რომელთაგან ზოგიერთი, იცოდა, უკვე ცოცხალი აღარ იყო.

4. Ingraviscente post haec altius cura, imperator eligere consilia quam invenire sufficiens, id conducere rebus existi-

ჩევდა მუდმივი უბედურობის მიზეზი არმენია სრულიად დატოვო; ხოლო თუ ეს არ ენდომებოდა, მერე სხვას მოთხოვდა – რომ იბერიის გაყოფისათვის თავი დაენებებინა, გამოეყვანა იქიდან რომაული ნაწილის მეციხოვნე ჯარები და დაენებებინა

3. ამაზე ვალენტმა ამნაირი პასუხი გასცა: არაფრის შმეცვლა არ შემძლია იმაში, რაშიც ერთობლივ შევთანხმდით; პირიქით, იმას უფრო მეტის გულმოდგინებითაც კი დავიცავო... ¹⁹¹ ამ დიდებული წინადადების საწინააღმდეგო მეფის წერილი უკვე ზამთრის მიწურულს მოართვეს, ფუჭი და უგნური მიზეზების შემცველი; ვინაიდან ამტკიცებდა, რომ უთანხმოების თესლის ძირფესვიანად ამოფხვრა ისე არ შეიძლება, თუ საქმეში შუამავ-

4. ამის შემდეგ კიდევ უფრო მძიმე საფიქრებელში ჩავარდნილი იმპერატორი უმჯობესი გეგმის ამორჩევაში უფრო იყო,

¹ deseri] deleri. ² penitus] paenitus. ³ Armeniam] armenam.

⁴ Si id] sub. ⁵ displicuisset] displacuisset. ⁶ partis] partes.

⁷ ad quae] atque. ⁸ derogare se posse] derogasse posse.

⁹ l a c. I n d i c. H e r.; V S i n e l a c. ¹⁰ vana] una.

¹¹ asseverarat] at seuerat, adseverabat E m 2 G, adserebat H a u p t. u d s e < r > v e r a t P e t.

mans, Victorem magistrum equitum et Urbicium, Mesopotamiae ducem, ire propere iussit in Persas, responsum absolutum et uniusmodi perferentes: quod rex iustus et suo contentus, ut iacitabat, sceleste concupiscat Armeniam, ad arbitrium suum vivere cultoribus eius permissis: et ¹ ni Sauromaci ² praesidia militum impertita principio sequentis anni (ut dispositum est) impraepedita reverterint, invitus ea complebit, quae sponte sua facere supersedit.

მიცემული უფლება თავიანთ ნებაზე ეცხოვრათ და რომ თუ მომავალი წლის დამდეგს (როგორც გადაწყვეტილია) სავრომაკის მცველი ჯარი ¹⁹³ დაუბრკოლებლივ არ იქნებოდა დაბრუნებული, შაბურს აიძულებდნენ უნებურად გაეკეთებინა ის, რის გაკეთებაზეც თავის ნებით უარს ამბობდა.

5. Quae legatio recla quidem et libera, ni deviasset in eo, quod absque mandatis, oblabas sibi regiones in eadem Armenia suscepit exiguas.

Qua regressa ³ advenit Surena, potestatis secundae post regem, has easdem ⁴ imperatori offerens partes, quas audacter nostri sumpsere legati.

ვიდრე ახლის გამოგონებაში. ამიტომ რაკი ფიქრობდა, რომ საქმეს ეს მოაგვარებდა, ცხენოსანი ჯარის სარდალს ვიქტორსა და მესოპოტამიის სარდალს ურბიციუსს უბრძანა, სწრაფად გამგზავრებულიყვნენ სპარსეთში და მხოლოდ ერთადერთი პასუხი წაელოთ: უპატიოსნობა იყო მეფისგან, რომელიც, როგორც ტრაბანობდა, სამართლიანი და თავისი [ქონებით] კმაყოფილი ბრძანდებოდა, არმენიის ხელში ჩაგდებას წადილი, რომლის მცხოვრებთ მისგანვე ჰქონდათ

5. ეს ელჩობა მართლაც პირდაპირი და წრფელი იყო, რომ არ გადაეხვიათ იმაში, რომ განკარგულების გარეშე მიიღეს იმავე არმენიაში შემოთავაზებული მცირე ოლქები.

მათი დაბრუნების შემდგომ ჩამოვიდა სურენა, მეფის შემდეგ ძლიერებით მეორე ხელისუფალი, და შემოსთავაზა იმპერატორს სწორედ იგივე ადგილები, რომლებიც ჩვენმა ელჩებმა წინდაუხედავად აიღეს.

¹ elus permissis: et] eius permissi set, eius ex pacto permissis: et G, permissis sed W m² ² Sauromuci] Sauromati B t l.

³ qua regressa] აქედან იწყება დაზიანებული M ხელნაწერი.

⁴ easdem] eadem MV.

6. Quo suscepto liberaliter et magnifice, set parum impetrato quod poscebat, remisso, parabantur magna instrumenta bellorum, ut mollita hieme imperatore trinis ¹ agminibus perrupturo Persidem, ideoque Scytharum auxilia festina celeritate mercante.

7. Proinde parum adeptus ea quae spe vana conceperat. Sapor, utraque solitum asperatus. quod ad expeditionem accingi rectorem compororat nostrum: iram eius couculcans, Surenæ dedit negotium, ut ea quae Victor comes susceperat et Urbicius, armis repeteret, si quisquam repugnaret, et milites Sauromacis ² praesidio ³ destinati, malis affligereutur extremis.

ვინმე წინაღუდგებოდა; აგრეთვე სავრომაკის დასაცავად გამწესებული ჯარისკაცებისათვის [რაც კი შეიძლებოდა] უსასტიკესად ევნო.

8. Haecque (ut statuerat) maturata confestim, nec emendari potuerunt nec vindicari, quia rem Romanam alius circumsteterat metus, totius Gothiae Thracias licentius perrumpentis: quae funera tunc explicari poterunt carptim si ad ea quoque venerimus.

მოთხრობა მაშინ შეიძლება, როცა იმ ადგილს მივალწევთ.

6. იგი თავასიანად და დიდებულად მიიღეს, მაგრამ ისე გაბრუნდა, რომ ვერ მიაღწია, რასაც ითხოვდა, და დიდი მზადება გასწიეს ომისათვის, რათა ზამთრის შესუსტებისთანავე იმპერატორი სამ რაზმად შეჭრილიყო სპარსეთში და ამისთვის ფრიად სასწრაფოდ სკვითების დამხმარე ჯარსაც ქირობდნენ.

7. ამიტომ შაბურმა ვერ მიაღწია რა იმას, რისი იმედიც ამოდ ჰქონდა გულში, და თან უზომოდ გაჯავრებულმა, რადგან შეეტყო, რომ ჩვენი გამგებელი ლაშქრობისათვის ემზადებოდა, არად ჩააგდო. მისი [ე. ი. ვალენტის] რისხვა და განკარგულება მისცა სურენას, რომ ის, რაც სარდალ ვიქტორსა და ურბიციუსს ჰქონდათ მიცემული, იარაღით დაებრუნებინა უკანვე, თუ

8. ეს განკარგულებანი (როგორც ბრძანა) სასწრაფოდ ასრულდა კიდევ და ვერც ვედარაფერი ეშველა ამ საქმეს, ვერც დასჯილი იქნენ, ვინაიდან რომის სახელმწიფოს სხვა საფრთხეც დაატყდა თავს მთელი გოთიის ¹⁹⁴ თავხედური თავდასხმით თრაკიაზე და ამ გასაჭირის მოკლედ

¹ imperatore trinis] imperator ei trinis, imperator ei tribus C m l, imperatore tribus H, G d t, imperator cum trinis E m l.

² Sauromacis] sauromagis MV (c o r r. V m3); Sauromatis Wm2, H T Btl.; sauromaci N; sauromagis c e t t. ³ praesidio] presidio KUT

წიგნი XXXI

ბარზიმერესის ვაჟკაცური სიკვდილი
გუთებთან ბრძოლაში

8, 9. Barbari tamen, velut, DiffRACTIS ¹ caveis bestiae, per Thraciarum ² amplitudines fusius incitati, oppidum petivere nomine Dibaltum, ubi tribunum Scutariorum ³ Barzimeren ⁴ inventum cum suis, Cornutisque ⁵ et aliis peditum numeris castra ponentem adsiliunt ⁶, eruditum pulvere militari rectorem.

10. Qui confestim (ut adigebat necessitas instantis exitii), iussa canere bellicum tuba, lateribus firmatis prorupit, cum promptis accinctis ⁷ ad proelium: fortiterque resistendo pari pugnandi sorte discesserat ⁸, ui eum accursus ⁹ complurium, anhelum circumvenisset et fessum. Et ita cecidit interfectis barbarorum non paucis, quorum clades copiarum magnitudo celabat.

8, 9. ხოლო ბარბაროსები, ვითარცა გალიეებიდან გამოცვენილი ნადირები, აღგზნებულნი ფართოდ მოედვნენ თრაკიას ¹⁹⁵; მიაშურეს ქალაქ დიბალტუმს ¹⁹⁶, სადაც წააწყდნენ ბარზიმერესს, ფაროსანთა ტრიბუნს ¹⁹⁷, ომის ასპარეზზე გამობრძმედილ სარდალს, რომელიც თავისიანებით, კორნუტებით ¹⁹⁸ და სხვა ქვეითი [ჯარისკაცებით] ბანაკს დგამდა, და ებგერნენ.

10. მან მყის (როგორც ამას წინამდებარე უშუალო საბედისწერო გასაჭირი აიძულებდა) ბრძანა საომარი ბუკისთვის ეკრათ, განიმტკიცა ფლანგები და იარაღასხმული, მხნე [მეომრებითურთ ბრძოლაში ჩაება. მამაცურად შეება და ბრძოლასაც გაუსწორებდა მათ, რომ მას, უკვე ქანცმიხდილსა და მოღლილს, ცხენოსანთა ურდო არ შემორტყმოდა მთლიანად გარს. ასე დაი-

ღუპა მას შემდეგ, რაც ბარბაროსთა არა მცირე [რაოდენობა] დახოცა, რომელთა ზარალს ლაშქრის სიმრავლე ფარავდა.

¹ defactis T, effractis E. ² Thraciarum P e t. spatiarum FKUQ, spatiorum CEA N o v., spaciorem N.

³ scatariorum K. ⁴ bursimeren T, barzimerem QE, Barzymeren A.

⁵ cornutisque L I n d ., cornitisque FKUCQ, cornitis E m2 in mg., comitibusque E m2.

⁶ assiliunt HNTEA. ⁷ accinctis QHTNA, accintis E.

⁸ sorte discesserat Cl., forti disces FKU, fortitudinem discessisset Wm 2, sorte discessisset NBA. ⁹ accursus ENEA.

ბაკურ იბერიელი

12, 16. Eo ad vallum ¹ hostile tendente, sagittarii et scutarii, quos Bacurius Hiberus quidam tunc regebat et Cassio, avidius impetu calenti progressi, iamque adversis conexi, ut, immature ² proruperant ³ ita inertidiscessu, primordia belli ⁴ fedarunt.

დროს გაიჭრნენ წინ, ასევე უშნო უკან დახევით ბრძოლის დასაწყისი წახდინეს.

12, 16. როცა იგი ¹⁹⁹ [ე. ი. რიქომერესი] მიწაყრილისაკენ მიდიოდა, მშვილდოსნები და ფაროსნები, რომელთაც მაშინ ვინმე ბაკურ იბერიელი ²⁰⁰ სარდლობდა და კასიონი, ფიცხი იერიშით უფრო თავშეუკავებლად გაიჭრნენ წინ და უკვე მტრებს შეეხნენ; მაგრამ რაკი უდროო

შენიშვნები

¹ XIV წიგნის მე-8 თავი აღმოსავლეთის პროვინციების გეოგრაფიულ აღწერას წარმოადგენს და ერთგვარი ჩართული ექსკურსია, როგორც ხშირად ახასიათებს ამიანე მარცელინეს, მობსოსის ამბავსაც მის მოსახელე ადგილთან დაკავშირებით ახსენებს.

² ეს მისანი იყო მობსოსი ანუ მოპსოსი, რომელსაც სხვა ბევრი რომაელი და უფრო მეტად კი ძველი ბერძენი მწერალი ახსენებს, როგორც იაზონისა და არგონავტების თანამოლაშქრეს. ასეთ ძველ ბერძენ მწერალთაგან შეიძლება მოვიხსენოთ აქ, მაგალითად, პინდაროსი (პითიკური ოდა 4, 338); აპოლონიოს როდოსელი (I, 65), აგრეთვე მისი სქოლიასტები. რომაელთაგან აღსანიშნავი არიან ოვიდიუსი (მეტ. 12, 456), ვალერიუს ფლაკუსი (I, 384) და სხვ.

³ ბ ე ჯ ი თ ი მ კ ი თ ხ ვ ე ლ ი ს ი მ ვ ე ლ ე თ ა – ე. ი. ძველი ისტორიის მოყვარული, ძველი ისტორიის მკითხველი.

⁴ ამ ადგილას ამიანე საკმაოდ ვრცლად ასხამს ხოტბას მაშინდელ კეისარ იულიანეს (შემდგომში იმპერატორი იულიანე განდგომილი, იმპერატორობდა ახ. წ. 360–363 წწ.) მესაწოლეთ-უხუცესს, დიდი თანამდებობის მქონე საჭურისის ევერიოსს. წინა ნაწილში აღწერილია მისი ჩამომავლობა (ჩამომავლობით სომეხი ყოფილა), მისი ნიჭიერება, კეთილშობილება და ერთგულება, და ძველი დროის ცნობილ საჭურისთა შორის მის ბადალს ვერა ხედავს. აქ მოაყოლებს პონტოს მეფის, ცნობილი მითრიდატე VI ევპატორის (დაახლ. 132–63 წწ. წ.) საჭურისის მენოფილოსის ამბავს. ამ ნაწყვეტის დეტალები სხვა წყაროებიდან არ არის ცნობილი.

⁵ პომპეუსი – იგულისხმება პომპეუს დიდი (ძვ. წ. 106–48), რომის სახელგანთქმული მოღვაწე და სარდალი, რომელმაც საბოლოოდ დაამარცხა მითრიდატე.

¹ vallium. ² inmaturae. ³ proruperant. ⁴ bella.

⁶ ამ ადგილას ლათინური ტექსტი – fugiensque ad regna Colchornm, რაც მითრიდატეს შეეხება, ВДИ-ის მიერ გამოცემულ კომენტირებულ რუსულ თარგმანში (№ 3 [29], 1949, გვ. 284) შეცდომითაა გაგებული: „спасаясь бегством От царя колхов“, რაც ამახინჯებს დედნის აზრს. ორიგინალში ლაპარაკია იმის თაობაზე, რომ მითრიდატე გაიქცა კოლხთა სამეფოსაკენ და არა კოლხების მეფეს გამოექცა.

⁷ ს ი ნ ჰ ო რ ი უ მ ი – ციხე-სიმაგრე მცირე და დიდი არმენიების საზღვარზე, მდ. ევფრატის ზემო დინების მიდამოებში. სხვა ძველ მწერლებსაც აქვთ მოხსენებული, ოღონდ სხვადასხვა ფორმით. სტრაბონი (გეოგრ. XII, 3, 28) წერს *Σινορία*-ს და მოჰყავს აგრეთვე თეოფანე მიტილენელის (პომპეუსის ისტორიკოსისა და თანმხლები პირის) დამოწმებაც: რადგან ეს დიდი არმენიის საზღვარზე მდებარეობს, ამიტომ უწოდეს *Σινορία*-ო (რაც საზღვარზე მდებარეს ნიშნავს). პლუტარქოსი (პომპეუსი, 32) „სინორა“-ს წერს. აპიანეს გადმოცემით (მითრიდატიკა, 101) „სინორეგი“-ა (*Σινορίας*), ხოლო დიონ კასიოსს თავის „რომის ისტორიაში“ *Συμφόριον*-ის ფორმით აქვს. ამ პუნქტის ლოკალიზაციისათვის შდრ. Я. А. М а н а н д я н, Тигран Второй и Рим, стр. 184 сл.: აგრეთვე მისივე, Маршруты понтийского похода Помпея и путь отступления Митридата в Колхиду: ВДИ, № 3–4, 19840, стр. 95 сл.

⁸ საქმე ეხება 359 წ. ომის ამბებს სპარსელებთან. ამიანე მარცელინე წინ იყო გაგზავნილი მტრის ლაშქრის სათვალთვალოდ და ეს ამბავი ქ. ამიდასთან (ახლანდელი დიარბექირი) ბრძოლის წინ ხდება.

⁹ პორიზონტი.

¹⁰ მ ე ფ ე – იგულისხმება სპარსეთის მაშინდელი მეფე შაბურ (ლათინული წყაროების „საპორ“, სომხური წყაროების „აპუჰ“) II (ახ. წ. 309–379 წ.). ამიანე მას ხან პართელების მეფედაც იხსენიებს.

¹¹ ხ ი ო ნ ი ტ ე ბ ი – სპარსეთის მოსაზღვრე ტომი, რომელთანაც ომი ჰქონდა შაბურს, მაგრამ შემდეგ დაუზავდა და მოკავშირედ გაიხადა.

¹² ს ა შ უ ა ლ ო ჩ ა მ ო მ ა ვ ლ ო ბ ი ს – აქ ტექსტი დამახინჯებული ჩანს და სხვადასხვანაირად ხსნიან კომენტატორები და მთარგმნელები. ამ შემთხვევაში თ. მომზენის შესწორებას მივდევთ. შდრ. გერმანულად (C. Büchele) „in mittleren Jahren“, ინგლისურად (C. Rolfe) – „a man of moderate strength“.

¹³ ალბანთა ანუ ალბანელების მეფე იმ პერიოდში სპარსეთის მოკავშირედ გამოდიოდა. К. В. Тревер, Очерки по истории и культуре Кавказской Албании, М.-Л., 1959 стр. 198. გერმანელი მთარგმნელი და, ეტყობა მისი მიხედვით ინგლისელიც, ალბანელების შესახებ განუსჯელად ურთავენ აქ მოკლე შენიშვნას: ახლანდელ საქართველოში მცხოვრებნიო (გერმ. „Im henti-gen“ Georgien“, ინგლ. – Dwelling in what is now Georgia“, თითქოს ახლანდელი საქართველოს მთელი ტერიტორია ალბანეთისა ყოფილიყოს.

¹⁴ სპარსეთის მეფედ აქაც ნაგულისხმევია შაბურ II. ამბავი ეხება 361 წლის უთანხმოებებს სპარსეთსა და რომს შორის.

¹⁵ ა რ შ ა კ ი, არშაკ II, (345–367), არმენიის ანუ სომხეთის მეფე, მისი თავგადასავალი სომხური წყაროებიდან საკმაოდ ვრცლად არის მოთხრობილი ფავსტოს ბუზანდაცისა და მოსე ხორენაცის თხზულებებში. „სომეხი ხალხის ისტორია“, ერევანი, 1951, გვ. 73–77, შდრ. შენ. 165. იხ. აგრეთვე, ზემოთ გვ. 90–91.

¹⁶ მერიზანი ანუ ალბათ, მკვლევართა ერთსულოვანი აზრის მიხედვით, – მირიანი, იბერიის ანუ ქართლის მეფე. ამის შესახებ უფრო ვრცლად იხ. ზემოთ გვ. 80–81.

¹⁷ აქ ლაპარაკია იულიანე განდგომილის (იმპერატორობდა 361–363 წლებში ახ. წ.) მოღვაწეობის შესახებ, როცა კონსტანციუს II-ის გარდაცვალების შემდეგ რომის ერთადერთ მბრძანებლად ის შეიქმნა. საქმე ეხება 362 წლის ამბებს.

¹⁸ ს ე რ ე ნ დ ი ვ ე ბ ი – სერენდივის ანუ სერენდიბის მცხოვრებნი, როგორც ძველად ზოგ წყაროში უწოდებდნენ ცეილონსა და ცეილონელებს. აღსანიშნავია, რომ ბალავარიანის ახლად აღმოჩენილ ვრცელ ვერსიაშიც არის ნახმარი ასეთი ფორმით ეს სახელი.

¹⁹ ფაზისი აქ, ჩვენის აზრით, ჩვენს ფაზისს, რიონს არ უნდა აღნიშნავდეს. როგორც ცნობილია, ანტიკურ წყაროებში ხანდახან ამ სახელით დონი ანუ ტანაისიც იწოდებოდა ხოლმე. ბოსფორანების, ე. ი. ბოსფორელების, კერჩის სრუტის მიდამოების მცხოვრებლების, მეზობლობაში მისი მოხსენიება და აგრეთვე ჩრდილოეთის უდაბური ადგილების შესახებ ლაპარაკი ამას გვაგვარაუდებინებს. ფაზისის ბადლად ასევე ტანაისი ჩანს რომაელი ისტორიკოსის პომპეიუს ტროგუსის (იუსტინუსის) თხზულებაშიც (I, 1, 4). შდრ. აგრეთვე უფრო ვრცელი მსჯელობა ამ საკითხის შესახებ ზემოთ (გვ. 81–82).

²⁰ დიდ. ხელმწიფეში აქ რომის მაშინდელი იმპერატორი იულიანე განდგომილი იგულისხმება.

²¹ ამ ადგილას ორიგინალში სწერია – „extimis“, ეს კი იგივეა, რაც „extremis“- ე. ი. „შორეული“, „გარე“, ვ. ლათინურის ტექსტში ეს ადგილი თარგმნილია, როგორც „О внутренних областях Фракии“, მაშინ, როცა სწორედ საწინააღმდეგო აზრია გამოთქმული ლათინურ ორიგინალში.

²² პონტოს უბეში აქ პონტოს ზღვა, ანუ შავი ზღვა იგულისხმება.

²³ აქ ჩართულია საკმაოდ ვრცელი გეოგრაფიული ექსკურსი პონტოს გარშემო მდებარე ქვეყნების შესახებ (მე-8 თავის 1 – 48 მუხლები). ამიანე, როგორც თვითონაც ამბობს, მხოლოდ ნაწილობრივ ეყრდნობა საკუთარ გამოცდილებას, უმეტესად ძველი ავტორებით სარგებლობს. მისი გეოგრაფიული ჩანართების შესახებ სპეციალისტების უმეტესობა მდაბალი შეხედულებისაა. უსაყვედურებენ, რომ ამ ადგილებში სიმწიფობა აკლია მის თხრობას და რომ უკრიტიკოდ ეპყრობა წყაროებს, რომელთაგან უმთავრესი, ჩანს, უნდა იყვნენ პლინიუს უფროსი, სოლინუსი და ნაწილობრივ პტოლემეოსი, აგრეთვე აგრიპას რუკაც (იხ. ჯ. ტომსონი, ძველი გეოგრაფიის ისტორია, მოსკოვი, 1953, გვ. 512). მკვლევართა უმეტესობის ეს აზრი ძირითადად მართლაც ჭეშმარიტებას შეეფერება, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენი ავტორის თხზულება ახალ, თავისებურ ცნობებსა და გააზრებასაც შეიცავს, რომელთა შეპირისპირება სხვა ავტორების ანალოგიურ ცნობებთან საყურადღებო დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა, როგორც ეს საკმაოდ მკაფიოდ ჩანს კამარიტების შესახებ მსჯელობის დროს (შდრ. აგრეთვე ზემოთ, გვ. 82–87).

²⁴ ათონის მთა ჩვენს ისტორიაში კარგად ცნობილ მწვერვალს აღნიშნავს ქალკიდონის ნახევარკუნძულზე, საბერძნეთში, რომლის მიდამოებშიაც, შემდგომში, ქართველთა დიდი სამწიგნობრო კერა დაარსდა.

²⁵ ნაგულისხმევია ჰეროდოტეს მონათხრობი ამბავი (VII, 21) სპარსეთის მეფის ქსერქსეს (ძვ. წ. 486–465) ლაშქრობის შესახებ ბერძენთა წინააღმდეგ, როცა თითქოს მან არხი გაათხრევინა აქ.

²⁶ კუნძული დელოსი, ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, აპოლონისა და არტემიდას სამშობლო იყო.

²⁷ აქ ავტორი ტროელთა და ბერძენთა იმ ომს გულისხმობს, რომელიც ჰომეროსს აქვს აწერილი თავის პოემებში.

²⁸ ენეასი – ჰომეროსის „ილიადისა“ და ვერგილიუსის „ენეიდის“ გმირი, რომელიც ტროელთა მხარეს იბრძოდა, შემდეგ კი იტალიაში წავიდა და იქ დაეფუძნა. ამიანეს ცნობა, მისგან აინოსის შენების დაწყების შესახებ, სხვა წყაროებს არ ეთანხმება, რადგან უკვე ჰომეროსი ახსენებს ამ ქალაქს, როგორც არსებულს ტროის ომის დროსვე.

²⁹ ავზონია – იტალიის ძველი სახელია.

³⁰ ამ ადგილას რომ ახსენებს პონტოს და ბერძნული Φ-ს სახის მიღებას, აღწერილობის მიხედვით ჩანს პროპონტიდს ანუ ახლანდელ მარმარილოს ზღვას გულისხმობს. შდრ. მისივე ნათქვამი აქვე ცოტა ქვემოთ (XXII, 8, 6). საერთოდ აქ თხრობა აღრეული ჩანს.

³¹ ეს ამბავი მოხსენებული აქვს აგრეთვე კორნელიუს ნეპოტს თემისტოკლეს ბიოგრაფიაში (10, 3).

³² პროპონტიდი – ახლანდელი მარმარილოს ზღვა, რომელიც მოქცეულია დარდანელისა და ბოსფორის სრუტეებს შორის.

³³ დიდი დედა – კიბელე, მცირე აზიელთა დიდი სალოცავი ღმერთქალი, ღმერთების დედა. მისი კულტის საქართველოში გავრცელებულობის შესახებ იხ. ვ. ბარდაველიძე, ქართველ ტომთა უძველესი რელიგიური შეხედულებანი, თბ. 1957 (რუსულად), გვ. 81 და სხვ.; ნ. ლომოური, კოლხეთის სანაპიროების კოლონიზაციის საკითხისათვის: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XXV, № 2, 1960, გვ. 253–255.

³⁴ ამ ადგილას, ჩანს, ლაკუნაა. ერთ-ერთი გამოცემელი ლინდენბროგი და მისი მიხედვით ჯ. როლფი აქ ურთავენ ფრაზას: „სადაც ჰილასს ნიშნა გამოედევნა და მოიტაცა“. ზოგ მკვლევარს ჰილასი ანუ ჰილა მდინარის სახელად მიაჩნია.

³⁵ პროკონესოსი – ახლანდელი კუნძული მარმარა.

³⁶ ბესბიკოსი – კალოლიმნი.

³⁷ ქალკიდონი – კადიკიოი.

³⁸ ქრისოპოლისი – სკუტარი ანუ ახლანდელი უსკიუდერი, ქალაქი სტამბოლის მოპირდაპირე მხარეს, აზიის სანაპიროზე.

³⁹ ამიანე, როგორც აღვნიშნეთ, ხანდახან გეოგრაფიულ ექსკურსებში თავის თანამედროვე ვითარებასაც ასახავს. ამის მაგალითია მისგან აქ კონსტანტინოპოლის ხსენება ძველ ბიზანტიონთან ერთად. ატიკელთა ახალშენად მისი გამოცხადება შედარებით იშვიათია და გვიანდელი ამბავი ჩანს ანტიკურ წყაროებში. მაგ., ჰეროდოტე (IV, 144) მის დაარსებას მეგარელებს მიაწერს, პომპეიუს ტროგუსი (იუსტინუსი) – სპარტელებს (IX, 1, 2) და სხვ.

⁴⁰ აქედან მართლაც საკუთრივ პონტოს (შავი ზღვის) სანაპიროების აღწერილობა იწყება.

⁴¹ ბერძნული სიგრძის საზომი ერთეული სტადიონი დაახლ. 184,47 მეტრს უდრიდა. ბერძენი გეოგრაფოსის, ერატოსტენეს (275–195 ძვ. წ.) მიხედვით კი 157,5 მეტრს ვარაუდობენ.

⁴² ამ მანძილის განსაზღვრაში საერთოდ შეუთანხმებლობაა ძველ ავტორთა შორის. პოლიბიოსი (IV, 39,1) 22 ათას სტადიონს ანგარიშობს, სტრაბონი (II, 5, 22) – 25 ათასს. შდრ. აგრეთვე პლინიუს უფროსის ნათქვამი (IV, 12 [77]: ვარონი 2150 ათას ნაბიჯს ითვლიდა, ხოლო ნეპოტი კიდეც 350 ათასს უმატებდაო (საზომ ერთეულ ნაბიჯში 1,48 მეტრს გულისხმობდნენ რომაელები, რადგან ორმაგ ნაბიჯს ანგარიშობდნენ). ამიანეს მიერ ნახსენებ ავტორთა (ერატოსტენე, ჰეკატაიოსი, პტოლემეიოსი) თხზულებებსა და ფრაგმენტებში, თუ ჩვენამდე მოღწეული მათი ტექსტების მიხედვით ვიმსჯელებთ, ასეთი ცნობები არ ჩანს. სხვათა შორის, BДИ-ს კომენტატორი რომ ერატოსტენეს (III. ფრაგმ. III B, 79) და ჰეკატაიოსის (ფრაგმ. 163) შესაბამის ადგილებზე უთითებს, ორივეგან სწორედ ამიანეს ეს ტექსტი იგულისხმება.

⁴³ შავი ზღვის მოყვანილობას სკვითურ მშვილდს ადარებენ პომპონიუს მელა (I, 102), პლინიუსი (IV, 12, [76]) და სხვებიც.

⁴⁴ მეოტიდის ჭაობი – იგივე მეოტიდის ტბა, მეოტიდის ზღვა – ახლანდელი აზოვის ზღვა.

⁴⁵ ჩრდილოეთის ვარსკვლავი – რვილი, დათვის თანავარსკვლავედი.

⁴⁶ მილეტელთაგან შავი ზღვის ბერძენთა ახალშენების უმრავლესობის დაარსების ამბავი მნიშვნელოვანი ცნობაა, რასაც სხვა ძველი ავტორებიც ადასტურებენ სხვადასხვა ქალაქების მიმართ. მაგ., სინოპი მილეტელთაგან დაარსების ამბავს გადმოსცემს ძვ. წ. II–I საუკუნეებში შედგენილი ე. წ. ფსევდო-სკიმნოსის პერიპლუსი (სტრ. 941–552 – ლექსადაა დაწერილი), ხოლო სინოპელთა მიერ ტრაპეზუნტის, კერასუნტისა და კოტიორას დაარსების შესახებ ჯერ კიდეც ქსენოფონტი მოგვითხრობს თავის ანაბაზისში (IV, 8, 22; V, 3, 2; 5, 10; 7, 10); მათგან ფაზისის დაარსებას აღნიშნავს პომპონიუს მელა (I, 108) და სხვები, დიოსკურიდის კი – ფლავიუს არიანე (შავი ზღვის გარშემო მოგზაურობა, 14) შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ბერძენთა ახალშენების დაფუძნებაში მილეტელთა როლის შესახებ იხ. აგრეთვე ნ. ლომოურის, კოლხეთის სანაპიროების ბერძნული კოლონიზაციის საკითხისათვის: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XXV, № 2, 1960, გვ. 249–252.

⁴⁷ თრაკიის ბოსფორში ახლანდელი ბოსფორის სრუტე იგულისხმება, შემაერთებელი მარმარილოს და შავი ზღვებისა, ხოლო კიმერიის ბოსფორი ქერჩის სრუტეა. ამიანეს მტკიცება, სწორედ ერთმანეთის პირდაპირ მდებარეობენო, რასაკვირველია, ჭეშმარიტებას არ შეეფარდება.

⁴⁸ ინაქოსის ასული – იო, რომლის ძროხად ქცევის ამბავს გადმოსცემენ პოეტები, მაგ., ესქილე (მიჯაჭვული პრომეთევსი, 635–875), ოვიდიუსი (მეტამორფოზები I, 568 შმდ.) და სხვ. შდრ. აგრეთვე სტეფანე ბიზანტიონელის „ენიკაში“ სტატია „ბოსპოროს“. სახელი ბოსფორი („ბოოს პოროს“) მართლაც ნიშნავს ხარის ანუ ძროხის გადასასვლელს. მაგრამ, როგორც ფიქრობენ, ეს სახელი უფრო იმიტომ უნდა ერქვას, რომ სივიწროვის გამო ვითომდა ხარისთვისაც ადვილი გადასალახავიაო.

⁴⁹ ავტორი აქედან უკვე შავი ზღვის სამხრეთი სანაპიროების აღწერას იწყებს და დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მოუყვება ნაპირს.

⁵⁰ პოლუქსი ანუ პოლიდეკე, კასტორის ძმა; მითების მიხედვით, დიოსკურების (ე. ი. ზევსის ძეების) ცალი; ამიკოსი ჩაგრავდა თავის ქვეშევრდომებს და იქ ჩასულ უცხოელებს კრივში ამარცხებდა. პოლუქსმა, რომელიც ერთ-ერთი არგონავტთაგანი იყო, სწორედ კრივში დაამარცხა და მოკლა იგი.

⁵¹ ბერეკეტი – ბებრიკის მცხოვრებნი. რომელიც ისტორიკოსის სალუსტიუსის მიხედვით, რომელიც ერთ-ერთი წყარო იყო ამიანე მარცელინესი, ბებრიკია ბითინიის ანუ ბითინიის ძველი სახელი უნდა ყოფილიყო. შდრ. მისი ისტორიის ფრაგმენტები, III, 70; აგრეთვე აპიანე, მითრიდატიკა, 1.

⁵² ჰარპიები – ზღაპრული მსუნაგი ფრინველები, რომლებიც ჭამას არ აცდიდნენ და უბინძურებდნენ ყველაფერს ფინევსს, რომელიც არგონავტთა მითში იხსენიება, როგორც მისანი. შდრ. ვერგილიუსის „ენეიდა“, III, 212 შმდ.: აპოლოდოროსი, I, 9, 20; ვალერიუს ფლაკუსის „არგონავტიკა“, IV, 464 შმდ.

⁵³ ეს მდინარეები უმეტესად შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს დასავლეთ ნახევარში ივარაუდება მკვლევართა მიერ. სანგარიოსს მდ. საკარიასთან აიგივებენ. ფილისი შესაძლოა ფილეს-ჩაი ანუ ენიჯეა. ლიკოსს ჩვეულებრივ ირისის ანუ მდ. ემილ-ირმაკის შენაკად კელკიტად მიიჩნევენ, რომელიც უკვე ჰალისს აქეთ არის, თუმცა ამ სახელს ბევრ სხვა მდინარესაც უწოდებენ ანტიკურ წყაროებში. რებას, პლინიუსის თქმით (VI, 1 [4]), რეზუსსაც უწოდებდნენ.

⁵⁴ სიმპლეგადები – ზღაპრული კლდეები ვითომ შავი ზღვის შემოსავალში, რომლებიც აგრეთვე დაკავშირებულნი არიან არგონავტთა მითთან. გადმოცემის მიხედვით, რომელიც არგონავტთა მითის ბევრ მთხრობელს დაუტყავს, არგონავტების გავლის შემდგომ ერთ ადგილას გაყინულან, მანამდე კი განუწყვეტილად ერთმანეთს ეხეთქებოდნენ და სულიერს არაფერს ატარებდნენ აქეთ-იქით.

⁵⁵ შდრ. აპოლოდოროსი I, 9.

⁵⁶ ჰერაკლეა – თანამედროვე ერეგლი. აქ ჩამოთვლილი ქალაქების შესახებ მდიდარი მასალა მოიპოვება მ. ი. მაქსიმოვას წიგნში „ანტიკური ქალაქები სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთისა“ (რუსულად) მ.-ლ. 1956. აქ სპეციალურადაა შესწავლილი სინოპი, ამისოსი და ტრაპეზუნტი ანტიკურ ხანაში კერძოდ ჰერაკლეს შესახებ იხ. გვ. 8, 9, 162–168 და სხვ.

⁵⁷ სინოპე – ახლანდელი სინოპი ანუ სინაბ.

⁵⁸ პოლემონიონი ანუ პოლემონიუმი, მ. მაქსიმოვას აზრით, იგივე სიდე უნდა იყოს. იხ. მისი წიგნი, გვ. 311, 315, 328. აიგივებენ ახლანდელ ფატასთან, რომელიც ორდუს ცოტა დასავლეთით მდებარეობს.

⁵⁹ ამისოსი – ახლანდელი სამსუნი.

⁶⁰ ტიოსი – მის მეორე სახელად მ. მაქსიმოვას ბერენიკა მიაჩნია (იხ. მისი წიგნი, გვ. 234).

⁶¹ ამასტრისი – იხ. იქვე, გვ. 14, 66, 73 და სხვ.

⁶² კერასუნტს თანამედროვე გირესუნის ადგილას არ ვარაუდობენ, რომელიც მას სახელით წააგავს. ახლანდელი გირესუნი ფარნაკია უნდა იყოს. ძველი კერასუნტი, მ. მაქსიმოვას აზრით, შესაძლოა თანამედროვე სოფ. ფოლ-ბაზარია. იხ. მისი წიგნი გვ. 7, 10, 18, 70–76 და სხვ.

⁶³ ლ უ კ უ ლ უ ს ი – ლუციუს ლიცინიუს ლუკულუსი რომაელი სარდალი (დაიბ. დაახლ. 106 წ.– გარდ. 56 წ. ძვ. წ.), კონსული 74 წ. (ძვ. წ.), წარმატებით ებრძოდა პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორს.

⁶⁴ ა მ ს ა ხ ე ლ ი ს ხ ი ლ ი ე . ი . ალუბალი (ხე) ლუკულუსისაგან ამის რომს ჩამოტანის ამბავს უფროსი პლინიუსიც ახსენებს (XV, 30, [102]).

⁶⁵ ამიანეს ცნობა, ტ რ ა პ ი ზ უ ნ ტ ი კუნძულზე მდებარეობსო, სიმართლეს არ შეეფერება. ამ ქალაქის შესახებაც იხ. მ. მაქსიმოვას ზემოხსენებული ნაშრომი.

⁶⁶ პ ი ტ ი უ ნ ტ ი ერთ-ერთი პირველი გამომცემლის გელენიუსის კონიექტურას წარმოადგენს. აქ მართლაც დამახინჯებული ჩანს ტექსტი. გარდტჰაუზენი ოფიუნტს კითხულობს, ხოლო ერთი სხვა – თეოდოსიას. შესაძლოა გარდტჰაუზენის კონიექტურა უფრო ახლოს იყოს ჭეშმარიტებასთან, რადგან პიტინტი ასეთ კონტექსტში, ტრაპიზონის სიახლოვეს, მიზანშეწონილად არ ჩანს; იგი ჩვეულებრივ ახლანდელი ბიჭვინთის ადგილას ივარაუდება და, მაშასადამე, საკმაოდ შორს გამოდის.

⁶⁷ „μυχοπόντιον“ – „ზღვის უბე“, „ზღვის ყურე“.

⁶⁸ ი რ ი ს ს თანამედროვე მდინარე ეშილ-ირმაკთან აიგივებენ.

⁶⁹ მდ. პ ა რ თ ე ნ ი ო ს ს უფრო შავი ზღვის დასავლეთ ნაწილში, პაფლაგონიაში, გულისხმობენ; ასე რომ, ტექსტს აქ სიმწყობზე აკლია თითქოს. აიგივებენ ბარტან-სუსთან ანუ ბარტინთან, რაც პართენიოსის დამახინჯებული ფორმა ჩანს.

⁷⁰ თ ე რ მ ო დ ო ნ ტ ი – ახლანდელი თერმე-ჩაი.

⁷¹ მდინარე თ ე რ მ ო დ ო ნ ტ ი ს ხეობაში მდებარე თ ე მ ი ს კ ი რ ი ს ველზე თუ ქალაქში ამაზონების ბინადრობის ამბავს ბევრი ძველი მწერალი გადმოსცემს. ამაზონების, ამ მეომარი ქალების მოდგმის შესახებ თქმულებანი, მეცნიერთა აზრით, მატრიარქატის ეპოქის გადმონაშთი უნდა იყოს. ამაზონების სკვითურ-სარმატული წარმომავლობისა და მათი ბინადრობის ამბავს თერმოდონტის მიდამოებში ჯერ კიდევ ჰეროდოტე მოგვითხრობს (IV, 110–117); საკმაოდ ვრცლად აქვს გადმოცემული აგრეთვე დიოდორე სიცილიელს (II, 43–46), რომაელ ისტორიკოსს პომპეიუს ტროგუსს (იხ. იუსტინუსის შემოკლებული ტექსტი, II, 4. 1–33 და სხვ.) და სტრაბონს (XI, 5, 1–4; XII, 8, 6; 3, 21), რომელიც დასძენს: ახლა კავკასიაში, ალბანების ჩრდილოეთით ბინადრობენო. კასპიის სანაპიროებსა და კასპიანების იქით

მათ ბინადრობას პომპონიუს მელა (I, 13) და არიანეც (ანაბასისი, IV, 15, I) აღიარებენ და თვით ჩვენი ავტორიც, ცოტა ქვემოთ (XXII, 8, 27), მათ უკვე მდ. ტანაისის (დონის) ორივე მხარეს და შემდეგ აგრეთვე კასპიის ზღვამდე მოსახლეობად მიიჩნევს. ამაზონების საცხოვრისის გადანაცვლების ამბავი ალექსანდრე მაკედონელისა და რომაელთა ლამქრობების შემდეგდროინდელ ეპოქას უკავშირებდა, როცა ანტიკური სამყაროს გეოგრაფიული თვალსაწიერი და ცოდნა გაცილებით უფრო გაიზარდა. ამაზონების მოთავსება თემისკირასა და თერმოდონტის მიდამოებში, რასაც ძველი მწერლების უმეტესობა მოგვითხრობს, ზოგი მკვლევრის შეხედულებით, სკვითთა და კიმერიელთა მიერ მცირე აზიის დალაშქვრის ისტორიულ ფაქტებსაც უნდა გულისხმობდეს. ამიანეს მიერ აქვე (XXII, 8, 18–19) გადმოცემული ამბავი ამაზონების ბრძოლისა ბერძნებთან და მათი აქ, თემისკირის ქალებში, ჩამოსახლებისა, აგრეთვე ცნობილი ეპიზოდია ანტიკურ მწერლობასა და ხელოვნებაში. მას უკავშირებენ ათენის ლეგენდარული მეფის თეზევსის ხანას (იხ. პლუტარქოსის „თეზევსი“).

⁷² კ ა რ ა მ ბ ი ს ი – კონცხი პაფლაგონიაში; აიგივებენ ახლანდელ კერემპის კონცხთან, რომელიც სინოპის დასავლეთით მდებარეობს. შდრ., სტრაბონი II, 5, 22; XI, 2, 14; პომპონიუს მელა I, 19, II, 1; პლინიუს უფროსი IV, 86, VI, 6.

⁷³ ამ ადგილას ორიგინალის ფრაზაში – „contra septentrionem Helicen exurgens“ – „septentrionem“ ვაგნერს ჩართულ განმარტებად მიაჩნია, რადგან „Helice“ თავისთავად ჩრდილოეთის მიმართულებას უჩვენებს და დიდ რვილს ანუ დიდი დათვის თანავარსკვლავედს აღნიშნავს, რომელიც ჩრდილოეთით მდებარეობს. ვ. ლატიშევის კრებულსა და ი. კულაკოვსკის თარგმანშიც Helice უთარგმნელად და უშენიშვნოდ არის დატოვებული. შდრ. „...выступающая против Гелики“ (81IM, 3 (29, 1949, ლაი. 238); „...наспротив Гелики“ (კულაკოვსკის თარგმანი, ნაკვ. II, გვ. 115).

⁷⁴ „კ რ ი უ მ ე ტ ო პ ო ნ“ – ბერძნ. ე. ი. „ვერძის თავი“. კონცხი ყირიმის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში. შდრ. სტრაბონი II, 5, 22; XI, 2, 14.

⁷⁵ ამ კონცხებს მორის მანძილი სტრაბონის ძირითად ტექსტში 1000 სტადიონით ნაკლებია ნავარაუდები (II, 5, 22), თუმცა ერთ-ერთ ვარიანტში „ათასის“ ნაცვლად აღნიშნულია „ორი ათასი“, და, მამასადაძე, ამ უკანასკნელის მიხედვით ამიანეს და სტრაბონის ჩვენებანი ერთმანეთს ემთხვევა (იხ. თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 91).

⁷⁶ ჰ ა ლ ი ს ი – ახლანდელი მდ. ყიზილ-ირმაკი.

⁷⁷ და ჰ ე ბ ს ჩვეულებრივ აიგივებენ ჰეროდოტეს (I, 125) და სტრაბონის (VII, 3, 12; XI, 7, 1 და სხვ.) დაებთან. ჰეროდოტე მათ თვლის მომთაბარე ტომად სპარსეთში; ხოლო სტრაბონს სკვითების ტომად მიაჩნია, მეოტიდის სამხრეთ-აღმოსავლეთით და კასპიის ზღვის აღმოსავლეთით ათავსებს და სამი ნაწილისაგან შედგებიანო, დასძენს (XI, 8, 2). ასევე კასპიის ზღვის მიდამოებში ჩანს პომპიუს ტროგუსის (იუსტინუსის) თხზულებაში (41, 10), კვინტუს კურციუს რუფუსის ალექსანდრე დიდის ისტორიაში (VIII, 1, 9), პომპონიუს მელას ტექსტშიაც (I, 13; III, 42) და სხვ. სახელის მსგავსება და ნაწილობრივ ზემოთ ნაჩვენები ლოკალიზაცია საფუძველს აძლევს ზოგ მკვლევარს აქ დადესტნის სახელის კვალი დაინახოს (ВДИ, № 4 [22], 1947, გვ. 198; № 3 [29], 1947, გვ. 286). მაგრამ შავი ზღვისპირეთში ხალიბებსა, ტიბარენებსა, სასპირებსა და სხვა ქართველ ტომებს შორის აქ მათი მოხსენიება გვაფიქრებინებს, რომ ჩვენი ავტორი ან უბრალოდ ვერ ერკვევა მათ ვინაობასა და სადაურობაში, ანდა სხვა ბერძნულ-ლათინური წყაროების ტაოხების (შდრ. მაგ., ქსონოფონტის ანაბაზისი IV, 4, 18; 6, 5; 7, 2; V, 5, 17) სახელში აერია, რომელთანაც გამოთქმით, თუ გავითვალისწინებთ ურარტული წარწერების დაახლოებით ამავე ადგილებში მცხოვრებ „დიაუხებსაც“, მართლაც გარკვეულ მსგავსებას იჩენს.

⁷⁸ ხ ა ლ ი ბ ე ბ ი ს მოხსენიება ჰალისის მიდამოებში, უფრო მის აღმოსავლეთით, დაახლოებით თერმოდონტსა და კერასუნტს შორის, ხშირია ანტიკურ წყაროებში. სტრაბონი მათ შესახებ ამბობს: ტრაპეზუნტისა და ფარნაკიის ზემოთ ცხოვრობენ და ახლა ქალდეები ეწოდებათო (XII, 3, 19–20). ჰეროდოტე (I, 28) და პომპონიუს მელა (I, 105) მათ მდ. პალისის დასავლეთითაც გულისხმობენ. შდრ., ქსენოფონტის ანაბაზისი IV, 5, 35; 4, 18; 6, 5, V, 5, 1; VII, 8, 25; ლ. ს ა ნ ი კ ო - დ ე, ხალიბთა ადგილსაცხოვრისის საკითხისათვის; საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 17, № 6, 1956, გვ. 573–575; აგრეთვე მ. მ ა ქ ს ი მ ო ვ ა ს ზემოხსენებული ნაშრომი, გვ. 25–31 და სხვ.

⁷⁹ ბ ი ზ ა რ ე ბ ი – სხვა ძველი ავტორები უწოდებენ ბიზერებს ანუ ბიძერებს (სტრაბონი XII, 3, 18) და ბუზერებს ანდა ბუქსერებსაც (პლინიუს უფროსი VI, 4 [10]). პეკატაიოს მილეტელი დიძერების სახელითაც იხსენიებს. პ. ინგოროყვა ბიწერებს უწოდებს და მათი სახელის გამომახილს ხედავს დღევანდელი ლაზეთის ვიწეში (იხ. მისი „გიორგი მერჩულე“, გვ. 202, 484 და სხვ.).

⁸⁰ ს ა პ ი რ ე ბ ი – ბერძნული წყაროების საპიერები; ჰეროდოტეს მიხედვით (I, 104; III, 94; VII, 79), სასპიერები, რომელთაც სტეფანე ბიზანტიონელი სულაც საბიერებს უწოდებს. მათ უკავშირებენ საქართველოს სამხრეთ პროვინცია სპერის სახელს. იხ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. II, გვ. 9, 51–53, 55–62 და სხვ. აგრეთვე, თ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე, ფასიანების სადაურობისა და ადგილსამყოფელის გარკვევის საკითხისათვის, მას. საქ. და კავკ. ისტ., ნაკვ. 32, 1955, გვ. 24–25.

⁸¹ ტ ი ბ ა რ ე ნ ე ბ ი – ერთ-ერთი უძველესი ქართული ტომი, რომელიც ანტიკურ წყაროებში ტიბარებისა და ხან ტიბარანების სახელითაც იხსენიება. ჰეროდოტეს მოსახების მეზობლად ჰყავს დასახელებული (II, 94), მეორეგან კი ამბობს: ერთი კაცის სარდლობის ქვეშ იღებდნენ მონაწილეობას სპარსეთის მეფის ქსერქსეს ლაშქრობაში (VII, 78). ქსენოფონტის თანახმად (ანაბაზისი, V, 5, 1–3), ისინი ცხოვრობდნენ მოსინოიკებისა და ხალიბების მეზობლად, როგორც დაახლოებით ამიანესაც აქვს, შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს მიდამოებში და მათ ტერიტორიაზე იყო სინოპელების კოლონია ქალაქი კოტიორა. ანტიკური წყაროების ცნობები ტიბარენების შესახებ და ამ სატომო სახელის კავშირი იბერთან, აგრეთვე ასურული წყაროების ტაბალებთან და ბიბლიის თუბალებთან დაწვრილებით აქვს შესწავლილი აკად. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს თავის ცნობილ ნაშრომში – „თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი“ (ენიმკის მოამბე, ტ. I, 1937, გვ. 185–245; ახლად გამოიცა მისი შრომების III ტომში, თბ. 1959, გვ. 1–80). ტიბარენების შესახებ ვრცლად მსჯელობს ივ. ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიაში“ (ტ. I; თბ., 1951 წ., გვ. 21–23, 406–408, 435–438 და სხვ.

⁸² მ ო ს ი ნ ე კ ე ბ ი ანუ მოსინოიკები – ქართველი ტომი შავი ზღვის სანაპიროზე, ქსენოფონტის მიხედვით, რომელიც ვრცლად წერს მათ შესახებ, კერასუნტის ახლოს, ტიბარენებსა და დრილებს შორის (ანაბაზისი, V, 4, 1–32; V, 5, 1). ძირითადად მის ცნობებს იმეორებს მათ შესახებ სტრაბონიც (XI, 14, 5; XII, 3, 18). მოსინოიკების მასანიკებთან და აქედან სანიკების და ჭანების სახელთან კავშირის შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1951, გვ. 395–96. ქსენოფონტის ცნობების ანალიზი იქვე, გვ. 26–29 და სხვ.

⁸³ მ ა კ რ ო ნ ე ბ ს ახსენებენ პეკატაიოსი (სტეფანე ბიზანტიონელის ნაშრომში). ჰეროდოტე (II, 104; VII, 78), ქსენოფონტი (IV, 8, 1; V, 5 18; VII, 8, 25). ზოგი ძველი ავტორი (მაგ., აპოლონიოს როდოსელის სქოლიასტი I, 1024 და სხვ.) მაკროკეფალებთან (ე. ი. „დიდთავიანებთან“) აიგივებს. ჯერ კიდევ სტრაბონი გვამცნობს მათ შესახებ (XII, 3, 18), მაკრონები წინათ ერქვათ, ახლა სანებს (ე. ი. ჭანებს, როგორც აღიარებენ შემდგომში მკვლევრები) უწოდებენო. ეტყობა ეს ცნობა აქვს გამეორებული ევსტათიოსსაც დიონისიოს პერიეგეტის თხზულებას დართულ კომენტარში (სტრ. 765–66). მაგრამ პლინიუს უფროსი კი ასხვავებს მათ ერთმანეთისაგან (VI, 4: VI, 11). ივ. ჯავახიშვილი მაკრონებს მეგრელებად მიიჩნევს (ქართველი ერის ისტ., ტ. I, 1951, გვ. 406 და სხვა ბევრგან).

⁸⁴ ფ ი ლ ი რ ე ბ ს, როგორც ჩანს, პირველად აპოლონიოს როდოსელი ახსენებს (II, 392) და სხვა ძველი მწერლები მის კვალს მიჰყვებიან; მაგ., დიონისიოს

პერიეგეტი (765) და თვით ამიანეც. გარკვევით მათ შესახებ ძალიან მცირე რამ არის ცნობილი და ეტყობა ჩვენს ავტორსაც ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა მათზე, ისევე როგორც სხვა ზემოხსენებულ ტომებზედაც, რაიც ქვემოთ ტექსტიდან დასტურდება: „ჩვენთვის სრულიად უცნობნი არიანო“. ასეთი წინადადებით ამ მუხლის დასრულების საბაზი შეიძლება ნაწილობრივ იმანაც მისცა ამიანეს, რომ როგორც მაკრონ-სანების შესახებ ითქვა, მის დროს ზოგ ამ ტომს უკვე შეცვლილი ჰქონდა სახელი და სხვარიგად იწოდებოდა. ეს მით უფრო გასათვალისწინებელია, რომ მარტო ქსენოფონტის შემდეგაც კი თითქმის რვა საუკუნე იყო გასული ჩვენი ავტორის დრომდე.

⁸⁵ კ ა ლ ი ქ ო რ ო ს ი – ბერძნ. ე. ი. „ლამაზად მოცეკვავე“; უფრო სწორად აქ „მკვირცხლი“, „მკვირცხლად მოჩუხჩუხე“; აიგივებენ პაფლაგონიაში ჰერაკლის აღმოსავლეთით ჩამომავალ მდინარესთან, რომელსაც ეძახდნენ აგრეთვე „ოქსინეს“-საც; ახლანდელი ოქსინა ანუ კოში. დიონისეს ანუ ბაკხოსის წმიდა ადგილად ითვლებოდა. შდრ., აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“ II, 906; ვალერიუს ფლაკუსის „არგონავტიკა“ V, 75; პლინიუსი VI, 1 [4] და სხვ.

⁸⁶ ლ ი ბ ე რ ი – ძველი რომაული პანთეონის ღმერთი, რომელიც მეღვინეობის მფარველად ითვლებოდა. შემდგომში გააიგივეს ბერძენთა ბაკხოსთან (ბახუსი) ანუ დიონისესთან და აქ სწორედ დიონისეს აზრით არის ნახსენები.

⁸⁷ შდრ. ვალერიუს ფლაკუსი, არგონავტიკა, V, 73–81.

⁸⁸ „ტრიეტერიკა“ – ე. ი. „სამწლიანი“ ან „სამწლეული“, (ბერძნული სიტყვიდან). სამ წელიწადში ერთხელ გასამართავი საღვთო დღესასწაულების შესახებ იტყოდნენ. ბაკხოსის სამწლეულ ღვინებს სხვანიც ახსენებენ. შდრ. ვერგილიუსი, ენიდა, IV, 302–303.

⁸⁹ ამის შემდეგ მოკლე ლაკუნას ვარაუდობს გარდტჰაუზენი. მართლაც მერე ავტორი უკვე ტერიტორიულად საკმაოდ დაშორებულ ამბებზე გადადის – შავი ზღვის სამხრეთი სანაპიროს დასავლეთი ნაწილიდან ამავე ზღვის თითქმის უკიდურესი აღმოსავლეთი სანაპიროს მიდამოებში.

⁹⁰ კ ა მ ა რ ი ტ ე ბ ის შესახებ ვრცელი მსჯელობა იხ. ზემოთ, გვ. 82–87.

„ხალხმრავალი თემებიო“, კამარიტებზე რომ ამბობს ჩვენი ავტორი, საინტერესო დეტალია – შესაძლოა ეს სწორედ სხვადასხვა ტომების შემკრებლობით ერთგვარ ზედმეტ სახელად გავიგოთ აქ. თვით ლათინურ სიტყვასაც – „pagus“ – ქართულ „თემზე“ უფრო ვრცელი და დიდი ერთეულის აზრიც შეიძლება ჰქონდეს (შდრ. Область, район, округ). კამარიტების სახელს ხედავს ზოგი მკვლევარი, გარდა შესავალში მოხსენიებული მასალისა, აგრეთვე პომპონიუს მელას „კომარებშიც“ („comari“ – I. 13), რომელნიც წარმოდგენილნი არიან, როგორც „super Caspium sinum“ (ე. ი. კასპიის ზღვის იქით თუ ზემოთ) მყოფნი და დაახლოებით ისეთივე ბუნდოვან კონტექსტში ჩანან მოქცეულნი, როგორც დიონისიოს პერიეგეტის თხზულებაში არიან.

⁹¹ ფ ა ზ ი ს ი ა ქ ი ტ რ ა დ ი ც ი უ ლ მ დ ი ნ ა რ ე ფ ა ზ ი ს ი ს, ახლანდელ რიონს უნდა აღნიშნავდეს.

⁹² ფ რ ა ზ ა შ ი – „...კოლხებს, ეგვიპტელთა ძველ მოდგმას, – ჩანს, ამიანე ძველ ავტორებს იმეორებს უკრიტიკოდ. მის დროს ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველ ტომებს კოლხების სახელით ჩვეულებრივ აღარც იხსენიებდნენ – აქ უკვე ლაზები და სხვანი უფრო ივარაუდებიან. კოლხთა ეგვიპტელობის ლეგენდა კი ჯერ კიდევ პეროდოტედან მოდის (II, 102–104), რომელიც მათი აქ ჩამოსახლე-

ბის ამბავს ეგვიპტის ზღაპრული მეფის სეზოსტრისის ლაშქრობას უკავშირებს ამ მიდამოებში, და შემდეგ სხვა მწერლებიც იმეორებენ. შდრ. დიოდორე სიცილიელი, I, 55: აპოლონიოს როდოსელი, V, 419 შმდ.: ვალერიუს ფლაკუსი, V, 418 შმდ. და სხვ.

⁹³ „მდინარის მოსახელე“ ქალაქ ფაზისის ახლანდელი ფოთის მიდამოებში ვარაუდობენ. ქალაქ ფაზისის მდებარეობის შესახებ სპეციალური შრომა ეკუთვნის მ. ა. ქსიძე ბერძენი შვილს – „ქალაქ ფაზისის ლოკალიზაციისათვის“ (სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. XXIII, 1942, გვ. 1 შმდ.), რომელიც მისი უფრო ვრცელი სადისერტაციო ნაშრომის ნაწილს წარმოადგენს.

⁹⁴ დიოსკურიას ამიანე, ისევე როგორც სტრაბონი (XI, 2, 14), ჩანს, კოლხეთში გულისხმობს. მის შესახებ ფლავიუს არიანე აღნიშნავს (14; 25): ახლა სევასტოპოლისი ეწოდებაო. ეს გადარქმევა ოქტავიანე ავგუსტეს ხანას მიეწერება, როცა ძველი აოხრებული დიოსკურიის ახლოს ციხე-სიმაგრე სევასტოპოლისი იქნა აგებული. საკამათოდ აღარ ითვლება, რომ ეს დიოსკურია – სევასტოპოლისი ახლანდელი სოხუმის მიდამოებში მდებარეობდა. სტრაბონი მრავალჯერ და ვრცლად ლაპარაკობს ამ ქალაქის აყვავებულობის შესახებ (XI, 2, 14–16 და სხვ.); ასევე პლინიუს უფროსიც (VI, 5 [15]). ამიანე აქაც წააგავს სტრაბონს – აღნიშნავს: „იგი ახლაც კი კარგად ცნობილიაო“. საერთო აზრით, სტრაბონის ნათქვამი მის თანამედროვე ვითარებას კი არ ასახავდა, არამედ მისი წყაროსას (ძვ. წ. III ს.) და ამასვე ფიქრობენ ამიანეს ამ ცნობის შესახებაც (შდრ. კომენტარი ВДИ, № 3 [29], 1949, გვ. 286), მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ იმ დროის ნარატიული წყაროების ცნობები ფრაგმენტულია, ამ პუნქტის სრული არქეოლოგიური შესწავლაც ჯერ კიდევ მომავლის საქმეა (ფაქტია, რომ ნაწილი ქალაქისა ზღვის ქვეშაა მოქცეული): ამიტომ შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ეგებ მარცელინეს მოეპოვებოდა კიდევ რაიმე საბუთი ასეთი მტკიცებისათვის. მით უმეტეს ხანიც საკმაოდ დიდი იყო გასული სტრაბონისა და პლინიუსის შემდეგ და ქალაქის ახალი აღორძინების ამბავი შეიძლება მართალიც იყოს. ყოველ შემთხვევაში არიანეს დროს, ახ. წ. II ს.-ის I ნახევარში, იგი კვლავ მნიშვნელოვან პუნქტად ჩანს, სადაც რომაელთა ჯარი იდგა. მისი ლოკალიზაციის შესახებ ბოლოდროინდელი ნაშრომებიდან იხ. პროფ. ს. ყაუხჩიშვილის სტატია „მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი“; გაზ. „ზარია ვოსტოკა“, 31. X. 1959.

⁹⁵ მეეტლეები – ლათ. „ავრიგე“, ბერძნული „ჰენიოხი“-ის პირდაპირი თარგმანია. ეტყობა, ამ გარეგნულმა მსგავსებამ მისცა საფუძველი ზოგ ბერძენსა და რომაელ მწერალს ასეთ ფორმებში წარმოედგინა ჰენიოხთა ტომის წარმოშობის ამბავი. ამ ვერსიას გადმოსცემენ, მაგ., სტრაბონი (XI, 2, 12), პომპეიუს ტროგუსი (იუსტინუსი – 42. 3, 3), პლინიუს უფროსი (VI, 4 [15–16]); სოლინუსი (XV, 17) და სხვებიც. ლეგენდური მეეტლე მამამთავრების სახელები იშვიათად თუ ემთხვევა ერთმანეთს და ამ შემთხვევაში ჩვენი ავტორიც საკმაოდ თავისებურ ვარიანტებს გვთავაზობს (შდრ. ВДИ, 4 [22], 1947, გვ. 213, შენ. 7). ჰენიოხები ლაზურ-ჭანური მოდგმის ხალხად ითვლება. მათ უკავშირებენ ბიბლიური ენოქის ანუ ენოხის სახელს (ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ., ტ. I. 1951, გვ. 401) და ანტიკური წყაროების სანებსა და სანიებს (ი. ორბელიის გამოკვლევა „სახალხო განათლების სამინისტროს ჟურნალში“, 1911, გვ. 195–215; პ. ინგოროვიჩი, გიორგი მერჩულე, თბ., 1957, გვ. 122, 124, 135 სხვ.; აგრეთვე

ჰენიოხების შესახებ სპეციალური ნაშრომის ავტორი მ. ი ნ ა ძ ე, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომთა ისტორიისათვის [ჰენიოხები]: მას. საქ. და კავკ. ისტ., ნაკვ. 32, გვ. 13–21). სანიგებთან მათი კავშირის საკითხს სკეპტიკურად ეკიდება ნ. ლ ო მ ო უ რ ი (იხ. მისი შენიშვნა, რომელიც დართული აქვს კლავდიოს პტოლემეოსის ტექსტს. მას. საქ. და კავკ. ისტ., ნაკვ. 32, გვ. 54); თუმცა ზემოხსენებულ მკვლევართა მოსაზრებების საწინააღმდეგოდ აქ არაფერს გვთავაზობს. აღსანიშნავია, რომ განსვენებული პ. უ შ ა კ ო ვ ი ჰენიოხებს აიგივებდა ურარტულ წარწერებში მოხსენიებულ იგანიეხებთან, რომელნიც დიაუხების და კულხას სამეფოს ჩრდილოეთით, ანუ დაახლოებით ახლანდელი დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში იგულისხმებიან ძვ. წ. IX–VIII საუკუნეებში (იხ. პ. უშაკოვის გამოკვლევა: ВДИ, № 2, 1946, გვ. 36 შმდ). ამ მოსაზრებას მხარს უჭერს მ. ი ნ ა ძ ე ც (შდრ. მისი ზემოხსენებული ნაშრომი, მას. საქ. და კავკ. ისტ., ნაკვ. 32, გვ. 13–14). სანიგების შესახებ ვრცელი მსჯელობა ძველი და ახალი ლიტერატურის მიმოხილვითურთ იხ. აგრეთვე მ. ი ნ ა ძ ი ს ნაშრომში, „ანტიკური ხანის შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს მოსახლეობის ეთნიკური მედგენილობის საკითხისათვის“; საქ. სსრ მეცნ. აკად. საზ. მეცნ. განყ-ბის მოამბე, № 2, 1960, გვ. 148–156.

⁹⁶ ა ქ ე ე ბ ი ს მოთავსება შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე ჰენიოხებსა და კერკეტებს შორის, როგორც სტრაბონის ერთი ადგილიდან ჩანს, არტემიდოროს ეფესელის (II–I სს ძვ. წ.) ცნობას ემთხვევა (სტრაბონის გეოგრაფია, XI, 2, 14). მეორე და მესამე ადგილას სტრაბონი აქეებსა და ჰენიოხებს შორის ზიგებს გულისხმობს (XI, 2, 1; 2, 12); აღნიშნავს, რომ თავიანთ მეზობელ ჰენიოხებთან და ზიგებთან ერთად ზღვაზე მეკობრეობით ირჩენდნენ თავს და მათ კუთვნილებად არის გამოცხადებული თავისებური ნავეები – კამარები, რომელთა შესახებ შესავალშია (იხ. ზემოთ, გვ. 82–87) ვილაპარაკეთ. ამ აქეების დაკავშირების ლეგენდა საბერძნეთის აქეებთან ანუ აქაველებთან, ჰენიოხების ამბის მსგავსად, ბერძენ-რომაელი მწერლების გამონაგონთა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს და სტრაბონის გარდა სხვანაც ბევრნი ახსენებენ. იხ. აგრეთვე ვ. ლ ა ტ ი შ ე ვ ი ს „პონტიკა“, 1909, გვ. 68–69.

⁹⁷ კ ე რ კ ე ტ ე ბ ს ჩვეულებრივ აიგივებენ ჩერქეზებთან. იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქ., კავკ. და მახლობელი აღმოსავლეთის ისტ.-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950, გვ. 273 და სხვ.; პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე. გვ. 137 და სხვ.

⁹⁸ პ ა ნ ტ ი კ ა პ ე ი ო ნ ი – ბოსფორის სამეფოს დედაქალაქი დღევანდელი ქერჩის ადგილას. იხ. В. Ф. Г а й д у к о е в и ч, Боспорское царство, М.-Л., 1949, стр. 154–172 და სხვ.; Ростовцев, Скифия и Боспор, Л., 1925, Мат. и исслед. по арх. СССР, Москва, № 19, 1951, стр. 9–62; В. В. Л а т ы ш е в, Повтік, СПб 1909, стр. 70–71.

⁹⁹ პ ი პ ა ნ ი ს ს ამ შემთხვევაში მდ. ყუბანთან აიგივებენ და ამდენად სიმართლეს არ შეეფარდება ჩვენი ავტორის თქმა, იგი პანტიკაპეიონს „ჩამოუდისო“, ვინაიდან ეს ქალაქი, როგორც ცნობილია, ქერჩის სრუტის დასავლეთ სანაპიროზე მდებარეობდა. ჩანს, ამიანეს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს აქაურ გეოგრაფიულ ვითარებაზე.

¹⁰⁰ ა მ ა ზ ო ნ ე ბ ი ს ადგილსამყოფელის გადატანა ტანაისის (დონის) მიდამოებსა და კასპიის ზღვისპირეთში შედარებით გვიანდელი მოვლენაა ანტიკურ წყაროებში. შდრ. აგრეთვე აქვე შენ. 71. კავკასიის მთებში ნამდვილი ტანაისის სათავის ძიებაც სწორი არ არის. ასეთი ცნობა, ჩანს, გამოძახილია ძველ იონიელ გეოგრაფოსებისა, რომელნიც ტანაისის სათავეს ახლანდელ მდ. მანიჩში ურევდნენ.

¹⁰¹ მ დ ი ნ ა რ ე რ ა – ახლანდელი მდ. ვოლგა.

¹⁰² ყველა ეს მდინარე აზოვის ზღვისპირეთშია საძიებელი.

¹⁰³ მ დ ი ნ ა რ ე კ ო რ ა ქ ს ი ჩვეულებრივ ახლანდელი მდ. კოდორის ბადალ ითვლება, მაგრამ ამ კონტექსტის მიხედვით საკმაოდ დაშორებული გამოდის თავისი ტრადიციული ლოკალიზაციისაგან. ავტორი ან აქაც სცდება, ან არა და ამ შემთხვევაში სხვა რომელიღაც მდინარე უნდა ვიგულისხმოთ იმავე აზოვის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ან მის ახლოს.

¹⁰⁴ სხვა ძველი წყაროებით, ამ კუნძულების მოსახელე ქალაქები ფანაგორია და ჰერმონასა უფრო ცნობილია. კუნძულებად ახსენებს მათ აგრეთვე სტეფანე ბიზანტიონელიც. შდრ. ვ. გ ა ი დ უ კ ე ვ ი ჩ ი ს ხსენებული ნაშრომი, გვ. 195. ქალაქ ფ ა ნ ა გ ო რ ი ა ს აიგივებენ ტამანის ნახევარკუნძულზე მდებარე სოფ. სენაიას ახლოს გადაშლილ ნაქალაქართან. ფანაგორია დიდმნიშვნელოვანი ცენტრი ჩანს ბოსფორის სამეფოში (იხ. იქვე, გვ. 197–201). ჰ ე რ მ ო ნ ა ს ა ახლანდელ სტანიცა ტამანსკაიას ადგილას უნდა ყოფილიყო. (იქვე, გვ. 208–211).

¹⁰⁵ აქ ჩამოთვლილი ტომებიდან ამიანეს ხანაში ზოგი, მაგ., იაზიგები, როქსოლანები, ჰალანები ანუ ალანები, მართლაც არსებობდნენ, მაგრამ ზოგი მათგანი კი – მელანქლენები, გელონები – უკვე მხოლოდ წერილობით წყაროებში თუ აყენენ შემორჩენილნი.

¹⁰⁶ ეს ქ ე რ ო ნ ე ს ო ს ი ანუ ქერსონესოსი (ბერძნულად ნახევარკუნძულს ნიმნავს) ყირიმში, ახლანდელი სევასტოპოლის მიდამოებში ივარაუდება.

¹⁰⁷ ამ ხალხებიდან ზოგს პლინიუს უფროსიც ახსენებს (VI, 19 [50]), ოღონდ კასპიის ზღვის იქითა მხარეში. კომენტატორების აზრით, აქაც ცდება ჩვენი ავტორი.

¹⁰⁸ εὐξεινος – „სტუმართმოყვარე“.

¹⁰⁹ εὐρύς – „გულკეთილი“, „კეთილზუნებოვანი“.

¹¹⁰ εὐρυδῆς – „ფიქრკეთილი“, „კეთილმზრახველი“.

¹¹¹ εὐμενὴς – „კეთილმოსურნენი“, „კეთილნი“, „მოწყალენი“.

¹¹² უცხოელების მსხვერპლად შეწირვისა და შავი ზღვის გარშემო მცხოვრებთა ველურობის შესახებ სტრაბონიც ლაპარაკობს (VII, 3, 6), მაგრამ იგი ამას უფრო სკვითურ ტომებს მიაწერს. პომპონიუს მელა ამ მიდამოებში მცხოვრებ ტავერებს იფიგენიას მითთან დაკავშირებით ახსენებს და ისიც აღნიშნავს უცხოელების მსხვერპლად შეწირვის ჩვეულებას (II, 1 [11]).

¹¹³ ტ ა ვ რ ი კ ა – ახლანდელი ყირიმი.

¹¹⁴ ლ ე ვ კ ე – ბერძნ. „თეთრი“. ამ კუნძულზე, სტრაბონი ამბობს (VII, 3, 16), მდინარე ტირასის (ახლანდელი დნესტრი) შესართავიდან 500 სტადიონზე მდებარეობს ღია ზღვაში. პომპონიუს მელა კი მდ. ბორისტენესის (ახლანდელი დნეპრის) შესართავში ათავსებს და დაახლოებით ამიანეს მსგავს ამბავს გადმოსცემს აქილევსის და იქაური ფრინველების შესახებ (II, 7 [98]). შესაძლოა, პომპონიუს მელას ამ კუნძულის ამბავი აერია აქილევსის სახელთან დაკავშირებულ მეორე ადგილში ე. წ. „აქილევსის სარბენში“, რომელსაც სტრაბონი (VII, 3, 19)

და მეორე ადგილას თვითონაც (II, 1 [5–6]) მართლა ბორისთენესის შესართავთან ვარაუდობენ. ლევკეს ჩვეულებრივ მიიჩნევენ დუნაის შესართავის ახლოს მდებარე კუნძულად. ლევკეს შესახებ იხ. აგრეთვე И. И. Т о л с т о й, Остров Белый и Таврика на Евксинском Понте, Петроград, 1918; რეცენზია ამ ნაშრომზე – М. И. Р о с т о в ц е в, Новая книга о Белом острове и Таврике Изв. Арх. Ком. 65. 1918.

¹¹⁵ მშვილდის წვერო აქ მშვილდის მოხრილობის უმაღლეს ადგილს უნდა გულისხმობდეს. თუმცა სკვიტურ მშვილდს, რომელსაც ამიანე ამგვანებს შავი ზღვის მოყვანილობას, შუაში, სადაც ხელი უნდა მოეკიდებინათ, სწორი, უძრავი სახელური ჰქონდა ჩაყენებული გოზებთან კვლავ უკა გადაზნექილ, ოდნავ მოდრეკილ რკალებს შორის.

¹¹⁶ ზ ე ც ი ე რ ი დ ა თ ვ ი – ე. ი. დათვის თანავარსკვლავედი.

¹¹⁷ რ ი ფ ე ი ს ანუ რიპეის მთებს პომპონიუს მელა (I, [115, 117]) და პლინიუს უფროსიც ახსენებენ (IV, 2 [78]), ოღონდ ბუნდოვან კონტექსტში. ამ სახელს საერთოდ ჩრდილოეთ ევროპის ქედებს უწოდებენ ხოლმე და გამოკვეთილად არ ჩანს როდის რა იგულისხმება მასში.

¹¹⁸ ვ ი ს უ ლ ა ს ახლანდელ მდ. ვისლასთან აიგივებენ.

¹¹⁹ მ დ . ბ ო რ ი ს თ ე ნ ე ს ი – მდ. დნეპრი.

¹²⁰ ქ ა ლ ა ქ ი ბ ო რ ი ს თ ე ნ ე ს ი – იგივე ოლვია, მილეტელთა კოლონია, რომელიც ფაქტიურად მდ. ბუგის შესართავში იყო, მაგრამ ვინაიდან დნეპრისა და ბუგის შესართავების სიახლოვის გამო მთლიანად ეს ყურე დნეპრის ანუ მაშინდელი ბორისთენესის შესართავად წარმოიდგინებოდა, ქალაქს ამ უფრო დიდი მდინარის სახელიც ერქვა. ოლვია „ბედნიერს“ ნიშნავს. ამ ქალაქის შესახებ იხ. Античные города северного Причерноморья, I, М.-Л., 1955, стр. 30 – 85; В. В. Латышев, Повникá, стр. 55–59.

¹²¹ მდაბალი წარმოშობის სინდების ამბავს ვალერხუს ფლაკუსიც ახსენებს (VI, 86–87) და იგი უკავშირდება ჰეროდოტესა (IV, 2–4) და პომპიუს ტროგუსის (იუსტინუსი – II, 5, 1–8) მიერ მოთხრობილ გადმოცემას სკვიტების მონათა შესახებ.

¹²² Ἀχιλλέως δούμιος – ე. ი. „აქილევის სარბენი“, ანუ „აქილევის სარბენი ბილიკი“. მას სტრაბონი (VII, 3, 19), პომპონიუს მელა (II, I [5–6]) და პლინიუს უფროსიც (IV, 12 [83]) ახსენებენ შდრ. აქვე შენ. 114. იხ. აგრეთვე М. М. К у б л а н о в, Легенда о ристалище Ахилла и Ольвийские агонистические празднества: Ежегодник Музея истории религии и атеизм, I, М.-Л., 1957, стр. 222 – 231.

¹²³ მ დ ი ნ ა რ ე ტ ი რ ა ს ი – ახლანდელი დნესტრი.

¹²⁴ ეს სავალი მანძილი, ეტყობა, დნეპრიდან აღმოსავლეთის მიმართულებით ივარაუდება.

¹²⁵ ჰ ა ლ ა ნ ე ბ ი იგივე ალანები, რომელნიც I–II საუკუნეებში კავკასიის ჩრდილოეთით მოსახლეობდნენ (შდრ. ВДИ, № 3, 1949, გვ. 290, შენ. 2).

¹²⁶ მ ა თ ი ძ ვ ი რ ფ ა ს ნ ი – იგულისხმება მათი ახლო ნათესავნი, ოჯახი.

¹²⁷ კუნძულ პ ე ვ ე კ ე ს მდებარეობის შესახებ დუნაის დალტაში იხ.

Ф. К. Бруи, Черноморье, ч. I, стр. 124–135.

¹²⁸ ტ ო მ ი – ქალაქი შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე. აპოლოდოროსი-სადმი მიწერილ „ბიბლიოთეკაში“ გადმოცემულ არგონავტთა მითში (I, 9, 24,

1-3). ამ ტომში ანუ ტომეში დაკრძალა არგონავტებს დადევნებულმა აეტმა მედეასაგან აკუწული თავისი ვაჟი და მანვე დაარქვა ვითომ ეს სახელი. აპოლოდოროსს იგი ბერძნულ სიტყვა τσιμη-დან („გაჭრას“, „გაკვეთას“ ნიშნავს) წარმოშობილად მიაჩნია.

¹²⁹ დ ა ნ უ ბ ი უ ს ი – მდ. დუნაი.

¹³⁰ დუნაის შესართავთა რიცხვი ძველ ავტორებს სხვადასხვანაირად აქვთ გადმოცემული. ეფოროსი (იხ. სტრაბონის გეოგრ. VII, 3, 15) ხუთს ითვლიდა; პლინიუსი ექვსს ამბობს (IV, 12 [79]); ამიანესავით შვიდი აქვს თვითონ სტრაბონს (იქვე, VII, 3, 15). ჩამოთვლილი ბერძნული სახელები, რომელთა მეორე შემადგენელი ნაწილი „სტომა“ „პირს“, „შესართავს“ ნიშნავს, ასე შეიძლება ითარგმნოს: კალონსტომა – „ლამაზი შესართავი“, ფსევდოსტომა – „ცრუ შესართავი“, ბორიონსტომა – „ჩრდილო შესართავი“ და სტენოსტომა – „ვიწრო შესართავი“.

¹³¹ ტ კ ბ ი ლ ი წ ყ ა ლ ი – ე. ი. მტკნარი წყალი.

¹³² ჩ ვ ე ნ ზ დ ვ ა შ ი ა ქ ხ მ ე ლ თ ა შ უ ა ზ ღ ვ ა ი გ უ ლ ის ხ მ ე ბ ა .

¹³³ შავ ზღვაში თავზის მომრავლების ხელსაყრელი პირობების შესახებ დაახლოებით ასევე მსჯელობენ პლინიუს უფროსი (IX, 49-50) და ნაწილობრივ სტრაბონი (VII, 6, 2; XII, 3, 19), რომელნიც თავის მხრივ, ჩანს, არისტოტელეს ნათქვამს იმეორებენ. იხ. მისი, ისტორიანი ცხოველთა შესახებ, VIII, 13.

¹³⁴ ეს არის ვრცელი სიტყვის დასაწყისი, რომელსაც წარმოსთქვამს იმპერატორი ჯარის წინაშე სპარსელების წინააღმდეგ ლაშქრობის დროს მესოპოტამიაში 363 წლის გაზაფხულზე.

¹³⁵ ლუკულუსის (იხ. აგრეთვე აქვე შენ. 63) ლაშქრობის ამზავს აღმოსავლეთში და არმენიის მორბევას ძვ. წ. 69-68 წლებში პლუტარქოსი გადმოგვცემს (იხ. მისი ლუკულუსი, თავები 26; 31 და სხვ.).

¹³⁶ აქ პომპეუსის (იხ. აგრეთვე შენ. 5) ის ლაშქრობა იგულისხმება, რომელიც ძვ. წ. 66-64 წლებში მოახდინა მან კავკასიაში პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორის დევნის დროს. ალბანებთან მისი შეტაკება ისტორიული ფაქტია, მაგრამ მასაგეტების დალაშქვრა კი მართალი არ უნდა იყოს, რადგან სხვა წყაროები არ ადასტურებენ. არ ჩანს აგრეთვე, რომ სიმართლეს შეეფერებოდეს ამიანეს ნათქვამი, პომპეუსმა თავის ამ ლაშქრობაში კასპიის ტბასაც (ე. ი. ზღვას) მიაღწიაო. მართალია, ჩვენს ავტორს თითქოს ნაწილობრივ მხარს უჭერს სტრაბონის ორაზროვანი ანალოგიური ცნობა (XI, 1, 6), მაგრამ, სხვა მეისტორიეთა – პლინიუსის (VI, 19 [51-52]), დიონ კასიოსის (37, 5, 1), ამიანეს (მითრიდატიკა, 103), პლუტარქოსის (პომპეუსი, თ. 36) – ჩვენებანი კი ამის საწინააღმდეგოდ მეტყველებენ. იხ. К. В. Т р е в е р. Очерки по истории и культуре Кавказской Албании. М.-Л., 1959, стр. 105-107; З. И. Я м п о л ь с к и й, К изучению древнего пути из Каспийского моря по реке Куре через Грузию к Черному морю, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. II, 1956, გვ. 168.

¹³⁷ ჩვენი ავტორის ცნობა მასაგეტებისა და ალანების იგივეობის შესახებ საინტერესოა, მაგრამ არც ამ საკითხშია ერთსულოვნება ძველ წყაროებს შორის. ზოგი ნაწილობრივ მხარს უჭერს, მაგ.. დიონ კასიოსი (69, 15) თუმცა ზოგი ხელნაწერის მიხედვით იქ ალანების მაგიერ ალბანები იკითხება და ფრაგმენტის სახით არის მოღწეული ბიზანტიელი მწერლის ქსიფილინოსის ტექსტში. სხვათა შორის სწორედ ამ ფრაგმენტში არიან ალანები მოხსენიებულნი იბერთა მეფე ფარს-

მანთან (II-ესთან) კავშირში, როგორც მისი ხელის შეწყობითა და წაქეზებით შემოსეულნი მიდიასა, არმენიასა და კაპადოკიაში. დიონის ტექსტში ალან-ალბანების სახელთა აღრეულობის შესაძლო მიზეზის შესახებ იხ. ВДИ, № 2, 1948. გვ. 277, შენ. 1. მასაგეტებსა და ალანებს გარკვევით ასხვავებს ერთმანეთისაგან კლავდიუს კლავდიანუსი – ახ. წ. IV-V საუკუნეების მიჯნის რომაელი პოეტი. ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი მასაგეტებთან ჰუნებს აიგივებს და ხშირადაც ახსენებს. საყურადღებოა ამიანეს ტექსტს დართული ანრი ვალუას კომენტარი: ისაკ ცეცე (ბიზანტიელი მწერალია) ამბობს, მასაგეტები ისინი არიან, რომელთაც ახლა აბასგებს უწოდებენო. (იხ. ჩვენი ავტორის ვაგნერ-ერფურდტისეული გამოცემა, ტ. III, გვ. 20). შდრ. აგრეთვე ВДИ, № 3, 1949, გვ. 291, შენ. 5, სადაც შესაძლებლადაა მიჩნეული ალანების იგივეობა ჰეროდოტეს (I, 201 შმდ.) და სტრაბონის (XI, 8, 2) მასაგეტებთან, რომელნიც კასპიის ზღვის გადაღმა მობინადრეებად არიან გამოყვანილნი. ალანების შესახებ ბერძნულ-ლათინური წყაროების ცნობათა ანალიზი იხ. იულ. კულაკოვსკი „ალანები...“ (რუსულად), კიევი, 1899. ავტორი ალანებს თვლის თანამედროვე ოსების წინაპრებად.

¹³⁸ ანტონიუსი – რომაელი სარდალი და სახელმწიფო მოღვაწე მარკუს ანტონიუსი, იულიუს კეისრის მეგობარი (ძვ. წ. 82–30 წწ.).

¹³⁹ პუბლიუს ვენტიდის ბასუსი ძვ. წ. 39–38 წლებში ლაშქრობდა პართელთა წინააღმდეგ.

¹⁴⁰ იგულისხმება სპარსელები.

¹⁴¹ კიროსი – სპარსეთის მეფე, აქემენიდთა დინასტიის დამაარსებელი (ძვ. წ. VI ს). აქ მოკლედ მოთხრობილ ამზავს სხვა ძველი წყაროები უფრო დაწვრილებით გადმოგვცემენ – მაგ. ჰეროდოტე (I, 204–216); სტრაბონი XI, 6, 2; 8, 5–6), პომპეიუს ტროგუსი (იუსტინუსი – I, 8, 1–13); ოლონდ მის მოწინააღმდეგეებად პირველი სკვითების მაგიერ მასაგეტებს ასახელებს, მეორე – მასაგეტებს და საკებსაც, ხოლო ამიანეს მსგავსად მარტო სკვითებს კი პომპეიუს ტროგუსის თხზულებაში ვხედავთ.

¹⁴² კიროსისაგან ბოსფორის (ე. ი. კიმერიის ბოსფორის – ახლანდელი ქერჩის) სრუტის გადალახვის ამბავი გაუგებრობაზე დამყარებული ჩანს, რადგან წყაროთა უმრავლესობის თანახმად ეს ლაშქრობა კასპიის ზღვის გადაღმა მხარეს უკავშირდება.

¹⁴³ ტომირისი ჰეროდოტეს მასაგეტების დედოფლად ჰყავს წარმოდგენილი, სტრაბონს არ მოჰყავს მისი სახელი, ხოლო პომპეიუს ტროგუსს (აგრეთვე ამიანეს ზოგ ხელნაწერს) სკვითთა დედოფალ ტამირისის სახით აქვს გადმოცემული (I, 8, 2) და იქვე (II, 1, 3) სკვითების ქალებს ამაზონების სამეფოს დამფუძნებლებადაც მიიჩნევს.

¹⁴⁴ ეს კასპიის კარი უნდა იყოს არა ზოგი ძველი ავტორის დარიალის ან დარუბანდის გასასვლელები, არამედ კასპიის ზღვის სამხრეთით, ახლანდელი ირანის ჩრდილოეთ ნაწილში, ელბორზის მთებში არსებული უღელტეხილი, რომელზედაც მიდიიდან პართიასა და ჰირკანიაში მიმავალი გზა გადიოდა. კასპიის კარს სხვადასხვა მწერალი სხვადასხვა უღელტეხილის ან გასასვლელის აღსანიშნავად ხმარობს და ამდენად ამიანეს აზრიც გასათვალისწინებელია – ამკარაა, იგი აქ კავკასიის კარს არ უწოდებს ამ სახელს.

¹⁴⁵ კადუსი ებს სტრაბონს (XI, 6, 1; 7, 1; 8, 1. და სხვ.), პომპონიუს მელას (I, 2 [13]), პომპეიუს ტროგუსს (იუსტინუსს – X, 3, 2) და სხვებსაც აქვთ

ნახსენები. სტრაბონი ალბანების მეზობლად, კასპიის ზღვის ახლოს გულისხმობს მათ.

¹⁴⁶ ნ ი ფ ა ტ ე ბ ი – მთაგრეხილი არმენიაში. სტრაბონის ცნობით (XI, 12, 4), ამ მთების სამხრეთ კალთებზე აქვს სათავე მდ. ტიგრს. სტრაბონიც და პომპონიუს მელაც (I, 15 [81]) ტავროსის მთების ნაწილად თვლიან. სომხური წყაროების ნკატ (მოსე ხორენაცის „სომხეთის ისტორია“, რუს. თარგმანი. მოსკოვი, 18921, გვ. 174).

¹⁴⁷ მ ე წ ა მ უ ლ ზ დ ვ ა შ ი აქ სპარსეთის უბე იგულისხმება და არა ახლანდელი მეწამული ზღვა.

¹⁴⁸ ს ა რ კ ი ნ ო ზ ე ბ ი – იგივე სარაცენები ანუ სარაცინები.

¹⁴⁹ იგულისხმება მაშინდელი სპარსეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, უმთავრესად ანტიკური წყაროების ატროპატენე, ძველი ქართული წყაროების ადრაბა-დაგანი ანუ მერმინდელი აზერბაიჯანი და ნაწილობრივ მიდია.

¹⁵⁰ გ ა ზ ა კ ა ანუ განძაკი – ატროპატენის დედაქალაქი, ახლანდელი თავრიზის სამხრეთით. აიგივებენ ტახტი-სულეიმანთან, რომელიც ზენჯანის ახლოს მდებარეობს. შდრ. ნ. ადონცი, სომხეთი იუსტინიანეს დროს (რუსულად), 1906, გვ. 2.

¹⁵¹ ე კ ბ ა ტ ა ნ ა – ახლანდელ ქალაქ ჰამადანთან აიგივებენ.

¹⁵² ანტიკური წყაროების მდინარეებს კ ა მ ბ ი ზ ე ს ს ანუ კ ა მ ბ ი ს ე ს ს და კ ი რ ო ს ს მკვლევარები ჩვეულებრივ შესაბამისად იორთან და მტკვართან აიგივებენ და, მაშასადამე, ამიანუსისაგან მათი ჩათვლა ჩრდილო-დასავლეთ სპარსეთის მდინარეთა რიცხვში ერთგვარ გაუგებრობს იწვევს. სინტერესოა მდ. კიროსის დახასიათება, როგორც შფოთიანი მდინარისა, რაც ძირითადად კარგად ეთანხმება მართლაც მის ბუნებას. ამ სახელების მქონე მდინარეთა ლოკალიზაციისა და ეტიმოლოგიის შესახებ უკანასკნელი ნაშრომი ეკუთვნის პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში, ტ. 91, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, II, თბ., 1960, გვ. 247–254. იქვეა მითითებული საკმაოდ სრულად წყაროები და სათანადო ლიტერატურა. ავტორი მკაცრად აკრიტიკებს აკადემიკოს ვ. ვ. ს ტ რ უ ვ ე ს ნაშრომის (საბჭოთა ეთნოგრაფია, V-VI, მ.-ლ. 1947, გვ. 120 შმდ.) ერთ ნაწილს და ასაბუთებს, რომ კამბისი – კამბისესი ქართულ კამბეჩოვანს, ახლანდელი შირაქის ველისა და ივრის ხეობის ძველ სახელს უკავშირებდა, ხოლო კიროსს – მტკვარს საფუძველად უდევს ქართული ტომობრივი სახელი კორ ანუ კოლ, საიდანაც არის კოლხიც, და რომ ამ მდინარეთა სახელების მსგავსება სპარსეთის ძველი მეფეების სახელებთან შემთხვევითი მოვლენაა. უნივ. „შრომების“ იმავე წიგნშია მოთავსებული (გვ. 443–449) მეორე საინტერესო ნაშრომი მტკვრის ეტიმოლოგიის საკითხების შესახებ, რომელიც პროფ. ს. ჯიქიას კალამს ეკუთვნის და წარმოადგენს რეცენზიას აზერბაიჯანელი მკვლევრის ა. ა ხ უ ნ დ ო ვ ი ს სტატიაზე Этимология слова „Кур“, Ученые записки АГУ им. С. М. Кирова, № 10, Баку, 1906, стр. 51 – 56. პროფ. ს. ჯიქია მდიდარი მასალის განხილვის საფუძველზე ამტკიცებს, რომ მდ. მტკვრის ყველა უცხოური სახელი მისი ქართული სახელიდან იღებს სათავეს საკმაოდ კანონზომიერი ფონეტიკური ცვლილებების საფუძველზე და რომ ეტიმოლოგია ა. ახუნდოვისა, რომელიც მას ალბანურ-უდურ სიტყვას „კურ“-ს (ნიშნავს „ჭას“) უკავშირებს, მცდარია. მდინარე მტკვრის ქვემო წელის, ე. ი. ალბანიის ტერიტორიაზე მიმდინარე ნაწილის, შესახებ ანტიკური წყაროების მიხედვით საკმაოდ

ვრცლად მსჯელობს აგრეთვე ვ. ვ. ტრევერიც (იხ. მისი *Очерки по истории и культуре Кавказской Албании*, стр. 41–44), რომელიც ამიანეს ამ ცნობასაც, ვითარცა ერთ-ერთ წყაროს, იყენებს.

153 კიროსისა და მისი ლაშქრობის შესახებ სკვითების ქვეყანაში იხ. აქვე, შენ. 141.

¹⁵⁴ ბ ა ქ ტ რ ი ა ნ ა ანუ ბაქტრია და მ ა რ გ ი ა ნ ა – კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნები ძველი სპარსეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ბაქტრია – აღმოსავლური ბახლი ანუ ბალხი მდ. ამუ-დარიის ზემო დინებაზე. შდრ. მოსე ზორენაცი, მ. 1893, გვ. 52, 240–241.

¹⁵⁵ მ ი თ რ ი დ ა ტ ე – მითრიდატე VI ევპატორი, პონტოს მეფე; იხ. აგრეთვე აქვე, შენ. 4.

¹⁵⁶ კ ვ ი ზ ი კ ო ს ი ანუ კიზიკოსი – ქლავი პროპონტიდის ანუ ახლანდელი მარმარილოს ზღვის სამხრეთ სანაპიროზე.

¹⁵⁷ ცნობა რომაელთაგან პირველად მითრიდატე VI-ის დროს აქლემების ხილვის შესახებ, ჩანს, გაიუს სალუსტიუს კრისპუსისაგან (86–35 ძვ. წ.) აქვს ნახსენები ამიანეს; მაგრამ პლუტარქოსს არ სჯერა ეს და ამბობს: რომაელებს იმაზე ადრე ეყოლებოდათ ნახული აქლემებიო (შდრ. მისი *ლუკულუსი*, თ. 11).

¹⁵⁸ აქ ლაპარაკია კასპიის იქით მდებარე მთაგრეხილებსა და იქაურ ხალხებზე და ჰ ა ლ ა ნ ე ბ შ ი ანუ ალანებში, ეტყობა, მასაგეტები იგულისხმება, რადგან სხვა ადგილასაც (XXIII, 5, 16) აიგივებს მათ ჩვენი ავტორი. შდრ. აქვე, შენ. 137; აგრეთვე ВДИ, № 3, 1949, გვ. 294, "შენ. 5.

¹⁵⁹ ეს ბრძოლა მოხდა 363 წელს, სპარსეთის მაშინდელ პროვინცია მარანგაში, იმპერატორ იულიანუსის ლაშქრობის დროს.

¹⁶⁰ ბიზანტიელი ისტორიკოსი ზოსიმე (ახ. წ. V ს.-ის II ნახ.) თავის „ახალ ისტორიაში“ (III, 28) ამ პირს ბრეტანიონის სახელით ახსენებს.

¹⁶¹ ამ Zianni-ს შესახებ გერმანელი და, მისი მიხედვით, ინგლისელი მთარგმნელები შენიშნავენ: ალბათ თრაკიელი ტომიაო. ჩანს, ეს აზრი იმიტომ გაუჩნდათ, რომ *Notitia Orientalis Imperil*-ში „Tzanni“ მოხსენებულნი ყოფილან თრაკიის ჯარის სარდლის (*Magister militum per Thracias*) ხელქეცითად (იხ. ვაგნერ-ერფურდტის გამ., ტ. III, გვ. 88). მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ თრაკიის, როგორც აგრეთვე ერთგვარი სამხედრო ოლქის, სარდლის ხელქეცითად სხვა კუთხეთა ან ტომთა რაზმებიც ყოფილიყვნენ. ი. კულაკოვსკის თარგმანში უკომენტარიოდაა ნათქვამი, რომ ვეტრანიონი „...состоял командиром легиона з и а н н о в“ (вып. II, стр. 241). ამ საკითხების შესახებ იხ. აგრეთვე აქვე, ზემოთ, გვ. 89, და, ქვემოთ, გვ. 169–171.

¹⁶² შ ა ბ უ რ II ამ დროს (დაახლ. 368 წ.) 70 წლამდე ხნისა უნდა ყოფილიყო. მის შესახებ იხ. Н. В. Пигулевская, А. Ю. Якубовский и др., *История Ирана с древнейших времен до конца XVIII века*, Ленинград, 1058, стр. 43–45. შდკ. აგრეთვე აქვე, შენ. 10.

¹⁶³ იულიანე დაიღუპა 363 წელს, ხოლო „სამარცხეინო ზავი“, რომელიც მძიმე იყო რომისათვის, მისმა მომდევნო იმპერატორმა იოვიანუსმა (363–364) დადო.

¹⁶⁴ ამ საზავო ხელშეკრულების შესახებ ჩვენი ავტორი საკმაოდ დაწერილებით ლაპარაკობს XXV წიგნში (XXV, 7, 9 შმდ.).

¹⁶⁵ მეფე არშაკი – სომხეთის მეფე არშაკ II (345–367). იხ. სომეხი ხალხის ისტორია (რუსულად) ნაწ. I, ერევანი, 1951, გვ. 73–77; აგრეთვე ზემოთ გვ. 90–91 და შენ. 15.

¹⁶⁶ სავრომაკი ანუ საურმაგი და ასფაგური ანუ ვარაზ-ბაკური იბერიის ანუ ქართლის მეფეები, IV საუკუნის 60–70-იან წლებში. მათი მეფობის შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ. 1951, გვ. 235–236; გ. მელიქიშვილი, ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის: ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკვ. I, 1958, გვ. 165–167, 168. შდრ. აგრეთვე აქვე, შესავალი, გვ. 89–90. ამათ შესახებ ცოტა ქვემოთაც არის (XXVII, 12, 16–17) კიდევ ლაპარაკი.

¹⁶⁷ კილაკე უნდა იყოს ფავსტოს ბუზანდაცის გლავ მარდპეტი (იხ. მისი „ისტორია“, ერევანი, 1953, გვ. 148, 156–158), რომელთანაც აიგივებს მას ბუზანდაცის მთარგმნელი და კომენტატორი მ. ა. გევორგიანი (იქვე, გვ. 220). ნ. აღონცი მას ახსენებს, როგორც გილავ მარდპეტს (იხ. მისი „სომხეთი...“ გვ. 287, 449–450; მარდპეტების შესახებაც იხ. იქვე, გვ. 417, 448) და აღნიშნავს, რომ იგი და დედოფალ ფარანძემის შეურაცხმყოფელი სხვა მარდპეტი (აირ მარდპეტი), რომლის შესახებაც ლაპარაკობს აგრეთვე ფავსტოსი, ერთი და იგივე პირი უნდა იყოს (იხ. აღონცის ხსენებული ნაშრომი, გვ. 449).

¹⁶⁸ არტაზანი – ნ. აღონცის აზრით (იქვე, გვ. 449) ფავსტოს ბუზანდაცის მუშედ მამიკონიანი უნდა იყოს, რომელსაც მოსე ხორენაციც ახსენებს (იხ. მისი ისტორიის მეორე რუსული გამოც. გვ. 175).

¹⁶⁹ არტოგერასა – არტაგერსი მოსე ხორენაციის (იხ. მისი ზემოხსენებული ნაშრომი, გვ. 171) და ფავსტოს ბუზანდაცის (სომხეთის ისტორია, ერევანი, 1953, გვ. 102, 131, 133) მიხედვით. ნ. ემინი თავის კომენტარში (იხ. გვ. 273) ამ ციხე-სიმაგრეზე ამბობს, სტრაბონისათვისაც ნაცნობიაო. მაგრამ საინტერესოა ამასთან დაკავშირებით ფავსტოსის ცნობა (იქვე, გვ. 102), რომელშიც აღნიშნავს, რომ იგი თითქოს არშაკ II-ემ ახ. წ. IV ს.-ში ააგო. შდრ. ВДИ, № 2, 1949, გვ. 295, შენ. 10. ეს ციხე-სიმაგრე თითქმის მთელ ერთ წელიწადს გაუმაგრდა მტერს (იხ. „სომეხი ხალხის ისტორია“ [რუსულად], ერევანი, 1951, გვ. 77).

¹⁷⁰ არშაკის... მეუღლეში აქ დედოფალი ფარანძემი უნდა იგულისხმებოდეს, რომლის ამბავიც საკმაოდ დაწვრილებით არის მოთხრობილი ფავსტოსის (ხსენებული თხზულება, გვ. 91, 95–97 და სხვ.) და მოსე ხორენაციის (გვ. 159, 161 და სხვ.) მიერ. გერმანელ და ინგლისელ მთარგმნელებს და ვაგნერს (იხ. მისი გამოც. ტ. III, გვ. 208) არშაკის აქ მოხსენებული მეუღლე შეეცდომით ოლიმპია ჰგონიათ, რომელიც სწორედ ფარანძემმა მოაწამვლინა ადრევე.

¹⁷¹ არშაკის ძე პაპა – სომხეთის მეფე პაპი (369–374), არშაკ II-ის ძე. მან სცადა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა ეწარმოებინა რომ-სპარსეთის ჭიდილში, მაგრამ რომაელებმა მოაკვლევინეს იგი. ამბავი დაწვრილებით აქვე (XXX, I, 18–22) აქვს გადმოცემული ამიანეს (იხ. აგრეთვე „სომეხი ხალხის ისტორია“, გვ. 78–80). პაპის თავგადასავალს ვრცლად გადმოსცემენ ფავსტოს ბუზანდაცი (გვ. 96, 121 და სხვ.) და მოსე ხორენაცი (გვ. 161, 165 და შმდ.). შდრ. აგრეთვე ზემოთ, გვ. 90–91.

¹⁷² იმპერატორი ვალენტი – ფლავიუს ვალენტი (364–378), რომის იმპერატორი.

¹⁷³ ნეოკესარეა – ახლანდელი ნიქსარი მდ. კელკიტზე თურქეთში, ჭანის ვილაიეტში.

¹⁷⁴ პოლემონის პონტო ანუ პონტუს პოლემონიაკუს – რომის პროვინცია შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, რომელიც უმთავრესად ქართული ტომებით იყო დასახლებული ძველად.

¹⁷⁵ ესტერენციუსი ქვემოთაც არის მოხსენიებული (XXVII, 12, 16), როგორც იბერიის მეფე სავრომაკის (ანუ საურმაგის) დამხმარე რომაული ჯარის სარდალი და შემდეგ კიდევ (XXX, 1, 2–4), როგორც სომხეთის მეფე პაპის წინააღმდეგ იმპერატორ ვალენტის წამქეზებელი.

¹⁷⁶ ამის შესახებ იხ. აქვე, შესავალი, გვ. 82; აგრეთვე P. A. Меликишви-
Ли. К истории древней Грузии, Тб., 1959, стр. 381.

¹⁷⁷ სწორი უნდა იყოს ВДИ-ს კომენტატორი, როცა შენიშნავს, რომ აქ რომაული რეგულარული ჯარის სრული ლეგიონები კი არ იგულისხმება, არამედ მათი ე. წ. ვექსილაციონები, რომლებიც რეგულარული ლეგიონების დამხმარე დამატებით რაზმებად ითვლებოდნენ ამიანუსის დროს; თორემ 12 ნამდვილი რომაული ლეგიონი უზარმაზარი სამხედრო ძალა იქნებოდა, რაც საეჭვოა გაემეტებინათ ამ დროს იბერიის საქმეების მოსაგვარებლად.

¹⁷⁸ მდ. კიროსი – მტკვარი. იხ. აგრეთვე, შენ. 159.

¹⁷⁹ ამ სახელის მქონე ქართველი უფლისწული ან მეფე სხვა წყაროებში არ ჩანს და მისი გაიგივება ჭირს. შესაძლოა ეს სახელი ძალიან დამახინჯებულიც იყოს.

¹⁸⁰ ძველი ქართლის სამეფოში ერთხანს არსებული ორმეფიანობისა და მისი ორად გაყოფის ამბავს ქართული საისტორიო წყაროებიც ადასტურებენ. ამ საკითხის შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტორია, 1951, გვ. 235–36, 2725–278; პ. ინგოროვიცა, ძველ-ქართული მატთანე „მოქცევაჲ-ქართლისაჲ“ და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XI–B, 1941, გვ. 274–75, 292 და შმდ.; გ. მელიქიშვილი, ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის: ისტ. ინსტ. შრომები, ტ. IV, ნაკვ. I, გვ. 155–160.

¹⁸¹ კვადების მეფის გაბინიუსის დალატით მოკვლა დაახლოებით 373 წელს მომხდარა და ჩვენს ავტორს ცოტა წინ (XXIX, 6, 5) აქვს აწერილი. კვადები ევროპაში, დუნაის ზემოთ ბინადრობდნენ მაშინ და სარმატებთან ერთად თავს ესხმოდნენ ხოლმე რომის სამფლობელოებს.

¹⁸² ეს ნათქვამი პაპს შეეხება.

¹⁸³ ქვემოთ ტექსტიდან ჩანს, რომ პირველად მთელი ლეგიონი კი არა, მხოლოდ მცირე რაზმი დადევნებია მათ.

¹⁸⁴ ბარზიმერესს, რომელიც ქვემოთაც იხსენიება კიდევ (XXX 1, 16, XXXI, 8, 9–10), ზოგი მკვლევარი პეტრე ქართველის პაპა ბუზმირად მიიჩნევს. ამის შესახებ უფრო ვრცელი მსჯელობა იხ. ზემოთ, გვ. 91–92; ლიტერატურაც იქვეა მითითებული.

¹⁸⁵ კომიტითავდაპირველად იმპერატორის ანდა ძალიან თანამდებობის მქონე სხვა პირის თანამგზავრს, მხლებელს ნიშნავდა, მაგრამ იმპერატორმა კონსტანტინემ საპატიო ტიტულად აქცია და შეიძლებოდა იმპერატორის დავალებით სამოქალაქო და აგრეთვე სამხედრო რაიმე მოვალეობაც შეესრულებინა.

¹⁸⁶ ფაროსანთ ანუ სკუტარიების ტრიბუნის თანამდებობის შესახებაც იხ. ზემოთ, გვ. 91.

¹⁸⁷ აქეთა მხარეში რომაელთა მხარე იგულისხმება.

¹⁸⁸ კირკე – ძველი ბერძნული თქმულებების მიხედვით, აეტის და, ჯადოქარი, რომელსაც ანტიკური ხანის ბევრი ავტორი ახსენებს.

¹⁸⁹ სკურეზს, რომელიც კონიექტურას წარმოადგენს, კომენტატორები (მაგ., ვაგნერი, იხ. მისი გამოც., III, გვ. 318–319) მხლებლებად, მცველი რაზმის წევრებად განმარტავენ, მაგრამ შესაძლოა აქ რომელიმე ტომის ან ხალხის სახელიც იყოს უცნაურად დამახინჯებული.

¹⁹⁰ აქ იგულისხმება ევქსინის ანუ შავი ზღვის სანაპიროები, რომლის (განსაკუთრებით ჩრდილოეთი ნაწილის) მცხოვრებნი ბერძნულ-რომაულ სამყაროში თავისი სისასტიკით და მესისხლეობით იყვნენ ცნობილნი.

¹⁹¹ ამ ადგილას ლაკუნაო, აღნიშნავს ჰერეუსი და მისი მიბაძვით კლარკიც. შესაძლოა ეს მართლაც ასე იყოს, რადგან ამის შემდეგ, როგორც ჩანს, უკვე უფრო გვიანდელი 377–378 წლების ამბებია თითქოს აქ ჩართული.

¹⁹² ეს ხელშეკრულება, როგორც ზემოთაც ავღნიშნეთ, 363 წელს დაიდო და უკვე საკმაო ხანი იყო გასული.

¹⁹³ აქედან ჩანს, რომ რომის ხელისშეწყობით გამეფებულ სავრომაკის ანუ საურმაგის ტახტზე შესამაგრებლად რომაული გარნიზონები ისევ მდგარა ამ დროს ჩვენში და იბერია ისევე, როგორც სომხეთი, კვლავ ყოფილა უთანხმოების საგანი ორ დიდ სახელმწიფოს – რომსა და სპარსეთს შორის, რომელთაც ქვეყნის ასეთი დაგლეჯით, ცხადია, საგრძნობლად შეუსუსტებიათ იბერიის სახელმწიფოებრივი ძლიერება. ცოტა ქვემოთ კი (აქვე XXX, 2, 7) ისიც მჟღავნდება, რომ მაშინდელი ქართლი უკვე შეიარაღებული ბრძოლის ასპარეზად ქცეულა.

¹⁹⁴ მთელ გოთთაში, როგორც შემდეგ ჩანს (XXXI, 2–5), ჰუნებისა და ალანების მოწოლით თავიანთი ადგილებიდან აყრილი და რომის სამფლობელოებში შემოჭრილი გოთური ტომები იგულისხმება.

¹⁹⁵ თრაკია – ქვეყანა ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო ნაწილში, რომელსაც აღმოსავლეთიდან შავი ზღვა ეკვრის, დასავლეთიდან – ეგეისის ზღვა. ეს ამბავი 377 წელს ხდება.

¹⁹⁶ დიბალტუმი Deultum-ის თუ Deultum-ის სახით პლინიუსსაც მოეპოვება (IV, 11 [45]). მას ათავსებენ ანქიალოსის სამხრეთით, ბურგასის უბესთან. შდრ, ВДИ, № 2, 1952, стр. 393.

¹⁹⁷ ამ ადგილას ბარზიმერესი დიდად არის შექებული, როგორც მეომარი და სარდალი. იხ. აგრეთვე აქვე, შენ. 184 და ზემოთ, გვ. 91–92.

¹⁹⁸ კორნუტები – რომაელ ჯარისკაცთა ერთგვარი რაზმი, რომელიც უფროსებად და უმცროსებად იყოფოდა.

¹⁹⁹ იგულისხმება ფლავიუს რიქომერესი, რომაელი სარდალი. იგი მონაწილეობას იღებდა ადრიანოპოლთან მომხდარ ბრძოლაში 378 წელს, რომელშიაც მოკლეს იმპერატორი ვალენტი.

²⁰⁰ ბაკური იბერიელის შესახებ იხ. ზემოთ, გვ. 91–92; სათანადო ლიტერატურაც იქვეა მითითებული.

²⁰¹ ბაკური იბერიელისა და კასიონის მხედრები (იხ. ზემოთ გვ. 144) როგორც ჩანს, მარცხენა ფლანგზე იდგნენ; მომდევნო პარაგრაფში ამიანეს მოხრობილი აქვს, რომ ბაკურის და კასიონის უკან დახევის, ე. ი. გამოქცევის შემდეგ, მარცხენა ფლანგი გამოშვლდაო, სახელდობრ ამიანე ამბობს (XXXI,

13. 2): *sinistrum cornum* (v. *il. cornu*) – a *reliquo equitatu desertum* „მარცხენა ფრთა.. მიტოვებული დანარჩენი მხედრების მიერ“. იხ. O. S e e k Geschichte des Untergangs der antiken Welt, Band V Anhang, გვ. 475.

ძირითად ლიტერატურას ამიანე მარცელინეს შესახებ (ზემოთ გვ. 96–97) შეიძლება დაემატოს თ. მ ო მ ზ ე ნ ი ს შემდეგი სპეციალური შრომები (თავმოყრილია: *Gesammelte Schriften von Th. Mommsen. Bd. VII; Philologische Schriften. Berlin 1909, 253. 363–431*):

- 1) Über den kritischen Apparat zum Ammianus.
 - 2) Weiteres über den Apparat zum Ammian.
 - 3) Zur Kritik Ammians.
 - 4) Über die Ammianhandschrit't des Accursius.
 - 5) Zu Ammian.
 - 6) Ammians Geographica.
 - 7) Bemerkungen zu einzelnen Stellen Ammians.
 - 8) Zu Ammian und Ennodius.
-

ევნაპი სარდელი

(ca. 345 – 420)

ევნაპი ქალაქ სარდიდან, სოფისტი, საკმაოდ ღარიბი ოჯახიდან, მაგრამ საკმაოდ ნაკითხი. 361–362 წელს შევიდა ათენის უნივერსიტეტში, რომ მოესმინა პროერესიოსის ლექციები. ათენში იგი ხუთი წლის განმავლობაში სწავლობდა, რის შემდეგაც მშობლებმა შინ გაიწვიეს. სარდელში მან გაიკნო ი ა მ ბ ლ ი ხ ე ს მოძღვრება.

მისი პირველი შრომაა ის, რომელსაც ის ხშირად იხსენიებს თავის შრომაში Βίοι σοφιστών როგორც ‘ Ιστορικά ὑπομνήματα, ἢ Καθολικά τῆς, Διεξοδικά τῆς ἱστορίας, ἢ μαρτυριὰς Διεξοδικά.

ὑπομνήματα ἱστορικά მედგებოდა 14 წიგნისაგან. ის ეხებოდა 270–404 წლის ამბებს. ამ თხზულების ნაწყვეტები შემოგვინახეს ფოტიოსმა, სვიდამ და კონსტანტინე პორფიროგენეტმა.

გამოცემულია:

- 1) L. D i n d o r f, Historici Graeci Minores I, 205–274.
- 2) Excerpta iussu Constantini Porphyrogeneti confecta. Vol. I (1903), 591–599; vol. IV (1906), 7–103.
- 3) Müller, Fragmenta historicorum Graecorum, vol. IV. p. 11–56.

ამ საისტორიო ნაშრომის გარდა ევნაპის უკუთვნის Βίο-σοφιστών, რომელიც ჩვენამდე მოღწეულია.

კოლხი სუბარმახიოსი

Σοσβαραμάχιος. Οὗτος τῶν δορυφόρων ἦν ἡγεμὼν, πιστότατος τῶν εὐνούχων Ἐντροπίου, εἴπερ τις ἄλλος· ἔπινε δὲ πλείονα οἶνον ἢ ὅσον ἠδύνατο χερεῖν· ἀλλ’ ἔμαθεν τὰ περὶ γαστέρα διὰ συνήθειαν οἶνω καὶ γυμνασίαν ἰσχυράν καὶ νεανικήν πάντα φέρειν

სუბარმახიოსი. ეს იყო მეშუბეთა უფროსი, ყველაზე ერთგული საჭურის ევტროპიოსისა; ბევრ ღვინოს სვამდა, უფრო მეტს, ვიდრე შეეძლო აეტანა. ამნაირადვე, რაც შეეხება ჭამას, ჩვეულებრივ [კარგად] იტანდა ღონიერი ახალგაზრდული ვარ-

ἐπὶ τὴν φυσικὴν τῶν ἰγρῶν ἔκκρισιν¹. Ἄει γοῦν ἦν, πεπωκῶς τε καὶ οὐ πεπωκῶς, μεθῦων· τὴν δὲ μέθην παρεκάλυπτε σφαλερὸν διαβαίνων τοῖς ποσὶ καὶ πρὸς τὴν πτῶσιν πολεμῶν ὑφ' ἡλικίας διὰ νεότητα καὶ συνιστάμενος. Ἦν δὲ βασιλικῶς μὲν γένους, Κόλχος ἀκριβῆς τῶν ὑπὲρ Φᾶσιν καὶ Θερμῶνδοντα, τοξότης ἄριστος, εἴ γε μὴ κατετόξευεν αὐτὸν τὸ περιττὸν τῆς τρυφῆς (HGM I, 263; Suidas s. v.).

ჯიშობის წყალობით. ის მუდამ მთვრალი იყო, მიუხედავად იმისა – იყო თუ არა ნასვამი. სიმთვრალეს კი მაღავდა, თუმცა ბარბაცით მიჰქონდა ფეხები და წაქცევას ებრძოდა თავისი სიახალგაზრდავის წყალობით და მაგრად იდგა. სამეფო გვარისა იყო, ნამდვილი კოლხი, ფაზისისა და თერმოდონტის გადაღმა მცხოვრები, რჩეული მოისარიც იყო, რომ იგი ისრით არ მოეკლა ჭარბ ფუფუნებას.

კოლხიდის მითები

Οἱ μὲν οὖν παλαιοὶ μῦθοι λέγουσι περὶ τὴν Βοιωτίαν καὶ τὴν Κολχίδα, δρακοντείων δδόντων κατασπαρέντων, ἐν ἔπλοις (v. l. ἐνόπλοις) ἅμα τῷ σπόρῳ τοῦς ἄνδρας ἀναπάλλεσθαι (v. l. ἀνατέλλεσθαι) (HGM I, 239; Excerpta vol. I, 596).

ძველი მითები გადმოგვცემენ ბეოტიისა და კოლხიდის შესახებ ამბებს: დრაკონის ეშვები რომ ითესებოდა, თესლისაგან ამოდითდნენ შეჭურვილი ვაჟკაცები.

¹ venter tamen eius por consuetudinem cr. excretionum porquam vollumentem et strcnuum omnia. ad naturalem humorum oxoretionem percoquebat (FHG IV. 48, frg 77).

Notitia dignitatum

ეს არის V საუკუნის დასაწყისის ძეგლი, რომლის სრული სათაურია: *Notitia dignitatum et, administrationum omnium tam e vilium quam militarium in partibus Orientis et Occidentis* („ნუსხა ყველა თანამდებობისა და მმართველობისა, როგორც სამოქალაქო ისე სამხედროსი, აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხარეებში“). ამ ნუსხაში შეტანილია ყველა ის თანამდებობა, რომელიც კი არსებობდა, და ყველა ის სამხედრო განაყოფი, რომლებიც იდგა ამა თუ იმ ადგილას; თანაც დასახელებულია ის გეოგრაფიული პუნქტები, სადაც სამხედრო ნაწილები იდგა.

Notitia შედგენილია ოფიციალური წიგნების მიხედვით, რომელთაგან ერთი იყო დიდი (*laterculum maius*) და ერთიც – მცირე (*laterculum minus*).

ამ ძეგლის შედგენის თარიღზე მკვლევარნი, მართალია, სხვადასხვა აზრისა იყვნენ, მაგრამ ეს სხვადასხვა თარიღი არ გასცილებია IV საუკუნის ბოლო წლებსა და V საუკუნის დასაწყისს:

პირველი გამომცემელი ამ ძეგლისა *Eduardus Böcking* (1839 წ.) ფიქრობდა, რომ ნოტიცია შედგენილია 400–405 წლებში.

სპეციალურ ნარკვევში *Über die Notitia dignitatum* (Berlin 1834) ბეკინგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეს ნოტიცია შედგენილია 399 წლის შემდეგ თეოდოსი II-ის დროს, 404 წის მახლობელ ხანებში.

Hirschfeld-ის აზრით შედგენილია არა უადრეს 405 წლისა.

მეორე გამომცემელი ნოტიციისა *Otto Seeck* (1876) ფიქრობს, რომ ძეგლი შედგენილია 413–415 წლებში.

გარდა იმისა, რომ ეს აზრი ო. ზეკს გატარებული აქვს *Notitia dignitatum* -ის 1876 წლის გამოცემაში, ის ამის შესახებ დაწვრილებით ლაპარაკობს სპეციალურ ნაშრომში *Questiones de Notitia dignitatum* 1872.

B. Niese თავის „რომის ისტორიის მიმოხილვაში“ ამტკიცებდა, რომ ნოტიცია IV საუკუნის ბოლოს არის შედგენილი.

B. Niese, *Grundriss der römischen Geschichte nebst Quellenkunde* ⁴ (München 1910), გვ. 380: „გვიანი სამმართველო

და სამოხელეო წყობილება ასახულია Notitia dignitatum -ში, რომელიც შედგენილია IV საუკუნის ბოლო წლებში“. იქვე გვ. 385: „მმართველობის წყობილება წარმოდგენილია IV საუკუნის ბოლო წლების Notitia dignitatum -ში. თუმცა ამ სახით ის დიოკლეტიანეს დროინდელი კი არ არის, არამედ უფრო გვიანი თაობებისა, კოსტანტინესა და მისი მემკვიდრეებისა, რომელთაც მას სისტემატური აგებულება მისცეს, მაგრამ საკუთრივ საფუძველ-ჩამყრელი სამუშაო ამისთვის გაწეულია დიოკლეტიანეს მიერ, რომელმაც თავისი მხრით წინამორბედთა მიერ დაწყებული საქმე განაგრძო“.

კ. კრუმბახერის „ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიის“ ბოლოში დართულ ბიბლიოგრაფიაშიც ვკითხულობთ: „დიდად მნიშვნელოვანია ბიზანტიური ეპოქისათვისაც მ ე ო თ ხ ე სა უ კ უ ნ ი ს ბ ო ლ ო ს შედგენილი...Notitia dignitatum (K. K r u m b a c h e r ² GBL, 1897, გვ. 1084; იხ. Очерки по истории Византии, под редакцией В. Бенешевича, выщ. IV. стр. 81).

Mommsen-ის აზრით, ნოტიციის საბოლოო რედაქცია გაკეთებულია 425 წელს, ხოლო. ძირითადი ნაწილი კოსტანტინე დიდის ხანას ეკუთვნის. დროთა ვითარებაში რამდენჯერმე არის სახეშეცვლილი.

თ. მომზენი წერს: (Notitia dignitatum) ist nicht. ein einheitlich abgefasstes, Sondern ein längere Zeit hindurch in Gebrauch gebliebenes und mehrfach abgeändertes Beamtenschema (Gesammelte Schriften IV, [1906], 558: „ნოტიცია წარმოადგენს მოხელეთა ნუსხას, რომელიც ერთმთლიანად კი არ იყო შედგენილი, არამედ ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო ხმარებაში და მრავალჯერ შეცვლილი“). ხოლო სხვა ადგილას ის დაწვრილებით იხილავს ნოტიციაში მოხსენებულ ჯარის ნაწილების შედგენილობას და ამის მიხედვით საბოლოოდ დაასკვნის: Danach wird die Schlussredaction mit einiger Sicherheit um 425 gesamt werden können (იქვე, IV, 558: „ამის მიხედვით შეიძლება ერთგვარი დაბეჯითებით მისი საბოლოო რედაქცია 425 წლის მახლობელ ხანებში ვივარაუდოთ“. შდრ. აგრეთვე Gesammelte Schriften VII [1909], გვ. 660).

როგორც ჩანს, იულ. კულოკოვსკიც იხიარებს თ. მომზენის აზრს, როდესაც წერს: Если та редакция памятника (Notitia dignitatum), которая до нас дошла, относится ко времени не раньше 425 года (Ю. Кулаковский, История Византии, т. 1. стр. 273, прим. 2).

გ. ოსტროგორსკიც ნოტიციის შედგენის თარიღად ვარაუდობს მეხუთე საუკუნის პირველ ნახევარს (G. Ostrogorsky, Geschichte des byzantinischen Staates, München 1940, გვ.16: die in der ersten Hälfte des 5. Jahrhunderts entstandene Notitia dignitatum).

ამჟამად უფრო სარწმუნოდ არის მიჩნეული ოტტო ზეეკის აზრი, რომ ნოტიცია 413–415 წლებში არის შედგენილი.

ხელნაწერთაგან უძველესად ითვლება Speier-ის კოდექსი (cod. Spirae), რომელიც 1440 წელს იქმნა აღმოჩენილი და XVI საუკუნის შუაწლებში გაქრა. მაგრამ – ამბობს ო. ზეეკი – „ეს დანაკარგი ძალიან დასამწუხრებელი არ არის, რადგან დაგვრჩა ოთხი. ნუსხა, რომლებიც დიდის ზრუნვით არის გადმოწერილი იმ ძირითადი კოდექსიდანო“ (Ptaefatio, IX). ეს ოთხი ნუსხა არის:

C Oxoniensis Canon. 378–XV ს.

P Parisinus 9661 XV ს.

V Vindobonensis 3103 XV ს.

M Monacensis 10291 XVI ს.

Notitia dignitatum -ის პირველი გამოცემა ეკუთვნის E. Böcking-ს (1839 წ.)¹: ამ გამოცემას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა იქ მოთავსებული კომენტარების გამო. უფრო კრიტიკულია და ახალი O. Seeck-ის გამოცემა (1876 წ.)², რომლითაც ვისარგებლეთ ჩვენ ტექსტის ამოსაწერად.

აზაზგები და ჭანები ბიზანტიის ჯარში – 0რ. XXXI

Dux Thebaidos	თეზაიდის სარდალი
Sub dispositione viri spectabilis ducis Thebaidos	მისი ბრწყინვალეების თეზაიდის სარდალის ხელქვეით [არიან]
Suneus equitum Maurorum scutariorum – Lico ⁴	ფაროსან ცხენოსანთა კუნეუსი ³ მავრებისა — ლიკო ⁵

¹ Notitia dignitatum et administrationum omnium tam civilium quam militarium in partibus Orientis. Recensuit Eduardus Böcking. Bonnae 1839. ² Notitia dignitatum. Accedunt Notitia urbis Constantinopolitanae et Laterculi provinciarum. Edidit Otto Seeck. Berolini 1876.

³ კუნეუსი (Cuneus „სოლი“) – პირდაპირი მნიშვნელობის („სოლი“) გარდა ამ სიტყვას ჰქონდა აგრეთვე სამხედრო საქმეში „სოლივით შეჭრილი ბანაკის“ მნიშვნელობაც. მაკედონიურ ჯარში ამ სიტყვით აღნიშნავდნენ „ვალანგს“. ჩანს, ბიზანტიურ ჯარში ეს მაკედონიური ტერმინი შემორჩენილა.

⁴ მთელი წინადადება ასეა გასაგები: თეზაიდის სარდალს ემორჩილება: ა) მავოთა ცხენოსნების ვალანგი („კუნეუსი“), რომელიც დგას ქალაქ ლიკოში (წინათ მისი სრული სახელი იყო Lycopolis); ბ) ფაროსან ცხენოსანთა კუნეუსი, რომლის სადგომი ადგილია ჰერმუპოლისი. ⁵ Lyco, რაც უდრის Lycopolis-ს.

Cuneus equitum scutariorum —
 Hermupoli
 Equites sagitarii indigenae —
 Tentira
 Equites sagitarii indigenae —
 Copto

ფაროსან ცხენოსანთა კუნეუსი—
 ჰერმუპოლისი
 მშვილდოსანი ცხენოსნები,
 ადგილობრივნი – ტენტირა
 მშვილდოსანი ცხენოსნები,
 ადგილობრივნი – კოპტო

Legio secunda Valentiniana —
 Hermunthi
 Equites felices Honoriani —
 Asfynis
 Ala prima Abasgorum, Hibeos¹ —
 Oaseos maioris
 Et quae de minore later-
 culo emittuntur
 Ala secunda Hispanorum —
 Poisarietemidos²
 Ala Germanorum — Pesela
 Ala quarta Britonum — Isiu
 Ala prima Hiberorum —
 Thmou³.
 Ala prima Abasgorum⁴ —
 Oasi maiore
 Ala prima Valeria dromedario-
 rum⁵ — Precteos
 Cohors prima Lusitanorum —
 Theraco.
 Cohors nona Tzanor-
 um⁶ — Nitnu⁷

მეორე ლეგიონი ვალენტის სახე-
 ლობისა — ჰერმუნთი
 ბედნიერი ცხენოსნები ჰონორის
 სახელობისა – ასფინი
 პირველი ფრთა აბაზგებისა, ჰიბე-
 ოსი, დიდ ოაზისში
 და რომელნიც მცირე ლატერ-
 კულში⁸ არიან აღნუსხული:
 მეორე ფრთეული ჰისპანელთა –
 პოისარიეტემიდი
 გერმანელთა ფრთეული – პესელა
 მეოთხე ფრთეული ბრიტონთა –
 ისიუ
 პირველი ფრთეული იბერთა –
 თმოუ
 პირველი ფრთეული აბაზგე-
 ბისა – დიდ ოაზისში
 პირველი ფრთეული ვალერიის
 სახელობისა, დრომედართა⁵ –
 პრექტეოსი
 პირველი კოჰორტი ლუზიტან-
 თა – თერაკო
 მეცხრე კოჰორტი ჯანებისა –
 ნიტნუ

¹ Hibeos Ibiu I t i n ., Ibion R a v., xxx S t e p h.
² Peos Artemidos l t i n., Speos Artemidos S u r i t a, (რუკებზე სწერია Speos Artemidos).
³ Thomu l t i n ., Tinoy R a v. (რუკებზე არის T h m u i s); Thinou P, Thunii V. Thimon M. ⁴ abasgarum V. ⁵ Dromedarius (xxx) „მორბენალი“.
⁶ Zanorum V. ⁷ Nibiu B ö c k.
⁸ Laterculum – დავთარი, რომელშიც აღნუსხული იყო ყველა სახელ-

ამ ნაწყვეტში ჩვენს ყურადღებას იპყრობს:

Ala prima A b a s g o r u m , Hibeos – Oaseos maioris

Ala, prima H i b e r o r u m , Thmou

Cohors nona T z a n o r u m , Nitnu.

მაშასადამე, დიდ ოაზისში მდგარა „ა ბ ა ზ გ ე ბ ი ს“ ფრთეული, ხოლო „თმუისში“ (ნილოსის მარჯვენა სანაპიროზე; „დიდი ოაზისი“ იყო ნილოსის მარცხნივ) – ი ბ ე რ თ ა ფრთეული.

„ფრთეული“ ანუ *Ala* ეწოდებოდა, პირველ ხანებში, ცხენოსანთა რაზმეულს, 300 კაცისაგან შემდგარს, რომელიც ლეგიონის ქვეითა ჯარს იცავდა ორივე გვერდიდან (*ala* – „ფრთა“). უფრო გვიან *Ala* ეწოდებოდა, უპირატესად, რომის მოკავშირეთაგან შედგენილ რაზმეულს (500–1000 კაცი); აქ შედიოდნენ არაიტალიელი მოკავშირეები.

ნუსხაში აღნიშნულია აგრეთვე, თუ სახელდობრ რომელ ადგილას იდგა „აბაზგების ფრთეული“: ეს ყოფილა *Hibeos*. მისი მდებარეობა გაურკვეველია, *Itinerarium* -ში სწერია *Ibiu*, ხოლო *Ravenna*-ში *Ibion*, მაგრამ *Ibion*, რომელიც რუკებზე აღნიშნულია, შედის *Heptanomis*-ში და არა „თეზაიდში“.

Ala Hiberorum. მის შემდეგ რაც I–II საუკუნეებში მჭიდრო ურთიერთობა დამყარდა რომსა და იბერიას შორის, რასაკვირველია, მოსალოდნელი იყო იბერთა რაზმების არსებობა რომის იმპერიაში. როდესაც ჩვენ სადმე წავიკითხავთ ხოლმე *Iberia*-ს ან *Iber*-ებს (*Hiberia*, *Hiber*), ვიწყებთ კვლევას, თუ რომელი „იბერია“ ან „იბერები“ იგულისხმებიან: ესპანეთისა თუ კავკასიისა? ჩვენს შემთხვევაშიც დავსვით იგივე კითხვა, მაგრამ ვინაიდან იმავე განაყოფში შესული არის აგრეთვე *Ala secunda Hispanorum*, ჩვენ შესაძლებლად დავინახეთ *Ala prima H i b e r o r u m Thmou* მიგვეკუთვნებინა კავკასიის იბერთათვის.

იმავე თეზაიდში მდგარა ჭ ა ნ ე ბ ი ს კოჰორტიც. ჭანების ლეგიონი ყოფილა აგრეთვე თრაკიის მთავარსარდლის განკარგულებაში. იხ. აქვე, მომდევნო გვერდი.

მწიფო თანამდებობა; იყო *laterculum maius* და *laterculum minus*. პირველში აღნუსხული იყვნენ ის პირები, რომლებსაც უშუალოდ კეისარი ნიშნავდა; მცირე ლატერკულში ის პირები იყვნენ შეტანილი, რომლებსაც კვესტორი ნიშნავდა. იხ. Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, СПб 1900, 101.

ჭანები ბიზანტიის ჯარში

Or. VIII (magister militum per Thracias)

Sub dispositione viri
illustriſ magiſtri mili-
tū per Thracias
Vexillationes palatinae tres
.....
Legiones comitatenses:
Solenses¹ seniores
Menapii
.....
Tzaanni²

მის ბრწყინვალეების თრა-
კიათა მთავარსარდლის
ხელქვეით არიან:
მედროშე რაზმები საიმპერა-
ტორო, სამი
.....
კარის ლეგიონები:
სოლელეები, უხუცესნი
მენაპიელები
.....
ჭანები

ბიზანტიის ჯარი

დასავლეთ საქართველოს ციხე-ქალაქებში

Or. XXXVIII

Dux Armeniae

Sub dispositione viri
spectabilis ducis Arme-
niae
In Ponto
Praefectus legionis primae Pon-
ticae — Trapezunta
Ala Rizena, Aladaleariza³
Ala Theodosiana, apud Ava-
xam⁴
Ala felix Theodosiana, Sil-
vanis⁵

მისი ბრწყინვალეების არ-
მენიის სარდლის ხელ-
ქვეითა რიან
პონტოში:
პონტოს პირველი ლეგიონის პრე-
ფექტი – ტრაპეზუნტი
ფრთეული რიზესი, – ალადალეა-
რიზა
ფრთეული თეოდოსესი, – ავაქ-
სასთან
ფრთეული ბედნიერი, თეოდო-
სესი – სილვანი.

¹ Soli (Soloi ან Soloe) არის ქალაქი კილიკიაში: Solensis „სოლელი“.
აქ ივარაუდება „სოლელთაგან“ შედგენილი ლეგიონი.
² Tzanni B ö c k i n g, Tzaanni Taanni (ზეკის გამოცემაში).
³ olotoaelariza, olutoeulariza, olotedariza, olotoedariza c o d d.,
xxx Procop. De aed. – III, 4. ⁴ Avaxa= სოფ. ავაზა (Адонц 100).
⁵ Solonenica (деревня Сюле или Солу – Адонц 100).

Et quae de minore laterculo emittuntur:

Ala prima Augusta Colonorum¹ — Chiaca²

Ala Auriana, Dascusa³

Ala prima Ulpia⁴ Dacorum — Suissa

Ala secunda Gallorum — Aeliana⁵

Ala castello Tablariensi constituta

Ala prima praetoria nuper constituta

Cohors tertia Ulpia miliaria Petraeorum⁶ — Metita⁷

Cohors quarta Raetorum — Analiba⁸

Cohors miliaria Bosporianana — Arauraca

Cohors miliaria Germanorum — Sisila⁹

Ala prima Iovia felix — Chaszanenica¹⁰

Ala prima felix Theodosiana —

და რომელნიც მცირე ლატერკულში არიან

შეტანილი:

ფრთეული პირველი, ავგუსტეს სახელობისა, კოლონელთა — ხიაკა

ფრთეული ავრისა, — დასკუსა ფრთეული პირველი, ულპის სახელობისა, დაკელთა, — სუისა ფრთეული მეორე, გალებისა — ელიანა

ფრთეული ტაბლარის ციხეში შედგენილი ფრთეული პირველი საპრეტორო, ახლახან შედგენილი

კოჰორტი მესამე, ულპის სახელობისა, ათასეული, პეტრელთა — მეტიტა

კოჰორტი მეოთხე როეტელთა — ანალიბა

კოჰორტი ათასეული ბოსპორისა — არავრაკა

კოჰორტი ათასეული გერმანელთა — სისილა

ფრთეული პირველი იუპიტერის სახელობისა, ბედნიერი — ხაზანენიკა

ფრთეული პირველი ბედნიერი,

¹ იგულისხმება ქალაქი Cilonia. ² Хадзана (Адонц 100).

³ ქალაქი ევფრატზე (Адонц 74).

⁴ Ulpus Traianus-ის სახელობისა (მან დაიპყრო დაკია).

⁵ Aeliaana, ალბათ arana. ⁶ იგულისხმება ქალაქი პეტრა არაბეთისა.

⁷ Metita — ქალაქი ევფრატზე.

⁸ Analiba — დიდ არმენიაში. ბერძნულად ჰქვია *Αλαριάνις* (Адонц 53).

⁹ Seeck: *Σισιλισσαν φροσίριον* Procop. De aedif III, 6.

¹⁰ Gizenenica T a b. P e u t. (ადომცის აზრით: в составе Chaszanenica или Gizenenica имеет название народа цанов: Адонц 100, прим. 2).

Pithiae ¹	თეოდოსის სახელობისა – პითიე
Cohors prima Theodosiana — Valentia	კოჰორტი პირველი თეოდოსის სახელობისა – ვალენტია
Cohors Apuleia civium Romanorum — Ysiporto ²	კოჰორტი აპულეისა, რომაელ მოქალაქეთა – ისულიმენი
Cohors prima Lepidiana — Caene Parembole ³	კოჰორტი პირველი ლეპიდეს სახელობისა – კენე პარემბოლე
Cohors prima Claudia equitata — Sebastopolis	კოჰორტი პირველი ცხენოსანთა, კლავდის სახელობისა – სებასტოპოლი
Cohors secunda Valentiana — Ziganne ⁴	კოჰორტი მეორე ვალენტის სახელობისა – ზიგანე
Cohors, — Mochora ⁵	კოჰორტი, – მოხორა.

ზემთ მოყვანილი მასალიდან ჩანს, რომ აღმოსავლეთის მმართველთა სიაში დასახელებულ ცამეტ სარდალთაგან ერთია Dux Armeniae, რომელსაც ექვემდებარება მთელი „პონტოს სასაზღვრო ხაზი“ (Limen Ponticum). არმენიის სარდალს ექვემდებარებიან, ერთი მხრით, ის სამხედრო ერთეულები, რომლებიც შიდა არმენიაში დგას, ხოლო, მეორე მხრით, პოლემონის პონტოში ჩაყენებული დანაყოფები. ამ უკანასკნელს ეკუთვნიან:

Praefectus legionis primae Ponticae, T r a p e z u n t a :

Ala Rizena...

Ala Theodosiana...

Ala felix Theodosiana...

Ala prima Iovia felix...

Ala felix Theodosiana, P i t h i a e

Cohors prima Theodosiana, V a l e n t i a

Cohors Apuleia civium Romanorum, U s i p o r t o

Cohors prima Lepidiana, C a e n e P a r e m b o l e

Cohors prima Claudia equitata, S e b a s t o p o l i s

Cohors secunda Valentiana, Z i g a n n e

Cohors M o c h o r a.

¹ scrib. Pityunte; Pythie C (XV საუკ. ხელნაწერი Oxoniensis), Pithicae M (Monacensis XVI საუკუნისა).

² Ysiporto – ეს არის გალათინურებული xxx.

³ xxx ჩ ვ. გ ა გ ე ბ ი თ (შდრ. ქვემოთ გვ. 178).

⁴ Zigana I t i n. ⁵ Machora V, Mogaro Itin.

ზემოთ მოყვანილი სრული სიიდან აქ ჩვენ გამოვყავით ის ფრთეულები და კოპორტები, რომლებიც, ჩვენის აზრით, პოლემონის პონტოში დგას. მაშასადამე, პოლემონის პონტოში მდგარა ერთი ლეგიონი, რომლის საბინადრო ადგილია ტ რ ა პ ე უ ნ ტ ი, ხუთი ფრთეული და ექვსი კოპორტი. ფრთეულთა და კოპორტთა საბინადრო ადგილებად დასახელებულია: Pithiae (მისი ვარიანტებია: Pityunte, Pthie, Pithicae), Valentia, Usiporto, Caene Parembole, Sebastopolis, Ziganne და Mochora (მისი ვარიანტებია: Machora, Mogaro).

აქ მოხსენებულ ადგილთა შორის, თავის დროზე ¹, ჩვენი ყურადღება მიიპყრო, პირველ რიგში, Ziganne-მ იმის გამო, რომ ამ გეოგრაფიულ პუნქტში მოთავსებული იყო დასავლეთ საქართველოში არსებული ერთი ხუთ საეპისკოპოსო კათედრათაგანი.

რამდენადაც ნოტიციაში მოხსენებულია არმენიის სარდალს დაქვემდებარებული სამხედრო განაყოფები (ფრთეულები და კოპორტები), ამიტომ პროფ. ნ. ა დ ო ნ ც მ ა თავის შესანიშნავ გამოკვლევაში „Армения в эпоху Юстиниана“ (СПб 1908) ყველა ის გეოგრაფიული პუნქტი, სადაც კი ეს განაყოფები იდგა, მოათავსა შიდა არმენიაში. კერძოდ, Ziganne-ს საკითხს ნ. ადონცი ეხება ორ ადგილას: 1) როდესაც იხილავს ეკთესისებში მოხსენებულ ადგილებს და 2) Notita dignitatum-ის მასალათა გამოყენების დროს.

ნ. ა დ ო ნ ც ი ფიქრობს, რომ ეკთესისებში მოხსენებული „ძიგანევი“ მოთავსებულია შიდა არმენიაში. Севернее Ардасы – амьობს мквლეвари – лежит Зигана у подножия соименных гор и на гдавном пути в Трапезунт. Зигана быма важным пунктом в древности и служила резиденцией для одного из пяти епископов Лазики. В церковном отношении Цаника относилась к Лазике». ამასვე იმეორებს იგი თავისი გამოკვლევის იმ ადგილას, სადაც განხილული აქვს Notita dignitatum -ში არსებული ცნობები: «Запалнее Гулатских гор дежат горы Зигана: дорога Трапезунта в Ардасу проходит черед Зиганский перевал на высоте 6640 ф. У южного входа его стояла римская когорта в местечке Зигана, носящем древнее имя и поныне» ².

¹ ამ ადგილთა საკითხი განხილული გვაქვს ჩვენს გამოცემაში „გეორგია IV, ნაკვეთი მეორე“ (თბილისი 1952), გვ. 191–193.

² Н. А д о н ц, Армения в эпоху Юстиниана. СПб 1908, გვ. 65.

³ Н. А д о н ц, Армения... გვ. 100.

ამგვარად, პროფ. ნ. ადონცის აზრით ლაზეთის ერთ-ერთი საეპისკოპოსო ცენტრი „ძიგანე“ და ტრაპეზუნტის გზაზე მდებარე Ziganne ერთი და იგივეა. ნ. ადონცის ასეთი ვარაუდი სწორი არ შეიძლება იყოს. ეკთესისების „ძიგანე“ მდებარეობს შიდა ლაზეთში, ფოთის (ფაზისის) საგამგებლოში, ხოლო გულათის მთების დასავლეთით რომ ზიგანის მთაა, ის ტრაპეზუნტის სანახებშია.

რახან „ძიგანევი“ ნ. ადონცმა მოათავსა შიდა არმენიის იმ ნაწილში, სადაც ჭანები ცხოვრობდნენ, დანარჩენი გეოგრაფიული პუნქტებიც, რომლებიც Notitia dignitatum-შია მოხსენებული Ziganne-სთან ერთად, იქვე გადაიტანა. ასე, მაგალითად, ნ. ადონცი წერს: «к востоку от Зиганы по сие время стоит древняя Мохора, стоянка римской когорты. Chaszanenica равносильна Gizenenic P e u t и может быть сопоставлена с нынешней X a д - 3 a н а, деревней у реки Деирмендере. Usiportus – xxx xxx Арриана, позднее Сусармия, ныне Сюрмена, гавань на Черном море вправо от Трапезунта. Caena Parembole, xxx xxx, новый лагерь – вряд ли собственное имя. Pithia и Sebastopolis некоторыми признаются за лазские укрепления Питиунт и Себастополь; на это справедливо возражают, что при составлении Not. dign. названные города еще не были подчинены римлянам и власть дука не могла заходить так далеко. Связь Pithia с Thia в I t i n. A n t. вероятна. Sebastopolis, как и Valentia, Caena Parembole, места с названиями, сменившими туземные, остаются неизвестными»¹.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ პროფ. ნ. ადონცის აზრი მცდარია. Notitia dignitatum-ში მოხსენებული გეოგრაფიული პუნქტები ძველს ლაზეთშია მოსათავსებელი და არა შიდა არმენიაში. სახელდობრ:

1) Pithiae „Notitia dignitatum“-ის გამომცემლის ოტტო ზეიკის აზრით არის Pithyunte, ე. ი. ბ ი ჯ ვ ი ნ თ ა.

2) S e b a s t o p o l i s ზემოთ მოყვანილი სიის კონტექსტში სხვა არაფერი შეიძლება იყოს გარდა აფხაზეთის ს ე ბ ა ს ტ ო პ ო ლ ი ს ა (ე. ი. სოხუმისა)².

¹ Н. Адонц, Армения... стр. 100–101.

² ერთ ძველქართულ ძეგლში, რომელსაც ჰქვია „მიმოსვლაჲ ანდრია მოციქულისაჲ“, სწერია: «მიერ წარვიდეს და შევიდეს ქუეყანასა აფხაზეთისასა და სე ვ ა ს ტ ე ქ ა ლ ა ქ ა დ მიიწინეს (+ რომელსა აწ ეწოდების ც ხ უ მ ი)». იხ. ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ქრესტომათია I, გვ. 28.

3) Mochora ძალიან მოგვაგონებს ბიზანტიელი ისტორიკოსების მიერ აღწერილ მუხურისს, რომელსაც ბიზანტიის სამხედრო სარდლობა დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას აკუთვნებდა.

4) Caene Parembole, ნ. ადონცის აზრით, საკუთარი სახელი არ უნდა იყოს. ნამდვილად კი პროკოპი კესარიელის მიერ (De aedificiis III, 6) მოხსენებული xxx ლათინური სახელია (Burgus novus „ახალი ციხე“) და ზედმიწევნით უდრის ბერძნულს xxx („ახალი ბანაკი“): ეს ციხე აგებული იყო ჭანეთის საზღვარზე ჭანთა თავდასხმების საწინააღმდეგოდ ¹.

5) Usiporto, როგორც ცნობილია, წარმოადგენს ბერძნული xxx-ის ლათინურ თარგმანს („ჰისის ნავსადგური“) და უდრის დაბა სუსურმენეს (xxx), რომელიც ტრაპეზუნტის აღმოსავლეთით მდებარეობდა.

ასეთ კონტექსტში Ziganne-ც სავარაუდებელია არა შიდა არმენიაში, არამედ სამხედრო სუბორდინაციის თვალსაზრისით იმავე პოლემონის პონტოსადმი დაქვემდებარებულ სამხედრო გარნიზონთა სადგომ ადგილად. ხოლო რადგან საეპისკოპოსოთა ეკთესისებში არის მოხსენებული xxx, რომელიც ფასისის (ფოთის) მეტროპოლიას ეკუთვნის, უნდა ვიფიქროთ, რომ Notitia dignitatum-ის Ziganne-ც იგივეა. თუ, სახელდობრ, ლაზეთის რომელი დაბაა ეს, ძნელი სათქმელია, ხოლო ერთ ქართულ ხელნაწერში სწერია: ზიგანევი, რომელ არს გუდაყვაო ².

¹ *Καινή παρεμβολή*, როგორც გეოგრაფიული პუნქტი, ცნობილია ერთი ძველქართული ძეგლიდანაც. სახელდობრ: „ორენტიოსისა და ძმათა მისთა მარვილობაში“ დასახელებულია შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ის ადგილები, ტრაპეზუნტიდან ბიჭვინთამდე, სადაც დაილუპნენ ორენტიოსი და ძმანი მისნი. ეს ადგილებია: ბ ა ნ ა კ ე ბ ი, რიზეონი, კორდილოსი, აფსარონი, ზიდანევი და პიტოტა (=ბიჭვინთა). „ბანაკები“ უდრის ბერძნულს *Παρεμβολή*. იმავე წამების მეტაფრასულ რედაქციაში „ბანაკების“ მაგიერ სწერია: «კენი პარაოლიდ» (ბერძნულ შესატყვის ტექსტში *Καινή παρεμβολή*). იხ. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგია IV, 2 (თბ. 1952), გვ. 414-415.

² სხვა შეხედულებისაა ამ გეოგრაფიული პუნქტების შესახებ პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა: ნ. ადონცის მსგავსად, პ. ინგოროყვაც ფიქრობს, რომ Pithiae, Ziganne და Mochora არ არის დასავლეთ საქართველოს ადგილები, არამედ ისინი ჭანეთს განეჯუთვნებიან. კერძოდ Pithiae, პ. ინგოროყვაც დასკვნით, არის არა „პიტოტა“ (ბიჭვინთა), არამედ ოფი, რომელიც ტრაპეზუნტის აღმოსავლეთით მდებარეობს. ნ. ადონცისაგან განსხვავებულ შეხედულებისაა პ. ინგოროყვა Caene Parembole-ს და Sebastopolis-ის შესახებ. იხ. პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გიორგი მერჩულე (თბ. 1954), გვ. 249-257.

გელასი კესარიელი

გელასი იყო პალესტინის კესარიის ეპისკოპოსი 390 წლის მახლობელ ხანებში. ეპისკოპოსი გელასი მოიხსენება აგრეთვე კონსტანტინეპოლის საეკლესიო კრებებზე 381 წელს და 394 წელს. 395 წელს გელასი უკვე აღარ არის თავის კათედრაზე: ის უჭირავს იოანეს. შესაძლებელია ეს იმას ნიშნავდეს, რომ 395 წლის შემდეგ გელასი ცოცხალი აღარ იყოს; ან შეიძლება იმასაც ნიშნავდეს, რომ მან კათედრა დაჰკარგა იდეოლოგიური უთანხმოების გამო.

გელასი ცნობილი საეკლესიო მამის კირილე იერუსალიმელის დისწულია.

ბოლო დრომდე გელასი კესარიელი არ იყო ცნობილი, როგორც „საეკლესიო ისტორიის“ მნიშვნელოვანი ავტორი. მისი სახელი პოპულარული გახდა სამეცნიერო ლიტერატურაში რუფინუსის „საეკლესიო ისტორიის“ X–XI წიგნების წყაროს კვლევასთან დაკავშირებით.

1914 წელს გამოქვეყნდა Anton Glas-ის გამოკვლევა: „რუფინუსის საეკლესიო ისტორიის ორი უკანასკნელი წიგნის წყარო – გელასი კესარიელის საეკლესიო ისტორია“ (Die Kirchengeschichte des Gelasios von Kaisareia die Vorlage für die beiden letzten Bücher der Kirchengeschichte Rufins). აქ ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ რუფინუსის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს გელასი კესარიელი. რუფინუსს გადმოუთარგმია გელასი კესარიელის „საეკლესიო ისტორია“ და შიგადაშიგ ორიგინალური ადგილებიც ჩაურთავს.

ფოტიუსის ცნობით (Migne, PG 103, 296) კირილე იერუსალიმელის შთაგონებით შეუდგა მისი დისწული გელასი კესარიელი ევსევის „საეკლესიო ისტორიის“ გაგრძელების წერას; მას კიდევაც მოჰყავს ამ გაგრძელების შესავალი (Γελασίου ἐπισκόπου Αισσαρείας Παλαιστίνης προοίμιον... εἰς τὰ μετὰ τὴν ἐκκλησιαστικὴν ἱστορίαν Εὐσεβίου PG 103, 293). მაგრამ შემდეგ ერთ ადგილას ის აღნიშნავს, კირილემ და გელასიმ ორიგინალური ისტორია კი არ დასწერეს, არამედ რუფინუსი ისტორია გადმოთარგმნეს ბერძნულადო. ფოტიუსის ეს მეორე ცნობა მეცნიერებმა იმთავითვე საეჭვოდ მიიჩნიეს, რადგან ეს არ ეთანხმებოდა ქრონოლო-

გიურ თარიღებს: კირილე გარდაიცვალა 386 წელს, გელასი კესარიელი – 395 წელს, ხოლო რუფინუსმა თავისი „საეკლესიო ისტორიის“ წერა დაიწყო 402 წელს¹. ასეთი ქრონოლოგიური შეუსაბამობის გამო ზოგიერთნი მთლად უარყოფდნენ ფოტიუსის ცნობას, თითქოს გელასის დაეწეროს „საეკლესიო ისტორია“², ზოგიერთი კი აღიარებდა – რუფინუსის „საეკლესიო ისტორია“ ვინდაც სხვა გელასის უნდა ჰქონდეს გადმოთარგმნილი ბერძნულად, რომელიც მეხუთე საუკუნეში ცხოვრობდაო³. ერთ რამეში კი ყველა თანახმა იყო: გელასი კესარიელი, როგორც მას აღნიშნავს მისი თანამედროვე ჰიერონიმე, მოღვაწეობდა სამწერლო ასპარეზზე, მაგრამ იგი მეტად თავმდაბალი და მორცხვი იყო და არ აქვეყნებდა თავის შრომებსო⁴.

სწორედ ამ უკანასკნელი ცნობით იწყებს ა. გელასი თავის გამოკვლევას, და რუფინუსის სალიტერატურო მოღვაწეობის განხილვა და მისი წყაროების ზედმიწევნითი გამოკვლევა შემდეგ საყურადღებო დასკვნებამდე მიიყვანს მას:

1) რუფინუსი თავის შრომებში ხშირად სარგებლობს სხვათა ნაწარმოებებით, მაგრამ წყაროს არ ასახელებს;

2) იმ შემთხვევაში კი, როდესაც საეჭვო არ არის, რომ ის ამა თუ იმ წყაროთი სარგებლობს, ის, თანახმად მაშინდელ საზოგადოებაში გავრცელებული წესისა, თავის საკუთარ ნაწარმოებად ასაღებს სხვისგან ნასესხებ წყაროს;

3) ამის გამო გასაკვირალი არაფერია იმაში, რომ რუფინუსმა თავის „საეკლესიო ისტორიაში“ გადმოთარგმნა თავმდაბალი და მორცხვი, ამასთანავე უცნობი მწერლის – გელასი კესარიელის – „საეკლესიო ისტორია“, რომელიც ფართო საზოგადოებაში არ იყო მაშინ გავრცელებული. როდესაც რუფინუსმა იერუსალიმი დასტოვა (397 წელს), გელასი უკვე მკვდარი იყო, ასე რომ აკვილეს ეპისკოპოსს⁵ შეეძლო ემოვა და გადაეცა რუფინუსისათვის

¹ P a u l y – W i s s o w a., RE I A, p. 1195 (Stuttgart 1914); აგრეთვე O. Seeck: RE VII, 965 (Stuttgart 1910).

² C h r i s t – S c h m i d., Griechische Literaturgeschichte II, 1205.

³ O. B a r d e n h e w e r., Geschichte der altkirchlichen Literatur, III, 232.

⁴ Gelasius Caesareae Palaestinae poet Euzoium episcopus accurati limatique scrmonis fertur quaedam scribere, sed celare (H i e r o n y m u s., De viris illustribus, cap. 130).

⁵ ევსევის „საეკლესიო ისტორიის“ თარგმნა დაიწყო რუფინუსმა აკვილეს ეპისკოპოსის ქ რ ო მ ა ტ ი ს სურვილით.

გელასის „ისტორიის“ გადმონაწერი, რომელსაც ავტორი თავის სიცოცხლეში არავის აჩვენებდა.

სად არის დაცული გელასი კესარიელის „საეკლესიო ისტორია“: ფოტიუსს მოჰყავს გელასის შრომის მხოლოდ შესავალი სიტყვები. გარდა ამისა გელასის შრომიდან დაცულია მხოლოდ ერთი ციტატა თეოფანეს ქრონოგრაფში¹. გელასი კვიზიკელსაც ჰყავს იგი ერთხელ მოხსენებული, მაგრამ რუფინუსთან ერთად და გელასი-რუფინუსის სახელწოდებით (Γελάσιος ἰϋσις Ῥουφίνος). შემდეგ გელასი კვიზიკელი თავის წყაროდ ასახელებს ხოლმე მუდამ რუფინუსს, მაგრამ რომ ის ლათინ-რუფინუსს არ ჰგულისხმობს, ამას ამტკიცებს მისი „სჯნტაგმას“ სამი ადგილი (I, 1; I, 7; I, 10) უფრო მდიდარ მასალას გელასი კესარიელის „საეკლესიო ისტორიის“ ტექსტის ნაწილობრივი აღდგენისათვის იძლევა გიორგი მონაზონის „ქრონოგრაფი“; გიორგი მონაზონს საერთოდ ახასიათებს წყაროების მოყვანა თითქმის სიტყვა-სიტყვით და ამის გამო შესაძლებელი ხდება ამ წყაროების გამოყოფა. გიორგი მონაზონის „ქრონოგრაფში“ დაცული ნაწყვეტები, რუფინუს-გელასის „საეკლესიო ისტორიის“ X–XI წიგნებიდან ამოღებული, იმდენად კარგი ბერძნულით არის დაწერილი, რომ

¹ Theophanes 11, 17 (ed. de Boor): *Γελάσιος δὲ ὁ Καισαρείας τῆς αὐτῆς ἐπίσκοπος φησιν, ὅτι μεταμεληθέντες καὶ πάλιν βασιλεῦσαι θελήσαντες ψήφῳ κοινῇ τῆς συγκλήτου ἀναιροῦνται* («გელასი, იმავე კესარიის ეპისკოპოსი, ამბობს, რომ ისინი, ვინც ნანობდნენ [რომ გადადგნენ] და კვლავ მოსურვეს მეფობა, სენატის საერთო დადგენილებით სიკვდილით ისჯებოდნენ». თეოფანეს სიტყვებს იმეორებს, მცირეოდენი ვარიანტული სხვაობით, გიორგი ამარტოლი: *Γελάσιος δὲ ὁ Καισαρείας φησί, ὅτι μεταμεληθέντες καὶ πάλιν λαβεῖν τῆν βασιλείαν βουληθέντες ψήφῳ τῆς συγκλήτου ἀναιροῦνται* – Georgii Monachi dicti Hamartoli Chronicon... nunc primum ad fidem codicis Mosquensis... edidit E. de Muralto. Petropoli 1859, p. 378; მურალტის ტექსტი გადაბეჭდილია Migne, PG 110, სადაც 576 გვერდზე სქოლიოში მოყვანილია ჩვენი ციტატის ვარიანტი: *ὁ Καισαρείας καὶ βασιλεῦσαι θελήσαντες ψήφῳ*, რაც, ჩვენის აზრით, თეოფანეს ქრონოგრაფიდან უნდა იყოს მოტანილი.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს ადგილი გიორგი ამარტოლის ქრონოგრაფის მოსკოვურ ნუსხაშია. სხვა ნუსხებში, რამდენადაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ C. de Boor-ის 1904 წლის გამოცემის მიხედვით (II, 489–493), ის არა ჩანს. არ არის ეს ადგილი არც ძველ ქართულ თარგმანში (იხ. ს. ყაუხჩიშვილი, ხრონოლოგიური გიორგი მონაზონისა, თბ. 1920, გვ. 256 შმდ.) და არც ძველ სლავურში (იხ. В. М. Истрин, Хроника Георгия Амартола в древнем славянорусском переводе. Том 1 [Пгр. 1920], 333).

შეუძლებელია იგი ლათინურიდან იყოს გადმოთარგმნილი. მაშასადამე, აქაც ბერძნული წყარო (გელასი კესარიელი) უნდა ვიგულისხმოთ და არა ლათინური (რუფინუსი).

ა. გელასი თავისი გამოკვლევის მეორე თავში (Die Reste der Kirchengeschichte des Gelasios von Kaisareia und der Text Rufins – „გელასის საეკლესიო ისტორიის ნაშთი და რუფინუსის ტექსტი“) დაწვრილებით ადარებს რუფინუსის ტექსტს გელასი კვიზიკელისა და გიორგი მონაზონის შრომებში დაცულ გელასი კესარიელის „საეკლესიო ისტორიიდან“ ამოღებულ ადგილებს და სრულის ეჭვმიუტანლობით ამტკიცებს, რომ სწორედ რუფინუსის ლათინური ტექსტი წარმოადგენს თარგმანს ბერძნულიდან და არა პირიქით. ავტორს მოჰყავს იქვე მაგალითები, სადაც ლათინური ტექსტის ავტორს – რუფინუსს – ზოგიერთი ადგილი ბერძნული დედნისა ყალბად აქვს გადმოცემული, რადგან მას ბერძნული ტექსტი ვერ გაუგია. მაგალითად, ბერძნული κενότιτος რუფინუსს გაუგია როგორც καινότιτος და თარგმნის მას novitatis (რუფინუსი X, 1); αίτεται χάραν გადმოცემულია poscit... locum (რუფინუსი X, 3), ნამდვილად კი ჰნიშნავს „მოითხოვს ნ ე ბ ა რ-თ ვ ა ს“ და სხვა.

მაშასადამე, რუფინუსის „საეკლესიო ისტორიის“ X–XI წიგნები, რომლებიც ორიგინალურ ნაწარმოებად იყო ცნობილი, წარმოადგენს ბერძნულის თარგმანს. ის გარემოება, რომ ორიგინალი თარგმანის სახელს ატარებდა, აიხსნება შემდეგნაირად: რუფინუსის ნაწარმოები პირველი ცდა იყო დასავლეთში საეკლესიო ისტორიის დაწერისა და ამიტომ იმთავითვე უფრო ცნობილი იყო, ვიდრე მორცხვი გელასი კესარიელის შრომა, რომელსაც გელასის სიცოცხლეში თითქმის არავინ არ იცნობდა, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ მხოლოდ ზოგიერთები იცნობდნენ. ამით აიხსნება რომ გელასი კვიზიკელი თავის წყაროს უწოდებს Γελάσιος ἡγούμενος Ῥουφίνος და ფოტიუსი კიდევ განმარტავს: Γελάσιον αὐτόν καὶ Ῥουφίνον ἄμα καλῶν.

ცხადია, დიდად მნიშვნელოვანი იყო იმის დამტკიცება, რომ რუფინუსს, რომლის 402 წელს დაწყებული „საეკლესიო ისტორია“ ორიგინალურ ნაწარმოებად იყო ცნობილი, უთარგმნია „ისტორია“ გელასი კესარიელისა, რომელიც 395 წელს გარდაიცვალა. მნიშვნელოვანი იყო ეს ფაქტი იმით, რომ ამიერიდან რუფინუსის მიერ გადმოღებული ცნობები უნდა იქნეს შემოწმებული, სადაც ეს შესაძლებელია, ბერძნული დედნის საშუალებით (გელასი კვიზი-

კელთან და გიორგი მონაზონთან, რომელთაც დაცული აქვთ ნაწილობრივ გელასი კესარიელის „საეკლესიო ისტორიის“ ნაშთები).

საჭიროდ ვთვლით გავაცნოთ მკითხველს ის აზრთა სხვადასხვაობა, რომელიც არსებობს გელასი – რუფინუსის საკითხის გარშემო.

იმ მდიდარი ლიტერატურიდან, რომელიც ამ საკითხზე არსებობს, ჩემთვის ჯერ-ჯერობით ხელმისაწვდომია შემდეგი:

1) Anton Glas, Die Kirchengeschichte des Gelasios von Kaisareia die Vorlage für die beiden letzten Bücher der Kirchengeschichte Rufins. 1914, VI, 90.

2) P. Peeters, Les débuts du christianisme en Géorgie: Anal. B011. t. L. (1932), p. 5–58.

3) E. Honigmann, Gélase de Césarée et Rufin d'Aquilee (Bull. Ac. R. de Belgique. Cl. de L. V. 40 [1954], 122–161).

1914 წელს A. Glas-ი ამტკიცებდა, რომ გელასი გარდაიცვალა 394 წ. 29 სექტემბერსა და 395 წ. მარტს შუა. ამიტომ ის არ შეიძლება იყოს ავტორი რუფინუსის X–XI წიგნების ბერძნული თარგმანისა, რადგან რუფინუსი თვითონ ამბობს ევსევის „ისტორიის“ თარგმანის წინასიტყვაობაში, რომ იგი შეუდგა ამ შრომას მხოლოდ ალარიხის იტალიაში შემოსვის შემდეგ, ე. ი. **401 წლის 18 ნოემბრის შემდეგ.**

შემდეგ, 1930 წელს, კვლავ განახლდა კამათი, რადგან წამოიჭრა საკითხი, რომ გელასი კესარიელის გარდაცვალების terminus ante quem არ ყოფილა გარკვეული. სახელდობრ: ამ წელს გამოვიდა „პორფირე ღაზელის ცხოვრება“ (მარკოზ დიაკონისა), Gregoire-ისა და Kugener-ის გამოცემა. და აქ გამოირკვა, რომ საეჭვოა არსებობა თვით იოანე კესარიელი ეპისკოპოსისა (იხ. ზემოთ გვ. 179), რომელიც „იქ მოხსენებულია **395 წლის 18 მარტიდან მოკიდებული.** რახან ეს ასეა, მაშასადამე ძალა ეკარგება იმ ცნობას, თითქოს გელასი, კესარიელი ეპისკოპოსი, 395 წლის 18 მარტს გარდაცვლილიყოს. და, მაშასადამე გელასის უნდა ეცოცხლა იმ დრომდე, როდესაც ევლოგი გახდებოდა კესარიის ეპისკოპოსი.

ამ განახლებულ კამათში მონაწილეობა მიიღეს პ. პეტერსმა, ნ. აკინიხმა, ე. ჰონიგმანმა და სხვებმა.

P. Peeters-მა („Les débuts du christianisme en Géorgie d' après les sources hagiographiques“: AB, t. L. 1932) მთლიანად არ გაიზიარა ა. გელასის გამოკვლევის შედეგები.

პეტერსი, მის შემდეგ, რაც მას მოჰყავს რუფინუსის ტექსტი და ადარებს გელასის ზოგიერთ ადგილს, კერძოდ ბოლო სიტყვებს ბაკურს შესახებ, ასკვნის:

„როგორც ვხედავთ, არავითარი ეჭვი არ შეიძლება იყოს, რომ ცნობები იდენტურია. გელასი, რასაკვირველია, არ აცხადებს პრეტენზიას იმაზე, რომ ბაკურს იცნობდა პირადად. ის აღარაფერს ამბობს იმაზე, თუ ვინ გადმოსცა მას მოთხრობა ამ უმწიკვლო ადამიანზე. გარდა ამისა, ისტორია, რომელსაც ის მოგვითხრობს, ზედმიწევნით იგივეა, რასაც ჩვენ ვიცნობთ რუფინუსით. ის არავითარი დეტალით არ განსხვავდება, რომ შეიძლებოდა მასში დანახვა ან დამატებისა, ან დადასტურებისა, და ქართველი მეცნიერები, რომელთაც მიიღეს თეზა **ანტონ გლასისა**, ერთგვარად აჩქარებით (non sans un brin de précipitation), ფუჭად ილწვიან იმისათვის, რომ ბერძნული ტექსტის უმნიშვნელო ვარიანტებს მიაკუთვნონ მნიშვნელობა, რომელიც მათ არა აქვთ (se sont donné une peine inutile pour attribuer aux minces variantes du texte grec une importance qu'elles n'ont pas). და აქვე უთითებს ჩემს შრომას „გელასი კესარიელი ქართლის მოქცევის შესახებ“ (მიმოხილველი I, 1926, გვ. 54–68).¹

N. Akinian-ს დაუბეჭდავს წერილი Handes Amsorya-ში (1947, გვ. 401–443, 489–491, 497–553), სადაც მას უცდია სომხეთისათვის გამოეყენებინა გელასი-რუფინუსის ცნობა იბერიის მოქცევის შესახებ ნინოს მიერ.

ამის წინააღმდეგ არის მიმართული მ. თარხნიშვილის სტატია: Die heilige Nino, Bekehrerin von Georgien (Analecta Ord. S. Basilii M. 1953, S. 572–581).

დაწვრილებით იხილავს ამ საკითხს **E. Honigmann**-იც (Gélase de Césarée et Rufin d' Aquilée: Bull. Ac. R. de Belgique, Cl. de L. V. 40 1954, 122–161).

¹ ა. გელასის გამოკვლევის „დიდი მნიშვნელობა“ აღიარა ივ. ჯავახიშვილი 1928 წლის გამოცემაში „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი ტომისა (გვ. 167–169, იხ. 1951 წლის გამოცემა, გვ. 180–182).

რუფინუსმა დაურთო თავის ლათინურ თარგმანს ევსევის „საეკლესიო ისტორიისას“ ორი წიგნი (X და XI). საიდან ამოიღო იგი რუფინუსმა? ერთნი ამბობენ, რომ გელასი კესარიელის „ისტორია“ იყო მისი წყარო; მეორენი, პირიქით, ამტკიცებენ, რომ სწორედ ამ გელასის უნდა გადმოეთარგმნოს ბერძნულ ენაზე რუფინუსის ორიგინალური ტექსტი. ჰონიგმანი სწყვეტს საკითხს შემდეგნაირად:

1) გელასის არ შეეძლო გადაეთარგმნა რუფინუსი, რადგან X და XI წიგნები რუფინუსმა მიუმატა თავის თარგმანს ევსევის „ისტორიისას“ **401 წლის 18 ნოემბრის შემდეგ**. ამ თარიღში ე. ი. 401 წლის 18 ნოემბერს, გელასის ადგილი დაუჭერია ევლოგიოსს, რომელიც დამოწმებულია 400 წლის სექტემბრის თვიდან.

2) ფოტიოსის მიერ წამოყენებული პიპოთეზა, რომლის მიხედვით კირილე იერუსალიმელს და გელასი კვიზიკელს უნდა ეთარგმნოს რუფინუსი ბერძნულად, აიხსნება გელასი კვიზიკელის «უცნაური მტკიცებით, სახელდობრ, რომ რუფინუსს უნდა მიეღოს მონაწილეობა ნიკეის კრებაზე. შეუძლებელია ამის დაშვება, მაგრამ ეს პიპოთეზა გულისხმობს სპეციალური თხზულების არსებობას ნიკეის კრების და მისი ეპოქის შესახებ, იმ თხზულებისა, რომელიც ემყარებოდა რუფინუსს, გელასის და სხვებს და რომლის სათაური იქნებოდა: *Πουφίνου Γελάσιου και άλλων*, რაც წარმოშობდა შეცდომას ავტორების იდენტურობის შესახებ და იმ ეპოქის შესახებ, როდესაც ისინი ცხოვრობდნენ.

3) „რუფინუს-გელასის“ ეს თხზულება, ალბათ, უნდა განვასხვავოთ „ბერძნული რუფინუსისგან“, რომელიც არის მხოლოდ თარგმანი რუფინუსის X და XI წიგნებისა და რომელიც შეიძლება გამოქვეყნდა როგორც ანონიმური თხზულება.

4) გელასი კესარიელი შეიძლება მიჩნეულ იქნეს როგორც რუფინუსის წყარო. მაგრამ მის „საეკლესიო ისტორიას“ ძალიან ნაკლებად ვიცნობთ ჩვენ, რომ ნება გვქონდეს ჯერჯერობით (*jusqu' quel point*) ვილაპარაკოთ იმის შესახებ, რომ ეს იყო უმთავრესად ძირითადი წყარო ¹.

მოგვყავს გელასი კესარიელის ტექსტი.

¹ ეს ანოტაცია ე. ჰონიგმანის შრომაზე მოთავსებულია BZ 47 |1954), 546 და ეკუთვნის V. Laurent-ს.

იბერთა მოქცევა ¹

Κατὰ δὲ τὸν αὐτὸν χρόνον καὶ οἱ πρὸς τῇ κατὰ Πόντον γῆ Ἰβηρῆς τε καὶ Λαζοὶ τὸν τοῦ Θεοῦ ἐδίδξαντο λόγον, μήπω πρὸ τούτου εἰς αὐτὸν πεπιστευκότες. Τοῦ δὲ μεγίστου ἀγαθῶς τούτου αἰτία κατέστη γυνή τις παρ' αὐτοῖς αἰχμάλωτος οὖσα, ἄκρον δὲ βίον μετερχομένη δι' ἐγκρατείας τε καὶ τῶν ἄλλων ἀγαθῶν ἔργων πάντας αὐτοὺς εἰς ἔκστασιν ἤγεεν. Ὡς δὲ τὴν αἰτίαν διεπυνθάνοντο τῆς τοσαύτης αὐτῆς ἀσκήσεως, ἀπλότητι μὲν ἡ ἀγία ἐκείνη γυνή λέγει, διὰ Χριστὸν τὸν υἱὸν τοῦ Θεοῦ. Οὐδένα μέντοι ἐκ τούτου εἰς πίστιν ἔφερεν τῆς εὐσεβείας, ἐθαύμαζον δὲ μόνον τὴν γυναικα, καὶ τῷ ζήνῳ βίῳ αὐτῆς προσέχοντες πολλὰ ἐλογίζοντο.

ეს ქალი: ისინი ჰხედავდნენ მის უცნაურ ცხოვრებას და რას არ ფიქრობდნენ!

Ἄλλ' ἐπειδὴ ἔπιος ἦν αὐτοῖς, εἴπερ γήπιον εἶχον ἀσθενεία περιπεσόν, περιτρέχοντας αὐτοὺς πρὸς τοὺς ἐγχαρίους ἅπαντας ἐκάστοθεν πορίζεσθαι βοήθημα, γέγονε διὰ τούτου ἐκπεριελθισσάν τινα πάντας ἐλθεῖν καὶ πρὸς τὴν αἰχμάλωτον. Ἡ δὲ πρὸς τῇ θύρᾳ ἐστῶση σὺν τῷ παιδαγῶγῳ τῇ γυ-

იმავე ხანებში ღმრთის ცნება მიიღეს პონტოს გასწვრივ მდებარე მიწაწყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა, რომელთაც მანამდე ის არა სწამდათ. ამ უდიდესი სიკეთის მიზეზი გახდა ერთი დედაკაცი, რომელიც მათთან იყო ტყვედ; მან სათნო ცხოვრებას მიაღწია და თავისი კრძალულებითა და სხვა კეთილი საქმეებით მას აღტაცებაში მოჰყავდა ყველა ისინი. როდესაც მას ეკითხებოდნენ ასეთი მისი განდეგილობის მიზეზის შესახებ, ის წმინდა დედაკაცი მარტივად უპასუხებდა ხოლმე, ქრისტეს მიზეზისათვის, მისა ღმრთისაო. მიუხედავად ამისა ამით მან ვერავინ დაარწმუნა კეთილსათნოებაში; მათ მხოლოდ აკვირვებდა

მაგრამ რადგან იმათში ჩვეულება იყო, რომ თუ ვისმე ბავშვი გაუხდებოდა ავად, ყველა იქაურებს მოივლიდა და ყველას თხოვდა დახმარებას, – მოხდა [ეხლაც ისე], რომ ერთი ქალი, რომელიც ამ მიზნით კარი-კარ დადიოდა, ამ ტყვე-ქალთანაც მოვიდა, ხოლო ამან მიმართა

¹ გელასი კესარიელის „საკელესიო ისტორიის“ აქ მოყვანილი ტექსტი ჩვენ გამოვეცით (ქართული თარგმნით და ნარკვევით) 1926 წელს: „გელასი კესარიელი ქართლის მოქცევის შესახებ“ (მიმომხილველი I. თბ. 1926, გვ. 54–68), ხოლო ამაზე უფრო ადრე დავბეჭდეთ რეცენზია ა. გლასის მონოგრაფიაზე (ყურნ. „ჩვენი მეცნიერება“ 1924, № 6–7, გვ. 96–100)

ναὶ καὶ ἔφη· οὐδὲν ἐγὼ τῇ παιδα-
ρίῳ δυνήσομαι βοηθεῖσαι, τὸν δὲ
Χριστὸν, ὃν ὑμῖν εἶπον πολλάκις,
οἶδα δυνατὸν εἶναι καὶ νεκροὺς
ἀνιστᾶν, καὶ τοῖς ἀπηγορευμένοις
χαρίζεσθαι ἴασιν. Ἡ δὲ τοῦ παι-
δὸς μήτηρ καθικέτευε τὴν αἰχμάλ-
ωτον. Τότε οἶκτω τῆς δεομένης
κινήθεισα τὸ νήπιόν τε τῇ σάκκῳ
τῇ ἑαυτῆς περιβαλοῦσα, προσευ-
ξαμένη τῷ Θεῷ, ἀπέδωκεν αὐτὸ
τῇ μετρὶ ὑγίει.

ხვია ბავშვი, შეავედრა ღმერთს და განკურნებული გადასცა იგი დედას.

Διέδραμε δὲ εἰς πολλοὺς τὸ
γεγόμενον, καὶ γὰρ ἄχρι τῆς βασι-
λίδος ἔφθασεν, ἣτις κατέκειτο
βαρυτάτῃ νόσῳ κατεχομένη· καὶ
γὰρ χρόνον ἱκανὸν ἀσθενήσασα,
ἀνιάτως εἶχε λοιπὸν τὰ περὶ τῆς
φθασάσης αὐτῆν χαλεπωτάτης
νόσου. Ἀξιοὶ μὲν οὖν τὴν αἰχμάλ-
ωτον ἀποστείλασα διὰ τῶν οἰ-
κείων πρὸς αὐτὴν παραγενέσθαι.
Ἡ δὲ δέει καὶ εὐλαβείᾳ ἀνανεύει
τοῦ πρὸς τὴν βασιλίδι διαβῆναι,
εἰδυῖα τὸν ἐκ τῆς ἀνθρωπίνης
δόξης παραιοδύνοντα ὄλισθον. Διὰ
τοὺς τοῦτο ἀπρὶξ ἔχουσαν αὐτὴν
τοῦ μὴ ἐλθεῖν ἐπιγνοῦσα ἢ βασι-
λισσα κελεύει σὺν τῷ σκιμποδίῳ
πρὸς αὐτὴν ἀπαχθῆναι. Ἦς τινος
δυσωπηθείσα τὴν ταπεινώσιν ἢ
μακαρία αἰχμάλωτος τὸν αὐτὸν
τρόπον περιβαλοῦσα τὴν βασιλίδι
τῇ σάκκῳ, ἐφ' ἧ γόνυ κλίναςα
τὰς εὐχὰς τῷ Θεῷ προσέφερε τῇ
συνῆθει πρὸς τὸν Χριστὸν εὐχῆ,

ქალს, რომელიც კარებში იდგა
ბავშვით ხელში, და უთხრა: „მე
ვერ შევძლებ ვუშველო ბავშვს;
ქრისტეს კი, რომელზედაც ხში-
რად მილაპარაკია თქვენთან,
ვიცი, შეუძლია მკვდრებიც აღა-
დგინოს და მიტოვებულთ გან-
კურნება არგუნოს“. ხოლო ბავ-
შვის დედა ემუდარებოდა ტყვე-
ქალს. მაშინ ამან აღძრულმა
სიბრალულით მთხოვნელის მი-
მართ, თავის გარესამყაროში გა-

ეს ამბავი მოედო ყველას და
დედოფლის ყურამდისაც მიად-
წია; დედოფალი მაშინ ლოგი-
ნად იწვა მძიმე სენით დაავადე-
ბული. კარგა ხანია, რაც ის ავად
გამხდარიყო, და უკურნებელი
ჩანდა ის მძიმე სენი, ის რომ
შეეპყრო. და, აი, ის გზავნის
ტყვე-ქალთან თავისიანებს და
თხოვს მას, რათა ის მას ეახ-
ლოს. ის კი შიშისა და მოკრძა-
ლების გამო უარს ამბობდა დე-
დოფალთან მისვლაზე, რადგან
იცოდა, რომ ადამიანური (ე. ი.
მიწიერი) დიდებისაგან საცთური
შემოიპარებოდა ხოლმე. ამიტომ
დედოფალმა, როგორც კი გაი-
გო, რომ ტყვე-ქალს არასგზით
არ უნდოდა მოსვლა, ბრძანა
საწოლით წაეყვანათ იგი მასთან.
ნეტარმა ტყვე-ქალმა უსიამოვ-
ნოდ შეხედა დედოფლის ასეთ
დამცირებას და იმნაირადვე [რო-
გორც წინათ] გახვია დედო-

ὄντι οἰκადε ἀποπέμπει χαίρουσαν
καὶ πορευομένην τοῖς οἰκείοις
ποσίν, νέον καὶ ξένον θαῦμα τοῖς
ἐντοπίοις παρεχομένην, τοῦ Χρισ-
τοῦ τὴν χάριν ὁμολογοῦσαν, κα-
θὼς παρὰ τῆς αἰχμαλῶτου γυναι-
κὸς ἐδιδάχθη, τρανῶς τε ἀπεφ-
θέγγετο πορευομένη. Δόξα σοι,
Χριστέ, φησί, δέσποτα τῆς αἰχμα-
λῶτου· σοὶ χάρις, καὶ σοὶ πᾶσα
τιμὴ, Σωτὴρ ἡμῶν τῶν εἰς σέ
πιστεύειν ἤξιωμένων.

ლა, და მიმავალი ცხადად ჰვალადებდა: „დიდება შენდა ქრისტე უფალო ტყვე ქალისაო, – ამბობდა ის, – მადლობა შენდა და ყოველივე პატივი შენდა, მაცხოვარო ჩვენო, რომელნიც ღირსი ვიქმენით შენდამი რწმინით განმსჭვალვისა“.

Ἄλλὰ καὶ τῷ συμβίῳ ἐαυτῆς
ἢ βασιλίσσα διηγῆσατο ἕκαστα,
παρῶρησε δὲ αὐτὸν εἰς ἀμοιβὴν
ἀξίόπιστον, χρήμασι βουληθῆναι
ἀμειψασθαι τὴν αἰχμάλωτον τῆς
εὐεργεσίας τῆς εἰς τὴν σύμβιον
αὐτοῦ ἔνεκα, Ἡ αἰχμάλωτος
αὐτῆ, ὡ βασιλεῦ, οὐκ ὀρέγεται
ἀργυρίου, οὐτε χρυσοῦ περιποιεῖ-
ται· δῶρον δὲ ἀπαιτεῖ παρ’ ἡμῶν
ἀξιοχρεῶν, τὸ μόνον ἡμᾶς πιστεῦ-
σαι, ὅτι ὁ Χριστὸς υἱὸς ἐστὶ τοῦ
θεοῦ τοῦ ὑψίστου. Ἡ γὰρ ὁ πᾶς
βίος νηστεία καὶ ἐγκράτεια, περι-
τοὶ μησαυροὶ χρυσοῦ καὶ ἀργυ-
ρίου καὶ γὰρ ἀπεπειράθη τῆς
εὐσεβείας. Τάληθι διηγοῦμαι σοι,
ὦ βασιλεῦ. Ἄλλ’ εἰ μου παρὰ σοὶ
φροντὶς ἐστὶ σωτηρίας, ἀμειψώ-
μεθα καινότερον τὴν γυναῖκα,
τὸν Χριστὸν αὐτῆς παραδεχόμενοι
εἰς προσκύνησιν.

ვალი თავის გარესამოსში, მუხლ-
მოდრეკით შევევდრა ღმერთს
და ჩვეულებრივი ლოცვით მი-
მართა ქრისტეს, და განკურნე-
ბული გაისტუმრა შინისკენ გახა-
რებული დედოფალი, რომელიც
საკუთარი ფეხით მიდიოდა; ამით
ამცნობდა ყველა ადგილობრივ
მცხოვრებს ახალსა და უცხო
საკვირველებას და მადლობას
უძღვნიდა ქრისტეს, როგორც
ეს იმან ტყვე-ქალისაგან ისწავ-

თავის თანამეცხედრესაც უამ-
ბო ყველაფერი დედოფალმა და
დაარწმუნა ღირსეულად დაესა-
ჩუქრებინა ტყვე-ქალი; ამიტომ
მეფემ მოინდომა ფულით დაესა-
ჩუქრებინა ტყვე-დედაკაცი იმის
გულისათვის, რომ მან კეთილი
საქმე უყო მის მეუღლეს. ხოლო
დედოფალმა ასეთი სიტყვებით
მიმართა მას: „ტყვე-ქალი იგი,
მეფევ, არც ვერცხლისთვის ილ-
ტვის და არც ოქროსთვის ილ-
წვის. ის მოითხოვს ჩვენგან ღირ-
სეულ საჩუქარს: (ის მოითხოვს)
მხოლოდ იმას, რომ ჩვენ ვირ-
წმუნოთ, რომ ქრისტე არის მე
მალალი ღმერთისა. მისთვის მთე-
ლი სიცოცხლე მარხვა და გან-
დეგილობაა, ხოლო ოქროს და
ვერცხლის განძები – ზედმეტია.
და მე გამოვცადე ის სათნომო-
ყვარე ქალი. ჭეშმარიტებას მო-

გითხრობ, მეფევ. ასე რომ თუ შენ ზრუნავ ჩემს ცხოვებაზე, განსაკუთრებულად დავასაჩუქროთ ის დედაკაცი და თავყვანი ვსცეთ მის ქრისტეს“.

Ὁ δὲ τῶς ὀκνηρότερον διετέθη, καίτοι πολλάκις ὑπομνησκόμενος πρὸς τῆς γαμετῆς ὑπερετίθετο, ἐκλίνων ταῖς εὐαγγελίας τὴν αἵτησιν, καὶ καιρὸν πρόσφορον ἐλπίζων αὐτῷ περὶ τοῦτου λυσιτελεῖν ἔλεγεν. Ὁ καὶ γέγονε κατὰ πρόνοιαν Θεοῦ τοῦ θέλοντος πάντας ἀνθρώπους σωθῆναι, καὶ εἰς ἐπίγνωσιν ἀληθείας ἐλθεῖν.

ბულიყო და ჭეშმარიტების შეცნობამდე მისულიყო.

Συνέβη γὰρ αὐτὸν ἐν θήρᾳ περισπώμενον περὶ ἕλην κάταλσον καὶ βασιτάτην ἐν ἡμέρᾳ σταθερᾷ ὑποστῆναι: νύκτα ἀπροσδόκητον. Ἄφνω γὰρ ἐν μεσημβρίᾳ κατὰ πάσης τῆς ἕλης περιεχύθη σκότος βασιτάτον, ἔγθα ἦν ὁ βασιλεύς. Ὡς δὲ καὶ οἱ συνόντες αὐτῷ τῆδε κάκεισε πρὸς τὴν θήραν διασπώμενοι εἵρηγναι, φόβος συνέσχε τὸν βασιλέα μέγιστος ἦχιστα λογιζόμενον, ὅπως διαφύγη τὴν ἔφοδον. Ἐπεὶ δὲ καὶ πάντες οἱ συνόντες αὐτῷ τὴν αὐτὴν ὑπέμενον ἀνάγκην, ἕκαστον γὰρ τῶν πρὸς αὐτὸν ἐληλυθῆναι σπευδόντων, ἐν ᾧ κατείληφε τόπῳ, τὸ σκότος ἐστήλωσε, προβῆναι μὴ συγχωρήσαν εἰς ἀλλήλων παράκλησιν.

Τότε ὑπομνησθεὶς ὁ βασιλεύς τῆς γαμετῆς καὶ τῆς ταύτης ἀνιάτως ἔχουσαν ἰασαμένης ἀλχ-

ხოლო მეფე ერთხანს არაფერს სწყვეტდა; თუმცა ხშირად მოაგონებდა ხოლმე მას მისი მეუღლე, მაგრამ ის თავს არიდებდა თხოვნას დაპირებებით და ამბობდა, რომ უცდიდა ამ საქმისათვის მისთვის მოსახერხებელ დროს. ეს კი მოხდა ღმრთის განზრახვით, რომელსაც სწადდა, რათა ყველა ადამიანი ცხოვ-

ერთხელ, როდესაც ის ნადირობდა მრავალჭალიან უღრან ტყეში, მას დღისითვე ჩამოულამდა მოულოდნელად. უცბად შუადღეს ღრმა ბურუსმა მოიცვა მთელი ტყე, სადაც მეფე იყო. ხოლო რადგან მისი მხლებლები იქ იყვნენ სანადიროდ გაფანტული, უდიდესმა შიშმა მოიცვა მეფე და სრულებით ვერ მოესაზრა საშუალება, თუ როგორ აეცდინა (თავიდან უბედურება). ხოლო რადგან მისი ყველა თანმხლებელი იმავე გასაჭირში იყო და ყოველი მათგანი, რომელნიც მეფესთან მისვლას ისწრაფოდნენ, წყვდიადმა გააშეშა იმ ადგილას, სადაც ისინი იდგნენ, ამიტომ მათ არ შეეძლოთ წინ წაწევა ერთმანეთის დასამახებლად.

მაშინ მეფეს მოაგონდა მეუღლე და ის ტყვე-ქალი, რომელმაც განკურნა მისი, უკურნებელი

μαλῶ του, ἐβόησε λέγων· Χριστέ, ὁ τῆς αἰχμαλῶ του κύριος, παρὰσ-
τηθί μοι ταυῦν, ἵνα φύγω τὴν
ἐπικαιμένην ἀνάγκην· ἔχω γὰρ
σαφεστάτην πείραν τῆς θείας σου
δυναμείας, τὴν ἐμὴν σύμβιον· Καὶ
ἅμα τῷ τελέσαι τὴν εὐχὴν εὐθὺς
περιαιρεθέντος τοῦ σκοτούς, τὸ
φῶς τῆς ἡμέρας ἐπαχύθη μάλλον
ἢ τὸ πρότερον κατὰ πάσης τῆς
ἡμέρας, ἔνθα ἦσαν ἐστηλωμένοι.

უფრო მძლავრად გაანათა მთელი ტყე, სადაც ისინი სვეტივით
იყვნენ გამშებული.

Καὶ παραγεγόμενοι οἱκοι ἡγι-
εῖς παραχρήμα εὗρον τὸν βασιλέα
κελεύοντα τὴν αἰχμαλῶ τον ἕως
πρὸς αὐτὸν γενέσθαι, μηκέτι Θεὸν
ἕτερον προσκυνεῖν ἐπαγγελλόμε-
νον, ἢ Ἰησοῦν Χριστόν, ὃν ἡ
γυνὴ σέβεται. Ἐρχεται οὖν ἡ
γυνὴ ἢ αἰχμαλῶτος καὶ γίνεται
τοῦ βασιλέως διδάσκαλος πάντα
τὸν τύπον τῆς πίστεως αὐτῷ
ἐπιστήσασα· Ὁ δὲ χαίρων οὐκ
ἤθεῖτο πρὸς εὐτελοῦς γυναικὸς
θεοσέβειαν ἐκμανθάνων· τούναν-
τίον δὲ ἐπ' αὐτῇ σεμνυόμενος
εἰς μέσον αὐτῆν ἄγεσθαι ἐπὶ τοῦ
πλήθους ἐκέλευσε, παρῆρῃσιν αἰζόμε-
νος ἐπ' αὐτῇ λέγων· Ὡς μοι ἡ
γαμετὴ θάνατον διὰ τῆς προσευ-
χῆς ταύτης διέδρα Χριστοῦ τοῦ
παμβασιλέως τῆ χάριτι. Ἐπειθε
τε τοὺς ἡπαγούους, εἰ θέλοισιν
σώζεσθαι, καὶ τὰ αὐτὰ φρονεῖν
καὶ τὴν εἰς Χριστὸν αἰρεῖσθαι
προσκύνησιν τῶν εἰδώλων κατα-
φρονοῦντας. Ἐπειθὴ δὲ ἔμαθε

სენით შეპყრობილი, მეუღლე,
შესძახა და თქვა: „ქრისტე, უფა-
ლო ტყვე-ქალისაო, მეოხ მეყავ
აწ, რათა ავიცილინო მოწეული
უბედურება; მე უკვე მაქვს მეტად
ნათელი შედეგი შენი ღვთაებ-
რივი ძალის მოქმედებისა, სა-
ხელდობრ ჩემი მეუღლე“. და
როგორც კი მან გაათავა ეს
ლოცვა, მაშინვე გაიფანტა ბუ-
რუსი, დღის შუქმა წინანდელზე

შინ რომ დაბრუნდნენ სალი-
სალამათი, მაშინვე იპოვეს მეფე,
რომელსაც დაეძახა იმ ტყვე-
ქალისთვის და შეეთვალა, რომ
ამიერიდან სხვა ღმერთს არა
სცემს თაყვანს, თუ არა იესო
ქრისტეს, რომელსაც ის დედა-
კაცი თაყვანს სცემდა. და აჰა,
მოვიდა დედაკაცი იგი ტყვე-
ქალი და შეიქმნა მასწავლებელი
მეფისა და ასწავლიდა მას ყვე-
ლაფერს, რაც რწმენას შეეხე-
ბოდა. მეფე გახარებული იყო
და მას არ რცხვენოდა ღვთის-
მოყვარების სწავლა უბრალო
დედაკაცისაგან; პირიქით, მას
თავი მოჰქონდა იმის წინ, და
უბრძანა შუახალხში გამოეყვანათ
ტყვე-ქალი და მოურიდებლად
თქვა მის შესახებ: „ჩემმა მეუღ-
ლემ სიკვდილი აიცილია ამისი
ლოცვის წყალობით ქრისტეს
მიმართ, ყოველთა უფლისა“. და
არწმუნებდა ქვეშევრდომებს, თუ
ცხოვნება გასურთ, გაიზიარეთ ეს

πρὸς τῆς ἀγίας γυναικὸς, ὅτι ἐκ-
κλησίας χρῆ ἰδρῦσασθαι εἰς προσ-
κύνησιν τοῦ Χριστοῦ, ὁμοῦ προήει
ἐπὶ τὴν χρείαν σπουδαίως.

ეკლესიების დაფუძნება ქრისტეს თაყვანისცემისათვის, აგრეთვე წარმატებით შეუდგა ამისათვის ზრუნვას.

Ὡς δὲ τοῦ οἴκου τὸν περί-
βολον ἤγειραν οἰκοδομήσαντες,
ἔδει δὲ λοιπὸν τοὺς κίονας στη-
σαι ἐν μέσῳ τοῦ οἴκου πρὸς διαί-
ρεσιν τῶν συναρχομένων ἀνδρῶν
τε καὶ γυναικῶν, φέλων ὁ Θεὸς
πάγιον γνώμην ἐνθεῖναι: τῷ τε
βασίλει καὶ πᾶσι τοῖς ὑπ’ αὐτοῦ
ὑπηκόοις περὶ τοῦ διὰ τῆς αἰχμα-
λώτου γυναικὸς κηρυχθέντος εὐαγ-
γελίου Ἰησοῦ Χριστοῦ τοῦ υἱοῦ
αὐτοῦ, ποιεῖ τὸν τρίτον κίονα εἰς
μέσον ὀρθωθέντα, ἔτι δὲ πλάγιον
ὄντα, μὴ γενέσθαι εἰς τέλος ὀρ-
θιον, καθάπερ καὶ οἱ δύο ἕτεροι
καὶ πολλὰ καμώντες οἱ τεχνῖται
τά τε ἱστία σὺν ταῖς μηχαναῖς
ἀπάσαις διαρρήξαντες καὶ συντρί-
ψαντες ὑπεξαναχωροῦσι φεύγον-
τες, δεδιότες μὴ ἐναπολειφθέντες
χαμαὶ ὑπὸ τὸν κίονα ἀποθάνω-
σιν· ἵστατο γὰρ ὁ κίων ἐν τῷ
ἀέρι κρεμάμενος πλάγιος, μηθε-
νός, ὡς ἔθος τοῖς τεχνῖταις, ἐπι-
νοουμένου παρ’ αὐτῶν τινὸς βοη-
θήματος.

ვითარი საშუალება ვერ იქმნა მათი მხრით მოაზრებული.

Ἀκούει ταῦτα ἡ αἰχμάλω-
τος καὶ θέει πολλῶν συσχεθεῖσα,
μὴ ἀνάπαλιν τὸ πλεῖθος ἐπιδῶ
ἑαυτὸ πρὸς τὰ εἰδῶλα, ἔρχεται
δύνοντος τοῦ ἡλίου κατὰ τὸν τό-

აირჩიეთ ქრისტეს თაყვანისცემა და კერპები უკუაგდებო. ხოლო როდესაც ისწავლა იმ წმინდა დედაკაცისაგან, რომ საჭიროა

როდესაც სახლის გალავანს აშენებდნენ, საჭირო იყო, სხვათა შორის, შუაში სვეტების აღმართვაც მამაკაცებისა და დედაკაცების შესაკრებელთა გასაყოფად. და ღმერთმა მოისურვა მტკიცე აზრი ჩაენერგა მეფისა და მისი ქვეშევრდომებისათვის შესახებ ტყვე-ქალის საშუალებით უწყებული ევანგელიონისა იესუ ქრისტესისა, მისა თვისისა, და ის აკეთებს შუაში აღმართულ მესამე სვეტს, რომელიც ჯერ კიდევ მრუდედ იდგა, ისე, რომ ის საბოლოოდ არ გასწორდეს, როგორც სხვა ორი (სვეტია გასწორებული). ბევრს ეწვალნენ ხელოსნები, დახიეს და დაფხრიწეს აფრები ყველა მანქანებითურთ და უკან გამოიქცნენ შემინებულნი, რომ იქ დარჩენით არ დახოცილიყვნენ სვეტის მიერ მიწაზე (დამარცხებულნი), რადგან სვეტი იდგა ჰაერში მრუდედ დაკიდებული და, წინააღმდეგ ხელოსანთა ჩვეულებისა, ვერა-

ეს ესმის ტყვე-ქალს, და ის ძალიან შეშფოთდა, რომ ხალხი ისევ არ მისცემოდა კერპთა-ყვანისცემას; მზის ჩასვლისას ის მიდის იმ ადგილას და მუხლ-

πον, και κλίνασα γόνυ πρὸς τὸ θεὸν ἕως πρῶτ', ἤγειρε διὰ τῆς εὐχῆς τὸν κίονα, οὐκ ἐπὶ τὴν βάσιν ἐστῶτα, ἀλλ' ὀρθὸν μὲν ἡρτημένον ἐπάνω τῆς βάσεως ἕσον ἀπὸ πῆχους ἑνός, οἰκονομοῦντος τοῦ θεοῦ μὴ ἀπιέναι. τὴν αἰχμάλωτον οἶκoi ἕως τῆς τοῦ πλήθους ἀφίξεως, ἵνα γνῶσιν αὐτῆς τὴν ἐν τῷ ὑπ' αὐτῆς κηρυττομένῳ ἀληθινῷ θεῷ πίστιν.

Ἦλθον οὖν ἕσθην σὺν τῷ βασιλεῖ, και ἰδόντες ὄρθιον ἡρτημένον τὸν τηλικούτον κίονα ἐξίσταντο. Τότε τῆς αἰχμαλώτου πάσι γενομένης καταφανοῦς διὰ τὸ γεγονός, ἀναστάσης αὐτῆς ἐκ τῆς εὐχῆς, εὐθέως ὁ κίων, οἶά τινων τεχνιτῶν τῆ οἰκείᾳ βάσει αὐτὸν προσαρμοζόντων ὡς ἔνι μάλιστα, ἀπετέθη, πλείστην ὄσσην παρὰ τοὺς ἔμπροσθεν και τοὺς μετ' αὐτὸν κίονας ἔχων εὐπρεπῆ τὴν ἀσφάλειαν. Ἐκ τούτου γέγονε και τοὺς λοιποὺς τοῦ πλήθους συνελθεῖν και συνομολογήσαι τὴν τοῦ βασιλέως πίστιν θαυμάζοντας Χριστόν· τοῦτο γὰρ αὐτοῖς ἡ αἰχμάλωτος ἐκείνη ἄγία γυνὴ διεμαρτύρατο· ἐδεδοίκει γὰρ τοῦ πλήθους τὴν ἀπλότητα, μήποτε ἄρα ὑπὸ τῆς πατρῴας δεισιδαιμονίας νυττόμενοι εἰς αὐτὴν τὸ εἰς Χριστὸν σέβας ἀπενέγκοιτο, ἡγουν δόξαν περὶ αὐτῆς σχῶσι μὴ συντείνουσαν πρὸς εὐσέβειαν.

მოდრეკით იყო დილამდე ღმერთის წინაშე; თავისი ლოცვის საშუალებით მან აღადგინა სვეტი, არა ხარისხზე მდგომარე, არამედ სწორად ჩამოკიდებული. ხარისხს ზემოთ დაახლოებით ერთი წყრთის მანძილზე, და ღმერთმა განაწესრიგა ისე, რომ ტყვექალი არ წასულიყო შინ ხალხის მოსვლამდე, რათა მათ შეეცნოთ იგი მის მიერ ქადაგებული ჭეშმარიტი ღმერთის რწმენაში.

და, აჰა, რიჟრაჟზე მოვიდნენ ისინი მეფესთან ერთად და, რომ დაინახეს სწორად დაკიდებული ამხელა სვეტი, განკვირდნენ. მაშინ, როდესაც ტყვექალი ყველასათვის საჩინო შეიქმნა ამ ამბის გამო და როდესაც მან ლოცვას თავი დაანება და ადგა, სვეტი მაშინვე, თითქოს ვინღაც ხელოსნებმა ის მის ხარისხს რაც შეიძლებოდა კარგად მიაკრესო, გაიმართა და, შედარებით წინ და შემდგომ აღმართულ სხვეტებთან, მას უდიდესი ურყევობა ჰქონდა. ამის გამო მოხდა ის, რომ დანარჩენი ხალხიც შემოკრბა და, კვირვობდნენ რა ქრისტეს, გაიზიარეს მეფის რწმენა. და ეს დაუმტკიცა მათ იმ ტყვექალმა, იმ წმინდა დედაკაცმა: მას ხომ ეშინოდა ხალხის უმცურების, რომ მშობლიური ცრუმორწმუნეობის გავლენით ქრისტეს თავყანისცემა მასზე არ გადაეტანათ, ესე იგი ჰქონოდათ

მასზე ისეთი წარმოდგენა, რომელიც მის კეთილსათნოებას არ შეეფერებოდა.

Διὰ τοῦτο καὶ κοινοῶνται αὐτοὺς τῆς εὐχῆς προετρέφατο, ἡγίκα τὸν κίονα ἡρτημένον τῷ οἰκείῳ τόπῳ προσαρμολοῦναι πεποίηκε, συσκιᾶζουσα διὰ τοῦτου τὴν οἰκείαν ὑπόληψιν, τὴν δὲ τοῦ Σωτῆρος Χριστοῦ ἐνέργειαν λέγουσα εἰς πάντας ἀνθρώπους τοὺς εἰς αὐτὸν εὐσεβοῦντας διαβαίνειν ἐν ταῖς ὑπὲρ ἀνθρώπων πράξεσιν.

Μετὰ δὲ τὸ τελειωθῆναι τὴν ἐκκλησίαν ὑποτίθεται τῷ τε βασιλεῖ καὶ τῇ βασιλίδι ἢ αἰχμάλωτος πέμψαι αὐτοὺς πρὸς τὸν τῆς εὐσεβείας σύντροφον τὸν φιλοφλέστατον βασιλέα Κωνσταντῖνον πεμφθῆναι αὐτοῖς παρ' αὐτοῦ αἰτουμένοις τὸν τὴν ἐκκλησίαν ἐκείνην καθιερώσοντα.

Τότε ὑπὸ τε τοῦ βασιλέως καὶ τοῦ κοινοῦ τῶν Ἰβήρων σὺσταλέντες πρεσβευταὶ καταλαμβάνουσι τὴν Κωνσταντινούπολιν ἀναγγέλλοντες τῷ βασιλεῖ Κωνσταντίνῳ τὴν ἐκείσε κρατυνθεῖσαν τοῦ Χριστοῦ πίστιν, ἐπίσκοπον αἰτοῦντες δοθῆναι αὐτοῖς παρ' αὐτοῦ εἰς τὴν τῶν παρ' αὐτοῖς ἐκκλησιῶν καθιέρωσιν ὄμοσιν καὶ διατύπωσιν. Οὗς προσηγῶς δεξάμενος ὁ εὐσεβῆς καὶ φιλόχριστος βασιλεὺς Κωνσταντῖνος, χαίρων ἐν τῷ κυρίῳ, παρέσχεν τὴν αἴτησιν, τὸν τῆς Κωνσταντινουπόλεως ἐπίσκοπον Ἀλέξανδρον παρορμη-

ამიტომ იმან მოუწოდა ხალხს მათაც მიეღოთ მონაწილეობა ლოცვაში, როდესაც მან დაკიდებული სვეტი თავის ალაგან მიაკრა: ამით ის ფარავს თავის სიძლიერეს და ამბობს, რომ ქრისტე მაცხოვრის ზემოქმედება ყველა მის თაყვანისმცემელ ადამიანზე ზეკაცურ საქმეებში ხორციელდება.

შემდგომად ეკლესიის დასრულებისა ტყვე-ქალი წინადადებას აძლევს მეფესა და დედოფალს, რათა მათ გაგზავნონ ერთმორწმუნე მეგობართან და ღვთისმოყვარე კონსტანტინე მეფესთან (მოციქულები) და სთხოვონ, რათა მან გამოუგზავნოს მათ ვინმე ამ ეკლესიის საკურთხეველად.

მაშინ მეფისა და იბერთა კრებულის მიერ გაგზავნილი მოციქულები მიდიან კონსტანტინეპოლში, აუწყებენ კონსტანტინე მეფეს იქ (იბერიაში) ქრისტეს რწმენის განმტკიცებას და სთხოვენ მიეცეს მათ მისგან ეპისკოპოსი მათთან არსებული ეკლესიების კურთხევისათვის და აგრეთვე საეკლესიო წესების ჩამოყალიბებისათვის. სათნო და ქრისტეს მოყვარე კონსტანტინე მეფემ ისინი მეგობრულად მიიღო, რადგან უხაროდა უფლისათვის; მან შეიწყნარა თხოვნა და კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსს

σας χειροτονῆσαι τῶν Ἰβήρων
ἐπίσκοπον, ὅμοσιν συναρχῶν Θεοῦ
νεῦμα εἶναι τοῦ τοῦς ἀλλοφύλους
αὐτῆρ καθυποτάσσοντος.

Τούτων ἡμῖν ὁ πιστότατος
Βασιλευς ἐφηγητῆς γέγονεν, ἀνὴρ
ἐκλαβέστατος καὶ τοῦ βασιλι-
κοῦ γένους τῶν παρ' αὐτοῖς Ἰβή-
ρων περιφανέστατος, σατραπίης¹
Ῥωμαίων καταστάς, καὶ ταῖς ἀκ-
ρωρεῖαις τῆς Παλαιστίνης κατὰ
τῶν Σαρακηνῶν βαρβάρων ἐπισ-
τρατεύσας πόλεμον, ἀκρως ὅτι
μάλιστα τὴν κατ' αὐτῶν νίκην
ἤρατο².

ალექსანდრეს ხელთ-დაასხმევინა იბერთა ეპისკოპოსი; ამავე დროს მას (კარგად) ესმის, რომ ეს არის ნიში ღმრთისა, რომელიც უცხო-თესლთ უქვემდებარებს მას.

ეს ჩვენ გვიამბო ფრიად სარწმუნო ბაკურიმ, კაცმა ფრიად ღვთის-მოშიშმა, მეფის შთამომავალმა და იბერთა შორის სახელოვანმა, რომელიც გახდა რომაელთა სატრაპი და აწარმოვა ომი ბარბაროს სარკინოზთა წინააღმდეგ პალესტინის მწვერვალეზზე და მათზე ბრწყინვალედ გაიმარჯვა.

ზემოთ მოყვანილი ტექსტი, როგორც ეს უკვე მოხსენებულა, ჩვენ დავბეჭდეთ ჩ ე რ ი ა ნ ის მიხედვით და ის ეკუთვნის არა უშუალოდ გ ე ლ ა ს ი კ ე ს ა რ ი ე ლ ს, არამედ გელასი კვიზიკელს, რომელსაც 475 წლის მახლობელ ხანებში შეუდგენია ნიკეის პირველი კრების ისტორია და, როგორც ეს ა. გ ლ ა ს ს საკ-მოდ აქვს დასაბუთებული, გელასი კესარიელის შრომით უსარგებლია. ის გარემოება, რომ ტექსტი ჩვენამდე მხოლოდ ერთი საუკუნის შემდეგ დაწერილი შრომის საშუალებით არის მოღწეული და არა პირვანდელი სახით, გვავალებს სათანადო სიფრთხილით მოვეპყრათ მასში დაცულ ცნობებს. გარდა იმისა, რომ თავისთავად საგულისხმებელია ავტორის მიერ მის წყაროებში მოთხრობილი ამბების შეფერადება-განვრცობა, კერძოდ გ ე ლ ა ს ი კ ვ ი ზ ი კ ე ლ ის მიმართ ეს დოკუმენტალურად არის დამტკიცე-

¹ <მს> σατραπίης Peeters.

² A. M. Ceriani, Monumenta sacra et profana ex codicibus Praesertim bibliothecae Ambrosianae. Tom. I. Mediolani 1861, გვ. 137 და შემდგომი.

ბული¹. ასე რომ ჩვენი ტექსტის მოწმობანიც ყოველ კერძო შემთხვევაში უნდა შედარებულ იქნეს სხვა ავტორების მიერ მოცემულ ცნობებთან.

გელასი კესარიელის ტექსტი შედარებით სხვა ავტორების² (რუფინუსის, სოკრატეს, სოზომენესა და თეოდორიტეს) ტექსტებთან ბევრს ახალს, ან სხვანაირად გაშუქებულ ცნობას იძლევა (ლაზების მოქცევა, ტაძრის აგების დეტალები, კოსტანტინე მეფესთან ელჩების გაგზავნის მიზანი, ეპისკოპოზ ალექსანდრეს დასახელება, კოსტანტინეპოლის ხსენება, ცნობა ბაკურის შესახებ, და ზოგიერთი სხვა დეტალი). ჩვენ აქ შევხებით ზოგიერთ მათგანს და შევადარებთ, სადაც შესაძლებელია, სხვების მიერ მოცემულ ცნობებს.

1. რუფინუსი (I, 10) ტაძრის აგების შესახებ ამბობს: *Fabricari tamen ecclesiam monet, forma que describit*, ის (ტყვე-ქალი) ურჩევს ეკლესიის აგებას და აღუწერს მის გარეგნულ სახეს“. ბერძნულ დედანში შესაძლებელია ეს ადგილი სხვანაირად ყოფილიყო გადმოცემული და რუფინუსს ის ზოგადი ხაზებით გადმოეცეს. ამას გვაფიქრებინებს გელასი კვიზიკელის (isp. კესარიელის) ტექსტი, სადაც ვკითხულობთ: «როდესაც სახლის გალავანს აშენებდნენ, საჭირო იყო შუაში სვეტების აღმართვაც მამაკაცების და დედაკაცების შესაკრებელთა გასაყოფად (იხ. ზემოთ გვ. 191). აქ ჩვენ გვაქვს ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი ცნობა, სახელდობრ რომ უძველეს ქართულ ტაძრებს მოეპოვებოდა სპეციალური ნაწილი, დედაკაცთა შესაკრებელი. ძნელია აქ იმის განსაზღვრა, რუფინუსსმა შეამოკლა გელასი კესარიელის ცნობა, თუ გელასი კვიზიკელმა განავრცო გელასი კესარიელი.

2. გელასის ტექსტი გარკვევით ამბობს, რომ «მეფისა და იბერთა კრებულის მიერ გაგზავნილი მოციქულები კოსტანტინეპოლში მიდიან». აკად. კ. კეკელიძე სხვა საბუთთა შორის ამ ცნობასაც იყენებს იმის დასამტკიცებლად, რომ გადმოცემა ქართლის მოქცევის შესახებ კოსტანტინეპოლს უკვე დაარსებულად ჰგულისხმობს და ამისდა მიხედვითაც ათარიღებს ქართველთა მოქცევას. შეგვიძლია თუ არა ჩვენი ტექსტის ცნობა ეჭვმიუტანლად,

¹ A. Glas, Die Kirchengeschichte des Gelasios von Kaisareia... 88. 74–75.

² ამათ „საეკლესიო ისტორიათა“ სათანადო ტექსტები იხ. აქვე.

მივიჩნით, ე. ი. ვთქვათ, რომ გელასი კვიზიკელის ინტერპოლაციას კი არ წარმოადგენს აქ კოსტანტინეპოლის მოხსენიება, არამედ ის გელასი კესარიელსაც მოეპოვებოდაო. ჩვენის აზრით, ამ საკითხში გელასი კვიზიკელს ვერ დავემყარებთ. გელასი კვიზიკელის მეორე ცნობის, სახელდობრ ალექსანდრე ეპისკოპოსის შესახებ ჯერ კიდევ ა. გლასმა აღნიშნა (გვ. 52) და კ. კეკელიძემაც გაიზიარა, რომ ის გელასი კესარიელის ტექსტში არ უნდა ყოფილიყო: ის არა ჰყავს მოხსენებული არც ერთ სხვა ავტორს და საფიქრებელია, რომ ეს ცნობა ჩაემატებინოს თვით გელასი კვიზიკელს. იყო თუ არა კოსტანტინეპოლი მოხსენებული გელასი კესარიელის დედანში? მარტო ის გარემოება, რომ რუფინუსს ის მოხსენებული არა აქვს, ჩვენ არ გამოგვადგება იმის დასამტკიცებლად, თითქოს ის არც გელასი კესარიელს ჰქონოდა, რადგან არის სხვა შემთხვევებიც, როდესაც რუფინუსს ჩვენს ტექსტთან შედარებით მოთხრობის შეკვეცილობა ახასიათებს. არც ის გამოგვადგება ჩვენ ამ საკითხის გადაჭრისათვის, რომ მერმინდელი ისტორიკოსები სოკრატე სქოლასტიკოსი და ერმიანოსომენე კოსტანტინეპოლს არ იხსენიებენ, რადგან არც ერთსა და არც მეორეს გელასი კესარიელით არ უსარგებლია¹: სოკრატეს წყაროს რუფინუსი წარმოადგენდა, ხოლო სოზომენესას – რუფინუსი და სოკრატე. ჩვენთვის აქ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ კოსტანტინეპოლს არც თეოდორიტე იხსენიებს, რომლის ტექსტუალური შედარება არკვევს, რომ ის ზემოთ დასახელებულ ავტორთა დამოუკიდებელი პირველწყაროებს ემყარება² და რომ მას სხვათა შორის ხელთ ჰქონდა აგრეთვე გელასი კესარიელის „ისტორია“³.

3. დასასრულ, ჩვენ გვინდა შევეხოთ ჩვენი ტექსტის უკანასკნელ ნაწილს, რომელიც **ბაკურს** იხსენიებს. ბაკურის საკითხს ჩვენ იმ მხრით კი არ გვსურს მივუდგეთ, თუ რომელ ქართველ მეფეს ჰგულისხმობენ ბერძნულ-ლათინურ-ქართული წყაროები, როდესაც ისინი ქართლის მოქცევაზე ლაპარაკობენ: არის ეს ბაკურმეფე თუ რომელიმე სხვა პიროვნება? ჩვენ გავარჩევთ ტექსტების მიხედვით, მართლა მეფე იყო ის ბაკური, რომელიც ქართლის მოქ-

¹ A. Glas, Die Kirchengeschichte... გვ. 79–83.

² იხ. P. Parmentier თეოდორიტე კვირელის „საეკლესიო ისტორიის“ გამოცემის წინასიტყვაობაში.

³ A. Glas, Die Kirchengeschichte... გვ. 84

ცევის წყაროებშია მოხსენებული თუ არა? ცხადია, ჩვენი მიდგომა საკითხისადმი ბოლოს და ბოლოს პირველ საკითხთან მოგვიყვანს, რამდენადაც ჩვენი დასკვნა ბაკურის გვაროვნობას გამოააშკარავებს.

ტრადიციული გადმოცემა მ ი რ ი ა ნ ს ასახელებს პირველ ქრისტიან მეფედ. ეს აზრი საისტორიო მწერლობაში მიღებული იყო, მაგრამ 1895 წლის შემდეგ, როდესაც რ ა ა ბ ე მ გამოსცა პეტრე იბერის ცხოვრება¹, სადაც პეტრეს პაპად გამოყვანილია მეფე ბაკური, რომელსაც ვითომ ქართველები მოუქცევია, ისტორიკოსებმა ტრადიციული გადმოცემა პირველი ქრისტიანი მეფის შესახებ უარყვეს, და ჩვენ ვხედავთ, რომ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი („ქართველი ერის ისტორია“ I (თბ. 1913), გვ. 180) პირველ ქრისტიან მეფედ ბაკურს აღიარებს და ამ აზრის დამტკიცების დროს რუფინუსს ემყარება. რუფინუსი წერს: *Haes nobis ita gesta fidelissimus vir Bacurius, gentis ipsius rex... exposuit*. ჩვენ ახლა უკვე ვიცით, რომ რუფინუსზე დამყარება შეუძლებელია, რადგან საბოლოოდ დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ რუფინუსი ამ შემთხვევაში ბერძნული წყაროს თარგმანია და სრულიად სამართლიანი იქნება, თუ ჩვენ რუფინუსის სიტყვების შესამოწმებლად ბერძნულ პირველწყაროს მივმართავთ. გელასი კესარიელი წერს: «ეს ჩვენ გვიამბო ფრიად სარწმუნო ბაკურიმ, კაცმა ფრიად ღვთისმოშიშმა, მეფის შთამომავალმა და იბერთა შორის სახელოვანმა». როგორც ვხედავთ, გელასი კესარიელს რუფინუსის სიტყვების *gentis ipsius rex*-ის ნაცვლად ბაკური მოხსენებული ჰყავს მეფის შთამომავლად (*βασιλικός γένους*).

არის თუ არა ამით საბოლოოდ გადაწყვეტილი ბაკურის ვინაობის საკითხი? რასაკვირველია არა. ორი, ერთმანეთის მოწინააღმდეგე წყაროს მოწმობა, ცხადია, ჯერ კიდევ ვერ გადაწყვეტს საკითხს, თუნდაც მათ შორის ქრონოლოგიური მანძილი დიდი იყოს. ეს მეთოდოლოგიური დებულება ჩვენს შემთხვევაში მით უფრო მისაღებია, რომ იმ ორი წყაროდან, რომლებიც ჩვენ ახლა განვიხილეთ, მართალია, გელასი უძველესია, მაგრამ ეს უძველესი წყარო ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ V საუკუნის მეორე ნახევ-

1 *Petrus der Iberer. Ein Charakterbild zur Kirchen und Sittengeschichte des fünften Jahrhunderts. Syrische Übersetzung einer und übersetzt von Richard Raabe. Leipzig 1895.*

რის ისტორიკოსის, გელასი კვიზიკელის, შრომის საშუალებით. და საფიქრებელია, რომ გელასი კესარიელის თავდაპირველ დედანში სწორედ gentis spsius rex-ის შესატყვისი ფორმულა ყოფილიყოს და «მეფის შთამომავლად» გამოცხადება ბაკურისა გელასი კვიზიკელს ეკუთვნოდეს. ეს საფიქრებელია მით უფრო, რომ გელასი კვიზიკელს სხვა შემთხვევაშიც მოეპოვება საკუთარი ინტერპოლაცია გელასი კესარიელის ტექსტისა (აქ ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ როგორც ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ეპისკოპოსის, ისე კოსტანტინეპოლის მოხსენებას). ამიტომ ცხადია, მხოლოდ რუფინუსისა და გელასის ტექსტებით ეს საკითხი ვერ გადაწყდება.

საკითხის გადასაწყვეტად ჩვენ მოგვეპოვება კიდევ ერთი წყარო ანალოგიური წარმოშობისა. ეს არის გ ი ო რ გ ი ა მ ა რ - ტ ო ლ ი, რომელსაც გელასი კესარიელით უსარგებლია. გიორგი ამარტოლს, საზოგადოდ, სჩვევია წყაროების მოყვანა თითქმის სიტყვა-სიტყვით: საკმარისია ადამიანმა წაიკითხოს გიორგი ამარტოლის ქრონოგრაფის რომელიმე ნაწილი და შეადაროს მის წყაროებს, რომ ამაში დარწმუნდეს.

გიორგი ამარტოლი ერთ ადგილას წერს ბაკურის შესახებ:

Οἱ στρατηγοί... εἰς τὸν πόλεμον ἀνεψυχάθησαν, ἐξαιρέτως δὲ Βακούριος, ἀνὴρ τῆ πίστει καὶ τῆ εὐσεβείᾳ καὶ τῆ ἀρετῆ τῆς ψυχῆς καὶ τοῦ σώματος ἔνδοξος, πάντας τοὺς πλεῖστον τυγχάνοντας τοῦτο μὲν τῷ κοντῷ, τοῦτο δὲ τοῖς βέλεσιν, ἔσται δ' ὅτε καὶ τῷ ξίφει ἐστρωγγυσεν, καὶ τὰ τάγματα τῶν πολεμίων συναΐευσμένα καὶ συγκεκροτημένα διέρρηξε καὶ διὰ μέσου τοῦ πλεῖστους τῶν πεπτωκῶτων τὰς τάξεις διασχίσας καὶ τοὺς σωροὺς τῶν νεκρῶν παριῶν πρὸς αὐτὸν ἐπορεύετο τὸν τύραννον (C. de Boor II 591—592).

სარდლები... საბრძოლველად გამხნევდნენ, განსაკუთრებით კი ბაკური, კაცი ყოვლად ღირსეული როგორც რწმენითა და სათნოებით, ისე სულიერი და ხორციელი სიკეთით; ვინც კი მის ახლოს მოხვდებოდა, ზოგს შუბით დაანარცხებდა, ზოგს ისრებით, ზოგს კიდევ მახვილითაც. მან გაარღვია მტრის წყებანი, რომლებიც მჭიდროდ იყვნენ შეერთებული და შეკრული, დამარცხებული ჯარის შუაში წყებები გასწი-გამოსწია, გვამების გორაკებს გვერდი აუხვია და თვით ტირანთან მივიდა.

გიორგი ამარტოლის ქრონოგრაფის ტექსტი რომ იმავე ეპიზოდს ეხებოდეს, ე. ი. ქართლის მოქცევას, მას, რასაკვირველია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებოდა. მაგრამ, მიუხედავად

ამისა, გიორგი ამარტოლის ქრონოგრაფის ზემომოყვანილი ადგილის უაღრესი მნიშვნელობა მაინც ცხადია: ის გარემოება, რომ გიორგი ამარტოლს გელასი კესარიელის „საეკლესიო ისტორიით“ უხვად უსარგებლია, საზოგადოდ, თავისი ქრონოგრაფის წესის დროს და მასაც, – მართალია, არა ქართლის მოქცევასთან, არამედ ევგენიოს ტირანის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლასთან დაკავშირებით – თეოდოსი დიდის დროს ბაკური მეფედ კი არა, მარტივად xxx-ის სახელწოდებით ჰყავს მოხსენებული, იმას უნდა მოწმობდეს, რომ გელასი კესარიელსაც იგი მეფედ არ უნდა ჰყოლოდა მოხსენებული, და, მამასადამე, ბერძნულ-რომაულ წყაროებში ქართლის მოქცევასთან დაკავშირებით მოხსენებული ბაკური მეფე არ უნდა ყოფილიყო ¹.

¹ ივ. ჯავახიშვილი ხელმეორედ შეეხო ბაკურის საკითხს „ქართველი ერის ისტორიის“ I ტომის მესამე გამოცემაში (1928 წ.), დაწვრილებით განიხილა ბაკურის შესახებ მომთხრობელი წყაროები (რუფინუსი, გელასი კესარიელი, პეტრე ქართველის ცხოვრება) და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ **„გელასი კესარიელის ბაკური ის დიდი ბაკური არ იყო, რომელიც პეტრე ქართველის ცხოვრების V საუკუნის ავტორის ცნობით პირველი ქართველი ქრისტიანი მეფე ყოფილა“** (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I. მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა. თბ. 1928, გვ. 166–169, 206).

იხ. აგრეთვე გ. გოზალიშვილი, არის თუ არა ბერძნულ-ლათინური წყაროების ბაკური იბერიის მეფე? თბ. 1947.

რუფინუსი

რუფინუსი (Tyrannius Rufinus, ან უფრო ხშირად Turranus Rufinus) წარმოშობით იყო Concordia-დან (აკვილიის მახლობლად, მის დასავლეთით). სიყრმის ამხანაგი იყო ჰიერონიმესი, მასთან ერთად სწავლობდა რომში. 370 წლის მახლობელ ხანებში ის შევიდა აკვილიის მოსასტერში და ეპისკოპოზ ვალერიანეს მიერ იქმნა მონათლული. 373 წელს მას ვხედავთ ჯერ ეგვიპტეში, მერე პალესტინაში. აქ ის დამკვიდრდა იერუსალიმში, როგორც მეგობარი და სულიერი მრჩეველი ქვრივ მელანიასი. ამ დროს ის ჯერ კიდევ მეგობრობდა ჰიერონიმეს.

მაგრამ, როდესაც ატყდა კამათი ორიგენეს გარშემო, ეს ორი მეგობარი, რუფინუსი და ჰიერონიმე ერთმანეთს დაშორდნენ.

397 წელს მან დასტოვა იერუსალიმი და დაბრუნდა სამშობლოში, აგრეთვე მელანიაც დაბრუნდა რომში 398/9 წელს. რუფინუსი დიდხანს დარჩა რომში, სადაც იწყება მისი ლიტერატურული მოღვაწეობა.

გარდაიცვალა რუფინუსი 410 წელს სიცილიაში.

რუფინუსის ლიტერატურული მოღვაწეობა უმთავრესად გამოიხატა თარგმნაში. მან თარგმნა ორიგენეს, ბასილი დიდის, გრიგოლ ნაზიანზელის და სხვათა შრომები.

როდესაც 402 წელს ვესტგუთებმა პირველად გადმოლახეს იტალიის საზღვრები ალარიხის წინამძღოლობით, რუფინუსი შეუდგა აკვილიის ეპისკოპოზის ქრომატიუსის სურვილით ევსევი კესარიელის „საეკლესიო ისტორიის“ თარგმნას: იგი მან 9 წიგნად გააკეთა, ხოლო ბოლო ორი წიგნი (X-X) უძღვნა ამ ისტორიის გაგრძელებას ვიდრე თეოდოსის გარდაცვალებამდე (395 ფ.). ამ უკანასკნელი ორი წიგნის შესახებ იხ. ზემოთ (გვ. 179–185), სადაც გელასი კესარიელზეა საუბარი.

HISTORIA ECCLESIASTICA

Liber I, caput X

De conversione gentis Iberorum
per captivam facta

Per idem tempus etiam Iberorum gens, quae sub axe Pontico iacet, verbi Dei foedera et fidem futuri susceperat regni. Sed huius tanti boni praestitit causam mulier quaedam captiva, quae apud eos reperta cum fidelem et sobriam satis ac pudicam duceret vitam, totisque diebus ac noctibus obsecrationes Deo pervigiles exhiberet, in admiratione esse ipsa rei novitas Barbaris coepit, et quid hoc sibi velit, curiosius perquirebant.

Illa, ut res erat, simpliciter Christum se Deum hoc ritu colere fatebatur. Nihil ex hoc amplius Barbari praeter novitatem nominis mirabantur. Verum (ut fieri solet) ipsa perseverantia curiositatem quandam mulierculis inferebat, si quid emolumentum ex tanta devotione caperetur.

რა ქალებში, თუ რამე სარგებლობა მიიღებოდა ასეთი დიდი თავგანწირვისაგან.

Moris apud eos esse dicitur, ut si parvulus aegrotet, circumferatur a matre per singulas domos, quo scilicet si quis experti aliquid remedii noverit,

იბერთა ტომის მოქცევა ტყვე-ქალის მეშვეობით

ამავე ხანებში იბერთა ტომ-მაც, რომელიც ცხოვრობს პონტოს მხარეში, მიიღო ღმრთის მცნების კანონები და მომავალი (საიქიო) ცხოვრების რწმენა. ამ დიდი სიკეთის მიზეზი გახდა ერთი ტყვე-ქალი; ის იმათთან მოხვდა [ტყვედ] და ეწეოდა სათნო და საკმაოდ ფხიზელ და უმანკო ცხოვრებას, მთელი დღეები და ღამეები დაუცხრომლად ლოცულობდა ღმრთისა მიმართ; ბარბაროსებს საკვირველებად მიაჩნდათ თვით სიახლე საქმისა და გულმოდგინედ იძიებდნენ, თუ რას ნიშნავდა ეს.

ტყვე-ქალმა მარტივად აღიარა, როგორც მართლაც იყო, რომ ამ წესით ის ქრისტეს სცემდა და თაყვანს როგორც ღმერთს. ამით ბარბაროსებმა მეტად არაფერი გაიკვირვეს გარდა სახელის სიახლისა. მაგრამ (როგორც ჩვეულებრივ ხდება) თვით ამ მედგრობამ [ტყვე-ქალისამ] ერთგვარი ცნობისმოყვარეობა აღძ-

ვამბობენ, რომ იმათში ჩვეულება იყო, რომ თუ [ვინმეს] ბავშვი გაუხდებოდა ავად, დედა ჩამოატარებდა მას სათითოოდ ყველა სახლში, რათა, თუ ვინ-

conferat laboranti. Cumque mulier quaedam parvulum suum per omnes circumtulisset ex more, nec aliquid remedii, cunctas domos lustrando, cepisset, venit etiam ad captivam, ut, si quid sciret, ostenderet.

ვერავითარი წამალი ვერ მიიღო, [ბოლოს] მივიდა აგრეთვე ტყვე-ქალთან, რათა მას მიეთითებინა, თუ რამე საშუალება იცოდა.

Illa se humani quidem remedii nihil scire testatur, Deum tamen suum Christum, quem colebat, dare ei desperatam ab hominibus posse salutem confirmat. Cumque cilicio¹ suo parvulum superposuisset, atque ipsa desuper orationem fudisset ad Dominum, sanum matri reddidit infantem.

სადმი ვედრება შეწირა, გამოჯანმრთელებული ბავშვი უკან დაუბრუნა დედას.

Sermo defertur ad plures, factique fama magnifici usque ad aures reginae perlabitur. Quae dolore quodam gravissimo corporis afflicta, in desperatione maxima erat. Rogat ad se captivam deduci. Illa ire abnuit, ne praesumere amplius aliquid quam sexus sineret, videretur. Ipsam se regina deferri ad captivae cellulam iubet. Quam similiter supra cilicium suum positam, invocato Christi nomine, continuo post precem sanam et

ცობაა ვინმეს ეცოდინებოდა რაიმე გამოცდილი საშუალება, დახმარებოდა გაჭირებულს. და როდესაც ერთმა ქალმა თავისი ბავშვი, ჩვეულებისამებრ, ჩამოატარა ყველასთან, და ისე მოათვალიერა ყველა სახლი, რომ

ტყვე-ქალმა განუცხადა, რომ მან ადამიანური რამ საშუალება არაფერი იცის, მაგრამ არწმუნებს მას, რომ მის ღმერთს ქრისტეს, რომელსაც იგი თაყვანს სცემს, შეუძლია მიანიჭოს მას ხსნა, რომლის იმედი ადამიანებს გადაუწყდათ. და მის შემდეგ რაც მან ბავშვი დადვა თავის გარესამოსზე და ხედ უფლი-

ხმებმა [ამის შესახებ] ბევრამდე მიაღწია და ამ დიდებული ამბის შესახებ ცნობა დედოფლის ყურებამდისაც მივიდა. დედოფალი სხეულის რაღაც უმძიმესი ტკივილით იყო შეპყობილი და [ამის გამო] უდიდეს სასოწარკვეთილებაში იყო ჩავარდნილი. მან მოითხოვა, რომ მასთან მოეყვანათ ტყვე-ქალი. მან კი მისვლაზე უარი თქვა, რათა ისე არ გამოსულიყო, რომ ის რაღაცას უფრო მეტს წინასწარვე კისრულობს, ვიდრე ამის

¹ Cilicium იგივეა, რაც σάκκος, რომელიც ნახმარი აქვს ამავე ადგილას გელასი კესარიელს, და ნიშნავს თხის მატყლისაგან გაკეთებულ ტანისამოსს.

alacrem fecit exsurgere. Christumque esse Deum, Dei summi Filium, qui salutem hanc contulerit, docet: eumque, quem sibi auctorem suae sciret esse incolumitatis et vitae, commonet invocandum. Ipsum namque esse, qui et regibus regna distribuat, et mortalibus vitam. At illa cum laetitia domum regressa, marito percontanti causam tam subitae sanitatis operuit, quique cum pro salute coniugis laetus et mulieri munera deferre iuberet, illa: Horum, inquit, o rex, nihil captiva dignatur: aurum despicit, argentum respuit, ieiunio quasi cibo pascitur: hoc solum ei muneris dabimus, si eum, qui me, illa invocante, sanavit, Christum Deum colamus.

ნებას აძლევს მისი სქესი. [მაშინ] დედოფალმა ბრძანა ტყვე ქალის საკანში წაეყვანათ იგი. ეხლაც, როგორც მაშინ, თავის გარესამოსზე დადვა დედოფალი, მოიხმო ქრისტეს სახელი და ლოცვის შემდეგ მაშინვე ჯანმრთელი და მხნე წამოაყენა დედოფალი. ამასთანავე ის ასწავლის დედოფალს, რომ ეს ქრისტეღმერთი იყო, ძე მაღალი ღმერთისა, რომელმაც მას ეს ხსნა მოუტანა; ურჩევს, რომ მოუხმოს ხოლმე მას, რომელიც, როგორც მან უნდა იცოდეს, არის მისთვის მიზეზი მისი სიმთელისა და სიცოცხლისა. ის არის, რომ მეფეებსაც სამეფოებს ურიგებს და მოკვდავებსაც სიცოცხლეს (ანიჭებს). შინ დაბრუნების შემდეგ იმანაც სიხარულით გაუმ-

ჟღავნა თავის ქმარს მიზეზი ასეთი სწრაფი გამოჯანმრთელებისა, როდესაც ის შეეკითხა ამის შესახებ; და როდესაც მეფემ, გახარებულმა მეუღლის ხსნისათვის, ბრძანა საჩუქრები მიეტანათ იმ ქალისათვის, დედოფალმა უთხრა მეფეს: „ამათგან, ო მეფევე, არაფერს არ ცნობს ღირსად ტყვე-ქალი; ოქროს არად აგდებს, ვერცხლს უკუაგდებს, მარხვით ისე იკვებება, თითქოს საჭმელი იყოს; მხოლოდ იმას მიიღებს საჩუქრად, თუ თავყვანს ვცემთ იმას, ვინც მე მომარჩინა მისი ლოცვით, – ქრისტე ღმერთს.

Ad hoc tunc rex signior fuit et interim distulit, saepius licet ab uxore commonitus, donec accidit quadam die venante eo in silvis cum comitibus suis, obscurari dentissimis tenebris diem, et per tetrae noctis horrorem luce subducta, caecis iter gressibus denegari. Alius alio

მეფე ამას მაშინ გულგრილად შეხვდა და ჯერჯერობით გადასდო, თუმცა მეუღლე ხშირად აგონებდა, სანამ არ მოხდა [შემდეგი ამბავი]: ერთ დღეს მეფე ნადირობდა ტყეში თავის მხლებლებთან ერთად და დღე დააბნელა ძალიან სქელმა წყდიადმა და, რადგან სინათლე გაქრა,

diversi ex comitibus oberrant, ipse solus densissima obscuritate circumdatus, quid ageret, quo se verteret nesciebat, cum repente anxios salutis desperatione animos cogitatio talis ascendit. Si vere Deus est Christus ille, quem uxori suae captiva praedixerat, nunc se de his tenebris liberet, ut ipsum ex hoc omissis omnibus coleret. Illico ut haec nondum verbo, sed sola mente devoverat, reddita mundo dies regem ad urbem perducit incolumem.

ამ წყვდიადისაგან, რათა ამიერიდან მას სცეს თაყვანი და სხვა ღმერთები უკუაგდოს. მაშინვე, როგორც კი მან ეს აღთქმა მხოლოდ გაიფიქრა და სიტყვით არც კი გამოეთქვა, ქვეყანას სინათლე დაუბრუნდა და მეფე უვნებელი ქალაქში შევიდა.

Quique reginae rem protinus ut gesta est pandit. Evocari iam iamque captivam, et colenditum ut sibi tradat, exposcit: neque se ultra alium Deum quam Christum veneraturum esse confirmat. Adest captiva, edocet Deum Christum: supplicandi ritum venerandique modum, in quantum de his aperire feminae fas erat, pandit. Fabricari tamen ecclesiam monet, formamque describit.

ბების მიცემა, ლოცვებს და თაყვანისცემის წესებს. ამასთანავე ურჩევს მას ეკლესია ააგოს, კიდევაც აუწერს ეკლესიის აგებულებას.

Igitur rex, totius gentis populo convocato, rem ab initio quae erga se ac reginam gesta

საზიზღარი ღამის შიშით გზის გაგნება ბრმა ნაბიჯებით არ ხერხდებოდა. მხლებელთაგან ზოგი სად წავიდა და ზოგი სად, ისე დაიბნენ, თვითონ კი მარტო დარჩა სქელი წყვდიადით გარემოცული და არ იცოდა, რა მოემოქმედა ან საით წასულიყო; უცბად მას, შეშინებულს იმის გამო, რომ გადარჩენის იმედი აღარ ჰქონდა, ასეთი აზრი მოუვიდა: თუ მართლა ღმერთია ის ქრისტე, რომლის შესახებაც მისი მეუღლისთვის უთქვამს ტყვექალს, დე, ახლა იხსნას მან იგი

და მან მაშინვე დედოფალს აუწყა საქმის ვითარება, თუ რა დაემართა მას. მოითხოვს, რომ უმაღლე გამოიძახონ ტყვე-ქალი, რათა მან გადმოსცეს მეფეს თაყვანისცემის წესები: დაბეჯითებით ამბობს, რომ ამიერიდან სხვა ღმერთს, გარდა ქრისტესი, არ ეთაყვანება. მოდის ტყვე-ქალი და მოძღვრავს მეფეს ქრისტე ღმერთის შესახებ და უმართავს მას, რამდენადაც ამის შესახებ შეეძლო ქალს განმარტე-

ამგვარად, მეფემ მთელი ტომის ხალხი შეკრობა და უამბო ყველაფერი თავიდან, თუ რა

fuerat, exponit, fidemque edocet, et nondum initiatus in sacris fit suae gentis apostolus. Credunt viri per regem, feminae per reginam: cunctisque idem volentibus ecclesia exstruitur instanter: et elevato iam perniciousiter murorum ambitu, tempus erat quo columnae collocari deberent. Cumque erecta prima vel secunda, ventum fuisset ad tertiam, consumptis omnibus machinis, et boum hominumque viribus, cum media iam in obliquum fuisset erecta, et pars reliqua nullis machinis erigetur, repetitis secundo et tertio ac saepius viribus, ne loco quidem moveri attritis omnibus potuit. Admiratio erat totius populi, regis animositas hebescebat: quid fieri deberet, omnes simul latebat.

და, თუმცა მეორეჯერ გაიმეორეს, მესამეჯერაც და უფრო ხშირადაც, მაგრამ შეუძლებელი გახდა ადგილიდან დაძვრა: ყველანი საშინლად მოიქანცნენ. მთელი ხალხი საკვირველებას მიეცა, მეფის სიმხნეც მოდუნდა; ყველასათვის ერთნაირად გაურკვეველი იყო, თუ რა უნდა მოემოქმედათ.

Sed cum interventu noctis omnes abscessissent, cunctique mortales et ipsa opera cessarent, captiva sola in oratione pernoctans mansit intrinsecus: cum ecce matutinus et anxius cum suis omnibus ingrediens rex videt columnam, quam tot machinae ac tot populi movere non quiverant, erectam, et supra basim

გადახდა თავს მას და დედოფალსაც; [ხალხი] დამოძვრა [ახალ] სარწმუნოებაში და [თუმცა თვითონაც] ჯერ კიდევ არ იყო ზიარებული საიდუმლოს, მაგრამ თავისი ტომის მოციქული გახდა. მამაკაცებმა ირწმუნეს მეფის მშვეობით; ყველას ერთსულოვანი მოთხოვნით დაუყოვნებლივ აგებენ ეკლესიას; და, აი, გარშემო კედლები უკვე აღმართულია; დადგა დრო, რომ სვეტები უნდა ყოფილიყო შედგმული. როდესაც აღმართულ იქმნა პირველი და მეორე სვეტი, და ჯერი მიდგა მესამე სვეტზე, მიუხედავად იმისა, რომ გამოყენებულ იქმნა ყოველგვარი მანქანები, აგრეთვე ხარებისა და ადამიანთა ძალები, შუამდე ცერად აღიმართა [ეს მესამე სვეტი], ხოლო დანარჩენი ნაწილი ვერავითარი მანქანებით ვერ ასწიეს

მაგრამ როდესაც დაღამებისთანავე ყველანი წავიდ-წამოვიდნენ და ყველა მოკვდავი და თვით საქმეც უქნარად იყვნენ, მხოლოდ ტყვე-ქალი დარჩა შიგნით და მთელი ღამე ლოცვაში გაატარა: და, აი, როდესაც დილით მოვიდა თავის მხლებლებიანად შეწუხებული მეფე, აღმართული დაინახა სვეტი, რომელიც ამ

suam librate suspensam, nec tamen superpositam, sed quantum unius pedis spatio in aëre pendentem. Tunc vero omnes populi contuentes et magnificantes Deum, veram esse regis fidem, et captivae religionem praesentis miraculi testimonio perhibebant. Et ecce mirantibus adhuc et stupentibus cunctis, in oculis eorum sensim supra basim suam, nullo contingente, columna deposita, summa cum libratione consedit. Post hoc reliquus numerus columnarum tanta facilitate suspensus est, ut omnes quae super fuerant ipsa die locarentur.

არავინ შეხებია მას; და დაედგა სრულიად მორგებული [თავის საფუძველს]. ამის შემდეგ დანარჩენი სვეტებიც ისეთი სიადვილით იქმნა აღმართული, რომ ყველა, რაც კი დარჩენილიყო, იმავე დღეს იქმნა დადგმული თავის ადგილას.

Postea vero quam ecclesia magnifice constructa est, et populi fidem dei maiore ardore sitiabant, captivae monitis ad imperatorem Constantinum totius gentis legatio mittitur; res gesta exponitur; sacerdotes mittere oratur, qui coeptum erga se dei munus explerent.

Quibus ille cum omni gaudio et honore transmissis, multo amplius et hoc laetatus est, quam si incognitas Romano im-

დენმა მანქანამ და ამდენმა ხალხმა ვერ დასძრა ადგილიდან და რომელიც თავის საფუძველის ზემოთ თავისუფლად იყო დაკიდებული, მაგრამ ზედ კი არ იდვა, არამედ ჰაერში ეკიდა [ამ საფუძველიდან] დაახლოებით ერთი ფუტის მანძილზე. მაშინ ამის დანახვაზე მთელმა ხალხმა ადიდა ღმერთი და [თქვა,] რომ ჭეშმარიტია მეფის რწმენა, და ამ საკვირველების წყაროდ ჩათვალა იმ ტყვე-ქალის სარწმუნოება. და, აი, აქამდე რომ ყველანი გაკვირვებისაგან გაშეშებულიყვნენ, მათ თვალწინ სვეტი თანდათან დაეშვა თავის საფუძველზე, ისე რომ

მის შემდეგ რაც ეკლესია დიდებულად იქმნა აგებული და ხალხი დიდის სიმზურვალით იყო მოწყურებული ღვთის რწმენას, ტყვე-ქალის რჩევით კოსტანტინე მეფესთან გაიგზავნენ მოციქულები მთელი ხალხის სახელით; მათ უამბეს მომხდარი ამბავი, [თხოვეს იბერებისათვის] მღვდელმსახურნი გაეგზავნა, რომ დაესრულებინათ მათ მიმართ უკვე დაწყებული ღვთის წყალობა.

კოსტანტინემ დიდის სიხარულით და პატივით გაისტუმრა მოციქულები; ის ამით უფრო მეტად იყო გახარებული, ვიდრე

perio gentes et regna ignota
iunxisset.

Haec nobis ita gesta fidelissimus vir Bacurius, gentis ipsius rex, et apud nos Domesticorum Comes (cui summa erat cura et religionis et veritatis) exposuit, cum nobiscum Palaestini tunc limitis Dux, in Ierosolymis satis unanimiter degeret.

[მაშინ იქნებოდა, რომ] რომის იმპერიისათვის უცნობი ხალხები და უცნობი სახელმწიფოები შეეერთებინა.

რომ ეს ყველაფერი ასე მოხდა, ჩვენ გვიაშო ფრიად სარწმუნო კაცმა, ბაკურიმ, თვით ამ ხალხის მეფემ, რომელიც ჩვენში იყო დომესტიკთა კომსი (იგი უაღრესად ზრუნავდა როგორც მორწმუნეობაზე ისე ჭეშმარიტებაზე), როდესაც ჩვენთან ერთად ცხოვრობდა სრულის

ერთსულოვნობით იერუსალიმში; მაშინ ის იყო პალესტინის საზღვრების სარდალი.

თეოდორიტე კვირელი

(393 – 457 / 8)

თეოდორიტე არის იოანე ოქროპირის ერთი საუკეთესო მოწაფეთაგანი და მისი მეგობარი. იგი დაიბადა ანტიოქიაში 393 წელს (შეიძლება ცოტა უფრო ადრე). 423 წლის მახლობელ ხანებში იგი ქალაქ კვირის (Κύριος) ეპისკოპოსად დანიშნეს (ანტიოქიის აღმოსავლეთით მდებარეობდა). თავისი ჰუმანური მოპყრობით, საზოგადოებრივი საქმიანობით და მოოწმუნეობით დიდი ავტორიტეტი მოიპოვა საზოგადოებაში. თავისი ეკლესიის შემოსავლით აშენებდა წყალსადენებს, ხიდებს, აბანოებს; შუამდგომლობდა ხელისუფლების წინაშე გადასახადების შემცირებისათვის.

თავისი სარწმუნოებრივი მეხედულებებით იგი ემხრობოდა ნესტორიოსს. ამიტომ იგი დიოსკურე ალექსანდრიელის მოთხოვნით ეფესოს 449 წლის კრების დადგენილებით გადაყენებულ იქმნა და გაძევებული.

თეოდოსი II-ის გარდაცვალების შემდეგ იგი დაბრუნდა, ქალკედონის კრებაზე მონაწილეობა მიიღო, ნესტორიოსის წინააღმდეგ გამოტანილ ანათემას მხარი დაუჭირა და კვლავ მიიღო საეპისკოპოსო კათედრა, რაც სიკვდილიმდე ეკავა. გარდაიცვალა 457 თუ 458 წელს.

მისი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ჩვენამდე მოღწეულია მისი ეგზეგეტიკური, აპოლოგეტური და დოგმატური ნაშრომები, მისი ჰომილიები და წერილები, და მისი „საეკლესიო ისტორია“.

ამათგან ბევრია გადმოთარგმნილი **ქართულადაც**:

1) ღმრთის მოყუარებითი თხრობაჲ გინა თუ მოღუაწეთა მოქალაქობაჲ (Φιλόμεσις ἱστορία ἢ ἀσκητική πολιτεία იხ. PG 82, 1283–1496), რომელიც შეიცავს 30 ცნობილი ასკეტის ბიოგრაფიებს. ამის დასკვნითს ნაწილს შეადგენს „სიტყვა“ საღმრთოდასა სიყუარულისათჳს“. ორივე ეს თხზულება თარგმნილია ევრემ მცირის მიერ.

2) სიტყუაჲ საღმრთოდასა სიყუარულისათჳს (Λόγος περί θείας καὶ ἀγίας ἀγάπης იხ. PG, 82, 1497–1552).

3) აღსარებად მართლისა და უბიწოდასა ქრისტიანეთა სარწმუნოებისაჲ.

4) მიზეზი დიდისა ამოსის წინადაწარმეტყუელებისაჲ (PG 81, 1664).

5) ეპისტოლენი: იოანე ანტიოქელის მიმართ, ალექსანდრეს მიმართ იეროპოლელისა, ერისა მიმართ კონსტანტინეპოლელისა, რომელნი ნესტორის ბოროტთა იჭუთა შედგომილ იყვნეს.

6) სიტყუა თქუმული ქალკიდონს შინა წინაშე პოტირიტისთა.

7) მიზეზი სანატრელისა მიქეაძს წინადაწარმეტყუელისაჲ.


რაც შეეხება თეოდორიტეს „საეკლესიო ისტორიას“, იგი თარგმნა ქართულად ჯერ კიდევ **ეფრემ მცირემ**, სახელდობრ, ამ „ისტორიის“ ის თავი, სადაც ქართლის მოქცევაზეა მოთხრობილი.

წინათ ეგონათ, რომ თეოდორიტემ თავისი „საეკლესიო ისტორიისათვის“ გამოიყენა რუფინუსი, სოკრატე სქოლასტიკოსი და სოზომენე. მაგრამ თეოდორიტეს გამომცემელმა L. Parmentier-მ ნათელჰყო, რომ თეოდორიტეს ტექსტის დამთხვევა ზემოხსენებულ ისტორიკოსთა ნაწარმოებებთან აიხსნება საერთო წყაროებით, განსაკუთრებით სხვადასხვა პირველწყაროებით (საბუთები, სიგელები და სხვ.).

თეოდორიტე კვირელის შრომები გამოცემულია: *Migne Patrologia Graeca*, t. t. 81-83, ხოლო „საეკლესიო ისტორიისათვის“ ვსარგებლობდით ცალკე გამოცემით:

Theodor, Kirchengeschichte. Herausgegeben im Auftrage der Kirchenväter-Commission der Preussischen Akademie d. W. von Dr. Leon Parmentier. Leipzig 1911.

იბერთა მოქცევა



პირველი წიგნი თავი 23. იბერთა მიერ კეთილმორწმუნეობის მიღების შესახებ ამრიგად, ფრუმენტოსი გახდა ინდოელებისათვის წინამძღოლი ღვთის შეცნობისათვის. ამავე ხანებში ერთმა ტყვე-ქალმა მიი-

¹ Ἰβηρας α'δ (არშიაზე). ² δοσιάλωτος ხ.

ἀλήθειαν ἐξενάγησεν. Αὕτη γὰρ προσευχῆ μὲν ἐχρήτη διηνεκεῖ· εὐνή δὲ ἦν αὐτῇ καὶ στρωμνὴ μαλακῆ, σάκκος ἐπὶ τοῦ διαπέδου καθηπλωμένος· τρυφὴν δὲ ἄκραν τὴν νηστείαν ἐνόμιζεν. Οὗτος ὁ πόνος τῶν ἀποστολικῶν αὐτῇ¹ μεταδεδῶκε χαρισμάτων.

Ἐπειδὴ γὰρ οἱ βάρβαροι τῆς ἰατρικῆς σπανίζοντες ἐπιστήμης, εἰώθασιν ἀρρωστοῦντες πρὸς ἀλλήλους φοιτᾶν καὶ παρὰ τῶν ἡδη νενοσηκότων καὶ τῆς ἀρρωστίας ἀπαλλαγέντων μανθάνειν τῆς ὑγείας τὸν τρόπον, ἀφίκετό τις γυνὴ πρὸς τὴν ἀξίεπαινον ἀνθρωπον παιδίον ἀρρωστοῦν² ἔχουσα καὶ μαθεῖν τὸ πρακτέον ἀντιβόλοισα. Ἡ δὲ τοῦτο λαβοῦσα καὶ εἰς τὴν εὐνήν κατακλίνασα³ ἔκτευε τὸν τῶν ὄλων Δημιουργόν νεῦσαι καὶ λῦσθαι τὴν νόσον. Ὁ δὲ τὴν ἐκτεῖαν δεξάμενος παρέσχε τὴν ὑγείαν. Ἐντεῦθεν ἡ θασμασία γυνὴ πολυθρήνητος γέγονεν· οὐδὲ γὰρ τὴν τοῦ βασιλέως ὁμόζυγα τὸ γεγενημένον διέλαθε.

ვედრება და ბავშვს ჯანმრთელობა დაუბრუნა. ამიტომ ეს საკვირველი ქალი საქვეყნოდ ცნობილი შეიქმნა; არც მეფის თანამეცხედრეს გამოეპარა ეს ამბავი.

Παρατίκα δὲ αὐτὴν μετεπέμφατο· ὑπὸ τινος γὰρ καὶ αὐτὴ χαλεποῦ⁴ κατείχετο πάθος. Ἡ

ყვანა იბერიელები ჭეშმარიტე-ბასთან. ის თვითონ თავის დროს გამუდმებულ ლოცვაში ატარებდა; საწოლად და რბილ ლოგინად მას ჰქონდა ტომარა, იატაკზე გაგებული; ხოლო უმწვერვალეს ფუფუნებად მარხვას თვლიდა. ამ დამაშვრალობამ მოაპოვებინა მას ნიჭი მოციქულობისა.

რადგან ბარბაროსები სამკურნალო მეცნიერების ცოდნას მოკლებული იყვნენ, ავად რომ გახდებოდნენ, ჩვეულებრივ ერთმანეთში დადიოდნენ, რომ უკვე იმ ავადმყოფობა-მოხდილთაგან და გამომრთელებულთაგან ესწავლათ, თუ როგორ გამოჯანმრთელებულიყვნენ. და ერთი ქალი მოვიდა ამ ღირს-საქებარ ქალთან, თან ჰყავდა ავადმყოფი ბავშვი და სთხოვდა [ტყუე-ქალს] – მასწავლე როგორ მოვიქცეო. [ტყუე-ქალმა] ხელი მოჰკიდა ბავშვს, მიაწვინა ის თავის სარეცელზე და შეევედრა ყოვლის დამბადებელს, რომ ყურად-ელო და მოერჩინა [ბავშვი] სენისაგან. იმანაც ყურად-ილო

[დედოფალმა] მაშინვე დაიბარა [ტყუე - ქალი], ვინაიდან თვითონაც მძიმე სატკივართ

¹ ~ αὐτῇ ἀποστολικῶν nsz. ² ἀρρωστον ns.

³ ἀνακλίνασα n Synax., ἀνακλίνουσα Cod. Polyd.

⁴ ~ χαλεποῦ καὶ αὐτῇ n.

δὲ μετρίῳ κεχρημένη τῷ φρονή-
ματι τῆς βασιλίδος τὴν αἴτησιν
οὐκ ἐδέξατο· ἀλλ' ὑπὸ τῆς χρείας
ἐκείνη¹ βιαζομένη τὴν βασιλικὴν
ἀξίαν εἰς νοῦν λαβεῖν οὐκ ἐθέλη-
σεν. ἀλλ' αὐτὴ πρὸς τὴν δορυάλω-
τον² ἔδραμεν.

Ἡ δὲ πάλιν ἐπὶ τῆς εὐτε-
λοῦς εὐνῆς αὐτὴν κατακλίνασα
φάρμακον ἀλεξίκακον προσενήγοχε
τῷ πάθει· τὴν προσευχὴν. Ἡ δὲ
βασιλὶς τῆς θεραπείας μισθὸν
προσεκόμιζεν³, ὃν ἐνόμιζεν ἀξίox-
τητον, χρυσὸν καὶ ἄργυρον καὶ
χιτῶνας καὶ ἀμπερόνας καὶ ὅσα
τῆς βασιλικῆς ἐστὶ δῶρα φιλοτι-
μίας. Ἡ δὲ θεῖα γυνὴ τούτων
ἔφη μὴ δεῖσθαι, μέγαν δὲ ἠγείσ-
θαι, μισθὸν τὴν τῆς εὐσεβείας
ἐπίγνωσιν. Καὶ προσέφερον, ὡς
ἐνήν, τὰ θεῖα παιδεύματα καὶ
θεῖον ἀνεγείραι παρεγγυᾶ⁴ νεῶν
τῷ σεσωκότι Χριστῷ.

მან დაურთო, რამდენადაც შეეძლო, ღვთაებრივი დარიგებანი და ურჩია [დედოფალს] საღმრთო ტამარი აუგე [შენს] მხსნელ ქრისტესო.

Τούτων ἐκείνη ἀκούσασα
κατέλαβε τὰ βασιλεια καὶ παραυ-
τίκα μὲν ἐξέπληξε τὸν ἑμόζυγα
τῷ συντόμῳ τῆς θεραπείας· εἶτα
τοῦ θεοῦ τῆς αἰχμαλώτου τὴν
δύναμιν ἐδῆλου καὶ παρεκάλει τοῦ-
τον μόνον εἰδέναι· θεὸν καὶ νεῶν

იყო შეპყრობილი. ხოლო [ტყვე-
ქალმა], ზომიერი თავგმდაბლო-
ბით ხელმძღვანებულმა, დედოფ-
ლის მიწვევა არ მიიღო. ხოლო
[დედოფალმა], საჭიროებით იძუ-
ლებულმა, ყური არ ათხოვა თავის
მეფურ ღირსებას და თვითონ
გაეშურა ტყვე-ქალისაკენ.

[ტყვე-ქალმა], როგორც მა-
შინ, თავის ღარიბულ სარეცელ-
ზე მიაწვინა იგი და იხმარა
სატკივრის წინააღმდეგ მხსნელი
წამალი – ლოცვა. დედოფალმა
მოუტანა მას მორჩენისათვის
ისეთი გასამრჯელო, რასაც ის
მიცემის ღირსად თვლიდა: ოქრო
და ვერცხლი, ქიტონები და
წამოსასხამები და რაც კი არსე-
ბობს საჩუქარი, მეფური ღირსე-
ბის შესაფერი. ხოლო ღვთაებ-
რივმა დედაკაცმა უთხრა: ესენი
მე არ მჭირდება, უდიდეს გასა-
მრჯელოდ ჩავთვლიდი კეთილ-
მორწმუნეობის აღიარებასო. ამას

ეს რომ გაიგონა [დედო-
ფალმა], დაბრუნდა სასახლეში
მაშინვე და გააკვირვა თავისი
მეუღლე [ასეთი] სწრაფი გან-
კურნებით. შემდეგ მან აუხსნა
ტყვე-ქალის ღმერთის ძალა და
სთხოვა: მხოლოდ ის იცან ღმერ-

¹ ἐκείνη A. ² δορυάλωτος Lv.
³ προσεκόμισεν DLF, ἐκόμισεν V.
⁴ παρηγγυα L, παρηγγυάτο Synax.

αὐτῶ κατασκευάσαι¹ καὶ ἔβαν εἰς τὴν τοῦτου² θεραπείαν μεταθεῖναι τὸ ἔθνος. Ὁ δὲ τὸ μὲν εἰς τὴν δμόζυγα θαῦμα γεγενημένον³ εὐφήμει, τὸν δὲ νεῶν οὐκ ἤθελε δείμασθαι⁴.

Ὀλίγου δὲ διελθόντος χρόνου αὐτὸς μὲν εἰς θήραν ἐξῆλθεν· ὁ δὲ φιλόνηρος αὐτὸν δεσπότης κατὰ τὸν Παῦλον ἐθήρευσε. Ζόφος γὰρ αὐτῶ ἐξαπίνης προσπεσὼν οὐκ εἶα περαιτέρω⁵ πρόβαίνειν. Καὶ οἱ μὲν συνθηρέοντες⁶ τῆς ἀκτίνος συγῆθως ἀπήλαυον⁷, οὗτος δὲ μόνος ἀποληφθεῖς⁸ τοῖς τῆς ἀρασιᾶς ἐπεδέθη δεσμοῖς. Ἐν ἀπορίᾳ δὲ ὧν πόρον εὔρε τῆς σωτηρίας· εὐθὺς γὰρ εἰς νοῦν τὴν ἀπειθειαν λαβῶν καὶ τὸν τῆς αἰχμαλῶτου θεῶν καλέσας ἐπίκουρον, ἀπηλλάγη τοῦ ζόφου καὶ ἀξιάγαστον ἐκείνην καταλαβῶν δορυάλωτον⁹, παρεκάλει δεῖξαι τῆς οἰκοδομίας τὸ σχῆμα. Ὁ δὲ τὸν Βεσελεὴλ τῆς ἀρχιτεκτονικῆς σοφίας¹⁰ ἐμπλήσας καὶ ταύτην ἠξίωσε χάριτος ὥστε τὸν θεῖον διαγράψαι νεῶν. Καὶ ἡ μὲν διέγραψεν, οἱ δὲ ἄρυττον τε καὶ ἠκοδόμουν.

თად, აუგე მას ტაძარი და მთელი ერიც მის მსახურებაში მოაქციეო. მეფემ ქება შეასხა მისი მეუღლის მიმართ მომხდარ საკვირველებას, მაგრამ ტაძრის აშენება კი არ ინდომა.

ცოტა ხნის შემდეგ მეფე გავიდა სანადიროდ. ხოლო კაცთმოყვარე უფალმა ინადირა მასზე მსგავსად პავლესი. უცხად ჩამოწვა ბურუსი, რომელიც სამუალებას არ აძლევდა მას ნაბიჯი წაედგა. სხვა მონადირენი სარგებლობდნენ მზის შუქით ჩვეულებისამებრ. ერთი მეფე იყო მხოლოდ შეპყრობილი უხედელოების ბორკილებით. ამ გაჭირებაში რომ იყო, იპოვა გამოსავალი; მაშინვე გაახსენდა მას თავისი ურჩობა და ტყვე-ქალის ღმერთს უხმო საშველად; [და კიდევაც] იხსნა თავი ბურუსისაგან, მივიდა იმ ღირს-საკვირველ ტყვე-ქალთან და სთხოვა: მიჩვენე იმ შენობის სახეო. ვინც ბესელეილი ხუროთმოძღვრულ სიბრძნით აღავსო, იმან ეს ქალიც ღირს-ყო მაღლი მიენიჭებინა, რომ აღეწერა ღვთის ტაძრის [სახე]. იმან აღწერა, ხოლო [ოსტატები] თხრიდნენ და აშენებდნენ.

¹ παρασκευάσαι A. ² τοῦτου nsz Synax., αὐτοῦ A.

³ ~ γεγενημένον θαῦμα nS. ⁴ δήμασθαι A. ⁵ πορρωτέρω ns.

⁶ θηρέοντες nL, οἱ μὲν σὺν αὐτῶ θηρέοντες Synax.

⁷ ἀπέλαυον v.

⁸ ἀποληφθεῖς AnsV, ἀπολειφθεῖς DLF, ὑπολειφθεῖς Synax.

⁹ δορυάλωτον LV. ¹⁰ ἀρχιτεκτονίας σοφίας S, ἀρχιτεκτονία σοφίας G.

Ἐπειδὴ δὲ ἐτελέσθη τὸ οἰκο-
 δόμημα καὶ ὁ ὄροφος ἐπετέθη καὶ
 μόνων ἐδείτο τῶν ἱερέων, εὐρε
 καὶ τοῦτου πόρον ἢ θαυμασίᾳ¹
 γυνή. Ἐπεισε γὰρ τὸν τοῦ ἔθ-
 νους² ἡγούμενον πρὸς τὸν Ῥω-
 μαίων πρεσβύτασθαι βασιλέα καὶ
 αἰτήσασθαι³ πεμφθῆναι σφίσι
 διδάσκαλον εὐσεβείας. Ὁ μὲν οὖν
 δεξάμενος τὴν εἰσήγησιν τοὺς πρεσ-
 βυσομένους⁴ ἐξέπεμψεν. Ὁ δὲ
 βασιλεύς, τῆς αἰτήσεως τὴν αἰτίαν
 μαθὼν (Κωνσταντίνος δὲ ἦν ὁ
 τῆς εὐσεβείας θερμότητος ἐρασ-
 τής), φιλοφροσύνης μὲν παμπόλ-
 λης⁵ τοὺς πρέσβεις ἡξίωσεν, ἀνδρα
 δὲ πίστει καὶ συνέσει καὶ βίῳ
 κοσμούμενον καὶ τῆς ἀρχιερωσύν-
 νης ἡξιώμαίον κήρυκα τῷ ἔθνει
 τῆς θεογνωσίας ἐξέπεμψε μετὰ
 δώρων ὅτι μάλιστα πλείστων. Ταύ-
 τής μὲν οὖν τῆς προμηθείας τοὺς
 ἡτηχότας⁶ ἡξίωσε (ed. Parmen-
 tier, 74, 17—76, 13).

როდესაც შენობა დამთავრდა და გადაიხურა კიდეც, და მხოლოდ-ღა მღვდლები აკლდა, საკვირველმა ქალმა ამის გამოსავალიც იპოვა: მან ურჩია ერის მთავარს რომაელთა მეფესთან ელჩები გაეგზავნა და ეთხოვა მისთვის გამოეგზავნა მათთვის (ე. ი. იბერიელთათვის) კეთილმორწმუნეობის მოძღვარი. [მეფემაც] მიიღო ეს რჩევა და ელჩები გაგზავნა. ხოლო მეფემ თხოვნის მიზეზი რომ შეიტყო [ეს იყო კონსტანტინე, კეთილმორწმუნეობის უმხურვალესი მოყვარული], მოციქულებს მიუზღო უდიდესი კეთილგანწყობილება და ღვთის შეცნობის მქადაგებლად გაუგზავნა ამ ერს (ე. ი. იბერიელებს) კაცი, შემკული როგორც მორწმუნეობით და გონიერებით ისე პატიოსანი ცხოვრებით, და მღვდელმთავრობის პატივის მქონე, და დიდძალი

საჩუქრებიც გაატანა. აი, ასეთი გულისხმიერებით დააკმაყოფილა მან მთხოვნელები*.

¹ θαυμασῆ LV. ² ~ τοῦ ἔθνους τὸν η.
³ αἰτήσαι A. ⁴ πρεσβυτέρους G, πρέσβεις S.
⁵ παμπόλλου A. ⁶ ἡκότας G, εἰκότας S.

* აქვე ვურთავთ ევრემ-მცირისეულ ტექსტს „ქართველთა მოქცევის შესახებ“. იგი გამოცემულია სამჯერ: 1) ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა (თბ. 1891), გვ. XXXVIII–LVII, 2) თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები I (თბ. 1892), გვ. 33 და შმდდ.; 3) თ. ბ რ ე გ ა მ ე, უწყებაჲ მიზეზსა... (თბ. 1959).

ქვემოთ ტექსტი მოგვყავს A 24 ხელნაწერის მიხედვით, სადაც ის 145–147 გვერდებზეა.

უწყება

მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიკსენების

სულიერსა მამასა ჩუენსა და პატიოსანსა ეკლესიარხსა ჩუენ ქართველთასა, მღდელსა უფლისასა იოანეს კვრიკესსა, ყოვლად მცირე და უღირსი სახისა და სახელისაჲ ეფრემ მონაზონი თაყუანისცემით მოგიკითხავ.

ვინაჲთგან მადლითა ღმრთისაჲთა სრულ იქმნა გულსმოდგინებაჲ შენი წიგნისა ამისთვის სადღესასწაულოჲსა, რომელი შენ იწროებასა შინა ჟამთასა უხუებით განვრცომითა გონებისაჲთა მოუგე საზოგადოსა მაგას ნიჭსა ნათესავისა ჩუენისასა, ეკლესიასა წმიდისა სჯემონ საკვრველთ მოქმედისასა, რომელი ვითარცა საწყაული კეთილი და განმყოფელი იფქლისა ცხოვრებისაჲ ჭეშმარიტებით წმიდად მოდად სახელდებულ არს.

ჯერ-იყო ამასცა ზედა ჩემგან სრულყოფად ბრძანებაჲ შენი, რათა წერით დაიდვას მას შინა მოსაკსენებელი ოდეს მოქცევისა ჩუენისაჲ და თუ რომელთა წიგნთა შინა ბერძენთასა კსენებულ არს იგი, უკმდეს თუ ვისმე გამომეძიებელთაგანსა ცნობად.

საცნაურ იყავნ, ვითარმედ მიერვე ქადაგებითგან წმიდათა მოციქულთაჲთ, რაჟამს წინასწარმეტყუელებისაებრ დავითისსა ყოველსა ქუეყანასა განკდა ჳმა მათი და კიდეთა სოფლისათა სიტყუანი მათნი, ერთად კიდეთა ამათგანად ითქუმის ჩუენთვსცა მიმოსლვასა შინა წმიდათა მოციქულთასა ანდრია პირველწოდებულისა მიერ ქადაგებაჲ შორის ავაზგიაჲსა, რომელ არს აფხაზეთი. და მიერ წარვლად ოსეთად, და კუალად ბართლომეს მიერ მიმოვლად ჩრდილოეთისაჲ, რომელ არს ქართლი.

გარნა ამათ წმიდათა სამოციქულონი მოძღურებისა თესლთა ანეულნი მრავალჟამ დაიპყრნა ღუარძლმან მეკერპეთამან არა ხოლო ჩუენ შორის, არამედ თვთ მათ ბერძენთაცა შორის ვიდრე ჟამთადმდე მეორედ პავლედ ზეცით წოდებულისა დიდისა კოსტანტინესთა. ამის კეთილად მსახურისა მეფისა ჟამთა ღმერთმან, რომელმან დიდთა და მრავალთესლთა ტომთათვს იზრუნა, არცა ჩუენ მცირენი დაგვტევა ულუაწად, არამედ ესრეთ განაგო კუალად აღმოწოდებაჲ ჩუენი.

**ვითარცა მოიწესნებს თ ე ო დ ო რ ი ტ ე «საეკლესიოძსა მოთხრობისა»
წიგნსა შინა თვსსა ოცდამეოთხესა თავსა და
იტყვს ესრეთ:**

«ჰინდოთა უკუე ფრუმენტოს მომყვანებელ ექმნა ღმრთის-
მეცნიერებად. ხოლო ქართველთა მათვე ჟამთა შინა დედაკაცი
ვინმე ტყუე-ქმნული ¹ ჭემმარიტებისა მიმართ წინამძღუარ ექმნა,
რომელი-იგი სამარადისოძსა ლოცვისადა შემჭუალულ იყო, და
ლბილ სარეცელ თვსსა აქუნდა ძამაჲ დარეცილ იატაკსა ზედა
მიწისასა. ხოლო უმეტეს ყოველთა შუებათასა ² შეიტკობოდა მარ-
ხვასა, ვინათცა ამათ შრომათა მიანიჭეს მას მადლი მოციქულო-
ბისაჲ.

«ხოლო ვინადთგან ნათესავენი იგი არა რასა მეცნიერ იყვნეს
ჯელოვნებასა მკურნალობისასა, ამისთვის მიმოვიდოდინ ხილვად
სნეულთა და თვსთა მათ უძლურთა ხილვისაგან და სნეულე-
ბათა მათთა კურნებისა გამოცდილებით ისწავებდეს სახესა კურ-
ნებისასა.

«იყო ვინმე დედაკაცი, რომლისა ძე სნეულ იყო, და მის ძლით
მივიდა იგი დედაკაცსა მას თანა ღირსსა ქებისასა. და იკითხვიდა
მისგან, თუ რაჲ უღირს ყოფად მისსა. ხოლო ღირსმან მან მიი-
ყვანა ყრმა იგი უძლური და მიაწვინა თვსსა მას ზედა ცხედარსა
მოღუაწებისასა, და ევედრებოდა შემოქმედსა ყოველთასა მოხილ-
ვად მისსა და ჯსნად უძლურებისაგან. ხოლო უფალმან ვედრებაჲ
მისი მიითულა და მიანიჭა უძლურსა ³ მას სიმრთელე.

«ამიერთგან ⁴ საკვრველი იგი დედაკაცი მრავალ განთქუმულ
იქმნა, ვიდრელა არცა თუ მეუღლესა მეფისასა დაეფარა მისთვის.
არამედ მყის მიუწოდა მას, რათა მივიდეს მისსა, რამეთუ იგიცა
ბოროტითა ვნებითა შეპყრობილ იყო. ხოლო ღირსმან მან სიმ-
დაბლისა სიბრძნისა ჯუმევეითა არა მიითულა ვედრებაჲ იგი დედო-
ფლისაჲ. გარნა დედოფალმან, იძულებულმან საქმარებითა საქმი-
საძთა, არა გულად-ილო პატივი დედოფლობისაჲ, არამედ თვთ
მიისწრაფა ტყუე-ქმნულისა ⁵ მის.

«ხოლო მან კუალად იგიცა თვსსავე მას მიაწვინა სიმდაბლისა
სარეცელსა და წამლად უბრძოლელად ⁶ ვნებასა მას ზედა მოიპოვა
ლოცვაჲ. მაშინ დედოფალმან ინება მინიჭებად მისსა სასყიდელსა

¹ ტყუე ქმნული **A.** ² შუებათასა **A.**

³ უძლურსა < ჟ ო რ დ. ⁴ ამიერთგან თ ა ყ ., ამიერ **A.**

⁵ ტყუე ქმნულისა **A.** ⁶ უბრძოლელად **A.**, უბრძოლველად ჟ ო რ დ.

კურნებისასა, რაოდენი რად თვთ ღირს-მოგებისა საგონებელ უჩნდა: ოქროდ და ვეცხლი, შესამოსლები და სამკაული, და ყოველივე რაოდენი რად არს ნიჭი სამეუფომსა პატივის-მოყუარებისად.

«ხოლო საღმრთომან მან დედაკაცმან რქუა ¹ : „ამათგანი არა რად ² მივმს მე, გარნა დიდად სასყიდლად კურნებისა შევრაცხ შენსა შემეცნებასა ღმრთისმსახურებისასა“. და ჰლოცვიდა, რათა საღმრთოდ ტაძარი აღმართოს მაცხოვრებელისა მისისა ქრისტესთვის.

«ესე რად ესმა დედოფალსა, წარვიდა იგი მეფისა და თავისა მიერ თვისისა განაკვრვა მეუღლე თვისი მეყსა შინა განკურნებითა თვისითა. ამისა ³ შემდგომად განუცხადა მას ძლიერებად ღმრთისად, რომელი იმსახურებოდა ტყვსა მისგან და ლოცვიდა ქმარსა თვისსა, რათა იგი მხოლოდ იცნას ღმრთად და აღუშენოს მას ტაძარი სალოცველი. და ესრეთ ამის კურნებისა მიერ იქმნა შეცვალება ქართველთა ნათესავისად. ხოლო მეფე მეუღლესა თვისსა ზედა ქმნილისა მისგან კურნებისა განკვრვებულ იქმნა, გარნა ეგრეთცა არა ინება აღშენებად ტაძრისა საუფლოდსად.

«ამისა ⁴ შემდგომად მცირედნი რად ჟამნი წარვდეს, განვიდა იგი ნადირობად. ხოლო კაცთმოყუარემან მეუფემან მსგავსად პავლესსა მოინადირა იგი. რამეთუ მეყსა შინა ბნელმან რამანმე მოიცვა იგი, და არა უტევებდა მას უშორესად ვინაჲკე ⁵ წარსლვად. ხოლო თანამონადირენი იგი ⁶ მისნი ჩუელებისაებრსა მას ხედვიდეს შარავანდედსა მზისასა, და იგი ოდენ მხოლოდ დაშთომილ იყო შეკრულად საკრველითა ვერმხედველობისადთა. და ესევეითარსა რად უღონობასა შინა იყო, პოვა ღონე ცხოვრებისად. რამეთუ მყის გულისკმა-ყო ბრალი ურწმუნოებისა თვისისად, და ტყუე-ქმნულისა მის დედაკაცისა ღმერთსა ხადა შემწედ [.] * . და ღირსსა ზას საკრველებისასა ტყუესა ⁷ მოუჭდა და ლოცვიდა მას, რათა უჩუენოს მათ სახე აღშენებადისა ტაძრისად. ხოლო რომელმან იგი აღავსო ბესელიელ სიბრძნითა ხუროთ-მოდღურებისადთა, ესეცა მასვე ღირს-ყო მადლსა, ვიდრემდის საღმრთოდ დაუსახა

¹ რქუა] ჰქა A. ² არა რად კონიექტ. არად A.

³ ამისსა A. ⁴ ამისსა A. ⁵ ვინაჲვე (?) ჟორდ.

⁶ იგი] A-ში სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული ამავე ხელით.

⁷ ტყუესა A.

* აქ გადამწერთა შეცდომით გამოტოვებულია წინადადება: ἀπηλλάγη τὸν ζῶπον „და იგი განთავისუფლებულ იქმნა წყვილიადისაგან“.

მათ ტამარი. და იგი დაჰსახდა, ხოლო იგინი აღმოჰკუეთდეს და აშენებდეს.

«ვინაძეთგან უკუე სრულ იქმნა აღშენებად და სართული განემართა, და მხოლოდ მღდელილა სამიებელ იყო. პოვა ამისიკა ღონე საკვრველმან მან დედაკაცმან, და აზრახა მთავარსა ნათესავთასა, რათა მიუვლინოს მოციქული მეფესა ბერძენთასა და ითხოოს მისგან მივლინებად მოძღუარი ღმრთისმსახურებისა. და მან მიიღო რად მცნებად ესე მისგან, მოციქული წარავლინა.

«ხოლო მეფემან ისწავა რად მიზეზი სათხოველისა, რამეთუ კოსტანტინე იყო მკურვალედ ტრფიალი ღმრთისმსახურებისა, რომელმან იგი ფრიადსა პატისსა ღირს ყვნა მივლინებულნი ¹ იგი მისსა. და კაცი ვინმე სარწმუნოებითა და ცხოვრებითა და გულისკმის-ყოფითა შემკობილი, ღირს-ქმნული მღდელ-მთავრობისა, ქადაგად მიუვლინა ნათესავთა მათ, უფროდსა ფრიად მრავლითა ნიჭითა».

ამას უკვე თეოდორიტე ესოდენ მოიკსენებს. ხოლო სხუათა წერილთა შინა სახელდებით პოვნილ არს სახელი ტყვსა მის ჩუენ ტყუეთა მქსნელისა. რამეთუ ბერძულად « ნ ო ნ ა » უწოდნიან ² წმიდასა მას ³. რომელსა ჩუენ მცირედ შეცვალებითერ « ნ ი ნ ო დ » სახელ-ვსდებთ.

ეგრეთვე სახელიცა მივლინებულისა მის ეპისკოპოსისა ესრეთ პოვნილ არს ⁴, ვითარმედ თვთ ევსტათი იყო ანტიოქელი პატრიაქი, რომელმან დაამყარა ეკლესია იგი მირიანის მიერ მცხეთას აღშენებული და უკურთხა მათ კათალიკოსი ⁵ მთავარ-ეპისკოპოსი, ხოლო მეფემან ქართველთამან და ყოველთა მთავართა მისთა დაუწესეს პატრიაქსა ანტიოქიისასა მოსასყიდელად ნივთთა წმიდისა მიჰრონისათა აგარაკები ათასი კუამლი ქუეყნისაგან ქართველთადას, რადთა ⁶ საფასოდ შემოსავალთა მათთად იყოს ფას ნივთთა მირონისათ ⁷. რამეთუ მათ ჟამთა არა სადა ⁸ წმიდა იქმნებოდა მიჰრონი თვნიერ ანტიოქიას და მიერ განეყოფოდა ყოველთა.

ამიერ იცნობების ჟამი მოქცევისა და ვითარმედ ანტიოქიისა საყდრისა მომდგომ იყენეს და მიერ კვლთდასხმულ იქმნებოდეს ქართლისა კათალიკოზნი.

¹ მივლინებული? ² უწოდენ A. ³ მას) ამას A.

⁴ პოვნილ(ა) არს A. ⁵ კათოლიკოსი A. ⁶ რადთა] რა A.

⁷ მიჰრონისათა A. ⁸ არა სადა + სხგან A.

ხოლო თუ ოდეს იწყეს თვთ ველთ-დასხმად და ვითარმედ არა თვნიერ წესისა და ბრძანებისა, ესე ვპოეთ ხრონოლოგისა შინა ანტიოქიას აღწერილსა, რომელი იტყვს ესრეთ:

«დღეთა კოსტანტინე სკორის მოსახელისათა, ანტიოქიას პატრიაქობასა ნეტარისა თ ე ო ფ ი ლ ა კ ტ ე ს ს ა, მოვიდეს ქართლით მოციქულად მონაზონნი ორნი და მიუთხრეს ნეტარსა თეოფილაკტეს, ვითარმედ დიდსა ჭირსა შინა არიან ქრისტიანენი მკვდრნი ქართველთა სოფლებისანი, რამეთუ დღითგან ანასტასი მდღელმოწამისა ანტიოქელ პატრიაქისა არა კურთხეულ არს მათ-და კათალიკოსი ¹ მთავარეპისკოპოსი სიმნელისაგან ² გზისა, რამეთუ აგარიანთაგან ვერვინ იკადრებს სლვად.

«ხოლო მან ბჭობითა კრებისადთა მთავარეპისკოპოსთა, მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა თვსთა თანა მისცა ქართველთა პროტრეპტიკონი, რომელ არს გაცხნითი, რადთა ³ თვთ მათისა საზღვრისა ეპისკოპოსთაგან ველნი დაესხმოდინ ჟამად-ჟამადსა კათალიკოსსა ⁴ ქართლისასა, რომელიცა საღმრთომან მადლმან უჩუენოს მათ და რომელი გამოირჩიონ მოყუასთა მის ეკლესიისათა, თანადგომითა და წამებითა ეპისკოპოსთადათა, წესთაებრ საეკლესიოთა. და შეუქმნა მათ აღწერით მოსავსენებელი თავისა თვისისათვს და მუნ შემოკრებულისა კრებისათვს. და ველთდასხმულ ყო ერთი ორთა მათ მისსა მივლინებულთა მონაზონთაგანი, სახელით იოანე, მის ჟამისა კათალიკოსად ⁵ მათდა.

«და ზემოცხენებულისა მის წილ ათასისა კუამლისა დაუწესეს ⁶ მათ, რადთა ⁷ წლითი-წლად მოსცემდენ ჟამად-ჟამადთა პატრიაქთა ანტიოქიისათა ათასსა დრაჰკანსა, რომელი იგი მიეცემოდა ვიდრე დღეთადმდე იოანე წმიდისა პატრიაქისათა, რამეთუ მან ანიჭა იგი ორესტის წმიდასა პატრიაქსა იერუსალიმისასა, რომელი მივიდოდა მოციქულად ბასილის თანა მეფისა ბერძენთადასა, რადთა ⁸ მისსა საყდარსა მიეცემოდის ქართველთა მიერ.

«და მიერ დღითგან დაეწესა, რადთა ⁹ მოცხენებად ოდენ სახელისად აქუნდეს ქართველთა შორის ანტიოქიელსა პატრიაქსა. და უკეთუ ოდესმე გამოჩნდეს წვალებად, მაშინლა მიავლინებდეს მუნ ექსარხოსსა განხილვად და განმართვად წვალებათა და ცნობათა

¹ კათალიკოსი A. ² სიმნელისათვს A.

³ რა A. ⁴ კათალიკოსსა A.

⁵ კათალიკოსად A. ⁶ დაუწესა A.

⁷ რა A. ⁸ რა A, ⁹ რა A.

სულიერთა, ვითარ იგი ნეტარისა პეტრე პატრიაქისა დღეთა წარავლინა ბასილი ღრამატიკოსი წვალებისათჳს აკაკთადასა».

აქა დაგვძმთა სამიებელი მრავალთაჲ, თუ ოდეს მიიღეს ქართველთა კურთხევაჲ მიჰრონისაჲ, და ამისდა ცნობად მრავალჴამ ვდროებდ აღწერად ბრძანებულსა ჩემდა შენ მიერ მოსაჯსენებელსა ამას. და ესოდენ ვპოე საზოგადოდ ყოველთათჳს, ვითარმედ ქალკიდონისა კრებასა ესმა, რომელ სიძჳრისათჳს ფასით ჰყიდდეს მიჰრონსა. ამისთჳს ბრძანეს წმიდათა მამათა, რადთა ¹ არა ხოლო ანტიოქიას, არამედ სხუათაჲცა ეკლესიათა შინა წმიდა იქმნებოდეს მიჰრონი.

ხოლო თჳსაგან ქართველთა ² საგონებელ არს, ვითარმედ სიშორისათჳს გზისა და რომელ ფრიად საშიშ არს უცხოთესლთა შორის ჳმელით ანტიოქიით ქართლს წაღებაჲ ³ წმიდისა მიჰრონისაჲ, ამისთჳს თჳთ ადგილსა დაწესებულ არს მათდა კურთხევაჲ მიჰრონისაჲ.

ხოლო აფხაზთათჳს ევაგრე ეპიფანესი «საეკლესიოსა მოთხოზასა» შინა თჳსსა აღწერს ⁴ ოცდამეორესა თავსა შინა და იტყჳს ესრეთ:

«მათვე ჴამთა შინა ისტჳნიანეს მეფობისათა აფხაზნიცა შეიცვალნეს უმჯობესად და ქრისტიანობისაჲ შეიწყნარეს ქადაგებაჲ. რამეთუ პალატსა შინა იუსტინიანე მეფისასა იყო ვინმე საჴურისი, აფხაზი ნათესავით და ევფრატა სახელისდებით, რომელი წარვილინა მეფისა მიერ ქადაგებად მათდა და აღთჴუმად ⁵, ვითარმედ ამიერიტგან არცა ერთიღა ვინ ნათესავისა მათისაგანი განჴუებულ ⁶ იქმნეს მამაკაცობისაგან რკინისა მიერ იძულებითა ბუნებისაჲთა, რამეთუ მრავალნი იყვნეს მათგანნი მსახურ სამეუფოდასა საწოლისა, რომელთაჲ საჴურის იცის წოდებაჲ ჩუეულებამან ⁷. ვინაჲცა იუსტინიანე ტაძარი წმიდისა ღმრთისმშობლისაჲ აღაშენა აფხაზეთსა შინა და მღდელნი დაადგინნა მას შინა, რათა უგანცხადებულესად ასწავებდენ შჴულსა ქრისტიანობისასა».

ესე მცირედნი სიტყუანი ვითარცა თესლის მკრებელმან მიმოგანთესულნი წმიდათა წერილთაგან ერთად შემოვკრიბენ ჯერჩინებითა შენითა კაცო ღმრთისაო, რომელმან ეგე უწყი ვითარ მრავალნი მრავალგზის ამათ პირთათჳს გუკითხვიდეს და დაბრ-

¹ რადთა] რა A. ? ქართველთი A.

³ წარღებთი A. % აღწერს A. ⁵ აღთჴმდ A.

⁶ განჴუებულ A. ⁷ ჩუეულებამან A.

კოლდებოდეს ¹ ჩუენთჳს უმეცრებით, ვითარცა თვთ განდგომილთა საყდრისაგან დიდისა პეტრე მოციქულთა თავისა, რომელნი კუალად გულსავსე ყვნა და აღაშენნა ესევითართა თხრობათა პოვნითა ზოგად საფარველმან და თავსაკიდურმან ყოველთა აღშენებისა და დაშენებისამან ქრისტემან, რომლისა მიერ არსმცა და ჰგიეს მარადის საფარველსა ზედა მართლმადიდებლობისა მისისასა ვიდრე მოაქამდე უცვალებელად დაცული ნათესავი ჩუენი, რომელთა წილ კეთილ ხუდეს რჩეულთა შორის საწამებელად მართლმადიდებლობასა შინა განთქმულებისა წმიდანი ტაძარნი წმიდათა შინა ადგილთა, ადგილი თხემისაჲ და ქუაბი ბეთლემისაჲ, ქუაბითურთ საბა-წმიდისაჲთ და თორნით სკმონ-წმიდისაჲთ. იყვნედ ესენი მათდა კიბე და წინდ საუკუნოჲსა ზეცისა სავანეთა მკვდრობისა მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისაჲთა, და ლოცვითა და ვედრებითა უცხოთ შემწყნარებელისა მაგის, და მსგავსად ღმრთისა უძლურებათა ჩუენთა მტვრთველისა წმიდისა სკმონ საკვრველთ-მოქმედისა და ღირსისა დედისა მისისა მართაჲსითა, რომელთა ოხაჲ და ფარვაჲ შენ და ყოველთა, რომელნი მსახურებენ და უმსახურებია წმიდისა მაგის ეკლესიისაჲდა, და სიტყვთ გინა საქმით მოღუაწე ექმნეს მოგებასა ამის წმიდისა ადგილისასა. ხოლო მე ლოცვითა თქუენითა მოტევებაჲ და ჳსნაჲ პატიჳისაგან ურიცხუთა ბრალთა ჩემთაჲსა. დიდებაჲ და პატივი, თაყუანისცემაჲ და მაღლი დასაბამსა და სრულმყოფელსა ყოვლისა კეთილისასა მამასა და ძესა და წმიდასა სულსა დაუსრულებელთა საუკუნეთა უკუნისამდე ამენ*.

¹ დაჰბრკოლდებოდეს A.

* ამას მოსდევს მინაწერი: «სრულ იქმნა ესეცა ქართველთა ოდეს მოქცევისა მოსაჳსენებელი თვთ ღირსისა ეგრემის ნუსხისაგან».

(შემდეგ სხვა ხასიათის მინაწერია)

ამიერ დასცხრა აკადემიაჲ

ამიერ დადუმნა სტოვაჲ

ამის მიერ უქმ არს პერიპატოდ

ამის მიერ მძრწოლარე არს ლუკიონ.

ამის მიერ დათრგუნვილ არს ათინაჲ.

ესე იგი არს ქ^ეს გამოჩინებითა.

ესე ყოველნი სახელნი არიან ადგილთანი, რომელთა შინა იყვნეს სასწა-

A-24-ის გვ. 145b, არშიაზე (ტექსტის ეპოქის ხელით) სწერია:

უწყოდი რ̄ ამის | საკითხავისა | მიზეზი ი̄ე და | ი̄ე რაჲ
გესმეს | მთავარადს | ძე რ̄ ნტრისა | ეფრემის თარგმნობისა |
| ჟამთა შავსა მთასა დახუდა და ესრე შეუდგა | თ̄რგმნობი
სა|თ̄ს რ̄ლ თნ̄რ | მცირედთა წიგნ|თაჲსა ყ̄ნივე | მან ათარგ-
მ|ნინა მისითა სა|კმართა და წა|რსაგებელითა | ვ̄ა ყ̄თა სა-
კი|თხ̄ვთა ბოლ|ოსა თვთ აღ|იარებს სანა|ტრელი ევ̄მ | ხ̄ მე
ესე სადღეს“~სწ ულომსგან | გარდავწერე (შდრ.. თ. ჟორდანია,
ქრ. I, 33 შენ.).

ქვემოთ კიდევ არის 11 სტრიქონი, მაგრამ ცუდად იკითხება.

მოსოხი. თობელი

(Isaias 66, 19: και ἐξαπο-
στελῶ ἐξ αὐτῶν σεσφσμένους εἰς
τὰ ἔθνη, εἰς Θαρσίς και Φουσδ
και Δουδ και Μοσοχ και Θοβελ
και εἰς τὴν Ἑλλάδα).

(ესაია 66, 19: და განვავლინე
მათგან ცხოვნებულნი წარმართ-
თა მიმართ, თარშიდ და ფუდდ
და ლუდდ და მოსოხდ და თო-
ველთ და ელადად მიმართ).

თეოდორიტეს განმარტება

Τοῖς ἱεροῖς ἀποστόλοις ὁ
Κύριος ἔφη· «Πορευθέντες μαθη-
τεύσατε πάντα τὰ ἔθνη». Ἐπ̄
ἐκείνων ἡ προκειμένη προφητεία
τὸ πέρας ἐδέξατο. Ἐκεῖνοι γὰρ
ἅπανσι τοῖς ἔθνεσι τὸ θεῖον προσ-
ήνεγκαν κήρυγμα. Θαρσίς δὲ κα-
λεῖ τὴν Καρχηδόνα, τὴν τῆς Λι-
βύης μητρόπολιν· και Φουσδ αὐ-
τὸ ἅπαν τῶν Λυκίων ἔθνος· Δουδ

წმინდა მოციქულებს უთხრა
უფალმა: „წადით და დამოძღ-
ვრეთ ყველა ტომი“, მათზე ას-
რულდა წინამდებარე წინასწარ-
მეტყველება. იმათ ყველა ტომს
მოუტანეს ღვთაებრივი ქადა-
გება. თარსისს უწოდებს ის კარ-
ქედონს, ლიბიის დედაქალაქს;
ფუდ – ლიკიელთა მთელ ტომს;
ლუდ – ლიდიელებს; მოსოხ –

ულნი (ალბათ: ს ა ს წ ა ვ ლ ო ნ ი) საწარმართოჲსა სიბრძნისანი და მათ შორის
საკერპონი, რომელთა უზორვიდეს მოსწავლენი იგი სიბრძნისანი.

(შემდეგ წითლით)

ლოცვა ყავთ ეფრემ მცირისათჳს, რომლისა მიერ თარგმნილ არს წიგნი ესე
სულთა სარგებელი ცხოვრებითურთ იოანე დამასკელისაჲთ, რომლისა ლოცვითა
გვკსნენინ ღმერთმან ტყუეობისაგან სულიერისა ა~ნ.

δὲ Λυδοῦς· καὶ Μοσῶχ Καππα-
δόχας καὶ Θωβὲλ Ἰβηρας (In

კაპადოკიელებს და თობელ –
იბერებს ¹.

ასეთსავე განმარტებებს ურთავს თეოდორიტე იეზეკიელის
ტექსტსაც:

(Ezechielis 32, 26: ἐκεῖ ἐδό-
θησαν Μοσοχ καὶ Θωβελ καὶ πᾶσα
ἡ ἰσχύς αὐτῶν περικύκλω τοῦ
μνήματος αὐτοῦ, πάντες τραυμα-
τίαι αὐτοῦ...).

(ეზიკიელი 32, 26: მუნ მიეც-
ნეს მოსოქ და თობელ და ყო-
ველი ძალი თითოეულისა
მათისა
საფლავისა მისისა გარემოსთა-
განისა, ყოველნი წყლულნი მათ-
ნი...).

თეოდორიტეს განმარტება

Θωβὲλ δὲ καλοῦνται οἱ
Ἰβηρες, Μοσῶχ δὲ Καππαδόχαι
(In Ezechielis cap. 32: Migne
PG 81, 1137).

თობელ ეწოდებათ იბერებს,
ხოლო მოსოხ – კაპადოკიე-
ლებს.

(Ezechielis 38, 1—11: Καὶ
ἐγένετο λόγος κυρίου πρὸς με λέ-
γων· Ἰδέ ἀνθρώπου, στήρισον τὸ
πρόσωπόν σου ἐπὶ Γωγ καὶ τὴν
γῆν τοῦ Μαγωγ, ἄρχοντα Ρως,
Μοσοχ καὶ Θωβελ, καὶ προφήτευσ-
σον ἐπ’ αὐτόν καὶ ἐπὶ τῶν αὐτῶν·
Τάδε λέγει κύριος κύριος· Ἴδου
εγὼ ἐπὶ σὲ Γωγ ἄρχοντα Ρως,
Μοσοχ καὶ Θωβελ καὶ συνάξω σε
καὶ πᾶσαν τὴν δύναμίν σου.....
Πέρσαι καὶ Αἰθίοπες καὶ Λίβυες,
... Γομερ καὶ πάντες οἱ περὶ αὐ-
τόν, οἶκος τοῦ Θεργαμα..... καὶ
ἐρεῖς· Ἄναβήσομαι ἐπὶ γῆν ἀπερ-
ριμμένην, ἦξω ἐπὶ ἡσυχάζοντας ἐν
ἡσυχίᾳ καὶ οἰκοῦντας ἐπ’ εἰρήνης,
πάντας κατοικοῦντας γῆν...)

და იქმნა სიტყუა უფლისა ჩემ-
დამო მეტყუელი: მეო კაცისაო,
განიმტკიცე პირი შენი გოგსა
ზედა, და ქუეყანასა ზედა მაგოგ-
თასა, მთავარსა როსს, მოსოხს
და თობელსა და წინასწარმეტ-
ყუელებდ მის ზედა და არქუ
მას: ამათ იტყვს უფალი, უფა-
ლი; აჰა მე შენ ზედა გოგ მთა-
ვარსა როსს, მოსოხს და თო-
ბელს... და შეგკრიბო შენ და
ყოველი ძალი შენი... სპარსნი
და ეთიოპელნი და ლვიდნი და
ლიბიელნი... გომერ და ყოველნი
გარემოსნი მისნი, სახლი თერ-
გამოსი... და სთქუა: აღვიდე
ქუეყანად განგდებულად, მივიდე
დაწყენარებულთა ზედა ერთა

¹ ამგვარად, თეოდორიტეს განმარტებით ესაიას წიგნში მოხსენიებული
Μοσῶχ აღნიშნავს „კაპადოკიელებს“, ხოლო Θωβελ უდრის „იბერებს“.

მყუდროებასა შინა და დამკვდრებულთა მშვდობით ყოველთა,
დამკვდრებულთა ქუეყანასა...

თეოდორიტეს განმარტება

Γὼν καὶ Μαγὼν Σκυθικὰ
ἔθνη· Μοσὸν δὲ Καππαδόχειας
εἶναί φασιν, καὶ Θοβὲλ Ἰβηρας·
τὸ δὲ Ῥὼς ἢ Ἑβραίων φωνὴ
κεφαλὴν ἡρμήνευσε, καὶ ὁ Ἀκύ-
λας δὲ κεφαλὴν Μοσὸν τὸ Ῥὼς
ἡρμήνευσεν (In Ezechielis 38,
1—2: Migne PG 81, 1200).

Γομέρ καὶ πάντες... Τοὺς
Γαλάτας οὕτω καλεῖ. Οἶκος τοῦ
Θοργαμά (v. 1. Θοργαμά.
Φρύγας τοὺτους εἶναί φησιν (იქვე
PG 81, 1201).

Ἐνθυμείσθω δὲ ὡς καὶ ἐν
τοῖς ἡμετέροις χρόνοις πᾶσαν τὴν
Ἑὼ τοῦτο τὸ ἔθνος κατέλαβεν,
καὶ πλείστον πληθὸς ἐξανδραπο-
δίσαν ἀπήλθε· Φρύγας δὲ καὶ
Γάλατας, Ἰβηράς¹ τε καὶ Πέρ-
σας, καὶ Ἀθίοπας, οὐχ ὡς ἴπα-
κούνοντας ἀπὸ λέγει συστρατεύ-
εσθαι, ἀλλ' ὡς διαφόρως ἀναμι-
γέντας ἀπὸ, καὶ τοὺς μὲν αὐτο-
μαλήσαντας καὶ ἕκοντι στρατευ-
σαμένους, τοὺς δὲ δορυαλώτους
γενομένους, καὶ συμπολεμεῖν ἀναγ-
καζομένους (იქვე PG 81, 1204).

გოგ და მაგოგ სკვითური ტო-
მებია: ხოლო მოსოხ, ამბობენ,
კაპადოკიელები არიანო, თო-
ბელკი – იბერებიო. როს კი-
დევ ებრაელების ენაზე თავს ნიშ-
ნავს; აკვილამაც როს განმარტა
როგორც მოსოხის თავიო.

გომერ და ყოველნი.. ასე
უწოდებს ის გალატელებს. სახ-
ლი თორგამასა (ვარიანტი:
თორგამასი). ის ამბობს,
რომ ესენი ფრიგიელები არიანო.

საჭიროა გავიხსენოთ, რომ
ჩვენს დროშიც მთელი აღმოსავ-
ლეთი დაიპყრო ამ [სკვითთა]
ტომმა, დაიმორჩილა აუარებელი
ხალხი და წავიდა. ფრიგიელები
და გალატელები, იბერები¹
და სპარსელები და ეთიოპელე-
ბი, ამბობს [წინასწარმეტყველი],
სკვითებთან ერთად ლაშქრობ-
დნენ არა როგორც მათი ქვეშე-
ვრდომნი, არამედ შეუერთდნენ
მათ (სკვითებს) სხვადასხვა მიზე-
ზით: ერთნი მიემხრნენ მათ და
ნებაყოფლობით ილაშქრეს, სხვე-

¹ თეოდორიტე აქ განმარტებას ურთავს ეზეკიელის იმ მუხლს, სადაც მოხსენებული არიან „სპარსნი და ეთიოპელნი და ლიბიელნი“, „გომერ“ (ანუ გალატელნი), „სახლი თორგამასი“ (ანუ ფრიგიელნი). „იბერები“ ჩამატებულია თეოდორიტეს მიერ, რომელიც, საფიქრებელია, ამ შემთხვევაში ემყარებოდა თავისსავე ინტერპრეტაციას (თობელ-იბერები), ან იქნებ „სახლი თორგამასი“ ჰგულისხმობდა „თარგამოსის სახლს“, რომელსაც, რასაკვირველია, იბერებიც ეკუთვნოდნენ.

ბი კიდევ ტყვედ იქმნენ წასხმულნი და იძულებული გახადეს მონაწილეობა მიეღოთ ომში.

იოანე ოქროპირის გადასახლება ბიჭვინთაში

V, 34. Καὶ συνόδου συγχρο-
τηθείσης ἑτέρας, οὐκ ἐδείχθησαν
δίχης οἱ δυσμενεῖς, ἀλλὰ τὸν βασι-
λέα πείσαντες ἔγνωμον καὶ δικαί-
αν εἶναι τὴν ψῆφον οὐ μόνον τῆς
πόλεως ἐκείνης ἐξήλασαν, ἀλλὰ
καὶ εἰς τινὰ πολίχην σμικρὰν τε
καὶ ἔρημον τῆς Ἀρμενίας ἐξεπεμ-
ψαν· Κουκουσὸς δὲ ὄνομα ταύτη.
Κἀκεῖθεν δὲ ἐξαγαχόντες εἰς
Πιτυούντα μετέκτισαν· τέρμα δὲ
τοῦτο καὶ τοῦ Πόντου καὶ τῆς
Ῥωμαίων ἡγεμονίας, τοῖς ὠμοτά-
τοις γειτονεῖον βαρβάραις. Ἄλλ’
ὁ φιλάνθρωπος οὐκ εἶασε δεσπότης
εἰς ἐκεῖνο τὸ νησίδιον¹ ἀπαχ-
θῆναι τὸν καλλίνικον ἀθλητὴν·
εἰς γὰρ τὰ Κόμανα παραγενόμε-
νον εἰς τὸ ἀγήρω καὶ ἄλυπον
μετέθηκε βίον (Theodoret,
Kirchengeschichte, hrsg. von
L. Parmentier, Lpz. 1911, გვ.
335—336).

მისმა (იოანეს) მტრებმა მოიწვიეს სხვა კრება და მისი გასამართლება კი არ მოითხოვეს, არამედ დაარწმუნეს მეფე განაჩენი კანონიერი და სამართლიანიაო და არა თუ იმ ქალაქიდან (კონსტანტინეპოლიდან) გააძევეს ის, არამედ არმენიის ერთ პატარა და უდაბურ დაბაში გადააგზავნეს: ამ დაბის სახელია კუკუსოს. ხოლო იქიდან წამოიყვანეს და პიტინტიში გადასახლეს: ეს არის უკიდურესი საზღვარი პონტოსი და რომაელთა სამფლობელოსი, უველურესი ბარბაროსების მეზობლად. მაგრამ კაცთმოყვარე უფალმა არ ინება, რომ ეს ძლევამოსილი მოღვაწე იმ პატარა კუნძულზე ყოფილიყო წაყვანილი: კომანაში რომ იყო, [უფალმა] ის გადასახლა სამუდამო და უმწუხარო სამყაროში².

¹ ვარიანტები: *νησίδιον* („პატარა კუნძული“), *συσίδιον* („საკრებულო“), *φρυσίδιον* („ციხე-სიმაგრე“). ამიანე მარცელინე წერს (22, 8, 16: *insulaeque arduae Trapezunta et Pityunta continentes oppida* („და ციცაბო კუნძულები, რომლებზედაც არის მოთავსებული ქალაქები ტრაპეზუნტი და პიტინტი“) იხ. ზემოთ გვ., 113, სადაც *arduae*-ს ნაცვლად არის ვარიანტი *duae* („ორი კუნძული“), ხოლო ამიანეს *Pityunta*, ბიჭვინთა კი არ არის, არამედ ტრაპეზუნტის მხარეში მდებარე ადგილია.

² ეს დეტალი იოანე ოქროპირის ბიოგრაფიისა, მისი გადასახლება ჯერ მცირე არმენიის კუკუსოში და შემდეგ ბიჭვინთაში, საყოველთაოდ ცნობილია. შდრ. თეოფანე ჟამთააღმწერელის „ქრონოგრაფია“ (De Boor 79, 16-21; გეორგიკა IV, 1, გვ. 69).

სვიმეონ მესვეტე და იბერები

Ὁὐ γὰρ μόνον οἱ τὴν καθ' ἡμᾶς οἰκουμένην οἰκοῦντες συρρέουσιν, ἀλλὰ καὶ Ἰσραηλιταὶ καὶ Πέρσαι καὶ Ἀρμένιοι οἱ τούτων ὑποχείριοι, καὶ Ἰβηρὲς καὶ Ὀμηρίται καὶ οἱ ἐκείνων ἐνδότεροι.

Ὡσπερ γὰρ ἐπὶ τινος λυχνίας τεθείς ὁ φανώτατος οὗτος λύχνος ἡλίου δίκην πάντοσε τὰς ἀκτῖνας ἐξέπεμψε· καὶ ἔστιν ἰδεῖν καὶ Ἰβηρας, ὡς ἔφη, καὶ Ἀρμενίους, καὶ Πέρσας ἀφικνουμένους καὶ τοῦ θείου βαπτίσματος ἀπολαύοντας („ფილოთეონ ისტორია“: Migne PG 82, 1476; SC I, 780).

არა მარტო მსოფლიოს ჩვენი კუთხის მცხოვრებნი აწყდებიან მას (სვიმეონს), არამედ ისმაიტელნიც, სპარსნიც და მათი ქვეშევრდომი არმენიელებიც, აგრეთვე იბერიც და ჰომერიტნიც და მათ გადაღმა მცხოვრებნიც.

თითქოს რაღაც სასანთლეზე დადებული, აფრქვევდა ყველგან ეს მბრწყინავი სანთელი, მსგავსად მზისა, თავის სხივებს; შეიძლებოდა გენახა მასთან მოსული იბერიც, როგორც ვთქვი, და არმენიელებიც, და სპარსნიც, რომელნიც [მისგან] ღებულობდნენ ღვთაებრივ ნათლვას¹.

¹ ეს ორი ნაწყვეტი ამოღებულია თეოდორიტე კვირელის იმ შრომიდან, რომელსაც სრულ სათაურად ძველ ქართულ თარგმანში აწერია: „ნეტარისა თეოდორიტე ეპისკოპოსისა კვროს ქალაქისაჲ ღთისმოყუარებითი თხრობაჲ გინათუ მოღუაწეთა მოქალაქობაჲ“, ხოლო შემოკლებით ეწოდება „ფილოთეონ ისტორია“ ანუ „თეოფილონ ისტორია“. იგი შეიცავს, თხრობას სხვადასხვა ცნობილ მოღვაწეთა ცხოვრებისა და თავგადასავლის შესახებ. ქართულად ეს შრომა თარგმნილია ეფრემ მცირის მიერ და ჩვენამდე მოღწეულია XII საუკუნის ნუსხით (ხელნაწერი A-689). იმ თავს, სადაც ზემოთმოყვანილი ადგილებია, სათაურად აქვს: „სვიმეონისთვს“, და ეს ადგილები ასე იკითხება:

ა) «რამეთუ არა ხოლო ჩუენთა ამათ სოფლებთაგანნი ოდენ მორბიოდეს, არამედ ისმაიტელნი და სპარსნი, და მათნი იგი სამთავრონი სომეხნი, ქართველნი, და უმირიტელნი, და რაოდენნი ვინ არიან უშინაგანეს მათსა» (ხელნაწერი A-689, გვ. 260 [257]).

ბ) «რამეთუ მრავალბევრობაჲ იგი [ი]სმაიტელთაჲ დამონებული საცთურსა უკეთურებისასა ამისმან სუეტსა ზედა დგომამან განანათლა. რაჟამს ვითარცა, სანთელმან სასანთლესა რასმე ზედა დადგმულმან მრავალსაჩინომან მსგავსად მზისა ყოვლით-კერძო განუტევა შარავანდედნი, და მიერთაგან იხილვებიან, ვითარ იგი პირველ ვთქუ, ქართველნი და სომეხნი და სპარსნი მომავალად მისსა და მიმღებელად წმიდისა ნათლისღებისა» (ხელნაწერი – A 689, გვ. 261, [258]).

ხელოსანი იბერები

Καὶ τέχνης μὲν ἐκάστης
 δρεπόμενοι τοὺς καρποὺς τὰς τῶν
 τεχνιτῶν οὐ περιεργάζονται γλώτ-
 τας· οὐδὲ γὰρ Ἀττικοὺς εἶναι τοὺς
 σκυτοτόμους ἀπαιτοῦσιν, ἢ τοὺς
 χαλκέας, ἢ τοὺς τέκτονας, ἢ τοὺς
2) ჩვენს ყურადღებას იპყრობს პრისკე პანიონელის (ცნობებში აგრეთვე ფრაგმენტი 34. ამ ფრაგმენტში ნათქვამია შემდეგი: გუბაზ მეფე კონსტანტინეპოლში ჩავიდა თანახმად მეფის მიწვევისა; მას სპარსული ტანსაცმელი ეცვა. კარისკაცებმა მიღებისთანავე ჯერ გაკიცხეს იგი რომაელთა წინააღმდეგ ამბოხებისათვის, ხოლო შემდეგ კეთილგანწყობილად მოეპყრნენ და ისე გაისტუმრეს უკან. გუბაზმა – ნათქვამია ამ ფრაგმენტში – მოხიბლა ისინი თავისი სიტყვა-პასუხით და საქრისტიანო ნიშნების ტარებით.

ამ ნაწყვეტში ჩვენს ყურადღებას იპყრობს უკანასკნელი განმარტება: საქრისტიანო ნიშნების ტარებით. ამ სიტყვებს ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ იმიტომ, რომ ჩვენს ლიტერატურაში და სახელმძღვანელოებში ყოველთვის აღინიშნება, რომ დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობა, როგორც ოფიციალური სარწმუნოება, მე-6 საუკუნეში დადგინდა, როდესაც წათე მეფემ კონსტანტინეპოლში ქრისტიანობა მიიღო (523 წელს) და იქაური ქრისტიანი ქალი ცოლად შეირთო და დაბრუნდა საქართველოში.

ჩვენ წინათაც გვითქვამს და წერილობითაც გამოგვითქვამს აზრი იმის შესახებ, რომ ქრისტიანობა, როგორც ძლიერი ორგანიზაცია, უკვე მე-4 საუკუნეში არსებობდა დასავლეთ საქართველოში... ეს ორგანიზაცია იმდენად ძლიერი იყო, რომ ნიკეის მსოფლიო პირველ კრებაზე 325 წელს მონაწილეობას ღებულობდა სტრატოფილე ბიჭვინთელი, ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე. როდესაც ჩვენ ეს დებულება წამოვაცენეთ, პასუხად ზოგიერთებისაგან ის მოვისმინეთ, თითქოს სტრატოფილე ბიჭვინთის ბერძენთა წარმომადგენელი იყო, თითქოს შესაძლებელი იყოს, რომ ბიჭვინთაში ისეთი საქრისტიანო ბერძნული საზოგადოება არსებობდეს, რომელიც მაღალი კედლით იყოს შემოზღუდული და დასავლეთ საქართველოს ქართველ ტომებს ქრისტიანობისა არა-

ფერი არ ეცხოს. ამ საკითხში ჩვენი დებულება ურყევად რჩება, სახელდობრ ის, რომ მსოფლიო კრების მონაწილე შეიძლება იყვეს რომელიმე კუთხის მხოლოდ მკვიდრი მცხოვრებლების წარმომადგენელი და არა დროებით დაბინავებული ვაჭრებისა ¹.

ახლა გავსინჯოთ რას გვეუბნება პრისკე პანიონელის თხზულების ზემოყვანილი ფრაგმენტი 34. იქ ნათქვამია, რომ კონსტანტინეპოლის სამეფო კარზე ლაზეთის მეფემ გუბაზმა მოხიბლა მნახველები თავისი სიტყვა-პასუხით და საქრისტიანო ნიშნების ტარებით. ხომ ნიშნავს ეს იმას, რომ მეფე გუბაზი ქრისტიანი ყოფილა. რომ არ ყოფილიყო ქრისტიანი, რატომ აღნიშნავდა ისტორიკოსი, რომ მან მოხიბლა კარისკაცები საქრისტიანო ნიშნების ტარებით. მაშასადამე, ლაზეთის მეფე ყოფილა ქრისტიანი. და არ დაგვავიწყდეს, რომ გუბაზ მეფე მე-5 საუკუნის შუა წლებში მოღვაწეობს და, მაშასადამე, ლაზეთი უკვე ქრისტიანული ქვეყანა ყოფილა.

შესაძლებელია ვინმემ საეჭვოდ მიიჩნიოს ამგვარი დასკვნა პრისკე პანიონელის ცნობის მიხედვით, და საბუთად მოგვიყვანონ ის ცნობა, რომელიც მოიპოვება დანიელ მესვეტის ცხოვრებაში, სადაც ნათქვამია: როდესაც გუბაზი ჩავიდა კონსტანტინეპოლში, აქ მან გაიცნო დანიელ მესვეტე, რომლისგანაც შეიყვარა ქრისტიანობაო. მართლაც, დანიელ მესვეტის ცხოვრებაში ნათქვამია შემდეგი:

«მათ დღეთა შინა მოვიდა ღობაზიანოს, მეფე აფხაზთა, ხილვად ნეტარისა ლეონ მეფისა ბერძენთაჲსა. და წარიყვანა იგი მეფემან და აღვიდა წმიდისა მის თანა. და იხილა რად უცხო იგი ხილვად და მოქალაქობად ანგელოზებრივი, ღობაზიანოზ დავარდა პირსა ზედა თჳსსა და თქუა: გამადლობ შენ, მეუფეო ცათაო, რამეთუ ქუეყანისა მეფისა მიერ დიდთა საკვრველთა ხილვად ღირს მყავ მე მონად შენი, და მაჩუენე რომელი არასადა მენახა ქუეყანასა ზედა... მო-რად-იწია ქუეყანად თჳსად ღობაზიონ, უთხრობდა ყოველთა მადლსა მას წმიდისასა (იგულისხმება დანიელი). და რაჟამს მოციქულნი მისნი აღვიდოდნიან კონსტანტინეპოლედ მეფისა, წიგნი მიუწერის ნეტარსა მასცა და ლოცვასა ითხოვნ მისგან. და ვიდრე აღსრულებამდე არა დასცხრებოდა ამისა ყოფად» ².

¹ ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით იხ. ზემოთ გვ. 6–10 „ნიკეის პირ - ველი მსოფლიო კრების“ მასალებთან დაკავშირებით: იხ. აგრეთვე გვ. 245–246

² იხ. Христианский Восток II, 188.

დანიელ მესვეტის ცხოვრების ამ ტექსტიდან უცნაური იქნებოდა იმ დასკვნის გამოტანა, თითქოს გუბაზ მეფეს წმინდა დანიელის შეხვედრამდე ქრისტიანობისა არა სცოდნოდეს რა. ის, რაც წმიდათა ცხოვრებისათვის ამახასიათებელია, არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ისტორიულ ჭეშმარიტებად. რომ შევადართო ერთმანეთს დანიელ მესვეტის ცხოვრების ცნობა და პრისკე პანიონელის ცნობა, მაშინ გამოდის ისე, რომ გუბაზი რომ სამეფო კარზე მივიდა, მაშინ მისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ, ხოლო მას შემდეგ, რაც დანიელ მესვეტე ნახა, მაშინვე გაიკეთა საქრისტიანო ნიშნები (ჯვარი და სხვ.) და, აი, მაშინ მხოლოდ მოხიბლა მან კარისკაცები. რა თქმა უნდა, ასეთი დასკვნა უმართებულო იქნებოდა.

ამგვარად, პრისკე პანიონელის ცნობა საბოლოოდ ადასტურებს, რომ მე-5 საუკუნის შუა წლებში, როდესაც მეფობდა გუბაზ პირველი, ლაზეთში ქრისტიანობა უკვე სახელმწიფო სარწმუნოება იყო.

3) შემდეგი საკითხი, რომელიც ჩვენს ყურადღებას იპყრობს პრისკე პანიონელის ცნობებში, არის საკითხი ციხე-სიმაგრისა, რომელსაც ეწოდება ი უ რ ო ი პ ა ა ხ ი. პრისკე პანიონელის ამ ცნობას თავის დროზე ყურადღება მიაქცია ივ. ჯავახიშვილმა და თქვა, რომ ეს არის ი ვ რ ი ს გ ა დ მ ო ს ა ვ ა ლ ი, ე. ი. ის ჯარი, რომელიც პრისკე პანიონელის ცნობით ჩრდილოეთიდან შემოვიდა ივერიაში, მოძრაობდა ივრის ხეობით.

ჩვენ თავის დროზე „გიორგიკის“ II ტომში 1934 წელს შევეხეთ ამ ციხე-სიმაგრის საკითხს იოანე ლიდეს თხზულების ტექსტთან დაკავშირებით და მივედით იმ დასკვნამდე, რომ იუროიპაახის სახელწოდებით უნდა იგულისხმებოდეს არა ივრის გადმოსავალი, არამედ დარიალის ხეობა. ამ დასკვნამდე მიგვიყვანა ჩვენ, გარდა იოანე ლიდეს ცნობისა, პრისკე პანიონელის ცნობამაც. ქვემოთ, სადაც „იუროპაახის“ შემცველი ფრაგმენტია მოყვანილი, ჩვენ ხელახლა ვეხებით ამ საკითხს (იხ. გვ. 259, შენიშვნა).

პრისკე პანიონელის „ისტორიის ტექსტიდან ამოკრეფილ მასალას ვაქვეყნებთ დ ი ნ დ ო რ ფ ი ს გამოცემის მიხედვით ((Historici Graeci Minores, edidit Ludovicius Dindorfins, Vol. I, Lipsiae 1870, გვ. 276-352).

გამოყენებული გვაქვს აგრეთვე შემდეგი გამოცემები:

K. M ü l l e r, Fragmenta, Iustoricornm graecorum, t. IV, p. 69-110.

A. Л а т ы ш е в, SC I, 810 – 847.

Г. С. Дестунис, Сказания Приска Панийскаго: Ученые записки второго отделения Академии Наук, кн. VII, вып. 1, СПб, 1861, стр. 1–112.

ლაზთა მეფე გობაზი

ფრგ. 25

Ὅτι τῶν Ῥωμαίων ἐς Κόλχους ἐλθόντων καὶ συμβαλόντων πόλεμον πρὸς Λαζούς, ὁ μὲν Ῥωμαϊκὸς στρατὸς ἐς τὰ σφέτερα ἐπ' ἀνέξευσεν, καὶ οἱ ἀμφὶ τὰ βασιλεία πρὸς τὴν ἑτέραν μάχην παρεσκευάζοντο, βουλευόμενοι πότερον τὴν αὐτὴν ἢ τὴν δι' Ἀρμενίας τῆς Περσῶν χώρας προσοίκου πορευθέντες ὁδὸν τὸν πόλεμον ἐπάξουσι, πρότερον πρεσβεῖα τὸν μόναρχον τῶν Παρθυσίων πείσαντες· κατὰ γὰρ θάλατταν ἀπορος αὐτοῖς πᾶν¹ ἐνομιζέτο τὰς δυσχωρίας παραπλεῖν, ἀλιμένου τῆς Κόλχου τυγχανούσης. Ὁ δὲ Γωβιάζης ἐπρεσβεύετο μὲν καὶ αὐτὸς παρὰ τοὺς Παρθυσίους, ἐπρεσβεύετο δὲ καὶ παρὰ τὸν βασιλεῖα Ῥωμαίων. Καὶ ὁ μὲν τῶν Πάρθων μόναρχος, ὡς πολέμου αὐτῷ συνισταμένου πρὸς Οὐγγους τοὺς Κιδαρίτας καλουμένους, ἀπεσείσατο παρ' αὐτὸν τοὺς Λαζούς καταφεύγοντας (HGM I, 336—337).

მის შემდეგ, როდესაც რომაელები მივიდნენ კოლხიდაში და ომი აწარმოეს **ლაზების** წინააღმდეგ, რომაელთა ჯარი თავის ქვეყანაში გამობრუნდა და კარისკაცები შეუდგნენ ახალი ომისათვის მზადებას; ისინი იმის ბჭობაში იყვნენ, თუ რა გზით ელაშქრათ: იმავე გზით, თუ სპარსეთის მეზობელი ქვეყნის, არმენიის, გზით დაეწყათ ომი და წინდაწინ პართელების მეფე მიემხროთ. ზღვით, მათი აზრით, შეუძლებელი იყო ცურვა ძნელსავლი ადგილების გასწვრივ, რადგან კოლხიდა უნავსადგურო იყო. **გობაზმა** ელჩები გაგზავნა პართელებთანაც და რომაელთა მეფესთანაც. მაგრამ პართელების მეფეს ომი ჰქონდა კიდარიტებად წოდებულ ჰუნებთან და ამიტომ უარი უთხრა მასთან მოსულ ლაზებს.

მეფე გობაზი და მისი შვილი

ფრგ. 26

Ὅτι Γωβιάζης πρεσβεύεται παρὰ Ῥωμαίους. Ῥωμαῖοι δὲ ἀπε-

გობაზმა ელჩები გაგზავნა რომაელებთან. რომაელებმა უპასუხეს

κρίναντο τοῖς παρὰ Γωβάζου στα-
 λεισι πρέσβεισιν ὡς ἀφέξονται τοῦ
 πολέμου, εἰ γε ἢ αὐτὸς Γωβάζης
 ἀπόθιτο τὴν ἀρχὴν ἢ τὸν παῖδα
 τῆς βασιλείας ἀφέλοιτο· οὐ γὰρ
 θέμις τῆς χώρας ἀμφοτέρους ἡγε-
 μονεύειν παρὰ τὸν παλαιὸν θεσ-
 μόν. Ὡστε δὲ θάτερον βασιλεύειν,
 Γωβάζην ἢ τὸν αὐτοῦ παῖδα, τῆς
 Κολχίδος, καὶ τῆδε λυθῆναι τὸν
 πόλεμον Εὐφήμιος ἐσηγήσατο, τὴν
 τοῦ μαγίστρου διέπων ἀρχὴν· ὅς
 ἐπὶ συνέσει καὶ λόγων ἀρετῇ δό-
 ξαν ἔχων Μαρκιανοῦ τοῦ βασι-
 λέως τὴν τῶν πραγμάτων ἔλαχεν
 ἐπιτροπὴν, καὶ πλείστων τῶν εὐ-
 βουλευθέντων ἐκείνῳ καθηγητῆς
 ἐγένετο· ὅς καὶ Πρίσκον τὸν συγ-
 γραφέα τῶν τῆς ἀρχῆς φροντῖδων
 ἐδέξατο κοινωνόν. Τῆς δὲ αἰρέ-
 σεως [τῆς] αὐτῆρ δοθείσης, ὁ Γω-
 βάζης εἴλετο τῆς βασιλείας παρα-
 χωρήσαι τῷ παιδί, αὐτὸς τὰ σύμ-
 βολα ἀποθέμενος τῆς ἀρχῆς. Καὶ
 παρὰ τὸν κρατοῦντα Ῥωμαίων
 τοὺς δεησομένους ἔπεμπεν, ὡς
 ἐνδὲ Κόλχου¹ ἡγεμονεύοντος οὐ-
 κέτι δὲ αὐτὸν χαλεπαίνοντα ἐπὶ
 τὰ ὄπλα χωρεῖν. Βασιλεὺς δὲ δια-
 βάλειν αὐτὸν ἐς τὸν Ῥωμαίων
 ἐκέλευε καὶ τῶν αὐτῆρ δεδογμένων
 διδόναι λόγον· ὅς δὲ τὴν μὲν ἀφι-
 ξιν οὐκ ἠρνήσατο, Διονύσιον δὲ
 τὸν ἐς τὴν Κολχίδα πάλαι δια-
 πεμφθέντα τῆς τε αὐτοῦ Γωβά-
 ζου διαφορᾶς ἕνεκα πίστιν δῶσοντα

გობაზის მოციქულებს, რომ შე-
 წყვეტდნენ ომს, თუ ან თვითონ
 გობაზი გადადგებოდა ტახტი-
 დან, ან შვილს გადააყენებდა
 მეფობიდან: ძველი კანონის თა-
 ნახმად არ არის კანონიერი, რომ
 ორივენი მეფობდეთო; ასე რომ,
 ერთ-ერთი უნდა იყოს კოლხი-
 დის ტახტზე, ან გუბაზი ან მისი
 შვილი, და მაშინ შევწყვეტ
 ომსო – ურჩევდა ევფემიოსი,
 რომელსაც მაგისტროსის თანამ-
 დებობა ეჭირა. ევფემიოსი სახელ-
 განთქმული იყო ჭკუითაც და
 სიტყვა-პასუხითაც და მარკიანე
 მეფის დროს ეზოსმოდღვარი იყო
 (ტყუპი ტყუპი) (ტყუპი ტყუპი): მეტწილ
 საქმეებში მარ-
 კიანე მისი რჩევა-დარიგებით
 ხელმძღვანელობდა; იმან ისტო-
 რიკოსი პრისკევი მიიწვია სახელ-
 მწიფო საქმეებში მონაწილეობის
 მისაღებად. ასეთი არჩევანი რომ
 მისცეს გობაზს, იმან არჩია გა-
 დამდგარიყო სამეფო ტახტიდან
 შვილის სასარგებლოდ და თა-
 ვისი სამეფო ნიშნები გაიძრო (?)
 და მან რომაელთა მკერობელს
 მოციქულები გაუგზავნა თხოვ-
 ნით, – უკვე ერთი კოლხი მე-
 ფობს და ნულარ ჯავრობ, იარა-
 ლი დაჰყარეო. **რომაელთა** მეფემ
 წინადადება მისცა მას გადმოსუ-
 ლიყო რომაელთა ქვეყანაში და
 მოეხსენებინა თავისი განზრახვ-
 ბის შესახებ. გობაზმა არ თქვა

¹ Κόλχων Niebuhr.

ἤτησεν, ὡς οὐδὲν ὑποσταίη ἀνή-
κεστον. Διὸ δὴ ἐς τὴν Κολχίδα
Διονύσιος ἐπέλετο, καὶ περὶ τῶν
διαφόρων συνέβησαν (HGM I,
337—338).

გობაზს, უსიამოვნება არაფერი შეემთხვეოდა. ამიტომ იქმნა დიონისე გაგზავნილი კოლხიდაში. და სადავო საკითხებშიც შეთანხმდნენ.

იუროპაახის ციხე-სიმაგრე. I.

ფრგ. 31

“Ὅτι στασιασάντων τῶν φυ-
γᾶδων ἐθνῶν κατὰ τοὺς κατὰ τὴν
ἕω Ῥωμαίους, παρὰ τῶν Ἰταλῶν
πρεσβεία ἀφίκετο λέγουσα ὡς οὐχ
ὑποστήσονται, εἰ μὴ γε σφίσι τοὺς
Βαγδῆλους διαλλάξοιεν. Ἀφίκετο δὲ
καὶ παρὰ τοῦ Περσῶν μονάρχου,
τῶν τε παρ’ αὐτοὺς καταφευγόν-
των ἐκ τοῦ σφετέρου ἔθνους αἰ-
τίαν ἔχουσα καὶ τῶν Μάγων τῶν
ἐν τῇ Ῥωμαίων τῇ ἐκ παλαιῶν
οἰκούντων χρόνων, ὡς ἀπάγειν
αὐτοὺς τῶν πατρῴων ἐθνῶν καὶ
νόμων ἐθέλοντες καὶ τῆς περὶ τὸ
θεῖον ἀγιστείας παρενοχλοῦσίν τε
ἐς αἰεὶ καὶ ἀνακαίεσθαι κατὰ τὸν
θεσμὸν οὐ συγχωροῦσιν τὸ παρ’
αὐτοῖς ἄσβεστον καλούμενον πῦρ,
καὶ ὡς χρή τοῦ Ἰουροεῖπα ἀχ-
φρουρίου ἐπὶ τῶν Κασπίων κειμέ-
νου πυλῶν χρήματα χορηγοῦντας
Ῥωμαίους ποιεῖσθαι ἐπιμέλειαν ἢ
γοῦν τοὺς φρουρήσοντας αὐτὸ
στρατιώτας στέλλειν, καὶ μὴ μόν-
ους [σφᾶς] δαπάνη καὶ φυλακῇ
τοῦ χωρίου βαρύνεσθαι· εἰ γὰρ
ἐγδοῖεν, οὐκ ἐς Πέρσας μόνους,

როდესაც ლტოლვილი ტომები აღმოსავლეთის რომაელთა წინააღმდეგ ამბოხობდნენ, იტალიელთაგან ელჩები მოვიდნენ და თქვეს – ველარ გავუძლებთ, თუ ვანდალებთან არ მოგვარიგებთო. ელჩები მოვიდნენ სპარსელთა თვითმპყრობელისაგან და ჩიოდნენ (αἰτίαν ἔχουσα) ჩვენიანები თქვენთან გადმოვიდნენ, ხოლო იმთავითვე რომაელთა მიწაწყალზე მცხოვრებ მაგებისათვის 1 უნდოდათ დაევიწყებინათ მამაპაპური ადათები და კანონები, უნდოდათ გამოეთიშათ ისინი ღვთის სამსახურიდან, და ნებას არ აძლევდნენ, რომ მათთან მუდამ ნთებულიყო უქრობი ცეცხლი. ელჩები, ამავე დროს, ამბობდნენ, საჭიროა რომაელებმა მონაწილეობა მიიღონ ციხის იუროპაახის დაცვაში, რომელიც კასპიის კარებთან მდებარეობს: ან ფული გაიღონ ამისათვის, ან მის დასაცავად გაგზავნონ ჯარი, რომ მარტო იმათ არ დააწვეს ამ ადგილის დაცვის

¹ ამათ შესახებ იხ. ქვემოთ „სამიებელში“.

ἀλλὰ καὶ ἐς Ῥωμαίους τὰ ἐκ τῶν παροικούντων ἐθνῶν κακὰ ῥαδίως ἀφίξεσθαι. Χρῆναι δὲ αὐτοὺς ἔλεγον καὶ χρήμασιν ἐπικουραῖν ἐπὶ τῇ πρὸς Οὐννοὺς πολέμῳ τοὺς Κιδαρίτας λεγομένους· ἔσεσθαι γὰρ σφίσι αὐτῶν νικώντων ὄνησιν, μὴ συγχωρουμένου τοῦ ἔθνους καὶ ἐς τὴν Ῥωμαϊκὴν διαβαίνειν ἐπικράτειαν. Πάντων δὲ ἕνεκα Ῥωμαίων ἀποκριναμένων στέλλειν τὸν διαλεξόμενον τῇ Παρθυσίῳ μονάρχη· μήτε γὰρ φυγάδας εἶναι παρὰ σφίσι μήτε παρενοχλεῖσθαι τοὺς Μάγους τῆς θρησκείας πέρι· τὴν φυλακὴν δὲ τοῦ Ἰουρσοεπαᾶχ φρουρίου καὶ πόλεμον τὸν πρὸς τοὺς Οὐννοὺς ὑπὲρ σφῶν αὐτῶν ἀναδεδεγμένους μὴ δικαίως χρήματα αἰτεῖν παρ' αὐτῶν.

ხარჯები. თუ ისინი ხელს აიღებენ ამის დაცვაზე, არა მართო სპარსელებს, არამედ რომაელებსაც ადვილად მისწვდება გარემო ტომთა უბედურება. ისინი ამბობდნენ, საჭიროა ისინი (რომაელები) დაეხმარონ სპარსელებს ფულით ჰუნების ე. წ. კიდარიტების წინააღმდეგ. თუ სპარსელები გაიმარჯვებენ, რომაელებს ექნებათ ის ხიერი, რომ ეს ტომები ვეღარ გადავლენ რომაელთა მიწაწყალზე, რომაელებმა უპასუხეს, რომ ყველა ამისათვის ისინი გაგზავნიან [თავის კაცს], რომ პართების მეფეს მოელაპარაკონ; [თქვეს ისიც], რომ არ ყოლიათ ლტოლვილები, არც მაგები (მოგვები) შეუწყუხებიან სარწმუნოების გა-

მო; ხოლო იუროპასის ციხისა და ჰუნების წინააღმდეგ წარმოებულ ომისათვის არ იქნებოდა სამართლიანი, რომ მათგან (ე. ი. რომაელებისაგან) მოეთხოვათ ფული.

Ἐπρεσβεύσατο δὲ παρὰ μὲν Βανδύλους ὑπὲρ Ἰταλῶν Τατιανὸς ἐν τῇ τῶν πατρικίων ἀξία καταλεγόμενος, παρὰ δὲ Πέρσας Κωνσταντίος (v. l. Κωνσταντίνος), τρίτον μὲν τὴν ὑπαρχον (v. l.

იტალიელთა გულისთვის ვანდალებთან ელჩად გაიგზავნა ტატიანე¹ პატრიკიოსის პატივში ჩარიცხული, ხოლო სპარსელებთან გაიგზავნა კონსტანტიოსი (v. l. კონსტანტინე), მესამეჯერ

¹ ტატიანე (Tatianus, Τατιανός) კეისარ მარკიანეს დროს იყო კონსტანტინეპოლის ეპარხოსად (ἐπαρχὸν ἰσοίῃσι τῆς πόλεως – ამბობს თეოფანე ჟამთააღმწერელი I [1883], 105) ანუ ქალაქის პრეფექტად (praefectus urbi). 451 წლის ქალკიდონის კრებას ესწრებოდა. შემდეგ ტატიანეს პატრიკიოსობა მიუღია და ლეონ I-ის დროს (457–474 წ. წ.) ვხედავთ, რომ ის იტალიელთა საქმეზე და იტალიელთა თხოვნით იგზავნება გეიზერიხთან, ვანდალების მეფესთან. ტატიანეს ამ ელჩობამ, რომელიც 463 წლის მახლობელ ხანებში უნდა მომხდარიყო, უშედეგოდ ჩაიარა (იხ. RE II, 2467; Theophanes I. 105).

ἡπατον) λαχών ἀρχήν, πρὸς δὲ τῇ ἡπατικῇ ἀξίᾳ καὶ τῆς πατρικιστήτος ταχών (HGM I, 341—343).

იპარხოსის (v. 1. იპატოსის)პგატივიში აღზევებული და გარდა იპატოსის (კონსულის) პატივისა პატრიკიოსობის მიმღები ¹.

¹ ეს არის **Flavius Constantinus**; იგი სამჯერ იყო გვარდიის პრეფექტად (**praefectus praetorio**): 447 წელს, 456 წ. და 459 წელს. სპარსელთა მეფესთან ის 464 წელს იყო გაგზავნილი.

აქვე უნდა შევნიშნოთ შემდეგი:

1955 წელს სერიაში Byzantinische Geschichtsschreiber გამოვიდა ამ სერიის IV წიგნი სათაურით: Byzantinische Diplomaten und östliche Barbaren, რომელშიც მოთავსებულია ა) პრისკე პანიონელის „გუთების ისტორიის“ და ბ) მენანდრე პროტიქტორის „ისტორიის ნაწყვეტები, გერმანულ ენაზე თარგმნილი. სამწუხაროდ, პრისკეს „ისტორიის“ ნაწყვეტებში ზოგი რამ არ არის მთლად სწორად გადმოცემული. ასე სპარსეთის მეფესთან გაგზავნილ კონსტანტინეზე სწერია: „სამჯერ იყო ქალაქის პრეფექტადო“, ბერძნულ ტექსტში სწერია: τριτόν μὲν τῆν ὑπαρχον λαχών ἀρχήν. აქ მოხსენებული **ὑπαρχος ἀρχή** არ არის „ქალაქის პრეფექტის“ (Stadtpraefect) ხელისუფლება. ქალაქის პრეფექტს (praefectus urbi; იყო რომისა და კონსტანტინეპოლის პრეფექტი) ეწოდება **ὑπαρχος** (იხ. ამის შესახებ დ. Φ. Успенский и, Константинопольский эпарх: Изв. Р А И в К-ле. т. IV, вып. 2, стр. 79–104) ან **ὑπαρχος τῆς πόλεως** (Zosimos 2. 9. 3). ხოლო **ὑπαρχος τῆς ἀρχῆς** (Zosimos 2, 10, 1) აღნიშნავს პრეტორიელთა პრეფექტს (praefectus praetotio; იხ. დ ი მ ი ტ რ ა კ ი ს Μέγας Λεξικόν, ტომი 9). უფრო გვიან ხანებში ორივე პრეფექტის სახელო გაერთიანდა ერთ პრეფექტურაში (იხ. Н. С ка б а л а н о в и ч, Византийское государство и церковь в XI веке, СПб 1884 стр. 181).

ხოლო ჩვენს ტექსტში მითითებული განსაზღვრა: **τῆν ὑπαρχον ἀρχήν** ქალაქის პრეფექტის სახელოს კი არ უნდა ნიშნავდეს, არამედ praefectus praetorio-სას, რაც იმითაც დასტურდება, რომ სპარსეთის მეფესთან გაგზავნილი კონსტანტინე იუსტინიანეს კოდექსში მოხსენებულია რამდენჯერმე როგორც P(raefectus) P(raeterio):

a) Cod. Iust. I, 4, 138: I m p. Marcianus A. Constantino P. P. [456 წლისა].

b) Cod. Iust. X, 22, 3 I m p. Marcianus A. Constantino P. P. [456 წ.].

c) Cod. Iust. VIII, 54, 30: I m p. Leo A. Constantino P. P. [459 წ.].

გერმანელი მთარგმნელი Ernst Doblhofer-ი შეცდომაში შეიყვანა, ალბათ, მიუღწერმა, რომელსაც პრისკეს ტექსტის ლათინურ თარგმანში უწერია: Constantinus, qui ter praefectus urbi fuerat („რომელიც სამჯერ იყო ქალაქის პრეფექტად“: FHG IV, 105).

გერმანელ მთარგმნელს 31. ფრაგმენტის თარგმანში სხვაგანაც აქვს ხარვეზი: ვანდალებთან ტატიანეს გაგზავნის მიზეზი გამოუტოვებია (**ὅτι τὸ Ἰσλάμ** „იტალიელთა გულისათვის“), ისევე როგორც ფრაგმენტის დასაწყისში მთლად გამოუტოვებია, რომ „იტალიელთაგან ელჩები მოვიდნენ და თქვეს—ველარ გავუძლებთ, თუ ვანდალებთან არ მოგვარიგებთ“. ტატიანეს გაგზავნა ვანდალებთან ხომ იყო შედეგი იტალიელთა თხოვნისა!

გობაზის ჩასვლა კონსტანტინეპოლში

ფრგ. 34

Ὅτι μετὰ τὸν ἐμπρησμόν
τῆς πόλεως τὸν ἐπὶ Λέοντος ἦκεν
ὁ Γωβάζης σὺν Διονυσίῳ ἐς τὴν
Κωνσταντίου, Περσικὴν ἔχων
στολὴν καὶ τῷ Μηδικῷ δορυφο-
ρούμενος τρόπῳ. Ὅν οἱ ἀμφὶ τὰ
βασίλεια δεξάμενοι πρότερον μὲν
τοῦ νεωτερισμοῦ κατεμέμφαντο,
ἔπειτα δὲ φιλοφρονησάμενοι ἀπέ-
πεμφαν· εἶπε γὰρ αὐτοὺς τῇ τε
θωπείᾳ τῶν λόγων καὶ τὰ τῶν
Χριστιανῶν ἐπιφερόμενος σύμβολα.

ხანძრის შემდეგ, რომელიც
გაჩნდა ქალაქში ლეონტის დროს,
კონსტანტინეპოლში ჩამოვიდნენ
გობაზი და დიონისე. [გობაზს]
სპარსული ტანსაცმელი ეცვა და,
მიდიური წესისდა მიხედვით,
მეშუბენი ახლდნენ. კარის კაცებ-
მა მიღებისთანავე ჯერ გაჰკიც-
ხეს იგი რომელია წინა-
აღმდეგ ამბოხებისათვის, ხო-
ლო შემდეგ კეთილგანწყობილად
მოეპყრნენ და ისე გაისტუმრეს

უკან. გობაზმა მოხიზლა ისინი თავისი სიტყვა-პასუხით და საქრის-
ტიანო ნიშნების ტარებით (HGM I, 345).

იუროიპახის ციხე-სიმაგრე.

ფრგ. 37

Ὅτι Σαράγουροι Ἀκατίροις
καὶ ἄλλοις ἔθνεσιν ἐπιθέμενοι ἐπὶ
Πέρσας ἐστράτευον. Καὶ πρότερον
μὲν ἐπὶ Κασπίας παρεγένοντο πύ-
λας· καὶ φρουρὰν Περσικὴν ἐν αὐ-
ταῖς ἐγκαθεστῶσαν εὐρόντες ἐτέ-
ραν ὁδὸν ἐτρέποντο, δι' ἧς ἐπὶ τοὺς
Ἰβηρας ἐλθόντες τὴν τε αὐτῶν ἐδη-
σούν καὶ τὰ Ἀρμενίων χωρῖα κατέτ-
ρεχον, ὥστε Πέρσας πρὸς τῷ πο-
λέμῳ τῶν Κιδαριτῶν τῷ πάλαι
αὐτοῖς συστάντι καὶ ταύτην εὐλα-
βουμένους τὴν ἔφοδον παρὰ Ῥω-
μαίους πρესβεύσασθαι καὶ αἰτεῖν
 χρήματα σφίσι αὐτοῖς δίδωσθαι
τῷ ἄνδρᾳ πρὸς φυλακὴν τοῦ Ἰου-
ροειπαῶχ φρουρίου, καὶ λέγειν

სარაგურებმა, აკატირებთან და
სხა ტომებთან შეერთებით,
ილაშქრეს სპარსელების წინააღ-
მდეგ. ისინი ჯერ მიადგნენ კას-
პიის კარებს, ხოლო როდესაც
დაინახეს, რომ აქ სპარსელი და-
რაჯნი იყვნენ ჩაყენებული, მი-
მართეს სხვა გზას, რომლითაც
იბერიაში მივიდნენ, მოაოხრეს
ის და სომეხთა სოფლებიც მოარ-
ბიეს, ასე რომ სპარსელებს, რომ-
ლებიც უკვე კიდარიტებთან ომ-
ში იყვნენ გართული, შეეშინდათ
ამ შემოსევისა და ელჩები გაუ-
გზავნეს რომაელებს და თხოვ-
დნენ მათ ან ფული მოეცათ მათ-
თვის ან კაცები იუროიპაა-

ἀπερ αὐτοῖς πολλὰκις εἴρητο πρὸς
βουσιμένοις, ὡς αὐτῶν ὑπιστάμε-
νων τὰς μάχας καὶ μὴ συγχω-
ρούντων τὰ ἐπιόντα ἕτην ἄρρηκτα
πάρουθον ἔχειν ἢ τῶν Ῥωμαίων
ἀδύνατον διαμένει χώρα. Τῶν δὲ
ἀποκριναμένων ὡς ἕκαστον ἀνάγκη
τῆς οἰκείας ὑπερμαχοῦντα γῆς
τῆς σφετέρως φρουρᾶς ἐπιμελεῖσ-
θαι, πάλιν ἄπρακτοι ἐπανέβησαν.

ხ ი ს სიმაგრის დასაცავად. ამას-
თანავე ამბობდნენ, რაც მათ
ხშირად უთქვამთ ელჩებისთვის,
რომ (სპარსელებს) ბრძოლები
გადააქვთ, რათა ნება არ მისცენ
მოწოლილ ბარბაროსულ ტომებს
გაიარონ (ამ გასავალში) და რომ
ამიტომ, რომ რომელითა მიწა-
წყალი აუოხრებელი რჩება. რო-
მაელებმა კი უპასუხეს, რომ ყვე-

ლა ვალდებულია, თავისი ქვეყნისთვის რომ იბრძვის, იზრუნოს
თავისი ციხეების შენახვაზე, ისინი [ე. ი. ელჩები] კვლავ უშედეგოდ
დაბრუნდნენ (HGM I, 346) ¹.

¹ პრისკე პანიონელის ცნობათა. შორის ერთი მთავარი ადგილთაგანი უჭი-
რავს ცნობას ი უ რ ი პ ა ა ხ ი ს შესახებ. ამ ცნობას შეეხო რამდენიმე მკვლე-
ვარი: გ. დესტუნისი, იულ. კულაკოვსკი, ტომაშევი, ივ. ჯავახიშვილი, გ. გო-
ზალიშვილი. მკვლევართა ერთი ნაწილი „იუროიპაახს“ ათავსებს დარიალის
კართან, ხოლო სხვები მას ვარაუდობენ დარუბანდის კართან.

ამ საკითხს შევხებით ჩვენც 1934 წელს, როდესაც „გეორგიკის“ II ტომში
ვაქვეყნებდით პროკოპი კესარიელისა და იოანე ლიდეს ცნობებს საქართველოს
შესახებ. ჩვენი მსჯელობა აქ (გეორგიკა II, 43–45) ეყოდნობოდა პროკოპი
კესარიელის ცნობას „კასპიის კარების“ შესახებ და იოანე ლიდეს და პრისკე
პანიონელის ცნობებს „იუროიპაახის“ შესახებ და ჩვენ იმ დასკვნას დავადეგით,
რომ პრისკე პანიონელის პირველ ცნობაში (იხ. აქვე ზემოთ გვ. 256): „მონაწი-
ლეობა მიიღონ ციხის იუროიპაახის დაცვაში, რომელიც კასპიის კარებთან
მდებარეობს“ იგულისხმება დარიალის კარი, სადაც, მამასადაამე, მე ვვარაუ-
დობ „იუროიპაახის“ არსებობასაც.

1948 წელს სტუდენტმა (ამჟამად ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატ-
მა) მ ე რ ი ნ ა ძ ე მ თ ბ. უნივ. სტუდენტთა მეათე სამეცნიერო კონფერენციაზე
წაკითხა მოხსენება „პრისკე პანიონელის ცნობები საქართველოს შესახებ“. ეს
მოხსენება, სამწუხაროდ, არ დაბეჭდილა (დაბეჭდილია მხოლოდ თეზისები),
მაგრამ ჩემ მიერ ის მოხსენება შეფასებულ იქმნა როგორც უდავოდ ნაბიჯი წინ
პრისკეს ცნობათა შესწავლას საქმეში. მ. ინაძის კვლევის უპირატესობა სხვა
მკვლევართა ნამუშევრის წინაშე ის არის, რომ მან ბერძნულ-ბიზანტიური წყა-
როების გარდა მოიშველია ქართული და სომხური საისტორიო წყაროები.
კერძოდ, „კასპიის კარის“ და „იუროიპაახის“ შესახებ მ. ინაძის მოხსენების
თეზისებში ვკითხულობთ:

„პრისკე პანიონელის ცნობების გამოყენებით შესაძლებელი ხდება კასპიის
კარის ადგილმდებარეობის თაობაზე არსებულ აზრთა სხვადასხვაობის გადაჭრა
იმათ სასარგებლოდ, ვინც კასპიის კარში არა დარიალს, არამედ დარუბანდის
გადმოსასვლელს გულისხმობს“. (იხ. სტუდენტთა მეათე სამეცნიერო კონფერენ-

უთანხმოება სვანთა ტომთან

ფრგ. 41

Ὅτι μεγίστης πρὸς τὸ Σου-
 άνων ἔθνος Ῥωμαίους τε καὶ
 Ἀαζοῖς ὑπαρχούσης διαφορᾶς, καὶ
 σφόδρα ἐς τὴν τοῦ σήματος¹ τῶν
 Σουάνων συνισταμένων μάχην²,
 καὶ Περσῶν δὲ ἐθελόντων αὐτῶν
 πολεμεῖν διὰ τὰ φροσύρια, ἅπερ
 [ὑπὸ] τῶν Σουάνων ἀφήρητο,
 πρესβείαν ἔστειλεν, ἐπικουρούς
 αὐτῶν διαπεμφθῆναι παρὰ βασι-
 λέως αἰτῶν ἐκ τῶν παραφυλατ-
 τόντων στρατιωτῶν τὰ Ἀρμενίων
 θρία τῶν Ῥωμαίους ὑποτελῶν,
 ἐφ' ἣν προσχώρων ὄντων ἐτοίμην
 ἔχειν βοήθειαν, καὶ μὴ κινδυνεύ-
 ειεν τοὺς πόρρωθεν ἀπεκδεχόμενον,
 ἢ παρχγενομένων ἐπιτρέψασθαι
 θαπάνη, τοῦ πολέμου, ἀν οὕτω
 τύχη, διαναβασσόμενου, καθ' ἅπερ
 ἦδη πρότερον ἐγεγόνει. Τῆς γὰρ
 οὖν Ἡρακλείου ἀπεσταλμένης βοή-
 θείας, καὶ Περσῶν καὶ Ἰβήρων
 τῶν αὐτῶν ἐπαγόντων τὸν πόλε-
 μον πρὸς ἑτέρων ἔθνων τότε ἀπασ-
 χοληθέντων, μάχην τὴν συμμα-

დიდი უთანხმოება ჰქონდათ სვანთა ტომთან რომაელებსა და ლაზებს, და სვანებმა სასტიკი ბრძოლა გააჩაღეს სემატის (? ლაზთა სარდლის) წინააღმდეგ. სპარსელებს უნდოდათ მის წინააღმდეგ ეომათ იმ სიმაგრეების გულისთვის, რომლებიც სვანებს წაერთვა; [ამიტომ] მან (ლ ა ზ - თ ა მ ე ფ ე მ) ელჩები გამოგზავნა [ბიზანტიონში] და სთხოვდა მეფეს გაეგზავნა მისთვის დამხმარე ჯარები იმ ჯარისკაცთაგან, რომლებიც რომაელთა ქვეშევრდომ არმენიელთა საზღვრებს იცავდნენ, რათა მზად ჰქონოდა დახმარება, რადგან ის ჯარის ნაწილები მეზობლად იყვნენ, და არ შინებოდა შორიდან მოლოდინში, ან არ დასჭირვებოდა დიდი ხარჯების გაღება, თუ ომი, ვინიცობაა, გაჭიანურდებოდა, როგორც ეს წინათ მოხდა: როდესაც დახმარება იქმნა გაგზავნილი (ე. ი. აღმოჩენილი) ჰერაკ-

ცია 1948 წ. 19–24 აპრილი, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. თბილისი, 1948 წ., გვ. 24),

მ. ინაძის ეს დასკვნა ჩვენ საყურადღებოდ მიგვაჩნია; „იუროიპაახის“ საკითხის შემდგომ კვლევაში მას ანგარიში უნდა გაეწიოს. საჭიროდ მიგვაჩნია აქვე დავსძინოთ, რომ ეს საკითხი იმის ღირსია, რომ მას მიექლვნას სპეციალური მონოგრაფია.

¹ Tillemontius-ი ვიჭრობდა, რომ აქ უნდა წავიკითხოთ: ἐς τὴν χατὰ τοῦ Σήματος (რაც ლაზთა მთავრის ან სარდლის სახელი უნდა იყოს).

² μάχην: Classen-ის აზრით ეს ადგილი (ორივე) დამახინჯებული უნდა იყოს და აქ უნდა იმალებოდეს სვანთა მთავრის (ან სარდლის) სახელი.

χίαν ἀπέπεμψεν ἀσχάλλων ἐπὶ τῆ τῶν τροφῶν χορηγία, ὥστε αὐθις τῶν Πάρθων ἐπ' αὐτὸν ἀναΐουξάντων Ῥωμαίους ἐπικαλέσασθαι. Τῶν δὲ στείλαι τὴν βοήθειαν ἐπαγγειλαμένων καὶ ἄνδρα τὸν αὐτῆς ἡγήσόμενον, παρεγένετο καὶ Περσῶν πρεσβεία ἀγγέλλουσα τοὺς Κιδαρίτας Οὐννους ὑπ' αὐτῶν κατηγονησθαι καὶ Βαλαάμ πόλιν αὐτῶν ἐκπεπολιορκημένα.

ისინი დაჰპირდნენ დამხმარე ჯარისა და მისი წინამძღოლი კაცის გაგზავნას, ხოლო მოვიდნენ სპარსელთა ელჩები და განაცხადეს, რომ კიდარიტის ჰუნნები მათ მიერ დამარცხებულ იქმნენ და მათი ქალაქი ბალაამი ალყა-შემორტყმული (HGM I, 349 – 350).

ბაქოს ნავთი

Τῶν δὲ ἐν ἡμῖν τινος πυθομένου ποίαν ὁδὸν τραπεῖς ἐς Πέρσας ἐλθεῖν δυνήσεται, ἔλεγεν ὁ Ῥωμύλος μὴ πολλῶ διαστήματι τὴν Μήδων ἀφεστάναι τῆς Σκυθικῆς, οὐδὲ Οὐννους ἀπίρους τῆς ὁδοῦ ταύτης εἶναι, ἀλλὰ πάσαι ἐς αὐτὴν ἐμβεβλημένα...

Καὶ τοὺς διαβεβηκότας λέγειν, ὡς ἔρημον ἐπελθόντες χώραν καὶ λίμνην τινὰ περαιωθέντες, ἦν ὁ Ῥωμύλος τὴν Μαιῶτιν εἶναι ᾗτετο,

ლეს მეთაურობით 1, სპარსელებმა და იბერებმა, რომლებიც მას (ლ ა ზ თ ა მ ე ფ ე ს) ეომებოდნენ, სხვა ტომების წინააღმდეგ გაილაშქრეს, და ამიტომ მან (ლ ა ზ თ ა მ ე ფ ე მ) მოკავშირე ჯარი უკან გაგზავნა, მათი შესანახი ხარჯების გამო, ასე რომ პართელებმა კვლავ მის წინააღმდეგ განაახლეს ომი და მან რომელებს მოუხმო დასახმარებლად.

როდესაც ერთმა ჩვენგანმა იკითხა, თუ რა გზით შეუძლია მას სპარსეთში მივიდეს, რომელემ თქვა, მიდიელთა ქვეყანა დიდად არ არის დაშორებული სკვითების ქვეყანასო, არც ჰუნნები არიან ამ გზის უცოდინარნი, ვინაიდან წინათ უკვე შეიქრნენ ისინი მიდიაში.

ვინც იყო [მიდიაში] გადასული, იმათ თქვეს, რომ [ჯერ] უდაბური ადგილი გაიარეს და

¹ ჰერაკლეს მეთაურობით, ჰერაკლე – ბიზანტიელი სარდალი, წარმოშობით ედესელი, ფლორეს შვილი. იგი 451 წელს ესწრებოდა ქალკიდონის კრებას, ლეონ კეისრის დროს (457–474 წ.წ.) ის აღმოსავლეთის ჯარს სარდლობდა, 468 წელს ჰერაკლე ვანდალების წინააღმდეგ იქმნა გაგზავნილი. უფრო გვიან ზენონის დროს (474–491 წ.წ.) გუთებს ჩაუვარდა ტყვედ. მართალია, ის ზენონმა გამოისყიდა ტყვეობიდან (ასი ტალანტი გადაიხადა), მაგრამ, კონსტანტინეპოლში რომ ბრუნდებოდა, გზაზე მოკლულ იქმნა გუთების მიერ (იხ. RE VIII, 503; FHG IV, 115; Suidas s. v. §. 7. **Ἡράκλειος**), როგორც ფიქრობენ 475 წელს.

πεντεκαιδέκα διαγενομένων ἡμε-
 ρῶν ὄρη τινὰ ὑπερβάντες ἐς τὴν
 Μηδικὴν ἐσέβαλον. Ἀηζομένοις δὲ
 καὶ τὴν γῆν κατατρέχουσι πλη-
 θὸς Περσικὸν ἐπελθὼν τὸν σφῶν
 ὑπερκείμενον ἀέρα πλησαι βελῶν
 ὥστε σφᾶς δεῖσι τοῦ κατασχόντος
 κινδύνου ἀναχωρησαι ἐς τοῦπίσω
 καὶ τὰ ὄρη ὑπεξελεθεῖν, ὀλίγην
 ἄγοντας λείαν· ἢ γὰρ πλείστην
 ὑπὸ τῶν Μήδων ἀφήρητο. Εὐλα-
 βουμένους δὲ τὴν τῶν πολεμίων
 δίνωξιν ἐτέραν τραπήναι ὁδόν, καὶ
 μετὰ τὴν ἐκ τῆς ὑφάλου πέτρας
 ἀναφερομένην φλόγα ἐκαίψεν πο-
 ρευθέντας... ἡμερῶν ὁδὸν ἐς τὰ
 οἰκεία ἀφικέσθαι, καὶ γινῶναι οὐ
 πολλῶ διαστήματι τὴν Μήδων
 ἀφεστάναι τῆς Σχυθικῆς (HGM I,
 312—313).

ერთ ტბაზე გადავიდნენ, რომე-
 ლიც რომულეს აზრით მეოტის
 ტბა იყო, და, თხუთმეტი დღე
 რომ იარეს, რაღაც მთები გა-
 დალახეს და მიდიაში შევიდნენ.
 რბევა-რბევით რომ ისინი ქვე-
 ყანაში დათარეშობდნენ, სპარ-
 სელთა ბრბო მოვიდა და მთე-
 ლი ჰაერი აავსო ისრებით, ისე
 რომ თავს წამომდგარი ხიფათის
 შიშით იმათ უკან დაიხიეს და
 მთებზე გადმოვიდნენ ძალიან
 ცოტა ნადავლით: დიდი ნაწილი
 ნადავლისა მიდიელებს წაერთ-
 მიათ. რადგან ეშინოდათ, რომ
 მტერი დაედევნებოდა, ისინი სხვა
 გზით გაბრუნდნენ და წყალ-
 ქვეშა კლდიდან ამოსუ-
 ლი ალის¹ შემდეგ გაიარეს
 იქიდან.. (ამდენი და ამდენი)

დღის გზა და შინ მივიდნენ, და [ამნაირად] გაიგეს მათ, რომ მი-
 დიელთა ქვეყანა დიდად არ არის დაშორებული სკვითთა ქვეყანას.

¹ აქ იგულისხმება ბაქოს მიდამოები. იხ. Г. С. Д е с т у н и с, Сказания
 Приска Панийского, გვ. 65, შენ. 79.

ზოსიმე

ისტორიკოსი ზოსიმე ცხოვრობდა ანასტასი პირველის დროს (491–518). მას ეკუთვნის მოკლე „ისტორია“ ე, წ. Ἰστορία νέα ეს ისტორია მოიცავს ამბებს იმპერატორთა ხანისას, ვიდრე 410 წლამდე, და შედგება ოთხი წიგნისაგან. უფრო დაწვრილებით არის აღწერილი გვიანი ამბები, 395–410 წლებისა. ზოსიმეს გამოყენებული აქვს წინადროინდელი ისტორიული თხზულებები, კერძოდ ევნაპი სარდელის „ისტორიაც“.

იმ ცნობებში, რომლებიც საქართველოს ეხება, ჩვენს ყურადღებას იპყრობს I, 31–33; II, 33 და მეოთხე წიგნის 57, 3.

პირველი წიგნის 31. თავში დაწვრილებით არის მოთხრობილი სარდალ სუკცესიანუსის ლამქრობაზე ბიჭვინთისაკენ 256 წელს. აქ მოიპოვება მეტად მნიშვნელოვანი ცნობები ბიჭვინთის მდებარეობაზე, მის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე, და, საზოგადოდ, იქ გაჩაღებულ საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაზე.

მეორე წიგნის 33. თავში ლაპარაკი არის ფაზისზე არსებული სიმაგრეების შესახებ.

ჩვენს ყურადღებას ამჟამად იპყრობს ზოსიმეს ცნობები მეოთხე წიგნის 57. თავში. აქ ლაპარაკი არის ბაკურის შესახებ, როგორც უებრო სარდალზე და გამოჩენილ ადამიანზე. მართალია, მოკლეა ეს ცნობა, მაგრამ დღემდე ის ჩვენს ლიტერატურაში გამოყენებული არ ყოფილა. ჩვენთვის კარგად იყო ცნობილი ბაკურის შესახებ გადმოცემული ამბები ამიანე მარცელინესთან, ლიზანიოსთან, გელასი კესარიელთან, რუფინუსთან და გიორგი ამარტოლთან, მაგრამ ზოსიმეს ტექსტი ბაკურის შესახებ აქამდე გამოყენებული არ ყოფილა.

ამ გამოჩენილი ადამიანის შესახებ ყველა ბიზანტიელი ისტორიკოსი წერს, ვისაც კი მასთან, ბაკურთან, რაიმე კავშირი ჰქონია. მას ასახელებენ, როგორც გამოჩენილ სარდალს, რომელმაც 376 წლის ბრძოლის მთელი სიმძიმე გადაიტანა ადრიანოპოლთან; მის ვაჟკაცობას საგანგებოდ აღნიშნავენ 392 წლის ბრძოლებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოებდა ევგენიოს ტირანთან; ხოლო მე-4 საუკუნის გამოჩენილი რიტორისა და ფილოსოფოსის ლიზანიოსის წერილებში ბაკური დახასიათებულია არა მარტო როგორც

უებრო სარდალი და მეომარი, არამედ, განსაკუთრებით, როგორც გამოჩენილი მოაზროვნე, რომლის ფილოსოფიურ სიახლოვეს ნაზად განიცდიან ლიბანიოსიც და მისი მიმდევრებიც.

აი ამიტომაც არის ჩვენთვის ეგზომ ძვირფასი ბაკურის დამატებითი მოხსენიება ზოსიმეს „ისტორიაში“.

ამასთან დაკავშირებით არ შეგვიძლია ორიოდვე სიტყვით არ მოვიგონოთ უკანასკნელი წლების აღმოჩენა იერუსალიმის მიდამოების ტერიტორიაზე, სახელდობრ ის, რომ იერუსალიმის მახლობლად მდებარე ბეთლემში არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა მე-5 საუკუნის ტაძრის ნანგრევები თავისი მოზაიკით და ქართული წარწერებით. ამ წარწერებს შორის არის ერთი, რომელშიც იხსენიება ბაკური. რასაკვირველია, ბაკურის სახელწოდებით სხვადასხვა დროს ცნობილია რამდენიმე მოღვაწე, მეფე, უფლისწული, მაგრამ მე-5 საუკუნის ტაძარში რომ წარწერა საჭიროდ თვლის საგანგებოდ მოიხსენიოს მის შესანდობლად ვინმე ბაკური, ჩვენ გვინდა ვიფიქროთ შემდეგი: მე-5 საუკუნეში იერუსალიმის მახლობლად აგებულ ტაძარში რომელი ბაკური უნდა მოეხსენებინათ, თუ არა ის ბაკური, რომელიც ცნობილი არის სწორედ ამ მიდამოებში წარმოებულ ბრძოლების დროს, როგორც გამოჩენილი სარდალი; რომელი ბაკური შეიძლება გახსენებოდეს მე-5 საუკუნის ტაძრის მშენებელთა პალესტინაში, თუ არა ის ბაკური, რომელსაც იცნობდა მთელი ბიზანტია, როგორც გამოჩენილ მოღვაწეს და ზოაზროვნეს.

ზემოთქმულს ემატება აგრეთვე შემდეგი გარემოება: როგორც ჩანს, ბეთლემის არქეოლოგიური გათხრების აღმწერელთა გამოკვლევებიდან (კორბო, თარხნიშვილი), არ არის გამორკვეული, თუ ვის მიერ არის აშენებული ბეთლემის ახლად აღმოჩენილი ტაძარი. და ჩვენ ამასთან დაკავშირებით გვაგონდება შემდეგი ფაქტები: პეტრე იბერის ცხოვრებაში როგორც სირიულ ტექსტში, ისე ქართულ „ცხოვრებაში“ მოხსენებულია, რომ პეტრე იბერმა და მისმა მოძღვარმა იოანე ლაზარესმა ააშენეს იერუსალიმში ტაძარი. დღემდე ფიქრობდნენ, რომ ეს ტაძარი იერუსალიმის ჯვარის მონასტერია (ასე ფიქრობს, მაგალითად კ. კეკელიძე), მაგრამ ყურადღებას ვაქცევთ ჩვენ შემდეგ გარემოებას: ჯვარის მონასტერზე პროკოპი კესარიელი ლაპარაკობს როგორც იბერთა მონასტერზე, ხოლო იგივე პროკოპი კესარიელი ამბობს, რომ იუსტინიანემ განაახლა ლაზარეს მონასტერი. მაშასადამე, იერუსალიმის მიდამოებში არსებულა ორი მონასტერი – თვით იერუსალიმში

იბერთა მონასტერი და იერუსალემის უდაბნოში ლაზთა მონასტერი და ჩვენ გვინდა ვიფიქროთ, რომ ეს ლაზთა მონასტერი არის სწორედ იოანე ლაზის მიერ პეტრე იბერთან ერთად დაარსებული და რომ ეს არის სწორედ ახლად აღმოჩენილი ბეთლემის მონასტერი.

თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენთვის ნათელია, რომ ამ ტაძრის კედლებზე მოხსენებული იქნებოდა ბაკური, პეტრე იბერის პაპა. საჭიროდ ვთვლით აღვნიშნოთ ისიც, რომ ბეთლემის ერთ-ერთ ქართულ წარწერაში მოხსენებული არის ვინმე მარუან, რასაც კორბო კითხულობს, როგორც მურვან. ხოლო ის ხომ ცნობილია, რომ პეტრე იბერის სახელი ერისკაცობაში იყო მურვანოსი.

ასეთია ჩვენი აზრი ზოსიმესთან მოხსენებული ბაკურის შესახებ.

სარდალი სუქცესიანუსი და ბიჭვინთა ¹

1, 31. Καὶ τὰ μὲν παροικοῦντα τὸν Ῥήνον ἐν τοῦτοις ἦν, Βορανοὶ δὲ καὶ Γότθοι καὶ Κάρποι καὶ Οὐρουγοῦνδοι (γέννη δὲ ταῦτα περὶ τὸν Ἰστρον οἰκοῦντα) μέρος οὐδὲν τῆς Ἰταλίας ἢ τῆς Ἰλλυρίδος καταλείποντες ἀδῆχτον διετέλουσιν, οὐδενὸς ἀνθιστάμενου πάντα ἐπινεμόμενοι. Βορανοὶ δὲ καὶ τῆς εἰς τὴν Ἀσίαν διαβάσεως ἐπειρήθησαν, καὶ ῥᾶσον γε κατεπράξαντο ταύτην διὰ τῶν οἰκοῦντων τὸν Βόσπορον, δέει μᾶλλον ἢ γνώμῃ πλοῖα τε δεδωκότων καὶ ἡγήσαμένων τῆς διαβάσεως. Ἔως μὲν γὰρ βασιλεῖς αὐτοῖς ἦσαν παῖς παρὰ πατρὸς ἐκδεχόμενοι τὴν ἀρχὴν, διὰ τε τὴν πρὸς Ῥωμαίους φιλίαν καὶ τὸ τῶν ἐμποριῶν εὐσύνμβολον καὶ τὰ παρὰ τῶν

ასეთი იყო საქმეები რეინის მხარეში. ამასობაში ვორანები, გუთები, კარპები და ურუგუნდები (ეს ტომები ცხოვრობდნენ ისტროსზე) არ სტოვებდნენ აუოხრებელს იტალიისა და ილირიდის არც ერთ ნაწილს, ყველაფერს იპყრობდნენ, ისე რომ არავინ წინააღმდეგობას არ უწევდა. ვორანებმა სცადეს კიდევ აზიაში გადასვლა და ადვილად მოახერხეს ეს ბოსფორის მცხოვრებთა ხელის შეწყობით, რომლებმაც უფრო შიშით, ვიდრე კეთილი სურვილით, დაუთმეს მას ხომალდები და გადასასვლელი გზაც უჩვენეს. სანამ მათ ჰყავდათ მეფეები, რომლებიც ძალა-უფლებას ღებულობდნენ მემკვიდრეობის წესით, მამისაგან შვილზე,

¹ ტექსტი მოგვყავს მენდელსონის გამოცემით: Zosimi comitis et exadvocati fisci Historia Nova; ed. L. Mendelssohn L. 1887.

βασιλέων αὐτοῖς ἕτους ἑκάστου
 πεμπόμενα δῶρα διετέλουσιν εἰργον-
 τες ἐπὶ τὴν Ἀσίαν διαβῆναι βου-
 λομένους τοὺς Σκυθίας· ἐπεὶ δὲ
 τοῦ βασιλείου γένους διαφθαρέν-
 τος ἀνάξιοί τινες καὶ ἀπερριμμέ-
 νοι τῆς ἡγεμονίας κατέστησαν
 κύριοι, δεδιότες ἐφ' ἑαυτοῖς τὴν
 διὰ τοῦ Βοσπόρου τοῖς Σκυθίαις
 ἐπὶ τὴν Ἀσίαν δεδώκασιν πάρ-
 οδον, πλοίοις αὐτοὺς οἰκείους δια-
 βιβάσαντες, ἃ πάλιν ἀναλαβόν-
 τες ἀνεχώρησαν ἐπ' οἴκου.

გასასვლელი გზა ზოსიმორზე აზიაში და საკუთარი ხომალდებითაც
 კი გადაიყვანეს ისინი; ეს ხომალდები მათ მერე უკან წამოიღეს
 და წამოვიდნენ შინ.

I, 32. Τῶν δὲ Σκυθῶν τὰ ἐν
 ποσὶ πάντα ληξομένων, οἱ μὲν τὴν
 παραλίαν οἰκοῦντες τοῦ Πόντου
 πρὸς τὰ μεσόγεια καὶ ὀχυρώτατα
 ἀναχώρουσιν, οἱ δὲ βάρβαροι τῷ
 Πιτυοῦντι· πρῶτῳ προσέβαλλον,
 τεῖχει τε μεγίστῳ περιβεβλημένῳ
 καὶ λιμένα εὐορμότατον ἔχοντι.
 Σουκεσσιανοῦ δὲ τῶν ἐκείσε στρα-
 τιωτῶν ἡγεμόνος καθεσταμένου
 μετὰ τῆς οὐσης αὐτόθι· δυνάμεως
 ἀντιστάντος καὶ τοὺς βάρβάρους
 ἀποδιώξαντος, δεδιότες οἱ Σκυθαὶ
 μὴ ποτε καὶ ἐν τοῖς ἄλλοις φρου-
 ρίοις πυθόμενοι καὶ συστάντες
 τοῖς ἐν τῷ Πιτυοῦντι στρατιώταις
 ἄρδην αὐτοὺς ἀπολέσωσιν, ὅσων
 δεδύνηγτο πλοίων ἐπιλαβόμενοι,
 σὺν κινδύνῳ μεγίστῳ τὰ οἰκεία
 κατέλαβον, ἐν τῷ κατὰ Πιτυοῦντα
 πολέμῳ πολλοὺς τῶν σφετέρων
 ἀποβιβάσαντες.

მაშინ რომაელებთან მეგობრო-
 ბის წყალობით, რომლებთანაც
 მათ მოწყობილი ჰქონდათ სავაჭ-
 რო ურთიერთობა და ყოველ-
 წლიურად მეფეები უგზავნიდნენ
 მათ საჩუქრებს, ისინი მუდამ
 აკავებდნენ ხოლმე სკვითებს,
 რომლებსაც სურდათ აზიაში გა-
 დასვლა. ხოლო როდესაც სამეფო
 გვარის მოსპობის შემდეგ ქვეყ-
 ნის სათავეში მოექცნენ უღირსი
 და მდაბალი ადამიანები, მათ
 შიშის გამო მისცეს სკვითებს

როდესაც სკვითებმა დაიწყეს
 მოოხრება ყველაფრისა, რაც
 გზაში ხვდებოდათ, პონტოს სანა-
 პიროს მცხოვრებლები გაიქცნენ
 შიდა ხმელეთში და გამაგრებულ
 ადგილებში, ხოლო ბარბარო-
 სები პირველ ყოვლისა თავს და-
 ესხნენ ბიჭვინთას, რომელიც
 შემოზღუდული იყო უზარმაზარი
 კედლით და რომელსაც ჰქონდა
 კარგად მოწყობილი ნავსადგური.
 ადგილობრივი ჯარის სათავეში
 იდგა სუკესიანუსი, მან მთელი
 თავისი ძალებით შეუტია ბარბა-
 როსებს და გარეკა ისინი. ხოლო
 სკვითებმა იმის შიშით, რომ სხვა
 სიმაგრეების მცველებმაც არ გაი-
 გონ და არ შეუერთდნენ ბიჭვინ-
 თის ჯარებს და საბოლოოდ არ
 გაგვანადგურონო, – აი ამის ში-
 შით, იმათ ხელთ იგდეს ხომალ-
 დები რაც კი შეეძლოთ და მა-

ლიან შემინებულებმა მოჰკურცხლეს შინისაკენ, ისე რომ ბიჭვინ-
თასთან ბრძოლებში ბევრი თავისი მეომარი დაჰკარგეს.

Οἱ μὲν οὖν τὸν Εὐξείνιον πόν-
τον οἰκοῦντες τῇ Σουκεσσιανῶν
στρατηγίᾳ περισωθέντες, ὡς διεξ-
ήλθομεν, οὐδὲ πώποτε τοὺς Σκύ-
θας ἤλπισαν ἀμύειν περαιωθήσεσ-
θαι, τὸν εἰρημένον μοι τρόπον
ἀποκρουσθέντας. Οὐαλεριανῶν δὲ
Σουκεσσιανὸν μεταπέμπτον ποι-
ησαμένου καὶ ὑπαρχον τῆς ἀσῆς
ἀναδείξαντος καὶ σὺν αὐτῷ τὰ
περὶ τὴν Ἀντιόχειαν καὶ τὸν ταν-
της οἰκισμὸν οἰκονομοῦντος, ἀμύειν
οἱ Σκύθαι πλοῖα παρὰ τῶν Βοσ-
πορανῶν λαβόντες ἐπεραιώθησαν·
κατασχόντες δὲ τὰ πλοῖα, καὶ
οὐχ ὡσπερ πρότερον τοῖς Βοσπο-
ρανοῖς ἐνδόντες μετὰ τούτων ἐπα-
νελθεῖν οἴκασθε, πλησίον τοῦ Φά-
σιδος ἠρμίσθησαν, ἐνθα καὶ τὸ
τῆς Φασιανῆς Ἀρτέμιδος ἱδρῦσ-
θαι λέγουσιν ἱερὸν καὶ τὰ τοῦ
Αἰήτου βασιλεία. Πειραθέντες δὲ
τὸ ἱερὸν ἔλθειν καὶ οὐ θυγηθέντες
ἐνθὺ Πιτυοῦντος ἐχώρουν.

ევქსინის პონტოს სანაპიროს
მცხოვრებლები, რომლებიც, რო-
გორც ვთქვით, გადარჩნენ სუ-
კესიანუსის სტრატეგობის წყა-
ლობით, იმედოვნებდნენ, რომ
სკვითები, რომლებიც ამნაირად
უკუქცეულ იქნენ, ვერასდროს
ვეღარ გაბედავდნენ გადმოსვლას.
მაგრამ როდესაც იმპერატორმა
ვალერიანემ სუკესიანუსი გაი-
წვია და სამეფო კარზე მისცა
თანამდებობა, და მიჰყო ხელი
ანტიოქიის საქმეების მოგვარე-
ბას და მის დასახლებას, მაშინ
სკვითები კვლავ გამოჩნდნენ,
ბოსფორელებს გამოართვეს ხო-
მალდები და გადავიდნენ აზიაში.
მათ უკვე ბოსფორელებს აღარ
დაუბრუნეს ხომალდები, რო-
გორც წინათ, და არც შინ გაუ-
შვეს, არამედ ამ ხომალდებით
მიადგნენ ფაზისს, სადაც, რო-
გორც ამბობენ, აშენებული იყო
ფაზისის არტემიდას საკურთხე-

ველი და აეტის სასახლე. მათ სცადეს ამ საკურთხეველის აღება,
მაგრამ უნაყოფოდ; ამის შემდეგ პირდაპირ წავიდნენ ბიჭვინთი-
საკენ.

I, 33. Ἐλόντες δὲ ῥᾶστα τὸ
προῦριον καὶ τῆς ἐν αὐτῷ φυλακῆς
ἐρημώσαντες ἐχώρουν εἰς τὸ πρό-
σω. Πλοίων δὲ πολλῶν εὐπορήσαν-
τες καὶ τὸν αἰχμαλώτων τοῖς ἐρέτ-
τειν ἐπισταμένοις εἰς ναυτιλίαν
χρησάμενοι, γαλήνης παρὰ πάντα
σχεδὸν τὸν τοῦ θέρους καιρὸν γενο-
μένης τῇ Ἰραπεῤῥοῦντι προσέπλευ-

ეს ციხე აიღეს მათ დაუბრკო-
ლებლივ, მთელი მისი მცველი
ჯარი გაწყვიტეს და განაგრძეს
გზა. იშოვეს დიდი რაოდენობა
ხომალდებისა და ცურვისათვის
გამოიყენეს ტყვეები, რომლებმაც
იციოდნენ ნიჩბების ხმარება. ამინ-
დი კარგი იყო თითქმის მთელი
ზაფხულის განმავლობაში და

σαν, πόλει μεγάλη και πολυανθι-
ρήπω και προς τοις ἐνάσι στρα-
τιώταις μυρίων ἐτέρων δυνάμιν
προσλαβούση (ed. Mendelssohn,
22—23).

ადვილად მიადგნენ ზღვით ტრა-
პეზუნტს, დიდსა და ხალხმრავალ
ქალაქს, რომელსაც, გარდა
ადგილობრივი ჯარისა, ჰყავდა
ათი ათასი სხვა ჯარისკაციც.

ციხე-სიმაგრეები ფაზისზე

II, 33. Κωνσταντίνος δὲ τὰ
καλῶς καθεστῶτα κινῶν μίαν οὖσαν
ἐς τέσσαρας διείλεν ἀρχάς. Ἐπάρ-
χῳ γὰρ ἐνὶ τὴν Αἴγυπτον ἀπασαν
πρὸς τὴν Πενταπόλει Λιβύης και
τὴν ἐφάν ἀχρι Μεσοποταμίας και
προσέτι γε Κίλικας και Καππά-
δοκας και Ἀρμενίους και τὴν
παράλιον ἀπασαν ἀπὸ Παμφυλίας
ἀχρι Τραπεζούντος και τῶν παρά
τὸν Φάσιν φρουρίων παρέδωκεν
(ed. Mendelssohn, 90, 1—6).

კონსტანტინემ შეარყია ის, რაც
კარგად იყო დაწესებული, და
ერთიანი სამეფო ოთხ საგამ-
გებლოდ გაჰყო. ერთს იპარხოზს
მისცა მთელი ეგვიპტე ლიბიის
პენტაპოლისამდე და აღმოსავ-
ლეთი ვიდრე მესოპოტამიამდე;
გარდა ამისა მას გადასცა კილი-
კიელნი და კაპადოკიელნი და
არმენიელნი და მთელი ზღვის-
პირეთი ჰამფილიიდან ვიდრე
ტრაპეზუნტამდე და ფაზისზე
მდებარე სიმაგრეებამდე.

ბაკური

IV, 57. Ἀλλὰ ταῦτα μὲν ὁ
βασιλεὺς ἀκηκῶς ἤνεγκέ τε μετρί-
ως και ἐν αὐτοῖς δαπανᾶσθαι δυσ-
μεναίνοντας συνεχώρησεν, τοὺς δὲ
πρέσβεις δῶροις τε και λόγοις ἀπα-
γαγὼν τὸ μέτριον ἐν ἑαυτοῖς ἔχειν
δοκοῦσιν ἐπεμπεν ἐπ' οἴκου, και
μετὰ τὴν ἐκείνων ἀποδημίαν τῶν
τοῦ πολέμου παρασκευῶν εἶχετο.
Κεφάλαιον δὲ τῆς παρασκευῆς,
ὡσπερ οὖν ἔστιν, οἰόμενος εἶναι
τὴν τῶν στρατηγῶν ἀίρεσιν, τῶν
δὲ Ῥωμαϊκῶν στρατοπέδων ἔτα-
ξεν ἡγείσθαι Τιμάσιον και ἐπὶ
τούτῳ Στελίχωνα (συνήκει δὲ
οὗτος Σερῖγγι Θεοδοσίου τοῦ βασι-

ეს რომ მეფემ შეიტყო, ზომი-
ერად აიტანა და დათანხმდა,
რომ ხარჯები ყოფილიყო გაწე-
რილი, ხოლო ელჩები საჩუქრე-
ბით და სიტყვებით მოფერე-
ბულნი (?) შინ გაისტუმრა საკ-
მაოდ დაკმაყოფილებულნი. მათი
გამგზავრების შემდეგ შეუდგა
სამზადისს ომისათვის. ამ სამზა-
დისის უმთავრესი ნაწილი ის
იყო, რომ მოეხდინა კარგი არ-
ჩევანი სარდლებისა; რომაელთა
ბანაკებისათვის მან დანიშნა მე-
თაურად ტიმასიოსი და ამას დაუ-
მატა სტელისონი (ეს ხომ სერენეს
მეუღლე იყო, თეოდოსი მეფის

λέως ἀδελφοῦ Φυγατρί), τοὺς δὲ
 συμμαχοῦντας αὐτῇ βαρβάρους
 ὑπὸ Γαίνῃ ἔταξε καὶ Σαούλ. Ἐκοι-
 νώνει δὲ τῆς ἀρχῆς αὐτοῖς καὶ
 Βακούριος, ἔλκων μὲν ἐξ Ἀρμε-
 νίας τὸ γένος, ἔξω δὲ πάσης
 κακοηθείας ἀγῆρ μετὰ τοῦ καὶ
 τὰ πολεμικὰ πεπαιδευσθαι. Ἡ μὲν
 οὖν ἀρχαιρεία τοῦτον αὐτῇ δι-
 τέθη τὸν τρόπον (ed. Mendels-
 sohn 213, 9—22).

მმის ქალიშვილისა). მასთან ერ-
 თად მოკავშირეებად მყოფ ბარ-
 ბაროსთა მეთაურად დააყენა გა-
 ინა და საული; მათი გამგებლო-
 ბის მოზიარე იყო აგრეთვე ბა-
 კური, რომელსაც გვარტომობა
 არმენიიდან (?) მოჰქონდა, კაცი
 უცხო ყოველგვარი სიბოროტი-
 სათვის და ამავე დროს გაწვრ-
 თნილი საომარ საქმეებში.

ბაკურის დახასიათება

IV, 58. ... ὥστε κατ' αὐτὴν τὴν
 ἡμέραν τὸ μὲν πολὺ μέρος τῶν
 Θεοδοσίῳ τῇ βασιλεῖ συμμαχοῦντων
 ἀποθανεῖν, καὶ τῶν στρατηγῶν
 Βακούριον ἀνδρειότατα τῶν σφετέ-
 ρων προκινδυνεύσαντα, τοὺς δὲ
 ἄλλους παραλόγως ἄμα τοῖς περι-
 λειφθεῖσι διαφυγεῖν (ed. Mendels-
 sohn 214, 20—24).

... ასე რომ იმ დღეს მეტი წი-
 ლი თეოდოსი მეფის მოკავში-
 რეებისა დაიხოცა, და სარდალთა
 შორის უმამაცესი ბაკურიოსი
 ყველა თავისიანებზე უფრო წინ
 იბრძოდა, ხოლო სხვები მოუ-
 ლოდნელად გაქრნენ იმათთან
 ერთად, ვინც ცოცხალი გადარჩა.

დამატება I

იოსებ ფლავიოსი

(ca 39 – 95)

ევსტათი ანტიოქელის შრომიდან მოყვანილ ცნობასთან დაკავშირებით ჩვენ მოვათავსეთ (ზემოთ გვ. 34, შენ.) ლეო ალაციუსის მიერ იოსებ ფლავიოსის შრომიდან ამოღებული განმარტება „თობელის“ და „მოსოხის“ შესახებ. აქ ჩვენ გვინდა დამატებით მოვისაუბროთ ამ საკითხზე. აგრეთვე ვისარგებლოთ შემთხვევით და იოსებ ფლავიოსის შრომებში ქართველ ტომებზე არსებული ყველა ცნობა ამოვწეროთ ¹:

თობელები, მესხები

Ἄπο δὲ Ἰωσάβου Ἰωνία καὶ πάντες Ἕλληνας γεγονάσι. Κατοικίξει δὲ καὶ Θύβηλος Θοβήλους, οἵτινες ἐν τοῖς νῦν Ἰβήρας καλοῦνται· καὶ Μοσοχῆνοι δὲ ὑπὸ Μοσόχου κτισθέντες, Καππάδοκες² μὲν ἄρτι κέκληται, τῆς δὲ ἀρχαίας αὐτῶν προσηγορίας σημεῖον δείκνυσται· πόλις γάρ ἐστι παρ' αὐτοῖς ἔτι καὶ νῦν Μάζακα, δηλοῦσα τοῖς συγμένοις δυναμένοις οὕτω ποτὲ προσαγορευθῆν πᾶν τὸ ἔθνος (Antiquit. iud. I, 6: ed. Naber I, Lipsiae 1888, გვ. 26;

იოუანისგან წარმოსდგნენ იონია და ყველა ელინნი. თობელმა დააფუძნა თობელები, რომლებსაც ახლა იბერები ეწოდებათ; მოსოხენები დაფუძნებული არიან მოსოხის მიერ, ახლახან მათ კაპადოკიელები ეწოდებათ, ხოლო ძველი მათი სახელწოდების ნიშანიც ემჩნევათ; რამეთუ მათ აქვთ დღესაც ქალაქი მაზაკა, რომელიც ნათელ ყოფს იმათთვის, ვისაც შეუძლია გაიგოს, რომ ოდესღაც ასე ეწოდებოდა მთელ ტომს.

¹ ჩვენს განკარგულებაშია იოსებ ფლავიოსის შრომათა სამი გამოცემა:

Flavii Josephi Opera, graece et latine, recognovit G. Dindorfius. Parisiis 1865. I და II ტომები.

Flavii Josephi Opera omnia. Post Immanuelum Bukkerum recognovit S. A. Naber. Vol. IVI Lipsiae 1888–1896.

Josephus, with an english translation, by Thackeray; in nine volumcs. London 1928—1957. Vols. I–VII.

² Καππάδοκες Naber, Καππάδόκαι Dindorf.

ეს ტექსტი ერთგვარად განსხვავდება ლეო ალაციუსის მიერ მოყვანილი ტექსტისაგან:

ა) პირველ რიგში ეს განსხვავება ეხება „მესხთა“ სახელწოდებას:

ალაციუსით	ჩვენი ტექსტით
Μεσχοί	Μοσχοί
Μέσχος	Μοσός

ბ) კაპადოკიელთა სახელწოდება ალაციუსთან სწერია Καπ-πάρδιკες, იმ დროს როდესაც დინდორფის გამოცემით არის Καπ-πάρδκαι.

გ) ჩვენი ტექსტებით არის **πᾶν τὸ ἔθνος**, ხოლო ალაციუსთან სიტყვა **πᾶν** აკლია.

ამ განსხვავებათა შორის ჩვენს ყურადღებას იპყრობს პირველი. მეტად საგულისხმოა, რომ დინდორფისა და ნაბერის მიერ გამოცემულ იოსებ ფლავიოსის ტექსტებში ამ ტომის სახელწოდება სწერია ისე, როგორც ეს, ჩვეულებრივ, მიღებულია ბიბლიურ ტექსტებში: Gen. 10, 2, 24 (xxx); Ezech 38, 3 (Μεσχι Ναί Θιβελ); 39, 1 (Ραζ, Μοσος καί Θιβελ), ხოლო ალაციუსთან დამოწმებულ ტექსტში იმ განსხვავებული ფორმით არის (Μεσχοί), რომელიც თითქოს უფრო უახლოედება ჩვენს თანამედროვე „მესხს“.

სამწუხაროდ, ჩვენს ხელთ არსებულ გამოცემებში არ არის მოყვანილი ვარიანტები Μεσχοί და Μέσχος (იხ. მაგალითად, ნაბერის გამოცემის ტ. I, გვ. VIII, Adnotatio critica), მაგრამ რომ ასეთი ვარიანტი (და შეიძლება ძირითადი ვარიანტი) იყო იოსებ ფლავიოსის შრომათა გავრცელებულ ნუსხებში, ეს ჩანს ამ შრომათა ძველქართული თარგმანის ტექსტიდან. სახელდობრ, იქ სწერია:

«ხოლო იოჯანოღსგან იონაჲ და ყოველნი ელლინნი იქმნებანი დაამკვდრებს უკუე თოვილოსცა თოვილოთასა, რომელნი აწ ივირად იწოდებიან. ხოლო მესქინნი მესხითჲს მიერ აღშენებულნი აწ კაკუბადუკად იწოდებიან და რამეთუ დასაბამითგანისა სახელისა მათისა მერმეცა ნიში იჩუნებვის. რამეთუ ქალაქი არს მათ შორის და აწცა მაზაკად ცხადმყოფელი გულისკმისყოფად შემძლებელთაჲ ესრეთ ოდესმე სახელისდებასა ყოვლისა ნათესავისსა» (ხელნაწერი B გვ. 18–19) ¹.

¹ «მოთხრობანი იუდაებრივისა სიტყუადასაბამობისანი», თარგმნილი იოანე

როგორც ამ ძველქართული თარგმანიდან ჩანს, მეთერთმეტე საუკუნეში ქართლელ მთარგმნელს (იოანე პეტრიწს) ხელთ ჰქონია იოსებ ფლავიოსის „იუდაებრივი სიტყუადასაბამობის“ ისეთივე ნუსხა, როგორსაც იცნობდა XVII საუკუნეში ლეო ალაციუსი, სადაც მესხთა სახელი ბერძნულად ეწერა Μεσχινοί, ხოლო მამამთავრისა Μέσχος.

მოგვყავს იოსებ ფლავიოსის სხვა ცნობებიც ქართველ ტომებზე.

იბერები ტიბერიოსის დროს I საუკუნეში

Πέμπει δὲ καὶ Τιβέριος ὡς Οὐιτέλλιον γράμματα, κελεύων αὐτῷ πράττειν φιλίαν πρὸς Ἀρτάβανον τὸν Πάρθων βασιλέα. Ἐφόβει γὰρ αὐτὸν ἐχθρὸς ὢν, καὶ Ἀρμενίαν παρεσπασμένους, μὴ ἐπὶ πλέον κακουργῶ πιστεῦειν δὲ τῇ φιλίᾳ μόνως ἰσχυρῶν αὐτῷ διδομένων, μάλιστα δὲ τοῦ Ἀρταβάνου υἱέως.

ტიბერიოსი წერილს უგზავნის ვიტელიოსს და ავალებს მას მეგობრობის კავშირი დასდოს არტაბანესთან, პართთა მეფესთან. მას ეშინოდა არტაბანესი, რომელსაც იგი მტრობდა, თანაც არტაბანეს სომხეთიც ხელში ჩაეგდო, [ეშინოდა] ვაი თუ უფრო მეტი ვნება მომიტანოსო. [ვიტელიოსს სწერდა] მეგობრობას მხოლოდ იმ შემთხვევაში ენდე, თუ მძევლებს მოგცემსო, განსაკუთრებით კი თუ არტაბანეს მე იქნება [მძევლად გამოგზავნილი].

ამას სწერდა ტიბერიოსი ვიტელიოსს და [ამავე დროს] დიდძალი თანხებით იბირებდა იბერთა და ალბანთა მეფეებს 1 უყოყმანოდ გამოეცხადებინათ ომი არტაბანესთვის. ისინი კი არ დაეთანხმნენ, ხოლო არტაბანეს მიუსიეს სკვითები, რომლებიც

Ταῦτα δὲ γράφων Τιβέριος πρὸς τὸν Οὐιτέλλιον μεγάλων δόσεων χρημάτων πείθει καὶ τὸν Ἰσχυρῶν καὶ τὸν Ἀλβανῶν βασιλέα πολεμεῖν Ἀρταβάνῳ μηδὲν ἐνδοιάσαι. Οἱ δὲ αὐτοῖς μὲν ἀντειχόν, Σκῦθας δὲ, δίδον αὐτοῖς δίδόντες διὰ τῆς αὐτῶν καὶ τὰς

ამას სწერდა ტიბერიოსი ვიტელიოსს და [ამავე დროს] დიდძალი თანხებით იბირებდა იბერთა და ალბანთა მეფეებს 1 უყოყმანოდ გამოეცხადებინათ ომი არტაბანესთვის. ისინი კი არ დაეთანხმნენ, ხოლო არტაბანეს მიუსიეს სკვითები, რომლებიც

პეტრიწის მიერ (პეტრიწის თარგმანად ითვლება ეს თხზულება; იხ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 286–287).

ტექსტი ამოვიწერეთ ზანსვენებულ მიხ. კ ა ხ ა ძ ი ს მიერ გამოსაცემად დამზადებული შრომიდან (შრომა ინახება ისტორიის ინსტიტუტის წყაროთა პუბლიკაციის განყოფილებაში),

¹ მართალია, სწერია βασιλέα „მეფეს“, მაგრამ მომდევნო წინადადების οἱ δὲ αὐτοῖς („ხოლო ისინი“) მოწმობს, რომ იქაც იგულისხმება „მეფეებს“.

θύρας τὰς Κασπίας ἀνοίξαντες, ἐπάγουσι τῷ Ἄρταβάνῳ. Καὶ ἦ τε Ἀρμενία ἀφήρητο αὐτοῖς, καὶ πλησθείσης πολέμων τῆς Παρθυσίων γῆς, οἱ τε πρῶτοι τῶν τῆδε ἐκτείνοντο ἀνδρῶν, ἀνάστατά τε ἦν αὐτοῖς τὰ πάντα, καὶ τοῦ βασιλέως ὁ υἱὸς ἐκ τούτων τῶν μαχῶν ἔπεσε μετὰ πολλῶν στρατοῦς μυριάδων (Antiquit. ind. XVIII. 4, 4; ed. G. Dindorfius, 83. 702).

თავიანთ მიწაზე გაატარეს და კასპიის კარები გაუღეს. ასე რომ არმენიაც ხელახლა წაართვეს [არტაბანეს], და, რადგან პართელთა მიწაწყალზე საომარი მოქმედებები გაშლილიყო, წარჩინებულნი ამა ქვეყნისა დაეხილათ, მთელი მათი მამულები დარბეული იყო და [თვით] მეფის ვაჟიც ამ ბრძოლებში დაღუპულიყო, მასთან ერთად მრავალი ათიათასი მეომარიც გამწყდარიყო.

ჰენიოხები და კოლხები და მათი ურთიერთობა რომთან

Τὶ δεῖ λέγειν Ἡνιόχους τε καὶ Κόλχους καὶ τὸ τῶν Ταύρων φύλον, Βοσπορανοὺς τε καὶ τὰ περίοικα τοῦ Πόντου καὶ τῆς Μαιώτιδος ἕθνη, παρ' οἷς πρὶν μὲν οὐδὲ οἰκείος ἐγινώσκετο δεσπότης, νῦν δὲ τρισχιλίοις ἑπλίταις ὑποτάσσεται, καὶ τεσσαράκοντα νῆες μακρὰς τῆν πρὶν ἄπλωτον καὶ ἀγρὶν εἰρηγεύουσι· θάλασσαν (Bellum ind. II, 16; ed. Dindorf. II, 83. 118).

რალა უნდა ითქვას ¹ ჰენიოხებზე და კოლხებზე, ტავრთა ტომზე და ბოსფორელებზე და პონტოს და მეოტიდის გარშემო მცხოვრებ ტომებზე, რომელნიც წინათ საკუთარ ბატონსაც არ სცნობდნენ, ახლა კი სამი ათასი ჰობლიტის ხელით არიან დამორჩილებული, და ორმოცი გრძელი ხომალდი იცავს მშვიდობიანობას სუსხიან ზღვაზე, რომელიც წინათ არასანაოსნო იყო.

კოლხები და ეგვიპტელები

Καὶ μὲν οὐδ' Ἡρόδοτος ὁ Ἄλικαρνασσεὺς ἰγνότηκεν ἡμῶν τὸ ἕθνος, ἀλλὰ τρέπω τινὶ φαίνεται μεμνημένος. Περὶ γὰρ Κόλκων ἱστορῶν ἐν τῇ δευτέρᾳ βίβλῳ φησὶν οὕτως· «Μοῦνοι δὲ πάντων —

არც ჰეროდოტე ჰალიკარნასელმა უგულებელყო ჩვენი ტომი, არამედ რალაცნაირად მაინც იხსენიებს მას. კოლხთა შესახებ კი მოგვითხრობს მეორე წიგნში და ამბობს ასე: «ყველა ხალხთაგან —

¹ ეს წარმოადგენს ნაწყვეტს სიტყვისას, რომლითაც იუდეველთა მეფემ ჰეროდემ აგრიპამ (27 – 93 წწ.) მიმართა იუდეელებს.

φησί — Κόλχοι καὶ Αἰγύπτιοι καὶ Αἰθίοπες περιτέμνονται ἀπ' ἀρχῆς τὰ αἰδοῖα. Φοίνικες δὲ καὶ Σύριοι οἱ ἐν τῇ Παλαιστίνῃ, καὶ αὐτοὶ ὁμολογοῦσι παρ' Αἰγυπτίων μεμαθηκέναι.

თონაც აღიარებენ, ეგვიპტელებისაგან ისწავლეს [წინადაცვეთა] ¹.

